

იოსებ ომაძე

ნეკერხლის გადამტვრეული ხე

რომანი

ბროწეული

მოთხრობები

თბილისი, 2011 წ.

ISBN 978-9941-0-3901-0

Copyright: იოსებ ომაძე, 2011 წ.

სარჩევი

ნეკერხლის გადამტვრეული ხე

რომანი

კარი I. უცნაური მკვლევლობა გამზირზე	2
კარი II. აგაბო დათვიბალაძე იწყებს გამოძიების სტრატეგიული გეგმის შედგენას	4
კარი III. თანამშრომლები “თბილწყალკანალიდან”	9
კარი IV. პატარა ლელიანი – აღმასხან ჯამიაშიგლის სოფელი	13
კარი V. საქართველოში დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებისა და ტურფად გაფურჩქნის გამზირი, სახლი № 150, მისი მობინადრენი	19
კარი VI. № 150 სახლის “პროფესორები” და “აკადემიკოსები”	22
კარი VII. ქაქრია პორწიალაძე – დალაქი	25
კარი VIII. ხარიტონ ხორავა – ხარაზი, თვითნასწავლი მხატვარი	29
კარი IX. ბინა № 6. მართა გაბმულაძე – № 150 სახლის თვალი და ყური	34
კარი X. ბინა № 1. მაშო ხშირულვაშაძე – სახლის რწმუნებული	39
კარი XI. ბინა № 11. კაკანა კარმანაული – ფეხსაცმლის გამყიდველი. ბინა № 12. რაჟდენ მეჭეჭაშვილი – საქმოსანი	40
კარი XII. ბინა № 14 – გაქირავებულია სტუმართმოყვარე და კეთილ გოგონებზე. ბინა № 15. მამუკა ეკალღიჭაშვილი – დურგალი	50
კარი XIII. ბინა № 18. ჯუანშერ ვირიტერვაძე – ყოფილი ტოპოგრაფი. ბინა № 19. დაგირავებულია. ბინა № 20. ცხოვრობენ სტუდენტი გოგონები ..	55
კარი XIV. ბინა № 21. გაყიდულია სასწრაფოდ. ბინა № 22. ამბროსი ბირკაწვრილაძე – მხატვარი	61
კარი XV. ბინა № 23. უშანგ აქშიგოქმაძე – ყოფილი მეცნიერი, პენსიონერი. ბინა № 24. მურმან მარმუჭიშვილი – ტაქსისტი	65
კარი XVI. ბინა № 34. მელორ ტყეკაფიაშვილი – ყოფილი მერი, საქმოსანი	70
კარი XVII. ბინა № 35. ზინა ზაზუნაშვილი – ექთანი. ბინა № 37. ლიპარიტ ასათიანი – პენსიონერი. ბინა № 38. მარგალიტა ბებო	73
კარი XVIII. ბინა № 39. ესტატე ბუსკანტურაძე – ძველი რკინიგზელი	75
კარი XIX. ბინა № 40. ანტონ ტყუილკაკლაშვილი – ძველი მონადირე	77
კარი XX. ბინა № 41. გოგონა გოდორაძე – მოხუცი დედით, ქმრითა და ბავშვებით. ბინა № 42. ხათუნა ხუხულაიშვილი – მარტოხელა ქალი. ბინა № 43. ტატაშ ტაშვანდურაძე – მუსიკოსი	81
კარი XXI. ბინა № 44. ამირინდო თაგმტკივანაძე – ბანკის მოსამსახურე	84
კარი XXII. ბინა № 45. პეპინო გუერაძე – პენსიონერი, მწერალი	86
კარი XXIII. ბინა № 46. ტრისტან ნისკარტაძე – მხატვარი	92
კარი XXIV. ბინა № 47. ვიოლა ეკალღიჭაძე – უმუშევარი. ბინა № 48. ვილაც ახლები არიან... ..	96
კარი XXV. ყველაფერს ფარდა ახედა	99

ბროწეული

მოთხრობები

ბროწეული	104
კინოგადაღება	105
რომ ჩავხედე მორევს – ფსკერზე კენჭები ჩანს...	105
ორმო	106
განხეთქილების საზამთრო	107
ომარა	109
ისევ გაზაფხულის ჩანახატი	111
წითელი და შავი	111
მე შენ ადრეც გნახე!	113
სინკა	114
მწვანე მოლზე – თხილის ჩრდილში	116
თბილისი	116
ზაფხული	116
მწვანე კონცხი	117
რაც იყო, გახსოვს ყველაფერი ლანდივით...	118
ადამიანი, რომელიც ყველაფრის ხედავს, ყველაფერს გრძნობს, ყველაფერი იცის	119
ბებო	119
ნოემბერი	120
გუჯა	120
ციყვეუნია	120

ნეკერჩხლის გადამტვრეული ხე რომანი

კარი I. უცნაური მკვლევრობა გამზირზე

ჩემთვის უფრო ადვილია და ალბათ მკითხველისთვისაც უკეთესი იქნება, თუკი ქრონოლოგიურად მივყვები, თავიდან ბოლომდე, ამ უჩვეულო მკვლევრობის ამბავს, – კვანძის განსწავლვა, – როგორც წესი და რიგია.

2011 წლის 22 თებერვალს საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში დიდიდანვე ბურუსი დაბოდილობდა, წვირილად ცრიდა, თითქოს წვიმდა კიდევ და საკმაოდ ციოდა – ტემპერატურა სულ 1 გრადუსი იყო ცელსიუსით. ნისლი მხოლოდ შუადღისთვის აიკრიფა, თუმცა მზე მაინც არ გამოჩენილა.

სანამ უშუალოდ ჩვენი ამბის მოყოლას დავიწყებდე, საერთო ფონის გასაცნობად, მოკლედ მოგახსენებთ, თუ რის შესახებ იყო საუბარი თბილისის ტელეარხების დილის საინფორმაციო გამოშვებებში:

დღეს იხსნება საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია.

ქართველი არტილერისტები გაიგზავნებიან ავღანეთში “ნაგო“-ს სამხედრო მისიაში მონაწილეობის მიზანსაღად.

დიდთოვლობა საქართველოში: თუშეთში ოცდაათი ადამიანი ჩარჩენილი; კახეთში თოვლის საფარი ერთ მეტრს აღწევს; გურიაში ლიხაურის ეკლესიის გალავანი დაზიანდა; ქვემო ქართლში დამე გზები მოიყინა; დმანისისა და წალკის რაიონებში განუწყვეტლივ თოვს; გომბორისა და ნაქერალას უღელტეხილებზე ავტომანქანების მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

თურქეთში, შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურული ძეგლები, – ოშკისა და იშხანის ეკლესიები, – სასწრაფოდ მოითხოვს შველას.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში თანამედროვე ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნა ელექტრონული კანცელარია – ლოკუმენტთა მიმოქცევის ერთიანი ელექტრონული სისტემა.

იქმნება საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია – ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და საფრთხეების განსაზღვრა, რომელიც აისახება სათანადო ლოკუმენტში.

საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სპიკერი ანტიკრიზისული გეგმის განხორციელების შესახებ: ელექტროდენის ოცლარიანი ვაუჩერები საქართველოს მოსახლეობაში უკვე თითქმის დარიგებულია, ხოლო ოცდაათლარიანი სასურსათო ვაუჩერის დარიგება დაიწყება 10 მარტიდან.

უკვე მზადაა პარლამენტარ კონსტანტინე გამსახურდიას ხელმძღვანელობით საპარლამენტო კომისიის 363-გვერდიანი დასკვნა ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებათა გამოძიების შედეგების შესახებ.

გრძელდება მძაფრი შეტაკებები არაბულ ქვეყნებში – ბაჰრეინი, იემენი, ალჟირი (სტუდენტების გამოსვლა სწავლის გაძვირების გამო), ლიბია (ლიბიის ჯამაჰირიის მეთაური მუამარ ყადაფი აცხადებს: “არსად გაქცევას არ ვაპირებ!”)...

ახლა ჩვენს ამბავს მივყვით.

შუადღეზე თბილისის პოლიციის ისანი-სამგორის რაიონულ სამმართველოს შეატყობინეს, რომ მათი ოპერატიული მოქმედების ზონაში, კერძოდ, ვარკეთილი-5-ის დასახლებაში, საქართველოში დემოკრატიის არნახული გამარჯვების და ტურფად გაფურჩქნის გამზირზე, № 150 სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოხდა მკვლევრობა – ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად ადგილზე დაიღუპა დაახლოებით ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი. როგორც ადგილზე სასწრაფოდ მისულმა პატრულმა გაარკვია, მოკლული პიროვნების სახელი და გვარი იყო აღმასხან ჯამიაშვილი...

აღმასხან ჯამიაშვილის მკვლევრობა იმავე საღამოს ტელევიზიის ყველა არხზე საინფორმაციო გადაცემების მთავარ მოვლენად იქცა და საკმაოდ მეტი დროც დაუთმეს – გამოშვებები ამ ამბის შეტყობინებით დაიწყო და შემდგომაც ყველა არხზე ერთნაირად, სტანდარტულად გაგრძელდა: ჯერ

დიქტორმა ქალმა დაწერილებით ამცნო ტელეაუდიტორიას მომხდარი სამწუხარო ფაქტის შესახებ, შემდეგ ჩართო არხის საკუთარი კორესპონდენტი, რომელმაც შემთხვევის ადგილიდან წარმართა რეპორტაჟი: ჯერ თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა დიქტორი ქალის ნათქვამი, შემდეგ გაუშვა ადრე ჩაწერილი კადრები: მოვარდებიან სხვადასხვა ტელეარხების კორესპონდენტები – რატომღაც ყველანი მხოლოდ ახალგაზრდა ქალბატონებია, კაცი ერთიც არ ურევია... გარეგნულად ყველანი შეუხედველები არიან და ქცევითაც ემსგავსებიან ერთმანეთს – ყველანი თავხედურად მიძვრებიან წინ, ერთმანეთში ლამის ხელჩართული ბრძოლა აქვთ გამართული “სასიცოცხლო სივრცისთვის”, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს პირდაპირ სახეში თავხედურად აჩრიან მიკროფონებს: “რა დაინახეთ? რა მოხდა? თქვენ ამ დროს სად იყავით?”. ქალი, კაცი, ბავშვი, მეეზოვე, გამგლევი – ყველა ამბობს: “მე მერე მოვედი”, “არაფერი ვიცი”, “არაფერი დამინახავს”... კორესპონდენტები კი აგრძელებენ სულელური კითხვების დასმას: “მეზობლები რას ამბობენ?”, “როგორ ფიქრობთ, რა იყო მკვლელობის მიზეზი?”.

მერე ეკრანზე გამოჩნდა პროკურატურის ახალგაზრდა, ნასუქ-ნაპატივეები წარმომადგენელი; თავდაჯერებული და კარგად ნავარჯიშევი ხმით რიხიანად თავიდან ბოლომდე იგივეს იმეორებს, რასაც მანამდე დიქტორი და კორესპონდენტი ამბობდნენ, თითქოს საზეიმო რასმე იუწყებოდეს, ბოლოს კი ამბობს: “როგორც გაირკვა, აღმასხან ჯამიაშვილი არის თბილისთან ახლო მდებარე სოფელ პატარა ლელიანის მცხოვრები, ნასამართლობის გარეშე, არასრული საშუალო განათლებით; ცხოვრობს, უფრო სწორედ, ცხოვრობდა, დედ-მამასთან ერთად; დაოჯახებულია, ჰყავდა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. ბოლო დროს მუშაობდა თვითმცლელი მანქანის მძღოლად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში “თხუნელა”. ეს ორგანიზაცია შემთხვევის ადგილას ასრულებდა კანალიზაციის ახალი კოლექტორის გაყვანის სამუშაოებს. დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერების შემდგომ მომხდარი ფაქტის გამო პროკურატურაში უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიღებულია დადგენილება, მოკვლევასთან ერთად, წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ და მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მკვლელობის გარემოებათა შესასწავლად და დამნაშაის დასადგენად”.

როგორც მოგახსენეთ, ყველა სატელევიზიო არხის საინფორმაციო გამოშვებებზე ერთნაირად აშუქებდა ამ ამბავს, მხოლოდ დიქტორები იყვნენ სხვადასხვა.

სანამ უშუალოდ ამბის მოყოლას დაიწყებდეთ ამ, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული, რიგითი დანაშაულის შესახებ, – მსგავსი რამ არც ისეთი იშვიათია: ჩართეთ ტელევიზორი და უკანასკნელ ცნობებში თითქმის ყოველდღე მკვლელობაზეა საუბარი, ზოგჯერ – ორსა და სამზეც, – ორიოდ სიტყვით გაგაცნობთ ერთ-ერთ მთავარ გმირს, აგაბო დათვიბალაძეს; სწორედ მას დაავალეს ამ მკვლელობის საქმის წინასწარი გამოძიების წარმართვა.

აგაბო დათვიბალაძე გახლავთ 46 წლის, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გამოცდილი კრიმინალისტიკა: ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღიურად ათასგვარ ადამიანთან უხდებოდა შეხვედრა, ურთიერთობა და საკმაოდ კარგად ერკვევა ადამიანების ფსიქოლოგიაში... წინდაწინ მეცოდება – საწყალი აგაბო! რამდენი უნდა იწანწალოს, ტვინი იჭყლიტოს, უძილი ღამეც კი გაათენოს... იძულებული იქნება, უსმინოს მავანთა და მავანთა გაუთავებელ ლაქლაქს, იქნებ მათ პირთაგან გადმოფრქვეულ ქვიშის უზარმაზარ ნაკადში გამოძიებისთვის ფასეული ოქროს იშვიათი მარცვლები გამოკრთეს... გულხანდლად გეტყვით: მე ბევრად უკეთეს მდგომარეობაში გახლავარ! მწერად კაცს ყველაფერი მაინტერესებს, ისეთი ამბებიც, რომელთაც გამოძიებასთან საერთო არაფერი აქვს, ჩემი თხრობისთვის კი – ოქროს საბადოა! ამიტომ ხშირად ჩავრთავ ჩემს მონათხრობში ისეთ ამბებსა თუ დეტალებს, რომელთაც თითქოს ამ მკვლელობის საქმესთან არაფერი აკავშირებს... ეს ჩემი განზრახვა იმით შემოძლია გავამართლო, რომ, სწორედაც, ყოველი ამგვარი სამწუხარო მოვლენა (და სხვა მრავალიც – დრამატული თუ სასიხარულო) ხდება არა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევით მოვლენათა დამთხვევით დროსა და სივრცეში, არამედ, ასევე, ზოგადად განპირობებულია ქვეყანაში არსებული მდგომარეობით, საზოგადოებრიობის განწყობით და ასე შემდეგ, ანუ რას ფიქრობენ ადამიანები, რის შესახებ საუბრობენ ყველაზე ხშირად ერთმანეთთან, რა აწუხებთ, რა ახარებთ, რისი მოლოდინი აქვთ, რას უფრთხიან... და ასე უსასრულოდ. თუ ჩემი განზრახვა ხელს გაძლევთ, გააგრძელეთ კითხვა, სიუჟეტის დახლართულობისა და ამბის მძაფრი განვითარების მოყვარულთ კი რომელიმე დეტალური რომანის ამორჩევა შეუძლიათ – იბეჭდება ზღვა ამგვარი წიგნებისა.

გერაფრით მოვაბი თავი სათქმელს – საქმის დაწყება ყოველთვის ჭირს... იმედია, მალე გაგხურდები და ამბის ბედაურს ადგილიდან დაეძრავ და იქნებ გაგაჭენო კიდევ.

ადამიანები და საქმეები ხშირად ჰგვანან ხოლმე ერთმანეთს და იცით, რით? მავანს შეხედავ და იტყვი: რა საინტერესო, ინტელიგენტი ადამიანიაო, მერე კი რწმუნდები, სინამდვილეში საკმაოდ პრიმიტიული ფილოსოფიით ხელმძღვანელობს ცხოვრებაში: მხოლოდ ფული და სიამოვნების მიღებაა მისთვის ცხოვრებაში მთავარი და მთელი მისი ძალისხმევა ამისკენ არის მიმართული: “მხოლოდ

მე! ამქვეყნად ერთხელ მოვსულვარ და სადამდისაც დრო და ვითარება შესაძლებლობას მაძლევს, ჩემი შანსი ხელიდან არ უნდა გავეშვა, მეტი რა შემჩნება!“. ხშირად საპირისპირო შემთხვევასთანაც გვაქვს საქმე: მაგანი უფერული, უინტერესო პიროვნება გვეჩვენება, სინამდვილეში კი ყოვლად ჩვეულებრივი და იქნებ მოსაწყენი ადამიანის სახის ქვეშ მდიდარი სულიერების, მრავალფეროვანი გატაცებების, მაღალი იდეალების მატარებელი პიროვნება იმალება. ხომ მართალი ვარ?

ამრიგად, რა მსურს მე? მინდა, მოგიტხროთ ერთი საკმაოდ ორდინარული საქმის შესახებ, რომლის გამოძიებაც აგაბო დათვიბალაძეს დაევალა და რომელიც, ერთი შეხედვით, ერთგვარად, რთული ჩანდა და, იმავდროულად, როგორც ბოლოს გამოირკვა, საკმაოდ მარტივიც გამოდგა.

კარი II.

აგაბო დათვიბალაძე იწყებს გამოძიების სტრატეგიული გეგმის შედგენას

როგორც მოგახსენეთ, მკვლელობის დღესვე გადაწყდა, შექმნილიყო საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს აგაბო დათვიბალაძე. სასწრაფოდ ჩატარდა ყველა სახის კრიმინალისტური კვლევა, ცხელ კვალზე ზოგიერთი პიროვნების დაკითხვა და სხვა.

მეორე დილასვე, 23 თებერვალს, აგაბო დათვიბალაძე, შემთხვევის ადგილის უფრო საფუძვლიანად დასათვალიერებლად და სხვა ოპერატიული ინფორმაციის შესაკრებად, ვარკეთილი-5-ის დასახლებას ეწვია.

ამინდის თვალსაზრისით დღევანდელი დღე ტყუპისცალივით ჰგავს გუშინდელს – დილიდანვე ბურუსია, თითქოს წვიმს კიდევ; დღესაც ცივა, მხოლოდ 1 გრადუსია ცელსიუსით.

დათვიბალაძეს თან ახლავს უბნის ინსპექტორი ლაშა დამურაული – შემთხვევის ადგილზე უნდა მივიდნენ.

ლაშა დამურაული გამომძიებელზე ბევრად ახალგაზრდაა, მხოლოდ 26 წლისაა; აწუხებს, რომ ასეთი უჩინარი პიროვნებაა, არავინ იცნობს... ხან ლექსების წერას მიჰყო ხელი, რამდენიმე სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთშიც მიიტანა; წაიკითხეს, თითქოს მოუწონეს კიდევ, მაგრამ ლექსების გამოქვეყნებაზე ზრდილობიანად უთხრეს უარი – წლევეანდელი პორტფელი გადატვირთული გვაქვს, მომავალში მოგვაკითხეთო... მე რომ მკითხეთ, კარგი მომავლის მქონე ყმაწვილია, ვნახეთ, შემდგომ რით დაგვამახსოვრებს თავს.

- თქვენთვის წამოვიდე...

დამურაულმა ტყავის საქაღალდედან ამოიღო ორი ნაბეჭდი ფურცელი, მიაწოდა გამომძიებელს; აგაბო დათვიბალაძემ გამოართვა და პირველზე წაიკითხა შემდეგი:

“უბანი № 16

უბანი მოიცავს 5,8 კვადრატულ კილომეტრს. უბნის ტერიტორიის ოთხკუთხედი შემოსაზღვრულია ოთხი ქუჩით, შემდეგნაირად (იხილე ნახაზი): საქართველოში დემოკრატიის არნახული გამარჯვების და გურფად გაფურჩქვნის გამზირის ჩრდილო მხარე – № 88-დან № 200-ის ჩათვლით, ალადასკურისა და საფერავის ქუჩის ლუწი ნომრები მთლიანად, ფრიად წარმატებული ეკონომიკისა და ქვეყნის ყოველმხრივი მზარდი განვითარების გამზირის სამხრეთი მხარე – № 177-დან № 59-ის ჩათვლით და სარსარაკისა და სავათის ქუჩის კენტი ნომრები მთლიანად.

სექტორში განლაგებულია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილებით დასახლებული ხუთი ობიექტი: ოთხი ყოფილი საბავშვო ბაღი და ერთი ყოფილი სამუსიკო სკოლა, აგრეთვე, ორი საჯარო სკოლა, ერთი კერძო სკოლა, ორი კერძო საბავშვო ბაღი, 5 აფთიაქი, სამედიცინო ცენტრი, ორი ფურნე, ორი ელექტროწისქვილი, მცირე შერეული საქონლის ბაზარი, 34 კომერციული მაღაზია და 15 ფარდული, 17 ლომბარდი, 18 ვალუტის გადასაცვლელი ჯიხური და სათავსო, სხვა 8 ჯიხური და სათავსო, 8 სხვადასხვა სახის აგულიე (ტელე-რადიოაპარატურის შემკეთებელი, ფეხსაცმლის შეკეთების, განსაცმლის ინდკერვის), 5 მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამამზადებელი სახელოსნო, 3 ბენზინგასამართი სადგური, 2 ავტოპროფილაქტიკა და 3 მანქანების სარეცხი, 3 ღამის ავტოსადგომი. უბანში განლაგებულია 95 კერძო ავტოფარეხი, 102 არასაცხოვრებელი სარდაფი და 51 სხვენი. უბანში ცხოვრობს 21 ადრე ნასამართლევი პირი, 105 ნარკოტიკული ნივთიერების მიღებისადმი მიდრეკილი პირი. უბანში მოსახლეობას პირად საკუთრებაში აქვს

55 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი ე. წ. სანადირო თოფი. უბანში სხვადასხვა სახის მცირე დანაშაულის ჩადენისთვის აღრიცხვაზე იმყოფება 39 არასრულწლოვანი.

სექტორში განსაკუთრებით დასაცავი ობიექტები არ არსებობს და არ არის გამოყოფილი არცერთი სადღეღამისო საპატრულო საგუშაგო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს
ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს
პოლიციის 23 განყოფილების უბნის ინსპექტორი

უფროსი ლეიტენენტი ლაშა დამურაული”.

– კეთილი, მადლობა. უფრო ზუსტი ცნობების შეკრება შეიძლება საგადასახადო ინსპექციაში და სხვა უწყებებში... ამ უფრცლებს მე დამიტოვებთ? – იკითხა აგაბო დათვიბალაძემ.

– დიას, რა თქმა უნდა, – უპასუხა დამურაულმა.

– რა ამბავია ამდენი ღომბარდი და ვალუტის გადაცვლედი? – გაუკვირდა დათვიბალაძეს.

– საწყალი ხალხისთვის ყველაზე სარფიანი საქმე ახლა ეგაა.

– მხოლოდ 21 ნასამართლენი პირია, რაიმე შეცდომა ხომ არ არის?

– ეგ მონაცემები ჩემი წინამორბედისგან მაქვს მიღებული, დავაზუსტებ... მიკვირს: ორჯერ, სამჯერ მოხვდებიან ციხეში, გამოვლენ და იმავეს აგრძელებენ, თითქოს ეჩქარებათ ისევ იქ დაბრუნება. ერთი-ორი ოთხ-ხუთჯერაც არის მსჯავრდებული.

– პირველად არის ძნელი იმ ზღვრის გადალახვა, მერე კი... ასე ვთქვათ, უმანკობას რომ დაკარგავ, იგივეს გამეორება უფრო იოლი ხდება. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ უნებლიე შეცდომა მერე ჭკუას გასწავლის, ასეთებიც არიან.

– ან როგორ უნდა მოკლა ადამიანი? მე ქათამს ვერ დაგვკლავ, არ შემიძლია და ადამიანი სიცოცხლეს როგორ უნდა გამოასალმო? უნებურადაც რომ მომივიდეს ასეთი რამ, ასე მგონია, დამეწესიერად ვერც ველარასდროს დავიძინებ-მეთქი, ვერ ველირსები სულის სიმშვიდეს...

– ჩემო ლაშა, ადამიანი ათასგვარი იბადება, აღზრდასაც, უფრო სწორედ, ცუდად აღზრდასაც თავისი წველილი შეაქვს იმაში, რომ არსებობს კატეგორია ადამიანებისა, ვისაც სხვისი დამცირება, ტვივილის მიყენება და მოკვლაც კი სიამის მომგვრელია. რაც კაცობრიობა არსებობს, თან სდევს თვისტომთა მკვლელობაც... ბიბლიაში რამდენი მკვლელობაც ხდება, ვერც კი დათვლი.

– თქვენთან ერთი შეკითხვა მაქვს და... თუ შეიძლება, ერთი თხოვნაც...

– გისმენ.

– შეიძლება, მეც ვიარო თქვენთან ერთად გამოძიების ჩასატარებლად?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, პირიქით – შენი დახმარება დიდად წაადგება საქმეს. ჯერჯერობით ამ საქმით მხოლოდ მე ვარ დაკავებული. წინასწარი გამოძიებისთვის ორი თვე არის გამოყოფილი.

– იცით, მე ოცნება მაქვს... დიდი სურვილი მაქვს, გამოძიებელი გაეხდე, როდისმე, რასაკვირველია, და თქვენთან ერთად მუშაობა ერთი ნაბიჯით წინ წამწევედა ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე... ბოდიშს ვიხდი, ცოტა მაღალფარდოვნად გამომივიდა ნათქვამი, მაგრამ მართლა დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთან ერთად ყოფნა სასარგებლო იქნება ჩემთვის. დავაკვირდები თქვენს მუშაობას, გამოცდილებას შევიძინე... უნივერსიტეტში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას – იურისტის დიპლომი კი მაქვს, მაგრამ კერძო უმაღლესი სასწავლებლისაა და, ხომ იცით, უნივერსიტეტის დიპლომს სულ სხვა წონა აქვს...

– კეთილი... რით დავიწყობ?

– თუ ნებას მომცემთ, ამ საერთო რვეულში ჩავიწერ ხოლმე თქვენს ცალკეულ გამონათქვამებს... მითითებებს... მოკლედ, რასაც თქვენ ჩათვლით საჭიროდ ან მე საყურადღებოდ მივიჩნევ.

– ჩაწერა ყოველთვის სასარგებლოა... მე გირჩევ, დრო რომ არ დაგეკარგოთ, დიქტოფონი მოიხმარე ამ საქმეში. შინ გადაიწერ რვეულში და ამ დროს ერთხელ კიდევ დაუკვირდები ჩემს მონათხრობს. შესაძლოა, ზოგი რამ ჩემი ნათქვამიდან არ მოგეწონოს ან ეჭვი აღძრას რაიმე მხრივ, რამდენად საფუძვლიანი იქნება ჩემი ესა თუ ის სიტყვა თუ ქმედება; ეს შენი განსჯის საგანი იქნება და ანალიზის უნარსაც გაავიწყობს... ახლა კი, ცოტა ნელა ვილაპარაკებ, რომ შენ დაკონსპექტება შესძლო... იცი ალბათ, დამნაშავის დასადგენად საჭიროა, ჩატარდეს საგამომძიებლო ღონისძიებათა კომპლექსი. თავიდანვე წამოიჭრა უამრავი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კითხვა; რა თქმა უნდა, უპირველესად უნდა გაირკვეს: ვის შეეძლო ამ საზარელი საქმის ჩადენა, რა მოტივი ელო საფუძვლად ამ დანაშაულს? უნდა დადგინდეს, როგორი პიროვნება იყო გარდაცვლილი, რაიმე გამოკვეთილი სახასიათო თვისებები ხომ არ ჰქონდა, რომელსაც შეეძლო, მის მიმართ მტრული დამოკიდებუ-

ლების ჩამოყალიბება და ასე შემდეგ... ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შესწავლა-დადგენა. შემდგომ ამისა, დასადგენია, ხომ არ ჰყავდა გარდაცვლილს მტრები, ადრე ან ამ ბოლო დროს ხომ არ ჰქონდა კონფლიქტი, უსიამოვნება ვინმესთან? კერძოდ: ოჯახის წევრებთან; მეზობლებთან; მეგობარ-ამხანაგებთან; ადრინდელ ან დღევანდელ სამსახურებში კოლეგებთან; უბრალოდ ნაცნობებთან; უცნობ პიროვნებებთან... გზა-გზა კიდევ გამოჩნდება შესასწავლი საკითხები, დასაზუსტებელი კი უამრავი რამ იქნება და, თუ ამ საქმეში დამეხმარები, ბარი-ბარში ვიქნებით... – გაიღიმა დათვობადაქემ. – რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა გავესაუბროთ... საზოგადოების ჩართვა დიდად წაადგება დანაშაულის გახსნას.

– ამ საწყალ შოფერს ნეტავ რა უნდა ჩაედინა ისეთი? შესაძლოა, არც არაფერი დაუშავებია... რატომ მოკლეს? ვინც ეს ჩაიდინა, ამით რაღაცის დამტკიცება ხომ არ სურდა?

– წინასწარ მარჩიელობა არ ღირს. უამრავი ადამიანი მოუკლავთ სრულიად უმიზეზოდაც. რთული შემთხვევაა, ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანს. იქნებ მარტივი ამოხსნაც აქვს, მაგრამ მას მიგნება ხომ უნდა?

– კარგია, რომ ეს ამბავი სამუშაო დღეს მოხდა, ვინც სამსახურში იყო, ვერაფერ ალიბი აქვს. ბო-ლიში, სულელური ნათქვამი გამომივიდა...

– ახლა არა უშავს, სხვებთან საუბრისას კი ძალიან ფრთხილად ყოფნაა საჭირო, რომ უნდობლობა ან შიში ან სხვა რამ უარყოფითი გრძნობა არ გამოვიწვიოთ, რაც გულახდილი საუბრის ხალისის დაუკარგავს მავანს და ჩვენ კი ხელს შეგვიშლის საჭირო მასალების მოპოვებაში. რაც შეეხება იმას, რომ მკვლელობა სამუშაო დღეს და დღის საათებში მოხდა, ეს გარემოება ჩვენთვის დიდი შეღავათი არ იქნება, ბევრად არ შემსუბუქდება გამოძიების მსვლელობა – ახლა იმდენი უმუშევარია...

– ალბათ საწყისი მდგომარეობა საკმაოდ რთული გაქვთ... როგორ ფიქრობთ, ძნელი სამუშაო გეღიო?

– საკმაოდ, საკმაოდ... შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი – ადგილის პირველადი დათვალიერების მასალები თავისი ფოტოებით – ხელმოსაკიდს არაფერს იძლევა. მალე გვექნება სამედ-ცინო ექსპერტიზის, ბიოლოგიური ბალისტიკისა და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებიც, მაგრამ ალბათ ისინიც ნაკლებ დაგვეხმარება... თითქმის ერთადერთი შესაძლებლობა, რისი იმედიც შეიძლება მქონდეს, იმ ადამიანთანგან ინფორმაციის შეგროვებაა, რომლებიც ასე თუ ისე არიან დაკავშირებული ალმასხან ჯამიაშიღლთან, – ნათესაობით, მეგობარ-ამხანაგობით, ერთად საქმიანობით და სხვა, – მისი გარემოცვა, ასე ვთქვათ.

– სამედცინო და ბალისტიკური ექსპერტიზები გამიგია და ეს ბიოლოგიური ბალისტიკა რაღა არის?

– სხეულში ტყვიის მიერ დატოვებული კვალის მიხედვით, ბიოლოგიური ბალისტიკის დასკვნით შეიძლება, გავარკვიოთ, რა ტიპის იარაღიდან მოხდა გასროლა – პისტოლეტიდან, რევოლვერიდან თუ სხვა. რამდენადაც ვიცი, ტყვია ნაპოვნია და ბალისტიკური ანალიზი დამატებით დაადგენს, ამ იარაღიდან იყო თუ არა სხვა დროს დანაშაული ჩადენილი.

– ამგვარ საქმეზე ადრე თუ გიმუშავიათ?

– რა თქმა უნდა, ბევრჯერ. სხვათა შორის, მე ადრეც მომიწია ამ კვარტალში მომხდარი მკვლელობის გამოძიება, სულ ახალგაზრდა ვიყავი, მაშინ სულ ერთი წლის წინათ მქონდა უნივერსიტეტი დამთავრებული. ძალიან ადვილად მოხერხდა მკვლევლების დადგენა, იოლი საქმე გამოდგა, საქმის გასახსნელად, რასაკვირველია, – ცხადად ჩანდა მკვლევლობის მოტივი და დამნაშავეთა დადგენაც იოლად მოხდა. მოკლედ მოგიყვები, თუ გინდა.

– რასაკვირველია, ძალიან მაინტერესებს.

– დაახლოებით თხუთმეტ-თექვსმეტი წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ, შენ ალბათ ის დრო არც ისე კარგად გემახსოვრება.

– დიახ, მაშინ სულ მთლად ბავშვი ვიყავი.

– მაშინ ქალაქში რაც ხდებოდა, ნამდვილი საგიჟეთი გეგონებოდა: საშინელი გაჭირვება, სიც-ცვა-გლეჯა მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო, ყოველდღიურად უამრავი დანაშაული ხდებოდა, უამრავი, საქმეს ვერ ავუდიოდით. იმ მოკლულის სახელი მახსოვს, შოთა ერქვა, გვარს ვეღარ ვიხსენებ. ის სახლიც მახსოვს, სადაც ცხოვრობდა – მეშვიდე სართულის ერთთახიან ბინაში იყო მდგომ-რად. ეს შოთა მუშაობდა რკინიგზის მილიციაში, სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, ოცდაოთხი თუ ოც-დახუთი წლისა, სულ სამი თუ ოთხი წლის დაწყებული ჰქონდა მილიციაში მუშაობა. სამი, ოთხი დღე რომ არ გამოცხადდა სამსახურში, შინ მივიდნენ მასთან და... ისეთი ნაცემი იყო, მანამდე ასე-თი რამ არ მენახა, ცემით იყო მოკლული – გაკოჭილი იყო, საშინელი ნაწამები. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი მკვლევლობა, ეს იყო შურისძიება. ეს შოთა, მეზობლების თქმით, მორიგეობიდან შინ გვიან დაბრუნებულა...

- მარტო ცხოვრობდა?
- არა, ახალშერთული ცოლი ჰყავდა, შვიდი თვის ფეხმძიმე და, როცა დაზამთრდა, ეს გოგო წაუყვანია სოფელში, გორის რაიონში, თავის დედ-მამასთან - აქ სიცივე იყო, დენი გვიან ღამით მოდიოდა, ისიც - ორი-სამი საათით, მთელი დღე მისი მარტოდ დატოვებაც არ უნდოდა...
- იმ ქალის დედ-მამასთან თუ ამ შოთასი?
- შოთასი. ამ შოთას დედას ისე უყვარდა თურმე რძალი, სულ თავს ევლებოდა თურმე.
- ამ შოთას რაღას ერჩოდნენ, რატომ მოკლეს ის უბედური?
- გეტყვი. ეს შოთა ძალიან ნიჭიერი ბიჭი ყოფილა, თეატრალურზე აპირებდა თურმე სწავლის გაგრძელებას, მაგრამ იქ უთხრეს, ბიძიკო, რა გეჩქარება, ჯერ სამხედრო ვალდებულება მოიხადე და მერე მოდი, თუ არ გადაიფიქრებო. ორი წელი იმსახურა ჯარში, მერე თეატრში დაიწყო მუშაობა სტატიისტად - ჩემს საყვარელ ხელოვნებასთან ახლოს ვიქნებო. მალე თეატრებსაც შავი დღე დაუდგათ - არც გათბობა, არც ხელფასი... სპექტაკლებზე დასწრების მსურველი ვინდა იყო, თანაც გაყინულ დარბაზში - ხალხს წარმოდგენებისთვის აღარ სცხელოდა, ლუკმა-პურის საფიქრალი აწუხებდა. არ იყო მისი საქმე ქურდებისა და ყაჩაღების დევნა, მაგრამ რა ექნა, - ჭამა-სმა ხომ უნდოდა, ხანდაზმულ მშობლებსაც მიხედვა სჭირდებოდა, ჰოდა, რკინიგზის მილიციაში დაუწყია მუშაობა. ორ წელიწადში განყოფილების უფროსის მოადგილე გახდა და მოინდომა წესრიგის დამყარება, ქურდობაცა და გამომძაღველი მილიციონრები სამსახურიდან გაუყრია. ასეთები მაშინ ბევრი იყვნენ. იმათაც შური იძიეს - სამი კაცი დახვდა თურმე სადარბაზოსთან, მის ბინაში აიყვანეს და იქ რაც მოხდა, უკვე მოგიყვი. ჯერ ოცდახუთი წლისაც არ იყო.
- სამწუხაროა... არ გაუმართლა ცხოვრებაში, იქნებ ახლა ცნობილი მსახიობი ყოფილიყო...
- იმ უბედურ დროს, რამდენიმე წლით ადრე, ჩემი ძმაც მოკლეს... მაშინ სტუდენტი ვიყავი.
- რას ლაპარაკობთ! რა მოხდა?
- ჰო, ოცდახუთი წლის წინანდელი ამბავია... მაშინ ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ჩემი ძმა ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო, ბევრად ადრე წამოვიდა სოფლიდან, - საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. აქ უკვე ჩვენი უფროსი დები ცხოვრობდნენ, და ჯერ ერთთან ცხოვრობდა დროებით, მერე წავიდა, სადღაც ბინა იშოვა და აღარ გამოჩნდა. რომ აღარ და აღარ გამოჩნდა, აგტუხეთ განგაში... ერთი კვირა ეძებდნენ და ვერ იპოვეს, სანამ მტკვარში ნახავდნენ, ორთაჭალაში, ორთაჭალაქესთან... რა მოხდა, როგორ, რატომ - ვერაფერი გაიგეს, მე ახლაც არაფერი ვიცი. ისე, ეჭვი მაქვს, რომ კარგი ბიჭების წრეში არ ტრიალებდა, ადრე დაჭრეს კიდევაც - მე მაშინ ჯერ კიდევ სოფელში ვცხოვრობდი.
- რამდენი და-ძმა იყავით?
- შვიდნი - სამი და და ოთხი ძმა. მე ყველაზე პატარა ვიყავი, ნაბოლარა. დღეს მხოლოდ ერთი დაღა დამრჩა, ყველანი დაიღუპნენ. შვილები არცერთს დარჩა, მხოლოდ მე მყავს სამი შვილი...
- საოცარია... შვიდი დედმამიშვილიდან... როგორ მოხდა ეს?
- ერთი და, ყველაზე უფროსი, ახლა ცოცხალია და საბერძნეთში ცხოვრობს უკვე ათი წელიწადია, საბერძნეთის მოქალაქეა. არ ვიცი, როგორ მოახერხა, ან რად უნდოდა...
- ქმარი ხომ არ ჰყავს ბერძენი?
- არა, გაუთხოვარია... უკვე ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული, როცა საბერძნეთში წავიდა. აქ ჩვენი გაუთხოვარ მამიდასთან ცხოვრობდა, ჰოდა, როცა მამიდა გარდაიცვალა, გაყიდა ის ბინა და იმ ფულით წავიდა საბერძნეთში - აქ რა უნდა ვაკეთო, შიმშილით მოგაკვებო. ადრე საფიქროში მუშაობდა, ვის უნდა დღეს ფიქარი? ალბათ ერთი საწარმოც აღარ მუშაობს და თუ მუშაობს, მოწიფული ხალხი აღარ უნდათ, მაინცდამაინც ახალგაზრდა უნდა იყოს.
- ხანდაზმულს არავინ აიყვანს, საუკეთესო სპეციალისტსაც კი... მეორე ძმაც ხომ გყავდათ?
- ღიახ. ნოდარი ძალიან კარგი ბიჭი იყო, კარგად სწავლობდა, მაგრამ იმ წელს უმაღლესში ვერ მოეწყო. ერთხელ შემოდგომით თბილისში წამოიღო ერთი ტომარა ლობიო, ბაზარში უნდა გაეყიდა, ღარიბი ოჯახი გვექონდა. ორი აფერისტი ქალი მივიდა, მთლიანად წავიდებოთ და ფული არ მისცეს. ჩემი ძმა კინაღამ გაგიჟდა, ფული მომეცითო, ისინი კიდევ იძახდნენ, როგორ არ მოგეცით, მამაძაღვობ რაღაცასო. მოკლედ, ჩემი ძმა გაფიცხდა და შეიქნა ერთი ამბავი. მოვარდა მილიცია და ნოდარი წაიყვანეს მილიციაში. იქ ძალიან უცემიათ, გონება წართმევია. მამიდამ და უფროსმა დამ შეგვატყობინეს, ასეა საქმეო. ჩამოვედით და წავიყვანეთ სოფელში... გაანთავისუფლეს, მაგრამ რად გინდა - სრულ ჭკუაზე ვერ იყო. ფიზიკურად კი მომჯობინდა, მაგრამ ერთ წელიწადში დამბლა დაეცა და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.
- დები?
- ოთხი და მყავდა. ერთი, ხომ გითხარი იმის ამბავი, ახლა საბერძნეთშია. იმის მომდევნო და, თებრო, მეზობელ სოფელში გათხოვდა და მშობიარობას გადაჰყვა, მეორე და, კეკე, ავად შეიქნა, პატარა პრობლემები ჰქონდა და რაიონულ საავადმყოფოში რაღაც ძლიერი წამლები მისცეს, ვერ იყო

სრულ ჭკუაზე, ერთ დილას კი საწოლში მკვდარი ნახეს... ერთი და კი, ნათელა, ბავშვობისას მდინარეში დაგვეხრჩო... აი, ასეთი სამწუხარო ამბები მოგიყვები...

* * *

გვიან სადამოს შინ დაბრუნებულმა ლაშა ღამურაულმა უპირველესად ტელევიზორი ჩართო. სწორედ საინფორმაციო გადაცემის დასაწყისს მიუსწრო:

“ლიბიის ჯამაჰირიის ლიდერი მუამარ ყადაფი გადადგომას არ აპირებს, საკუთარ მოსახლეობას ჰაერით ბომბავს, საარტილერიო ცეცხლით ბუგავს.

ეგვიპტეში, კაიროს ცენტრში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა იწვის.

არაბეთის ქვეყნებში განვითარებული მოვლენებით შეშინებულმა საულის არაბეთის მეფე აბდულამ 25 მილიარდი დოლარი გამოყო მოსახლეობის სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. 85 წლის მონარქი მკურნალობდა აშშ-ში, სადაც სამი ოპერაცია გადაიტანა.

ახალ ზელანდიაში ქალაქი კრაისტჩერჩი მიწისძვრამ თითქმის მთლიანად დაანგრია. 18 სექტემბერს აქ რაგბში მსოფლიო ჩემპიონატის მაჩი უნდა ჩაეგარებინა საქართველოს ნაკრებს ინგლისის გუნდთან.

შეერთებულ შტატებში აშ ერთი ენ ერთის ვირუსის გრიპით კიდევ 2 პაციენტი გარდაიცვალა.

საბერძნეთში საყოველთაო გაფიცვაა. აეროპორტში 100 რეისი გადაიღო.

ლონდონში მოდის კვირეული გაიხსნა.

ოპოზიცია აპროტესტებს თბილისში საპატრულო პოლიციის მოქმედებას; მისი მტკიცებით, იგი გარე მოვატრებს ქუჩაში შეურაცხყოფას აყენებს – ძალადობენ, სცემენ ქალებს: “რომ არ მშობიდე, ამ ქარსა და სიცივეში აქ ვიყოფებოდი?”.

საგარეოეული ქალი და შუამავალი დააკავეს: ახალშობილი ბავშვის გაყიდვისა და მისი საზღვარგარეთ გაყვანის მცდელობა ჩაიშალა. “მე ბავშვის გამზრდელი არ ვარ, მინდა, გამოჩნდეს ბავშვის აყვანის მსურველი, – ვუთხარი ელისოს და მიმიყვანა ნინო ექიმთან”... ანა გენიშის სახელით იმშობიარა თბილისში, რათა შემდეგ ბავშვი თურქეთში გადაეყვანათ... ყველა ხარჯი იმათ გაიღეს”.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ საქართველოში გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციების შეკვეცას და ფაქტობრივად გაუქმებას აპირებენ.

დღეს გადაიხადეს 1921 წელს რუსეთის XI არმიის საქართველოში შემოჭრის დროს დაღუპული იუნკერების მოსახსენიებელი პარაკლისი”.

ლაშამ გამოშვების მხოლოდ ანონსის გაცნობით დაკმაყოფილდა, იმავდროულად მსუბუქად წაიგასშმა კიდევ, შემდეგ საძინებელ ოთახში გავიდა და, საწოლზე წამოგორებული, კითხულობდა დღის განმავლობაში საერთო რეველში ნაჩქარევად ნაწერ სტრიქონებს:

“საქმის გამოძიებას თავიდანვე ართულებს შემდეგი გარემოება: ძნელი დასადგენია, რომელი მხრიდან მოხდა გასროლა. მოკლული მიწაზე დაგდებული ნახეს, თანაც მისი თავდაპირველი მდგომარეობის ზუსტი დადგენა ჭირს: გვამი აუწვევიათ, იქნებ მეტ-ნაკლებად გადაუადგილებიათ კიდევ... უცნობია და უკვე შეუძლებელია გარკვევა: როცა მას ტყვია მკერდში მოხვდა, ფეხზე იდგა თუ ჩაცვუქული იყო? პირით საით იყო მიბრუნებული? იქნებ იწვა და ისვენებდა? ასევე, საჭიროა გამოიკვეთოს იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მოკლულის შორიახლოს... იქნებ ვინმე შემთხვევითი გამგლეელი იყო? უპირველესად უნდა დაკითხულ იქნან ექსკავატორის მემანქანე, სამუშაოთა მწარმოებელი და მოკლულის კოლეგები, შოფრები – იქნებ რომელიმემ რაიმე დაინახა? მათი შეხედულება გარდაცვლილის პიროვნული თვისებების შესახებ, მათი მოსაზრებები – რატომ მოხდა, როგორ მოხდა...”

მრავალი საკითხია გასარკვევი, გამოსაჩხრეკი, დასაზუსტებელი.

რატომ მოხდა ეს ამბავი ამ ადგილას და ამ დროს?

ხომ არ სურდა დამნაშავეს, ექსკავატორის მუშაობის გუგუნში დაეფარა გასროლის ხმა?

უპირველესად, საჭიროა, გავესაზუბროთ სამუშაოთა მწარმოებელსა და გარდაცვლილის კოლეგებს – შოფრებს. ხვალ დილიდანვე სწორედ ამით დავიწყებთ მუშაობას”.

კარი III.

თანამშრომლები “თბილწყალკანალიდან”

მეორე დღეს, დილით, ლაშა დამურაული კარგა ხანს იცდიდა, სანამ მოვიდოდა სამუშაოთა მწარმოებელი, მერე, თითქმის იმავე დროს, ცხრას რომ უკვდა ათი წუთი, გამოჩნდა ექსკავატორის მემანქანე და ხუთი შოფერიც თავიანთი მანქანებით – თითქმის ერთდროულად მოვიდნენ, ასევე, მუშებიც და კიდევ ერთი შოფერი ავტომწვითი. ათუხუთხდა ექსკავატორი, ახმაურდა იქაურობა.

ათის ნახევარზე მოვიდა გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძეც:

– ბოდიშს ვიხდი, სამმართველოში ვიყავი, დილით ადრე დამირეკეს...

ცხადია, ლაშამ აღარ დაუწყო დახუსტება, რისთვის დაიბარეს დათვიბალაძე სამმართველოში და რის შესახებ ესაუბრნენ. ისედაც ცხადი იყო, რომ თუმცა გამომძიება ჯერ წესიერად არც იყო დაწყებული, უკვე მოსთხოვეს მოეხსენებინა, უპირველესად რის გაკეთებას აპირებდა – მკვლელობის საქმე ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა.

თხრილის გაყვანა გასულ ორ დღეში ასეული მეტრით წინ წასულიყო; უბედური შემთხვევის ადგილას ახლა დიდი დიამეტრის რკინაბეტონის მილებს ავტოაწვითი აწყობდნენ უკვე ტრანშეაში და მუშები გადაბმულობებს მაშინვე აბეტონებდნენ.

გამომძიებელი და უბნის ინსპექტორი მოთუხითუხე ექსკავატორისკენ გაეშურნენ.

სამუშაოთა გრაფიკს ვერ დაარღვევდნენ, დროის გადამეტებისთვის საკმაოდ დიდი თანხით დაჯარიმება ელოდათ. თუ მსხვილი სამუშაოა ჩასატარებელი – სამშენებლო, სარემონტო, საპროექტო და ასე შემდეგ – “ქალაქწყალკანალი” (მე ასე მოვიხსენიებ – ძალიან არ მომწონს ამ ბოლო დროს ყველა დაწესებულების ინგლისურ ყაიდაზე გადარქმევა, ლამის თბილისსაც სახელი გადაარქვან... მართალია, აქამდე ჯერ ვერ მივიდნენ, მაგრამ დედაქალაქის სხვაგან გადატანა რომ აქვთ გულში ჩადებული, იმითაც ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ახლა ბათუმში ფუნქციონირებს; ქუთაისში გადაიტანეს კონტროლის პალატა და ეგრეთწოდებული “სემეკი”, იქვე საჩქაროდ აშენებენ უზარმაზარ შენობებს საქართველოს პარლამენტისთვის, მთავრობის წევრებისთვის, ახლოს, წყალტუბოში – კოტეჯებს დეპუტატებისა და მინისტრებისთვის...), დიას, “თბილწყალკანალი” აცხადებს ტენდერს (კიდევ ერთი ახალი ტერმინი, რომელიც არსებითად იმავეს აღნიშნავს, რასაც ძველი “კონკურსი”) და კონკურენციაში გამარჯვებულ კონტრაქტორ ფირმებს ქირაობს.

სამუშაოთა მწარმოებელი ლადო ლელიჩალაძე – ხნიერი, ჩია ტანის კაცი, ერთგვარად დამფრთხალი იყო გამომძიებელთან საუბრისას; ეს მაშინვე შეამჩნია დათვიბალაძემ და განგებ მკაცრი იერით ეკითხებოდა.

– თქვენ სად იყავით მკვლელობის მომენტში?

– ექსკავატორის მემანქანეს ველაპარაკებოდი, რატომ გაჩერდი-მეთქი...

– ექსკავატორის მემანქანე?

– ტრიფონია...

– გვარი არ აქვს?

– როგორ არა, ტრიფონ ტრიფოლია.

– ეგ ვერაფერს დაინახავდა და ვერც გასროლის ხმას გაიგონებდა... კარგი, მაგას ბოლოს ვესაუბრებით... გააგრძელეთ...

– რა გაგაგრძელო?

– მერე რა მოხდა. ტრიფოლიას ელაპარაკებოდი, მერე?

– ჰო, იმას ვამბობდი... ჯამიაშვილის მანქანა დატვირთული იყო და მაინც არ მიდიოდა, ადგილს არ უთმობდა შემდეგ მანქანას დასატვირთად. რა ვიცოდი, თურმე ესროლეს... როგორ მოხდა, ვინ ისროლა – არაფერი ვიცი.

– აღმასხან ჯამიაშვილს კარგად იცნობდით?

– შოფერს?... რა ვიცი, აბა... კარგად – არა, ჩემი ძმაცაი არ ყოფილა.

– რა შეგიძლიათ თქვათ მის შესახებ? როგორი პიროვნება იყო, ვინ იყვნენ მისი მეგობრები, მტრები თუ ჰყავდა...

– არ ვიცი, რა ვიცი, აბა...

– ვინმესთან კონფლიქტი ხომ არ მოსვლია? განსაკუთრებით – ამ ბოლო დროს.

– არა, მე არაფერი ვიცი. წყნარი პიროვნება იყო, მისგან ლაპარაკიც იშვიათად გამიგონია... თავისთვის იყო, სხვის საქმეში არასდროს ჩაერეოდა... მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ საქმიანს ვხედავდი. ალბათ ჩვენმა შოფრებმა მეტი იციან.

– მკვლელობის დღეს რამდენი მანქანა ასრულებდა გრუნტის გაზიდვის სამუშაოს?

- ხუთი.
- მძღოლების გვარსა და სახელს ხომ ვერ მეტყვი?
- კი, ბატონო... გიორგი ვირიპიტინაძე, ვანო ჟიგვივაძე... თვითონ საწყალი აღმასხან ჯამიაშილი და... ჰო, კიდევ გერონტი ტაყტაყაძე და ბაილო ძაღლითრაძე. ეს ხუთი შოფერი მუშაობდა იმ დღეს და - წინა დღეებშიც.
- რომელმა შოფერმა აღმოაჩინა მოკლული?
- ეგ ადგილის დათვალიერების ოქმში ეწერება...
- თუ არ შეწუხდებით, ჩემს კითხვებს უპასუხეთ.
- მე მგონი, ტაყტაყაძემ.
- დღეს აქ არიან ხომ ყველანი?
- დიას... შეგიძლიათ, სამუშაოს დასრულების შემდეგ გაესაუბროთ...
- არა, მანამდე ვერ მოვიცდით, შესვენება როდის აქვთ?
- ორის ნახევარზე.
- აქ ლაშა ჩაერთო საუბარში:
- ბატონო აგაბო, შოფერები მორიგეობით დგანან ხოლმე ექსკავატორთან დატვირთვის მოლოდინში...
- კარგი, ახლავე დავიწყეთ... - მერე სამუშაოთა მწარმოებელს მიუბრუნდა: - მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ლადო, და ბოდიში, თუკი მოგაცდინეთ... თუ დაგვჭირდება, თქვენი შეწუხება კიდევ მოგვიხდება... - და ისევ ლაშას მიმართა: - ჯერ მძღოლებთან მივიდეთ, ექსკავატორის შემანქანეს ვერ მოვაცდენთ, და, კაცმა რომ თქვას, არც ეციდონება არაფერი.
- ცალ-ცალკე ჯობს ლაპარაკი თუ ყველასთან ერთად? - იკითხა ლაშამ.
- ყველასთან ერთად არ მოხერხდება, ახლა თითოეულთან მოგვიწვევს გასაუბრება... ასე აჯობებს, შესვენებას ნუ დაგველოდებით.
- მთუხთუხე ექსკავატორთან გრუნტის დასატვირთად გაჩერებულ თვითმცლელ მანქანასთან მივიდნენ. მძღოლი კაბინაში იჯდა.
- ეს თითქმის დატვირთულია, შემდეგი მანქანის მძღოლიდან დავიწყეთ. სულ ხუთი კაცი ყოფილა, ოთხი გეყავს დასაკითხი და ხვალისთვის არ ღირს საქმის გადადება.
- მოვასწრებთ?
- ვნახოთ... თუ არადა, სამუშაოს დამთავრებისას მოვიდეთ.
- როცა შემდეგი მანქანა ჩამოდგა დასატვირთად, გამომძიებლის თხოვნით მისი მძღოლი კაბინიდან გადმოვიდა. შუახნის კაცი იყო, წითური, ტავმოტგლეპილი, მის თაფლისფერ თვალებში ანცი ნაპერწკლები ხტოდნენ.
- გამომძიებელი მიესალმა, საკუთარი და ლაშას თავი გააცნო, ასევე - მათი მისვლის მიზანიც, და თხოვა, დროის უკმარისობიდან გამომდინარე, მოკლე პასუხები გაეცა მის მიერ დასმულ კითხვებზე.
- რა გვარი ბრძანდებით?
- ჟიგვივაძე განხლავარ, სახელად ვანო მქვია. პასპორტში ასლამაზი მიწერია... პასპორტი სადღა მაქვს - პირადობის მოწმობაში.
- კეთილი... რა შეგიძლიათ თქვით მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით?
- ისეთი არაფერი... ჩემთვის გაუგებარია, რას ერჩოდნენ... იქნებ შემთხვევით მოხდა რაღაცა, არ ვიცი.
- რატომაა გაუგებარი?
- რაიმე მიზეზს ვერ ვხედავ.
- აღმასხან ჯამიაშილის შესახებ რა შეგიძლიათ, თქვათ?
- სამი წელია ჩვენთან მუშაობს, მაგრამ რა კაცია, ვერ გეტყვით. ბოდიში, რა კაცი იყო...
- რატომ? მეგობარი არ ჰყავდა?
- რის მეგობარი... უცნაური ვიღაც იყო, ცხონებული, სამუშაოს შემდეგ ჩვენთან ერთად ლუდი ერთხელაც არ დაუღევი. შუადღეზე ჩვენ სასაუზმეში შეგდივართ, ეგ კიდევამოიღებდა გაზეთში გახვეულ რაღაცას და მოფარებულში იღმურძლებოდა... მაგას ან მტერი როგორ უნდა ჰყოლოდა, ან მეგობარი - კაცებშიც არ ჩაითვლებოდა...
- სწორედ მასეთ ჩუმ, უჩინარ აღამიანებს აქვთ ხოლმე დაფარული რაღაც...
- არ ვიცი, რაც არ ვიცი, არ ვიცი, ვერაფერს მოგახსენებთ...
- კეთილი, თქვენი მანქანა დაიტვირთა, მადლობას მოგახსენებთ.
- არაფრის, კარგად იყავით.
- ჟიგვივაძის წასული მანქანის ადგილას ახალი, ცარიელი ჩამოდგა. კაბინიდან კარგა ხნის წვერ-გაუპარსავი ახალგაზრდა ჩამოვიდა, მიხვდა, მას ელოდნენ.
- გამარჯობა! - დაასწრო მისალმება დათვიბაღაძემ, - თქვენი გვარი?

- ტაყტაყაძე.
- სახელი?
- გერონტი.
- თქვენთან რამდენიმე შეკითხვა გვაქვს ალმასხან ჯამიაშვილის მკვლევლობასთან დაკავშირებით, ბატონო გერონტი... გარდაცვლილს კარგად იცნობდით?
- არც ისე. ეგ სოფლიდან იყო, დილით მოდიოდა სამუშაოზე, საღამოს მიდიოდა, სხვაგან ეგ კაცი მე არ შემხვედრია.
- როგორი პიროვნება იყო? მტერი თუ ჰყავდა?
- არ ვიცი... არა მგონია. ძალიან ფრთხილი იყო, გამოზომილად იცოდა ყველაფერი.
- რას გულისხმობთ?
- აი, მაგალითად... ჩვენ ხომ გამომუშავებაზე ვართ, რამდენ რეისსაც გავაკეთებთ, სამუშაოთა მწარმოებელი იწერს... მიწა გავგაქვს, ვყრით ხევში და უკან ვბრუნდებით. სულ ხუთნი ვეზიდებით, ხუთი მანქანა ჰყოფნის, რომ ექსკოვატორი არ მოცდეს ან ჩვენ არ მოვცდეთ დატვირთვის მოლოდინში: ერთი მანქანა რომ დატვირთული დაიძვრება, ამ დროს ცარიელი ბრუნდება და დასატვირთავად დგება, ასე არის გაანგარიშებული. ეგა კიდევ ძაან ნელა დადიოდა, ტაატით, სუ აგვიანებდა ექსკოვატორთან დაბრუნებას, ჩვენ კიდევ გზაში ხომ ვერ გადავუსწრებდით... არ იქნებოდა ლამაზი.
- რატომ დადიოდა ნელა?
- რა ვიცი, აბა? ფრთხილობდა... მეტისმეტად ფრთხილობდა, ზოზინით დაჰყავდა მანქანა. რის ეშინოდა, არ ვიცი. იმ დღესაც, ეგ უბედურება რომ მოხდა, უკან მე მივეყვებოდი და თითქმის ერთდროულად მივედი ექსკოვატორთან.
- ექსკოვატორთან, - ვერ მოითმინა და გაუსწორა ლაშამ.
- ჰოდა, რომ მიაყენა მანქანა, სანამ დაიტვირთებოდა, კაბინიდან გამოვიდა და, ეტყობა, იქვე გაჩერდა. მე რომ მივედი იქ ეგდო...
- რატომ მიხვედით?
- ექსკოვატორის მემანქანემ რამდენჯერმე დაუსიგნადა, დავამთავრე დატვირთვაო, მისი მანქანა კი იდგა და იდგა... მე ვთქვი, მივალ, ვეტყვი, დროზე წავიდეს-მეთქი... მივედი, რასა ვხედავ: ეგ ალმასხანი პირაღმა გდია... მივედი, გადავუწვი ქურთუკი - თბილი ქურთუკი ეცვა, ბეწვიანი, ბეწვი შიგა ჰქონდა შებრუნებული, - დავინახე სისხლი. ცოტა სისხლი იყო, ბევრი არა. ალმასხანი არ ინძრეოდა, დაგუძახე ლადოსა, ყვირილზე ტრიფონაც მოვიდა...
- ბატონო გერონტი, მე დაგისვამთ შემდეგ შეკითხვებს, თქვენ კი, სანამ მიპასუხებდეთ, დაფიქრდით, კარგად გაიაზრეთ პასუხი, შევთანხმდით? გუშინ ალბათ უკვე უპასუხეთ მსგავს შეკითხვებს, ეგ თქვენ ნუ შეგაწუხებთ და ნურც დაგაბნევთ... მზად ხართ?
- დიახ.
- კეთილი. რა ადგილას მოხდა ეს შემთხვევა?
- № 150 სახლის წინ.
- ზუსტად?
- ზუსტად.
- როდის მოხდა მკვლევლობის ფაქტი?
- შუადღის შემდეგ, ესე სამი საათი იქნებოდა ან ოთხის ნახევარი.
- სად იდგა ჯამიაშვილის მანქანა მკვლევლობის მომენტში?
- აი, აქა, - ანახვებს ქუჩის გეგმაზე.
- რა კაცი იყო ეგ ჯამიაშვილი?.. მტერი თუ ჰყავდა? ან მეგობარი?
- ეგა ხომ მკითხეთ...
- კიდევ გეკთხებით.
- კაცი კი არა, კაცუნა იყო, მაგას რა მტერი უნდა ჰყოლოდა ან რა მეგობარი.
- დააზუსტეთ, რატომ მიგაჩნდათ იგი კაცუნად?
- უცხვირპირო იყო... ცოცხლებში თუ წერიხარ, ბიჭებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა არ უნდა გქონდეს?
- კერძოდ, რა არ მოგწონდათ მის ქცევაში?.. კონკრეტულად.
- აი, მაგალითად, შესვენების დროს ბიჭები ერთად მივდიოდით ხოლმე რომელიმე სასაუზმეში, ეგ კი ცალკე წავიდოდა ხოლმე, სადღაც შეიყუჩებოდა და შინიდან წამოღებულ ბუტყებროდს მარტო შესჭამდა.
- ოჯახის პატრონი იყო, მომჭირნეობა არ გაემტყუნება.
- ოჯახი რომელს არა გეყავს?
- კეთილი... შესვენების დროს დროს მანქანას თქვენთან ტოვებდა?
- არა, სადღაც აყენებდა ხოლმე, ხან - სად, ხან - სად.
- იმ დღეს სად წავიდა, თუ იცით?

– იქვე, გზის გადაღმა – ნარგავებში გადავიდა...
 შემდეგ დაპკითხეს ბაილო ძალდნიორაძე და გიორგი ვირიპიტინაძეც, გაესაუბრნენ ექსკავატორის მემანქანესაც – მათგან ახალი ვერაფერი შეიტყვეს.

* * *

გამომძიებელი და უბნის რწმუნებული აგაბო დათვიბალაძის მანქანასთან იდგნენ და საუბარს აგრძელებდნენ.

– ყველა შოფერი თითქმის ერთსა და იმავეს ამბობს; სამწუხაროდ, მათი ნაამბობიდან ოდნავ მაინც ჩვენთვის საინტერესო ვერაფერი გაირკვა... – გულაცრუებული იყო დათვიბალაძე.

ლაშა თითქოს თავისთვის ხმამაღლა ფიქრობს:

– საკვირველია: ლაღო ლელიჩაღაძე ხანში შესულია, როგორ არ გააგდეს სამსახურიდან? ახლა ხომ “მოღაღ” იქცა – ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ უკვე “ჩამორჩენილი” ხარ, სამუშაოდ არსად მიგიღებენ...

– ამან მეც დამაინტერესა... გავარკვიე: თურმე მინისტრის მოადგილესთან “ჩააწყო” საქმე – მისი ძმიშვილი ამ მოადგილის შოფერია! ეს მოადგილე თვითონ ოცდაშვიდი წლისაა და უკვე დიდი კაცია... ეს მოადგილეც ვილაც მინისტრის ნათესავი, ან მინისტრის ახლო მეგობრის ნათესავი ან, სულ ცოტა, პარლამენტის რომელიმე დარგობრივი კომიტეტის თავჯდომარის ნათესავი მაინც იქნება... ლაშა ბატონო, თქვენ რამდენი წლისა ბრძანდებით?

– ოცდაოთხის.

– ოცდახუთი-ოცდაექვსის როცა შესრულდებით, იმ დროისთვის უკვე მოძებნილი უნდა გყავდეთ თქვენი მფარველი – “მაღალ ორბიტაზე გასასვლელი ძრავა”, რასაკვირველია, თუ გსურთ, დეპუტატობას გამოჰკრათ ხელი ან თუნდაც – იუსტიციის სამინისტროში თუ პროკურატურაში კაბინეტთან, პირად მდივნიან და პირად ავტომობილიან თანამდებობას... სამწუხაროდ, დიდად სამწუხაროდ, ნეკოტიზმი კვლავ მძლავრდება ფესვგადგომული სახელმწიფო უწყებებში.

– გავლენიანი ნათესავებით ვერ დავიკვივნი, ისინი რომც მყავდეს, კაბინეტს ვერ ვეგუბები... გა-
 მოძიებლად თუ ვივარგებ, ამითაც ბედნიერი ვიქნები.

– კარგი, კვალიფიციური გამომძიებელი ჩვენს ზოგიერთ მინისტრს ჯობს. გულახდილად მითხარი, – თავიდანვე შენობით მოგმართავ, ერთ საქმეს ვემსახურებით, კოლეგებად შეიძლება ჩავითვალოთ, – რამდენი მინისტრია ნამდვილი მინისტრი? ორი-სამი... დანარჩენები საქმის ცოდნით, ორგანიზატორული ნიჭით და ენერგიულობით კი არ შეარჩიეს, არამედ – სულ სხვა კრიტერიუმებით... შენ თავიდანვე მომეწონე, მოაზროვნე ბიჭი ჩანხარ, მაგრამ ჩვენს დროში გაგიჭირდება გზის გაკვალვა...

– მაღლობთ, ბატონო აგაბო, დიდად გამაღლობთ.

– ის თუ შეარჩიე, ხვალ რა ტრანსპორტით გავემგზავრებით?

– დიახ, თქვენი გადაწყვეტილებით, ხვალ მოგიწევს სოფლად სტუმრობა – პატარა ლელიანში – და უკვე გავარკვიე: იქ საათში ერთხელ № 18 ავტობუსი დადის. ბოლო გაჩერება სამგორის მეტროსთანაა.

– ხომ არ ჯობს, ჩვენ იქ, ნავთლულში, ავტობუსის ბოლო გაჩერებასთან არ ჩავიდეთ, რა გვინდა იმ სიშორეზე – აქ, № 150 სახლთან ახლოს დავხვდეთ და აქედან გავყვით? აქ ჩემი მანქანით მოვალ და აქვე დავტოვებ... აბა, ხვალამდე!

როცა ლაშა უკვე შინისკენ მიდიოდა, გზად ფიქრს აეტანა: “ჩემზე ბევრად უფროსია ხნით და გამოცდილია ამ საქმეში, არც უკარება ან ამპარტავანი კაცი ჩანს, მაგრამ მე მაინც სიფრთხილე მმართველს... რომ არ ჩამთვალოს არაფრის მცოდნე, ზერედე პიროვნებად... ცოტა ნაკლები უნდა ვილაპარაკო და მეტად დავაკვირდე – მის აზრებს, მოქმედებებს... თუნდაც – მის ინტონაციას საუბრისა, თვალების გამომეტყველებისა, მიმიკისა...”.

* * *

საღამოს შინ მისულმა ლაშამ ტელევიზორი ზუსტად იმ დროს ჩართო, რომ საღამოს საინფორმაციო გადაცემა ენახა.

“დღეს 24 თებერვალია, ხუთშაბათი; საღამოს 8 საათის საინფორმაციო გამოშვებაში თქვენ შეიცვალთ: თბილისში, ლიუბლიანის ქუჩაზე, გელეკომპანია “იმედის” მიმდებარე ტერიტორიაზე, 3 თვითნაკეთი ნაღმი გააუვნებელყვეს. ერთ-ერთი დაკავებულს, მამუკა არქანიას, აღიარების საფუძველზე, ავტოსადგომზე ნაღმი აღმოაჩინეს. გამნადმელები მთელი ღამე მუშაობდნენ, ახლა ქუჩაზე მოძრაობა აღდგენილია.

IV კლინიკურ საავადმყოფოში სამედიცინო პერსონალის გაფიცვა – 3 თვეა, ხელფასი არ ღარიგებულა.

ნელი ნათობის ფასმა მსოფლიოს ბირჟებზე 120 დოლარს მიაღწია ბარელში – ლიბიაში არეულობის შედეგი.

თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე, 2 თვის ჩვილის გვამი იპოვეს.

ამ ერთი ენ ერთი ტიპის გრიპის ვირუსით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. სპეციალისტთა განცხადებით, დაავადებათა რიცხვა იკლო, ლეგალობა საშუალო-სტატისტიკურის ფარგლებშია!”.

“გარდაცვლილის ოჯახისთვის დიდი შედავათია...” – გაიფიქრა ლაშამ.

კარი IV.

პატარა ლელიანი – აღმასხან ჯამიაშვილის სოფელი

დილის 9 საათია; აგაბო დათვიბადაქე და ლაშა დამურაული სოფელ პატარა ლელიანში მიემგზავრებიან – ავტობუსის გაჩერებაზე შეხვდნენ ერთმანეთს.

სანამ ავტობუსი გამოჩნდებოდა, საუბრობენ...

– დღეს 25 თებერვალია, თუ გახსოვს, ამ დღეს რა მოხდა? – იკითხა აგაბო დათვიბადაქემ.

– არა, სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ...

– ამ დღეს, 90 წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის წითელმა ურდოებმა დაიპყრეს თბილისი... ჩემს ახალგაზრდობაში რა ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა ეს სამარცხვინო თარიღი, ახლა კი... ათ ახალგაზრდას რომ ჰკითხო, ათივე შენსავით უპასუხებდა, აღარავინ იცის.

– თქვენ ხომ გახსოვთ?

– ერთ დროს 25 თებერვლის ქუჩაზე გცხოვრობდი, რა დამავიწყებს? წესით ეს დღე და წელი ყოველმა ქართველმა არასდროს უნდა დაივიწყოს. იქვე ახლოს, პლენხანოვის გამზირზე, იყო პარტიის რაიკომი და რაიადმასკომი. არც ეს სიტყვები იციან უკვე, რას ნიშნავს; ამის დავიწყება დიდი ცოდვა არ იქნება. – მერე აგაბომ უცებ შეცვალა საუბრის თემა: – ცივა, რა დროს სოფლად წასვლა და წანწალიაო, ასე ხომ არ ფიქრობ?

– არა, რას ბრძანებთ, ბატონო აგაბო!

– არა მჯერა! ყოველი ნორმალური ადამიანი ასე იფიქრებდა... რას ეძებ, რა დაგრჩენია ამ მივარდნილ სოფელში, არ ჯობს სადმე თბილ სარდაფში ძმბიჭებთან ერთად გემრიელ სუფრასთან ჯდობა? ნაღდად ასეა, ჩემო ლაშა, და ამგვარ ფიქრებში ცუდი არაფერია და არც გასაკვირი; ბუნებრივია, თუკი ასეთი ფიქრი გეწვევა და არც არის სასირცხო... მოვითავოთ ეს საქმე და გპატიუბ: სადმე ჩვენც მივუწოდეთ გემრიელ ტაბლას – მაღლობა ღმერთს, ყოველ ფეხის ნაბიჯზეა სასაუზმე, საკუპატე, სახინკლე და რა აღარა... მანამდე კი სიცივესაც უნდა გავუძლოთ, ვიდაც არცთუ სიმპათიური აღმასხან ჯამიაშვილის დაღუპვის საქმეს რამდენიმე აუცილებელი ფურცელი უნდა შევმატოთ, რომლებიც ალბათ არც რაიმეს გარკვევაში დაგვეხმარება და არც მინცდამაინც საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ საქმის ოფიციალური მსვლელობისთვის ფორმალურად აუცილებლად უნდა შევივსოს. აი, ამ აუცილებლობას უნდა დავმორჩილდეთ, რომელიც არ გვსიამოვნებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მერე პურობა ბევრად გემრიელი მოგვეჩვენება. ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა, ბატონო აგაბო.

– ნაღდად ეგრეა. გარდა ამისა, გული კიდევ იმით უნდა გაიკეთო, რომ განეწყო – ამ უსიამოვნოშიც რაღაც კარგი უნდა დაინახო! კარგი – რა? ახალ ადგილს ხომ ვნახავთ? სოფელს, რომელშიც არასდროს დაგვიდგამს ფეხი და ეს შემთხვევა რომ არა, არც არასდროს მოგხვდებოდა იქ... ყოველი ახალის ნახვა კი სიხარულის მომტანია; გავიხედ-გამოვიხედავთ, ხალხს გავესუბრებით... ჩემთვის პირადად დიდი სიამოვნებაა, უცნობ ხალხთან შეხვედრა, საუბარი... ამ დროს თავიდან დაბაბული ხარ, უხერხულობა თითქოს გბორკავს, მერე და მერე აზარტი აგიტაცებს – შენთვის საინტერესო რაღაც ახალი რომ გაიგო, პატარა პაექრობასავით უნდა გამართო, რამდენიმე პაექრობაში, სიტყვიერ შეჯობში ჩაერთო, თან ისე, რომ მოსაუბრემ ვერ უნდა შენიშნოს შენი მხრივ რა ჟინით უსვამ კითხვებს, მიატრიალებ საუბრის თემას შენთვის საჭირო მიმართულებით, მისდა უნებურად შენს თამაშს თამაშობს.. თან ვერ უნდა შეგამჩნიოს შენი განსაკუთრებული დაინტერესება – ისე, სხვათა შორის უნდა ჰკითხო რაღაც, თითქოს დიდად არც გაინტერესებს მისი პასუხი, ვითომ ისე, ზრდილობის გულისთვის, საუბრის გასაგრძელებლად ეკითხები... უჰ, მართლა ცივი ქარია, დროა, ავტობუსი უნდა გამოჩნდეს.

– მანქანით არ ჯობდა წასვლა? – იკითხა ლაშამ.
 – კი, ჯობდა, მანქანის შოვნა არ გამიჭირდებოდა – ერთი მემსახურება და მეორე – ჩემი საკუთარიც მაქვს თუ მყავს – აქ დაგტოვებ... მაგრამ ავტობუსით მგზავრობასაც თავისი ხიბლი აქვს – ხალხში ხარ, ვიდაცას დაეღაპარაკები... ჟურნალისტის ჩვევებიც უნდა გქონდეს, ჩემო ლაშა, უნდა შეძლო, ნებისმიერი ყაიდის ადამიანთან გააბა საუბარი. და არასდროს აჩქარდე! თუ გადაუდებელი საქმე გელის, ჯობს, საუბარი სხვა დროისთვის გადადო. უნდა აგრძნობინო, რომ კეთილად ხარ განწყობილი მისდამი, გინდაც – პირწავარდნილ აფერისტს, გამოუსწორებელ რეციდივისტს ან თუნდაც – მკვლელს... პათოლოგიურ მატყუარას და უთავბოლო ლაქლაქის მოყვარულსაც კი არასდროს შეაწყვეტინო, მოუთმენლობა არ აგრძნობინო, თუნდაც სადღაც სხვაგან გაუხვიოს. არასდროს აგრძნობინო, რომ არ გჯერა მისი. რა ვიცი, მე ასე ვმუშაობ, სხვები – სხვანირად... თუ საუბარმა ძალიან შორს გაუხვია გვერდზე, არ იჩქარო, უხეშად არ შეაწყვეტინო, ეცადე დელიკატურად, რბილად, შენთვის საინტერესო თემისკენ მის მიბრუნებას; თუ ძალიან გაუტია, მაშინაც კი საუბრის მიმართულება მკვეთრად არ შეაბრუნო... კინოფილმების ყურება თუ გიყვარს?

– დიას...

– დეტექტივების?

– რა თქმა უნდა.

– კინოფილმებში ხშირად ვხედავთ დაკითხვის სცენებს, როცა გამომძიებლები მიმართავენ ტყუილს, შანტაჟს, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლასაც კი.. მე არასდროს ვიწყებ საუბარს გაფრთხილებით, რომ ყალბი ჩვენების მიცემისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დამატებითი სასჯელი ელის. მით უმეტეს, ყოვლად დაუსვებელია, შანტაჟით ან დაშინებით ჩვენების გამოძიებისთვის ვითომ საჭირო ჩვენების გამოძალგა. ასეთი ჩვენება ბუნებაში საერთოდ არ არსებობს; საჭიროა, შეძლებისდაგვარად, მომხდარის ობიექტური სურათის, სიმართლის დადგენა და მეტი არაფერი..

– დიას, დიას...

– თუკი არსებობს ამის საშუალება, ფრიად სასურველია და სასარგებლოც, ერთგვარად წინასწარ დაგეგმვა პროცესისა: რა, როგორ და როგორი თანმიმდევრობით ჰკითხო... უნდა შეეცადო, “გახსნა” გულახდილად სასაუბროდ. და რა თქმა უნდა, პირდაპირ უნდა უყურებდე მოსაუბრეს, რათა აგრძნობინო, რომ მისი ნათქვამი გაინტერესებს, მნიშვნელოვანია შენთვის, ანგარიშს უწევს მის მოსაზრებას, ჭკვიან, დაკვირვებულ ადამიანად მიგაჩნია და მისი შეხედულების მოსმენა გსიამოვნებს... მაგრამ არც ჯიქურ მიშტერება ვარგა, თითქოს მის მონუსხვას და შენი ნებისადმი დამორჩილებას ესწრაფოდე, ვითარცა უყურებს მხრჩობელა გველი მსხვერპლს... ისე უნდა მოიქცე, არც მწვადი დაწვა და არც – შამფური, როგორც ამბობენ ხოლმე, ყველა ადამიანი ხომ განსაკუთრებულია, სხვას არავის ჰგავს და მიდგომასაც თავისებურს საჭიროებს. ყურადღებით უნდა იყო, დაუკვირდე: როგორი გამოძახილი აქვს შენს შეკითხვებს, შეკითხვის ფორმა და შინაარსი თუ არის შესაბამისი – გაძლევს კი შენთვის საინტერესო შედეგს? თუ მოახერხე, შექმნა ურთიერთდამაკავშირებელი რაღაც ძაფები, უფრო ადვილად და სწრაფად მიაღწევ მიზანს. მაგრამ... ეს არ უნდა იყოს მხოლოდ თამაში, მიზნის მისაღწევად ცივი გონებით წარმართული ძალისხმევა – ეს უკვე თვალთმაქცობა იქნება და მას იგრძნობს კიდევ შენი მეტოქე! მეტოქე კი არა, შენი მოსაუბრე... ასე თუ მიუდევქი, მეტოქედ, არ აყვება – გაინაპირებს. უნდა მართლა გაინტერესებდეს მისი ბედისა თუ უბედობის ამბავი, ადამიანი უნდა გიყვარდეს, თუნდაც რაღაც შეეშალოს, რაღაც ცუდში იყოს გარეული.. ეს პათეტიკა არაა, ჩვეულებრივი ადამიანური თანაგრძნობის ამბავია. რა თქმა უნდა, ცუდზეც არ უნდა დახუჭო თვალი, – მაშინ ბრიყვი ყოფილხარ, – არა, ცუდთან ერთად, კარგიც უნდა დაინახო და და ამ კარგის გადასარჩენად ძალისხმევა არ დაიშურო...

ამ დროს ავტობუსი გამოჩნდა.

მგზავრი ცოტა იყო; აგაბო და ლაშა ცალ-ცალკე დასხდნენ – მგზავრებთან გასაუბრება სურდათ.

გამომძიებელი ერთ შუახნის სიტყვაწყლიან ქალს უზის გვერდით – ის ჯერ კიდევ გაჩერებაზე ავტობუსის მოსვლამდე შეათვალიერა გამომძიებელმა და ჯერ გაესაუბრა, შემდგომ კი, როცა ავტობუსი მოვიდა, მიეხმარა ქალს მისი ორი ცარიელი ქილებით სავსე ჩანთის ავტობუსში ატანაში – ეს ქალი ორ დღეში ერთხელ ჩამოდიოდა ქალაქს მაწვნის გასაყიდად და ახლა შინ ბრუნდებოდა.

– რამდენი ძროხა გყავთ? – ჰკითხა დათვიბალაძემ.

– ორი. ორი მეწველი – თავისი ხბორებთა, ერთიც – დეკეული.

– ოჯახის წევრებს ხშირად გიწვეთ ხოლმე მორიგე მწვემსად წასვლა? თქვენი შვილი თუ შვილიშვილი დადის?

– არა, სოფლის ნახირს დაქირავებული მწვემის უგლის, თათარი.

– სოფელში სასმელი წყალი გაქვთ?

– იყო სასმელიცა და სარწყავიცა, ახლა სადღაა... ამ ათი წლის წინათ რკინის მილები სუ ამოთხარეს, ჯართში ჩააბარეს...

- ბალები გაქვთ?
- ცოტ-ცოტა...
- ვენახები?
- ეგეცა. ადრე მევენახეობა-მეხილეობის მეურნეობა იყო. ახლა გატიალდა, აღარც ბაღი შეგვრჩა, აღარც – ვენახი.
- ველარა რწყავთ? – აგაბომ პასუხს არ დაუცადა, სხვა რამ იკითხა: – ყანები გაქვთ? თუ მხოლოდ საძოვრები შეგვრჩათ?
- დიდი საძოვრები გექონდა, ახლა ამბობენ, ვიღაც თურქები თუ არაბები არიან დაინტერესებულნი ამ მიწების შესყიდვითაო.
- მერე, თქვენ დათანხმდით?
- ვინ გიჟი დათანხმდება, მაგრამა...
- რა?
- რა და... საძოვრებს უკვე გვედავებიან, რეესტრში არ გაგიტარებიათ, თქვენ არ გეკუთვნიო.
- მაშ, ვის?
- რა ვი, ვიღაცა გამონდა, თურმე სამი წლის წინათ უჩუმრად გაუფორმებია თავის სახელზე.
- ეგრე როგორ შეიძლება? ეს ხომ უკანონობაა?
- რაღაცა აუქციონზე გაუტანიათ სოფლის საძოვრები, ჩვენ არც არაფერი გაგვიგია... ახლა ფულს ითხოვს. ორი ძროხა მყავ, იმით ვარჩენ ოჯახსა, რა მეშველება, არ ვიცი...
- ახალი რკინიგზა გაივლის სოფლის შორიანხლოს?
- დიას... უკვე რაც საყანე მიწა ჩამოგვართვეს, იმის საზღაური ზოგს უკვე მისცეს.
- კომპენსაცია დაარიგეს?
- დიას... კვადრატულ მეტრში ექვს ლარს გვაძლევენ.
- რაღაც მეუჭეება, რომ ეგ საბაზრო ფასი იყოს, თითქმის მუქთად უნდათ გამოვიდნენ.
- რა ვი, აბა... ფულიც მაგათ ხელშია და ძალაცა. ვინც თანახმა არ იყო, დაემუქრნენ: საბაბს გიპოვით და ციხეში გახეხინებთ კედლებსაო... ხალხი შეშინდა, სულ უარაფროდ დავრჩებითო და დაჰყაბულდნენ, მა რა უნდა ექნათ, ამათთან ჭიდაობის თავი ვის აქვს.
- ძალიან წყნარი, მყუდრო სოფელია. აწი თქვენთვის ახალი ცხოვრება იწყება, ხმაურიანი...
- რა გაეწყობა... სხვაგან გასაქცევი არსად გვაქვს.
- ბაქოს ნავთობი ცისტერნებით დღედაღამ ივლის – ხმაური, ჭუჭყი... უნდა ილღოცოთ, რომ რაიმე ავარია არ შეემთხვას; ნავთობი თუ დაიდგარა, მტრისას...
- ხანძარი იქნება?
- არ იქნება და მიდამო ხომ მოიწამლება სამარადჟამოდ, როგორც ნინოწმინდაში მოხდა... დღესაც ჩივიან, მოვიწამლეთ, დაავადდითო, კომპენსაციას ითხოვენ.
- ღმერთმა გვაშოროს, ღმერთმა გვაშოროს! ისედაც ათასი უბედურება ხდება...
- ახლახან თქვენი სოფელი მოკლეს ქალაქში, შოფერი... აღმასხან ჯამიაში იღვლინა თუ იცნობდით?
- მაშ, ჩემი მახლის ბიძაშვილია... საწყალი, უფალმა ნათელში ამყოფოს.
- მე გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძე გახლავართ, დავალებული მაქვს ამ უცნაური მკვლელობის გარემოებათა გამოძიება. თქვენ რაიმე ვარაუდი მაინც ხომ არ გაქვთ, რატომ შეიძლებოდა ეს კაცი სასიკვდილოდ გაემეტებინათ? იქნებ სოფელში სამტროდ გადაკიდებული ჰყავდა ვინმე...
- რას ბრძანებთ, სოფელში მაგაზე წესიერი კაცი ძნელი მოსაძებნი იყო, არა, რას ამბობთ, ვის უნდა ემტრო კრეჭოსთვინა... უსიტყვო კაცი იყო, სიტყვას არავის შეუბრუნებდა.
- კრეჭო?
- ჰო, აღმასხანს არავინ ეძახდა.
- კრეჭო რათა? სულ იკრიჭებოდა?
- რა ვი, ალბათ იმიტომ, რომ პირიქით, გაცინებულს კი არა, გაღიმებულსაც იშვიათად ნახავდი... ოჯახშიც ეგეთი იყო და გარეთაც, უთქმელი.
- საკვირველია, როგორც თქვენ ახასიათებთ, ასეთ წყნარ კაცს მტერი, წესითა და რიგით, არ უნდა ჰყოლოდა...
- სოფელში არცა ჰყავდა. მე რაც ვიცი, იმას ვამბობ; იქნებ სხვაგან სხვა რაღაცა იყო, მე არაფერი გამიგია. ძალიან გამიკვირდა ეს ამბავი.
- დათვიბალაძე დიდად არც მოელოდა მისთვის რაიმე საინტერესო ცნობის გაგებას, მაგრამ მაინც იმედგაცრუებული დარჩა, საუბარი ქალთან სხვა თემებზე გააგრძელა.
- ნახევარ საათიც არ დასჭირვებია ავტობუსს და სოფელსაც მიაღწიეს – პატარა ლელიანი მართლა მცირე სოფელი გამოდგა, სულ ორმოციოდე კომლი თუ იქნებოდა. მისი აღწერისგან თავს შევიკავებ – ისეთივეა, როგორც თბილისის ახლომახლო მდებარე სხვა საგარეუბნო სოფლები.

ავტობუსის ბოლო გაჩერებაზე იდგნენ; აგაბო დათვიბალაძემ საქაღალდე გახსნა და ფურცელი ამოიღო, რომელზეც ეწერა:

“აღმასხან ჯამიაშვილის ოჯახი:

1. მეუღლე – თამარ;
2. ვაჟიშვილი – ბეჟან;
3. ქალიშვილი – ნუცა;
4. დედა – მარო;
5. მამა – სანდალა;
6. ძმა – არისტარხო;
7. და – არიანა;
8. სიძე – ხოსრო;
9. რძალი – კატო”.

ცოტა ქვევით ცალკე ეწერა: “მეზობლები”.

– ეს ვიღაც სანდალაა, რა უცნაური სახელები დაურქმევია შვილებისთვის: აღმასხან, არისტარხო, არიანა – ასო “ა“-ზე ჩანს შეყვარებული. გაეცანი... – დათვიბალაძემ ფურცელი მიაწოდა დამურაულს. – ჯერ გაგარკვიოთ, ამ ოჯახის წევრებს რაიმე სახის კონფლიქტი ხომ არ ჰქონიათ რომელიმე თანასოფელელთან?

– საინტერესოა, გუშინ სოფლიდან ვინმე ხომ არ წასულა, უფრო – გაქცეულა?

– ამის გარკვევას ერთი კვირის მოცდა მაინც დასჭირდება... ახლა ჯობს, ჯერ მეზობლებს ჩამოვუაროთ და გავესაუბროთ.

ჯერ კიდევ გაჩერებაზე იდგნენ, იქვე მზესუმზირის გამყიდველ მოხუც ქალთან მივიდნენ. დათვიბალაძემ ათი შაურის მოხალული მზესუმზირა იყიდა და ქალს ჰკითხა:

– დედი, აღმასხან ჯამიაშვილის დედას, თამარს, იცნობთ?

მოხუცი ქალბატონი სიტყვაწყლიანი გამოდგა და მასთან შემდგომი საუბრისას გამოირკვა, რომ აღმასხანის დედა ერთ-ერთ მეზობელთან არის წაჩხუბებული: ეს მეზობელი, ჯამიაშვილების ოჯახთან მეტისმეტად გაშინაურებული ქალი იყო, დაუკითხავად შედიოდა ხოლმე მათ ბოსტანში, როგორც საკუთარში, და თავხედურად მოკრეფდა ხოლმე მწვანეებს... ერთ მშვენიერ დღეს კი ამ მეზობელმა თითქმის პირწმინდად გაატიალა ბოსტანი – თურმე მწვანეები დილაუთენია დაუკრეფია და თბილისს ბაზარში წაუღია გასაყიდად... ქალებს შორის შელაპარაკება მომხდარა: აღმასხანის დედას უთქვამს: “შე უნამუსო, ცოტა ქინძი მაინც დაგეტოვებინა – ლობიოს შესაკმაზად მისი თხოვება სხვებისგან მომიწიაო”... ამ ქალის ორმოცი წლის შვილი, ნუგზარი, ეჩხუბა თურმე აღმასხანს, დედაჩემს დედაშენმა საყვედური რატომ აკადრაო...

– პატარა შელაპარაკება იყო, დიდი არაფერი... აღმასხანმა არ გაუყადრა თავი. გააფრთხილა კი, აწი დედაშენის ფეხი არ დაეინახო ჩვენს ბოსტანშიო; სირცხვილი არ არის, რომ მისი შიშით ბოსტნის კუტიკარს ბოქლომი დაგადლო?

– რა გვარია ეგ ნუგზარი?

– ატრიაშვილი.

გამომძიებელმა მოისურვა, ნუგზარს შეხვედროდა. რამდენიმე ყმაწვილმა კაცმა გამოთქვა სურვილი მეგზურობის გაწევისა, – ატრიაშვილები აქვე, ორ ნაბიჯში ცხოვრობენო, – და ჯგროდ დაიძრნენ, ცნობისმოყვარე ბიჭბუჭობაც აჰყვათ; ეტყობა, ამ სოფელში მოცლილები ბლომად არიან, საქმე დიდად არ აწუხებთ...

გზად გამომძიებელმა გამოიკითხა ამ ნუგზარის ამბავი – რა ხნისაა, რა კაცია, რას საქმიანობს, მისი ოჯახის წევრების შესახებ...

– კარგი ბიჭია, უწყინარი, კეთილი... უკვე ორმოცი წლისაა და ჯერაც დაუოჯახებელია.

– სად მუშაობს?

– არსად – მსმელია და არც განათლება მოსდევს; სამადლოდ ინახავენ: ხან ერთ მეზობელს წაეხმარება საქონლის მოვლაში, მეორეს – ღობეს შეუკეთებს, მესამეს – ბაღს მოურწყავს ან სასმელ წყალს მოუზიდავს...

მიადგნენ ატრიაშვილების პატარა სახლსაც. თითქმის მოშლილი ღობე, გატილებული ეზო, ერთი-ორი ქათამიცი კი არ ჩანს; ძველთაძველი ერთსართულიანი, ალიზის კედლებიანი, დაბალი ქოხი დანგრევის პირასაა მისული...

დაძახილზე ხის შეუღებავი კარი ჭრიალით გაიღო და გამოჩნდა მხრებზე ძველთაძველი ბამბის ქურთუკოსურული მოხუცი ქალი, ძალიან გამხდარი, დაღეული; ხელი მოიჩრდილა და მოსულთ უსიტყვოდ მიაჩერდა.

– გამარჯვება! ნუგზართან გასაუბრება გვსურს, შინ არის?

- არ არის, - უფერული ხმით თქვა ქალმა, უკბილო პირი მომუწა.
- სად არის?
- მეზობელთან არის გადასული.
- მისი დაძახება არ შეიძლება?
- დაკავებულია.
- დაკავებული?
- საბოსტნეს უბარავს.

- ოჯახაშენებულს, საკუთარი საბოსტნე დაეზარა, უსიამოვნებას და აყალმაყალს აღარ გადაეყრებოდა! - თითქოს თავისთვის ჩალაპარაკა დათვიბალაძემ და მოხუც ქალს მიმართა: - თუ შეიძლება თქვენი შვილის საძინებელი ოთახის დათვალიერება?

ნუგზარის დედა უხალისოდ გაუძღვა გამომძიებელსა და ლაშას, შეიყვანა მომცრო, აქოთებულ ოთახში, რომელსაც ერთი ბეწო სარკმელი და მიწის იატაკი ჰქონდა - გომურს უფრო ჰგავდა და სუნიც გომურისა იდგა...

ოთახი სრულიად ცარიელია, მხოლოდ ერთი ძველთაძველი რკინის საწოლი დგას, რომელზედაც, არაფერია დაგებული - არც ქვეშაგები, არც - საბანი... მხოლოდ ჭუჭყიანი ბალიში დევს.

- ქალბატონო, ნუთუ თქვენს შვილს ცარიელ რკინის ბადეზე სძინავს?

- ყველაფერი გასანიავებლად გვაქვს გარეთ გატანილი და გაფენილი...

მოდრულული ამინდია, საკმაოდ ცივა კიდევ, რა დროს ქვეშაგების სამზეოზე გატანაა, მაგრამ გამომძიებელმა არაფერი თქვა, არც ის უკითხავს, ბალიშმა რაღა დააშავაო, მხოლოდ თავი გააქანია.

ქალს ბოლიში მოუხადეს და გვერდით მეზობელთან გადავიდნენ: აინტერესებდათ ჯამიაშიღლები-სა და არტიაშიღლებს შორის მომხდარი გაუგებრობის დეტალების გარკვევა, მაგრამ ახალი ვერაფერი გაიგეს. მათ აუხსნეს, რომ ნუგზარი წყალწადებული ლოთია, ხომ ნახეთ, ბინა როგორი დაცარიელებულია - ყველაფერი ჩალის ფასად გაზიდა სახლიდან და გაყიდაო... ისეა დაჩანჩანაკებული, რომ ქვეშ იფსამს; დედამისს ყელში ამოუვიდა სველი ქვეშაგების ყოველდღე გარეთ გაფენა გასაშრობად და, იძულებული გახდა, შვილისთვის ღები წაერთმია... ნუგზარი იმ ქვეშაგებსაც გაჰყიდა, მაგრამ აქოთებულს ვინ გაეკარება? ძაღლის საგებადაც არ ინდომებენ...

კიდევ რამდენიმე ოჯახში იყვნენ, სოფლის თავკაცებსაც მიაკითხეს, თითქმის ერთი საათი აღმასხან ჯამიაშიღლის სახლში დაჰყვეს... ლაშამ დიქტოფონის ორი კასეტა თითქმის ბოლომდე გააფსო ჩანაწერებით. დიდად საინტერესო მასალას ვერ მიაგნეს, ყოველ შემთხვევაში - გამოძიებისთვის...

რამდენიმე საათის შემდეგ აგაბო დათვიბალაძემ და ლასა დამურაულმა ავტობუსის გაჩერებისკენ აიღეს გეზი.

- როგორც ჩანს, ნუგზარ ატრიაშიღი ვერ მოხვდება ეჭვმიტანილთა სიაში, - თქვა ლაშამ და აგაბომაც დაუდასტურა:

- დიახ, რაც გინდა გარდახედს მის თავს, ატრიაშიღი შურისმაძიებლად ვერ ივარგებს: ამ კაცს თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებს და მოსვენებას უკარგავს - სასმელი სად და როგორ იშოვოს... ნებისმიერ შემთხვევაში, მას შურისძიება აზრადაც არ მოუვა - თავმოყვარეობის გრძნობა სრულიად გამქრალი აქვს...

ავტობუსის გაჩერებაზე გაიგეს, რომ, მოუწევდათ შემდეგი ავტობუსის მოსვლამდე ოცი წუთის მოცდა. საღამოსპირს არც ქალაქისკენ წამსვლელი სხვა მანქანა გამოჩნდა.

უნებურად საუბარი გარდაცვლილი შოფრის სოფლიდან გადავიდა ზოგადად სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემაზე...

- ჩემთვის ის ვინმე აღმასხან ჯამიაშიღია, - თქვა აგაბო დათვიბალაძემ, - სრულიად უცნობი, რომლის სახელსაც კი ალბათ ვერასდროს გავიგონებდი, ვიდაცას ის საბედისწერო გასროლა რომ არ მოეხდინა... მისი შინაურების, ნაცნობ-მეგობრების გარდა, ახლაც კი არავინ ფიქრობს შინაგანი გრძნობით და არც ჩვენ განვიცდით მის დაღუპვას, როგორც დიდ ტრაგედიას, დიდ დანაკარგს - პირადად ჩვენთვის... ახლა მივალთ შინ, ჩვენს ჩვეულ შინაურ გარემოში, ვიდაც აღმასხან ჯამიაშიღლის სახელი სადღაც ართქლდება...

- ჰო, მხოლოდ მაშინ გაგვახსენდება ხოლმე, როცა ჩვენს სამსახურებრივ მოვლევას ვასრულებთ, - საუბარს აჰყვა ლაშა.

- დიახ, დიახ... ასეა მოწყობილი ადამიანი... აი, მისი ცოლისთვის, შვილებისთვის, მისი მშობლებისთვის ეს მოურჩენელი უზომო ტკივილია. მისი მეზობლებიც კი სულ სხვაგვარად განიცდიან მის სიკვდილს, ვიდრე ჩვენ.

- რა გქნათ, ძალით ხომ არ შეიძლება გულთან მეტისმეტად ახლო მიიტანო... ჩვენ ოჯახს კი გამოეუცხადეთ თანაგრძნობა, მაგრამ ერთგვარად ფორმალურად მოვიხადეთ წეს-ადათით განსაზღვრული მოვალეობა.

– რა თქმა უნდა, ჩვენ ნამდვილად ვუთანაგრძნობთ ოჯახის ტრაგედიას, და ასევე ვუთან-გრძნობდით ნებისმიერ სხვასაც, ასეთივე აუნაზღაურებელი დანაკარგი რომ შემთხვევოდა... ერთი რამ მინდა, გითხრა. შენ ჩემზე ბევრად ახალგაზრდა ხარ, თითქმის შვილად მეკუთვნი და მე ცოტა სხვა-ნაირად ვუყურებ ამ ამბავს, ვიდრე შენ...

– მე როგორღა? თქვენგან განსხვავებულად?

– დაახლოებით ისევე, როგორც მე მიმაჩნდა, შენი ხნის რომ ვიყავი...

– მაშინ როგორ მიგაჩნდათ?

– გაინტერესებს? აბა, გეტყვი და შენ მერე მითხარი, შენს აზრებს თუ ემთხვევა. თუმცა... შენი ასაკის ადამიანებიც სულ სხვადასხვანაირია; იქნებ ვცდები და იმას მოგაწერ, იმ აზრებს, რასაც ფიქრადაც არ გაიფლებდი... ბევრი რომ აღარ გაგაგრძელო, მე იმას გეტყვი, ადრე რასაც ვფიქრობდი. როცა ვინმე გარდაიცვლებოდა, თუ ძალიან ახლობელი არ იყო, ახლო არ ვიყავი მასთან... ვფიქრობდი: “სხვირი ჭირი – ღობეს ჩხირი”. გულთან ახლოს არ მიმქონდა, ვერც მივიტანდი. შენ ახლა იმ შოფრის დაღუპვა ნაღდად არ გაგხარებია, მაგრამ არც დიდად მოგხვდა გულზე, ხომ მართალია?

– მე მგონი, ასაკს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ასი წლის შემდეგაც ვიფიქრებ: რამდენი ვინმეს სიკვდილს გაიგებ, ყველა რომ განიცადო, გამოიტერო – საგიჟეში მოხვდები...

– ფსიქოლოგიაში ერკვევი... ადამიანი ბევრ რამეში გაუაზრებლად, ინსტიქტურად იცავს თავს. დღე არ გავა, რომ ტელეარხებმა მკვლევრობაზე არ გვამცნონ – ამაზრზენი დეტალების დახვავებით. თუ აქ არაფერი მოხდა, საზღვარგარეთ მომხდარ საშინელებებს მაინც გამოჩხრეკენ ინტერნეტში... აგერ აგტობუსი გამოჩნდა, დღეისთვის ნულარ გაგაგრძელებთ ამაზე საუბარს, ისედაც კიდევ დიდ-ხანს მოგვიწევს ამ თემაზე უშუალოდ მუშაობა... მართალი გითხრა, სულელური მსჯელობა გამოგვივიდა, ბანალური; ასე ხდება ყოველთვის, როცა სიკვდილ-სიცოცხლეზე იწყებ ბრძნული იერით მსჯელობას.

– დღეს დრო ტყუილად დაგკარგეთ?

– რატომ? რამდენი ხანია, ქალაქგარეთ არ გავსულვარ... სულ სხვადასხვა ყაიდის ხალხსაც შეგხვდით... ძალიან მომშივდა, შენა? ქალაქს ჩავიდეთ, სადმე სასადილოში შევიდეთ... ჩემთან დაგპატი-ვებდი, მაგრამ ცოლი მყავს უხასიათო, სტუმარს რომ დაინახავს, სახე დაუმყავდება.

შუა გზაში იყვნენ, როცა აგაბო დათვიბალაძეს მობილური ტელეფონით დაურეკეს: სასწრაფოდ სამმართველოში უნდა გამოცხადებულყო.

ლაშა ვარკეთილის დასახლებაში ადრე, უბნის რწმუნებულის ოთახთან ჩამოვიდა აგტობუსიდან, აგაბო კი მოგვიანებით – თავის დატოვებულ მანქანასთან.

“ჭკვიანი კაცი ჩანს დათვიბალაძე, – ფიქრობდა უბნის ინსპექტორის ოთახისკენ მიმავალი ლაშა, – მაგრამ მეტიმეტად ფილოსოფოსობს... ბავშვი ხომ არ ვგონივარ? გააბამს ჭიანჭურივით, იმას კი არ უყურებს, მე თუ მსიამოვნებს მეტიმეტი ლაქლაქი...”

ლაშა ღამურაული შინ საღამოს საინფორმაციო გამოშვების დაწყებისას დაბრუნდა; დიქტორები – ქალი და კაცი – მორიგეობით სხაპასხუპით აყრიდნენ:

“სანავთობო კრიზისი მსოფლიოში – შეიძლება, ერთი ბარელი ნეფლი ნავთობის ფასმა 220 დოლარსაც გადააჭარბოს – ეკონომიკური ხრიკები!

საპროტესტო აქციები არაბულ ქვეყნებში – ბაჰრეინი, ერაყი, იემენი...

ესპანეთში ჩაგარდა პოლიციური ოპერაცია, დაკავებულია ქართველთა კარგად ორგანიზებული ნ-კაცი-ანი კრიმინალური დაჯგუფება, რომელსაც ბრალად ედება ძარცვა და ძალადობა.

თბილისში პროკურატურის ანტიკორუფციურმა დეპარტამენტმა დააკავა ორი ადვოკატი, რომლებმაც თაღლითობით, მოგყუებით გამოსძალეს 40 000 ლარი დაპაგუმრებულის მეუღლეს – ჰპირდებოდნენ განთავისუფლებას ან საპროცესო გარიგებით 1 წლამდე პატიმრობის ვადის შემცირებას.

პარლამენტი მსჯელობს კანონპროექტზე: მსუბუქი დანაშაულისთვის შემოიღება ალგერნატიული სასჯელი – სამოგალოებრივად სასარგებლო შრომა.

თბილისში სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა გაფიცვა გამოაცხადეს, მოითხოვენ ყალთაბანდურად ჩაგარებული გენდერის გაუქმებას, ყველა მარშრუტის მონოპოლიზაციის წინააღმდეგ.

90 წელი შესრულდა წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დაწყებიდან. 1921 წელს რუსთა არმიასთან შეაკებისას დაღუპული იუნკრების ხსოვნას პარლამენტარებმა და პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა პატივი მიაგეს – კოჯორში იუნკერთა მემორიალთან ყვავილები მიიგანეს”.

ლაშამ ტელევიზორი გამორთო, ტახტს მიაშურა და კასეტებზე დღეს გაკეთებული ჩანაწერის მოსმენას შეუდგა. ამ საღამოს ინგლისური ენის სახელმძღვანელოს აღარ გადაშლიდა.

კარი V.

საქართველოში დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებისა და
ტურფად გაფურჩქვნის გამოზირი, სახლი № 150, მისი მობინადრენი

მეორე დილით 9 საათზე ლაშამ ისევ ჩართო ტელევიზორი. ქერა გოგონა ტყვიამფრქვევით კანებდა:

“დღეს 28 თებერვალია, ორშაბათი, დილის საინფორმაციო გამოშვებაში თქვენ გაეცნობით:

ამ დღეებში გრძელდება უამინდობა საქართველოში – აღინიშნება ძლიერი ქარი, თოვან. ფოთში – 15 სახლს, ქუთაისში – 16 სახლს, ხობის რაიონში – 5 სკოლას ქარმა სახურავები გადახადა, წააქცია ან ძირიანად ამოთხარა ხეები.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ღორის გრიპით დაავადებულთა რიცხვმა 750 მიაღწია, გარდაიცვალა 27 ადამიანი.

დაიწყო კანდიდატთა შერჩევა სკოლებში დასანიშნ ღირექტორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ლიბიაში არეულობაა, გრძელდება დაპირისპირება 4 ქალაქში. გრიპოლი ერთადერთი ქალაქია, რომელსაც ყადაფი სრულად აკონტროლებს. იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ცეცხლის გახსნაზე უარს აცხადებენ, ცოცხლად წვავენ. ყადაფის ორმოცწლიანი მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას უკვე 1 000 ადამიანი შეეწირა. ლიბიის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სანქციების დაწესებას აპირებენ ევროკავშირი, გაეროს უშიშროების საბჭო.

შეტაკებები იემენში, ბაჰრეინში...

თბილისში ხანძარი მოხდა კუკიაზე – ერთი ოჯახი უბინაოდ დარჩა, ორ სახლს სახურავი დაეწვა.

დღეიდან იწყება ყველიერის კვირა. ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია – რძის ნაწარმით, ხორცი აკრძალულია.

ახლა, როცა მსოფლიოს წამყვან ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებში დაძაბული მდგომარეობაა, რეალური ფასები ძალიან ურტყამს თითოეულ ოჯახს. ქვეყნის მმართველი გუნდის შეკრებაზე იმსჯელეს ახალ საგადასახადო კოდექსზე, ანტიკრიზისულ გეგმაზე, ეკონომიკურ სტიმულირებაზე...

ევროკავშირის ქვეყნებთან გამარტივებული სავიზო რეჟიმი 1 მარტიდან ამოქმედდება.

თბილისში შეფერხდა აეროპორტის მუშაობა მესტიის მიმართულებით.

ქალაქში გრძელდება სამარშრუტო ტაქსების მძლოლთა გაფიცვა.

გარდაიცვალა რამაზ კლიმიაშვილი – ოფიციალური ვერსიით, საკუთარ ბინაში გაზის გაჟონვის შედეგად გაიგულა...

ლოს ანჯელესში გაიმართა ოსკარის ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი...”.

* * *

დღეს ზამთრის ბოლო დღეა, საკმაოდ ცივა.

აგაბო დათვიბალაძე და ლაშა დამურაული საქართველოში დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებისა და ტურფად გაფურჩქვნის გამოზირზე № 150 სახლის წინ დგანან.

– ხეები ჯერ უფოთლოა, გამჭვირვალე, – ამბობს აგაბო დათვიბალაძე, – მაგრამ მოკლეული მანქანის მეორე მხარეს იდგა და მსროლელი პირველი, მეორე, მესამე სართულებიდან ვერ ამოიღებდა მსხვერპლს მიზანში – არ ჩანდა, მანქანა ეფარებოდა.

– ჰო, თუ ამ სახლიდანაა ნასროლი, უფრო მაღლიდანაა. იქნებ ქვედა სართულის მაცხოვრებელია და მიზანში ამოსაღებად ზევით ავიდა და იქიდან, მაღალი სართულიდან ისროლა?

– არა, მაგას ვერ იზამდა: მაღლა კიბით უნდა ასულიყო, კიბე კი ეზოს მხარესაა, უეჭველად სახლის მეორე მხრიდან, ბინიდანაა ნასროლი; უფრო სწორედ, მკვლეელი ბინიდან აივანზეა გასული – ხომ ხედავ, ქუჩის მხარეს ყველა ბინას მთელ გაყოლებზე აივანი აქვს ჩაყოლებული.

– ჰო, სხვისი ბინიდან ვერ ისროდა. ან თავისი ბინიდანაა ნასროლი, ან სახურავზე ავიდა და იქიდან ამოიღო მიზანში.

– ყოველი შემთხვევისთვის, შევიდეთ მეორე, მესამე სართულის ბინებში და იქიდან გავხედოთ; შენ გაიქეცი და სამუშაოთა მწარმოებელს სთხოვე, ერთი ათიოდ წუთით რომელიმე თვითმცლელი დააყენოს იქ, სადაც იმ დღეს ჯამიაშვილის მანქანა იდგა...

მოკლე ხანში დარწმუნდნენ, რომ მათი ვარაუდი სწორი იყო: თუკი ქუჩის მეორე მხარეზე მდებარე № 150 სახლის ერთ-ერთი ბინიდან მოხდა ერთადერთი გასროლა, რომელმაც იმსვერპლა თვით-

მცდეელი მანქანის შოფერი, მაშინ პირველი-მესამე სართულის ბინებიდან ამის გაკეთება შეუძლებელი იყო.

დათვობადაც და ღამურაული ერთხანს მოასფალტებულ ეზოში იდგნენ, მერე ქუჩის მხარეს გადაინაცვლეს და ახლა აქედან ახედეს № 150 სახლის რვავე სართულს.

– ამრიგად, პირველი, მეორე და მესამე სართულის მცხოვრებნი გამოძიების ამ ეტაპზე ეჭვმიტანილთაგან გამოვრიცხვით, – თქვა დათვობადაც. – ამ სართულებიდან არ უნდა იყოს გასროლილი, აქედან ვერ მოახვედრებდნენ: ხეები იმდენად არ უშლის, რამდენსაც მანქანა, გარდაცვლილს მანქანა ეფარებოდა, მეოთხე სართულიდან გამოჩნდებოდა. დანარჩენი რამდენი ბინა დარჩა?

ლაშამ საქადალდიდან ამოღებულ ფურცელს დახედა:

– სახლი რვასართულიანია, ეგრეთწოდებული “ლეგვის პროექტის”; სულ ორი სადარბაზო შესასვლელია, თითო სადარბაზოში თითო სართულზე სამი ბინაა, ორივე სადარბაზოში სულ 48 ბინაა; აქედან გამოვრიცხვით ორივე სადარბაზოს პირველი, მეორე და მესამე სართულის ბინები – 3 სართული გაგამრავლოთ 2 სადარბაზოზე და გაგამრავლოთ 3 ბინაზე, სულ უდრის 12 ბინას; დარჩა გამოსაკვლევი ის 30 ბინა, საიდანაც შეიძლება, გასროლა მომხდარიყო.

– მე მჭირდება ამ 30 ბინის ყველა ოჯახის წევრთა სრული სიის შედგენა; მერე მათგან ბავშვებს, მოხუცებსა და სხვათ გამოვრიცხავთ და დაბოლოოდ დავადგენთ იმ შესამოწმებელ პირთა სიას, რომელთაც პოტენციურად შეეძლოთ დანაშაულის ჩადენა.

– ამ 30 ბინაში ცხოვრობს დაახლოებით 100-120 პირი; თუ ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს გამოვრიცხავთ, დარჩება დაახლოებით 30-40 ჩვენთვის საინტერესო პირი. ამათგან უპირველესად 14-25 წლის ბიჭები უნდა შევისწავლოთ, შემდეგ კი ისინი, ვისაც კრიმინალური წარსული აქვს, ან ვისაც როდისმე სამხედრო სამსახურთან ან იარაღთან ჰქონდათ საქმე...

– მორტყმულია მხოლოდ ერთი ტყვიან; სხვა ტყვიის კვალი არ აღმოჩნდა. დასკვნა მარტივია: ეს ან ბრმა გასროლით მოხვედრილი ტყვიან ან კარგი მსროლელის მიერ განხორციელებული მკვლელობა... მე ის მანტერესებს, როგორ არ იცით ზუსტად რამდენი პირი ბინადრობს ამ კორპუსში?

– რას გაიგებ, ბატონო აგაბო: მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს რამდენი მოქალაქე იცვლის ბინადრობას – რიგი მიდის, რიგი მოდის, შეტყობინებას გადაადგილების შესახებ კი ღრთულად არაგინ იძლევა ან სულ არ იძლევა...

– სახლაფორთო საქმე გველის: საჭიროა შესწავლილ იქნას დღესდღეობით № 150 სახლში რეალურად მცხოვრები პიროვნებები, მათი ცხოვრების ნირი, ხასიათი, კავშირები, ურთიერთობა მეზობლებთან, ნაცნობ-მეგობრებთან... ბინის მეპატრონეთა სია მაინც თუ გაქვს?

– აგერ, ინებეთ... – გაუწოდა რამდენიმე ფურცელი ლაშამ.

აგაბო დათვობადაც ქადალდებს თვალი გადაავლო და ლაშას უთხრა:

– ახლა მე სამმართველოში მივდივარ და, თუ მოახერხებ, ხვალ დილით, 9 საათზე აქ, ამ სახლთან მოდი. შემოვლა დავიწყოთ პირველი სადარბაზოს მესამე... არა, მეოთხე სართულის ბინებიდან.

ჩვენც რომ გაგვიადვილდეს შემდეგი თხრობა და მკითხველიც არ დავაბნით, ალბათ არ იქნება ურიგო, აქვე მოგაწოდოთ ლაშა ღამურაულის მიერ შედგენილი სია:

“№ 150 სახლის ბინების მეპატრონეთა სია

პირველი სადარბაზო

I სართული

ბინა № 1 – მარიამ ხშირულვაშაძე.

ბინა № 2 – არშაკ ვართაპეტოვი.

ბინა № 3 – აბა მოშაშვილი.

II სართული

ბინა № 4 – ბერდია ხამსამაძე.

ბინა № 5 – კლავდია წიწმარიგაძე.

ბინა № 6 – კონსტანტინე ძალყურძენაძე.

III სართული

ბინა № 7 – დავით ბუჟუჟაძე.

ბინა № 8 – ლილი პონსიძე.

ბინა № 9 – კარლო წუმწუშაშვილი.

IV სართული

- ბინა № 10 – სამსონ აჭრაჭუნაძე (დაკეტილია, წასულები არიან სოფელში).
 ბინა № 11 – კაკანა კარმანაული.
 ბინა № 12 – რაქდენ მეჭეჭაშვილი (თავისი ბინა გაერთიანებული აქვს მეორე სადარბაზოს № 36 ბინასთან).

V სართული

- ბინა № 13 – გიორგი ტყლაპუნაძე (დაკეტილია).
 ბინა № 14 – ლიდა ჭიპშავაძე
 (გაქირავებულია გოგობზე).
 ბინა № 15 – მამუკა ეკალდიჭაშვილი.

VI სართული

- ბინა № 16 – სოფიო სენსანსიძე (არავენ ცხოვრობს).
 ბინა № 17 – გრიგოლ ბიბეევი (არავენ ცხოვრობს).
 ბინა № 18 – ჯუანშერ ვირიგერაძე.

VII სართული

- ბინა № 19 – შადიმან ჭანჭყაბაძე (დაგიირავებულია, ბინაში ცხოვრობს გერონტი ნათლიმამიშვილი).
 ბინა № 20 – ხარება ფორეიშვილი
 (გაქირავებულია სტუდენტ გოგობზე).
 ბინა № 21 – დავით ყურცქვიტაძე.

VIII სართული

- ბინა № 22 – ამბროსი ბირკაწვრილაძე.
 ბინა № 23 – უშანგი აქშიგოქშაძე.
 ბინა № 24 – მურმან მარმუჭიშვილი.

მეორე სადარბაზოI სართული

- ბინა № 25 – კნიაზ მახარაიანი.
 ბინა № 26 – ოფელია კარაპეტაშვილი.
 ბინა № 27 – ხვიჩა მამუჩია.

II სართული

- ბინა № 28 – ლევარსი გრანადოსია.
 ბინა № 29 – ეფროსინე ყალამქარიანი.
 ბინა № 30 – ალექსანდრე ნიაზფული.

III სართული

- ბინა № 31 – ქრისტეფორე პომოვი.
 ბინა № 32 – ვამეხ თედიაშვილი.
 ბინა № 33 – კოსტა თედევი.

IV სართული

- ბინა № 34 – მელორ ტყეკაფიაშვილი.
 ბინა № 35 – ბინა მამუნაშვილი.
 ბინა № 36 – კარი ამოქოლილია (გაერთიანებულია პირველი სადარბაზოს № 12 ბინასთან).

V სართული

- ბინა № 37 – ლიპარიტ ასათიანი.
 ბინა № 38 – მარგალიტა ნემსიძეაძე.
 ბინა № 39 – ესტატი ბუსკანტურაძე.

VI სართული

ბინა № 40 – ანტონ ტყუილკაკლაშვილი.
 ბინა № 41 – გოგონა გოდორაძე.
 ბინა № 42 – ხათუნა ხუხულაიშვილი.

VII სართული

ბინა № 43 – ტატაშ ტაშფანდურაძე.
 ბინა № 44 – ამირინდო თავმტკვიანაძე.
 ბინა № 45 – პეპინო გუერაძე.

VIII სართული

ბინა № 46 – ტრისტან ნისკარტაძე.
 ბინა № 47 – ვიოლა ეკალდიჭაძე.
 ბინა № 48 – გაყიდულია, ამჟამად არავინ ცხოვრობს.”.

კარი VI.

№ 150 სახლის “პროფესორები” და “აკადემიკოსები”

იანვარი – ყველაზე ცივი თვეა თბილისში, მაგრამ რამდენიმე წელია, რაღაც ვეღარ იანვარობს და წლევანდელიც ისე გაიღია, თოვლი მოგვენატრა; სამაგიეროდ, თებერვალმა გამოიღო თავი და თვის მიწურულს მეტისმეტად გაფიცხდა: “აბა, რას ელოდით, შვილოსა, ასე დამარცხებულნი, დამცირებულნი და პირშერცხვენილი როგორ დაგემშვიდობებოდით ან ჩუმად გავიპარებოდით? ახლა თქვენ გიჩვენებთ სეირს, დარწმუნდებით, რა მაგარი ბიჭიც ვარ!” – თვის მიწურულს კუდი ღონივრად მოიქნია და ისეთი თოვლი დადო, გარემოს სილამაზეს ვინღა უყურებდა! ქუჩებში სიარული ჭირდა, ატომობილთა გადაადგილება ბევრგან შეფერხდა და ზოგან შეწყდა კიდევ; თუმცა თოვლისგან წმენდნენ გზებს და ტექნიკურ მარილსაც აყრიდნენ...

დღეს 1 მარტია, გაზაფხულის პირველი დღეც გვეწვია! მაგრამ რად გინდა – ისევ ცივა, თუმცა უნაღვექო დღე იქნება ალბათ და მქრქალ ღრუბლებში დროდადრო მზის უღონო სხივებიც გამოერთება და გაგვახალისებს.

გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძე და უბნის რწმუნებული ლაშა დამურაული დათქმულ დროს შეხვდნენ ერთმანეთს – საქართველოში დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებისა და ტურფად გაფურჩქვნის გამზირზე, № 150 სახლის წინ. ეზოში შევიდნენ და გახედ-გამოხედეს; იქ საინტერესო ვერაფერი შენიშნეს: მოასფალტებულ მოედანზე დგას რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა, დანარჩენი ადგილი გაუმწვანებიათ: უკვე დაგაქაძვებული ლამაზი ფიჭვები აზიდულან, წყლის ონკანთან ნიაგი აქანავენს წნორის ხის დაბლა ჩამოგრძელებულ წვრილ ტოტებს... შემდეგ სახლის რვავე სართულზე დაატარებენ მზერას: შემინული ლოჯიების შუშების ცივი ბრჭყვიალი, ალაგ სარეცხი გაუფენიათ...

– ქუჩის მხრიდანაც შევხედოთ.

აქედანაც გულდასმით ათვალიერებენ ყველაფერს. სახლის კედელზე შავი საღებავით ბალონ-პულვერიზატორით სქლად წაუწერიათ: “კარატე 898 999 999”; სხვა ადგილას წითელი საღებავით – “კიბოქსინგი 887 888 888”; სხვა ადგილებში ონავარ ბიჭებსაც დაუწერიათ თავიანთი მეტსახელები, ოღონდ სხვადასხვა ფერის საღებავებით, ზოგი – მხატვრულ-დეკორატიულად; ერთ ადგილას ყველაზე დიდი ასოებით წითლად ეწერა: “ლიკა მიყვარხარ!!!” და გულის გამოსახულებაც იყო დახატული.

გამომძიებელმა აგაბო დათვიბალაძემ ამოიღო ბლოკნოტი და კედლიდან მეტსახელები გადმოიწერა: “კვინიკა”, “თვალა”, “დრუნა”, “ბუკოლე”, “ბასტი”, “მეშოკა”, “კვადრატა”... მერე უბნის რწმუნებულს ლაშა დამურაულს პკითხა:

– ამ სახლში მცხოვრები რამდენი არასრულწლოვანი გყავთ აღრიცხვაზე?

– აცვენილები? სამი.

– მათი სია წამოღებული გაქვთ?

– რა თქმა უნდა, აი, ისინიც: გოგიტა ძაღლყურძენაძე, ამბროსი ბირკაწვრილაძე და ზვიად შავკვანაძე.

– მაგათ მერე მივხედოთ, ჯერ ამათ გავესაუბროთ. საკვირველია, ეზოში, შედარებით სიწყნარეში კი არა, აგერ, ქუჩის ხმაურში ურჩევნიათ ყოფნა...

– ქუჩაში ხალხი მიდი-მოდის, სხედან და თვალს წყალს ალევინებენ, განსაკუთრებით, თუ ერთი-ორი კაცია და თამაშისთვის პარტნერი ვერ გამოხატეს.

სახლის წინ, ქუჩის მხარეს, ოცდაათწლიანი ფიჭვის ქვეშ გამართულ მაგიდასთან თითქმის ყოველდღე სხედან № 150 სახლის “პროფესორები” და “აკადემიკოსები” – რამდენიმე კაცი მაინც, ზოგჯერ – ათი-თხუთმეტიც: გრძელ სკამებზე ვერ ეტევიან და ნაწილი ფეხზე მდგომი უყურებს ბანქოს, დომინოს ან ნარდის თამაშს... ზოგჯერ მაგიდის კიდეზე მიყუჟული ორი კაცი ჭადრაკით ერთობა. და დღესაც ასეა: საკმაოდ ცივა, მაგრამ “პროფესორები” დღეს როგორ გააცდენენ... ისე იყვნენ გართულნი თამაშით, რომ მხოლოდ მაშინ მიაქციეს ყურადღება მაგიდასთან მისულ დათვიბალაძესა და ღამურაულს, როცა გამომძიებელი მათ მიესალმა:

– გამარჯობა! მე გამომძიებელი დათვიბალაძე გახლავართ, ეს კი უბნის რწმუნებულია, ღამურაული...

საპასუხო მისაღმების შემდეგ მაგიდასთან მსხდომთ თამაში შეწყვიტეს, სკამებიდან წამოდგნენ, – გარდა ერთი ყავარჯენებიანი ახალგაზრდისა, რომელსაც თეთრი ბინტით შეხვეული ფეხის ტერფი მოუჩანდა შარვლის ტოტქვევიდან, – დასაჯდომი ადგილი უბნის ინსპექტორსა და გამომძიებელს დაუთმეს. დასხდნენ, ვინც ვერ დაეცია, შედარებით ახალგაზრდები, ფეხზე იდგნენ.

აგაბო დათვიბალაძემ ლაშა ღამურაულს სთხოვა:

– აბა, იმ ბიჭების სია ამოიღე... – თვითონ კი მის მიერ ჩამოწერილ ფურცელში ჩაიხედა: – კვინიკა თუ იცით, რა გვარია?

– ვინ არი ევა? – იკითხა ერთმა ხნიერმა, მოსული ტანის კაცმა, ამ სიცივეში რომ უქუდოდ იყო და მელოტი თავი უბზინავდა.

– აი, ამ სახლის კედელზე წერია.

– არა, არ ვიცით, საიდან უნდა ვიცოდეთ... ეგ თვითონ მათ იციან, ბიჭებმა, ერთმანეთს ისინი ნათლავენ მეტსახელებით.

– მაშ, არც სხვების გვარი იცით? თვალა, დრუნჩა, ბუკოლე, ბასტი... არა?... არც სკვინჩა, ხაშლა-მა...

– ეგენი იქნებ სხვა სახლიდან არიან, მე არ გამიგია.

გამომძიებელმა ფურცელი საქალაქში ჩადო.

– თქვენ რა გვარი ბრძანდებით? – ჰკითხა თავმოტვლებილს.

– მეჭეჭაშვილი ვარ, რაჟდენი.

– ამ სახლში ცხოვრობთ?

– დიახ.

– რომელ სართულზე?

– მეორემეტე ბინაში, მეოთხე სართულზე ვარ.

– ბატონო რაჟდენ, ამას წინათ რომ მკვლელობა მოხდა, გეცოდინებათ, შოფერი დაიღუპა. ამ საქმისთვის მოკვლევა ტარდება, მასალებს ვაგროვებთ და თქვენი დახმარება გვჭირდება... ყველა მეზობლების, ვინც კი რაიმე ინფორმაციას ფლობს.

– ჰო, ცუდი ამბავი მოხდა, ნამდვილად.

– ვინც გინდა ყოფილიყო, – შოფერი კი არა, გინდაც ბანდიტი, იმ არაკაცმა სასიკვდილოდ როგორ გაიმეტა? – ამბობს ერთი იქ მსხდომთაგანი – ორმოციოდე წლის ჭროლათვალება კაცი, ამ სიცივეში რომ საზაფხულო თეთრი კეპი დაუხურავს თავზე და მის ქვეშიდან უდროოდ სულ ერთიანად გათეთრებული სვეული თმის კულუნი მოუჩანს.

რაჟდენი ბოხი ხმით პასუხობს:

– არც ვგრეხა საქმე... რა იცი, რა მოხდა, თუ გაგამწარეს, შეიძლება, შენ უარესი ჩაიღინო. ამას წინათ... ქუჩაში მივლიოდი, – ქვემო უბანში ჩემი სკოლის ამხანაგი ცხოვრობს, დამირეკა, სოფლიდან ღორის ხორცი ჩამომივიდა, მოდი, მწვადები ავაშიშხინოთო, ცოლი ხაჭაპურებს უკვე აცხობსო... ჰოდა, მივდივარ გახარებული, ხელში ორლიტრიანი პლასტმასის ბოთლით დაპირებული შინნახადი არაყი მიმაქვს, ჰოდა, მივდივარ დაღმართში და უკანდან ვიღაცამ თავში რაღაც ჩამარტყა... კიდევ კარგი, კარგად ვერ დაუმიზნა თუ რა იყო, უცებ ვერ გამთიშა; ცალი ხელით დავიჭირე, მეორეთი ერთი და ორი ვუთაქე და გამომდლიტა ხელი, გაიქცა... ისეთი გაცოფებული ვიყავი, ნაღდად სიკვდილამდე მივიყვანდი!

– რაჟდენ ძია, ბედი გქონია, არაყი რომ პლასტმასის ბოთლით მიგქონდა, შუშისა რომ ყოფილიყო ხომ დაიმტვრეოდა! – სიცილით ეუბნება ის ახალგაზრდა, მარცხენა ფეხი რომ გაფშეკილი უჭირავს, ყავარჯენები ფეხებშუა მოუქცევია.

– ჰო, გაიცინე, გაიცინე! – რაჟდენის მაგივრად პასუხობს ახალგაზრდას თეთრკეპიანი. – კიდევ დალიე და მეორე ფეხიც ზედ მიაყოლე!

– რაჟდენ ძია, ჩაგიშხამდა ქეიფი? – ისევე იცინის ახალგაზრდა.

– შენ რა გიხარია? – ეუბნება რაჟდენი. – შემომაკვდებოდა ის შობელბაღლი... ქეიფის თავი მქონდა? უკან ძლივს დავბრუნდი, ორი დღე ლოგინში ვიწეკი.

– მანქანით წასულიყავი, ხათაბალას ასცდებოდი, – ეუბნება თეთრკეპიანი.

– ორი ფეხის ნაბიჯზე მანქანა რად უნდა! – საუბარში ერთგება კიდევ ერთი, გარეგნობაზე ეტყობოდა, ყველაზე ხნიერი, – თმაგაცვენილი იყო, უკბილო პირს ჭაღარა დიდი უღვაშებით იფარავდა; ცალკე იჯდა და ადრე თამაშში არ მონაწილეობდა.

– ჩვენი პრეზიდენტი რომ ბრძანებს, ევროპაში ყოფითი უსაფრთხოების თვალსაზრისით პირველ ადგილზე ვართო, ღამეც კი შეგიძლია, ბავშვი ქუჩაში გაუშვა, არ შეგეშინდებაო, მანქანასაც არავინ მოგპარავსო, მას დაფუჯეროთ თუ ტელევიზიას? – ამბობს რაჟდენი. – ყოველდღე საშინელებებით გვაშინებენ: დღე არ გავა, რომ ვიღაცამ ვიღაცას დანა არ დაარტყას, სავალუტო ჯიხური არ დააყაჩაღოს...

– რას ამბობ, წინანდელთან რა შედარებაა! – არ ეთანხმება თეთრკეპიანი.

– კარგი, ერთ კითხვაზე მიპასუხე: ლიფტში უცხო კაცთან ერთად შენი ცოლი შევა? – ეკითხება რაჟდენი.

– მეგობრებო, ბოდიშს ვიხდი, გვეჩქარება... თქვენ რა გვარი ბრძანდებით? – ყველაზე ხნიერს მიმართა აგაბო დათვიბალაძემ.

– მე, გენაცვალე, ტყუილკაკლაშვილი გახლავარ, ანტონი მქვია.

– ბატონო ანტონ, იმ დღეს თუ იჯექით აქ?

– როდისა?

– როცა აქ მკვლელობა მოხდა, ამ ქუჩაზე.

– ამ სახლის წინა? კი, როგორ არა, ვიყავით.

– კერძოდ, ვინ იყავით?

– მე, კნიაზა, რაჟდენა, გაიოზა ფოსტალიონი, გაიოზას ბიჭი...

– კნიაზა რა გვარია?

– ზახარიანი.

– არა, კნიაზას ახლა სხვა გვარი აქვს – ქურთული, ძველი გვარი დაიბრუნა.

გამომძიებელმა ანტონის მიერ ჩამოთვლილი პირები ჩაიწერა ბლოკნოტში, მერე ანტონს ჰკითხა:

– გაიოზას ბიჭს რა ჰქვია?

– კიკოლა, იმ დღეს მორიგე არ იყო, დაცვაში მუშაობს...

– მამუკაც იყო... აქ ადრე ცხოვრობდა, ახლა სხვაგან ცხოვრობს, – დაამატა მერე იქ მჯდომმა ზორბა შუახნის კაცმა, მთასავით რომ დაყუდებულიყო, წვრილი თვალები და ყვეწი სახე კი ჰქონდა.

გამომძიებელმა ჩახედა დავთარში:

– მამუკა ეკალღიჭაშვილი?

– ჰო, ეგ არი, – უპასუხა იგივემ და სიგარეტი ამოიღო.

– რა უნდოდა?

– რა ვიცი, შეილთან ერთად იყო, დაბრმავებულა...

– ახლა სად ცხოვრობს?

– სადღაც ნაძალადევში, კერძო სახლი აიშენა.

– არა, კაცო, ის ბინა რა ხანია გაყიდა, ახლა სოფელში ცხოვრობს! – დააზუსტა თეთრკეპიანმა.

ამ დროს ჩოჩიალით გამოიარა დაბალ-დაბალმა, საჩხეჭუდიანმა მოხუცმა, იქნებოდა ერთი 75 წლისა, ხელის აწევით მიესალმა იქ მყოფთ და საკმაოდ ხმამაღლა შესძახა:

– დიდ ქართველებს, დიდ მამულიშვილებს ჩვენი სალაში!

არ შეჩერებულა და მალე სახლის კიდეს იქით გაუჩინარდა.

– ვინ არის? – იკითხა დათვიბალაძემ.

– გუერაძეა, პეპინო, მეშვიდე სართულზე ცხოვრობს, – უპასუხა თეთრკეპიანმა. – ამდენი წელია, მეზობლები ვართ და ეგ ამ მაგიდასთან ჩვენთან დამჯდარი არ მინახავს.

– წავიდეს, ერთი მაგის... – არ ამთავრებს გინებას მთა-კაცი. – ნამეტანი იბრიქება, ცხვირაწეული დადის... მაგის მეტს უმადლესი განათლება სხვას არავის აქვს?

– ჰო, აქ, ჩვენთან ერთად ლუდის სმას არ კადრულობს, – მხარს უბამს თეთრკეპიანი. – მაგის ოჯახში გაშლილი სუფრა თუ გინახავთ?

– წერს, ჩვენი გულისთვის დროს როგორ დაჰკარგავს! – დაცინვით ამბობს მთა-კაცი. – რას წერს ნეტავ იმისთანას გადასარეგს, ჩვენც გაგვაგებინოს!

– რა გინდა, კაცო, დაანებე თავი, შენ ხომ არაფერს გიშაგებს, არის თავისთვის! – არ ეთანხმება მათ რაჟდენი. – მოხუცი კაცია, თავისთვის ჩირთიფირთობს რაღაცას...

– ზაურ, ერთი მომაწვიინე... – ხელი გაიწვიინა მთა-კაცისკენ თეთრკეპიანმა.

– მოწვევა თუ გინდა, აგე, მაღაზიები ყველა ღიაა, – პასუხობს მთა-კაცი, დამცინავი ღიმილით უყურებს მთხოვნელს. – მე მგონი, სიგარეტი ბლომად აქვთ, ჯერ არ გამოლევიათ.

ლაშა დამურაულმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, თეთრკეპიანს გაუწოდა:

– ინებეთ... – მერე თავისთვისაც ამოიღო ერთი ღერი.

- კიდევ თუ იყო ვინმე იმ დღეს? – უბრუნდება საუბრის წინა თემას დათვობადაჲ. – აქ მეტი არავინ მოსულა იმ დღეს?
- მოიცა, გაგიხსენო... ქაქრია დალაქი... მეჯღანე ხარიტონა... – იგონებს რაჟღენი, დაბავისგან თვალებიც კი დახუჭა.
- ამდენი უსაქმური საიდან შეიყარენით ამ ყინვაში, ჰა? – უდროს დროს ჩაერია ლაშა ღამურაული.
- მერე რა! პატარას თოვდა, ეგ არაფერი, წვიმა ხომ არ ყოფილა. შუადღეზე მზემაც გამოიხედა, – ამბობს სიგარეტის მთა-კაცი, ისე ღრმად შეისუნთქავს ხოლმე, რომ რამდენიმე ნაფაზში სიგარეტს ყუამდე დაიყვანს.
- ქაქრია რა გვარია? – იკითხა დათვობადაჲ.
- არ ვიცი, ჩვენს სახლში არ ცხოვრობს... არც მეჯღანე ხარიტონა, – პასუხობს მთა-კაცი და სიგარეტის ნამწვს იქვე მდგარ სანაგვე ყუთში ზუსტად ისვრის – ეტყობა, გაგარჯიშებულია ამ საქმეში. – აგე, პირდაპირ იქით რომ სახლია, იმის პირველ სართულზე მუშაობს.
- ლაშამ საქაღალდეში იქეჭა, მერე მიაგნო, რასაც ეძებდა:
- 152 ნომერში, “სილამაზის სალონი”... მაგ ობიექტში ზაქარია, იგივე შაქრო ქაქანაშვილი მუშაობს...
- ჰო, ეგ იქნება, ჩვენ ქაქრიას ვეძახით, ნამეტანი ბევრი ქაქანი უყვარს... ახლა იქ იქნება, ცოტა ხანში შესვენება ეწყება და იქნებ აქაც მოვიდეს.
- ვერ მოვუცდით, გვეჩქარება, ჩვენ თვითონ მივალთ... – წამოდგა სკამიდან აგაბო დათვობადაჲ.
- მაღლობა, კარგად იყავით.

კარი VII.

ქაქრია ქაქანაშვილი – დალაქი

- გამომძიებელმა და უბნის ინსპექტორმა ფიჭვნარში გამავალი ბილიკით ქაქრიას სადალაქოსკენ აიღეს გეზი.
- რა ხანია, თმა მაქვს გასაკრეჭი, ვერაფრით მოვიცალე, – ლაშას ეუბნება აგაბო დათვობადაჲ.
 - ბარემ ამ საქმესაც მოვითავებ, როგორც იტყვიან, მამიდასაც ვნახავ და ცხენსაც გავხედნი. შენი სია კი იმ ბიჭებისა...
 - აღრიცხვაზე აყვანილთა?
 - ჰო, მათზე არაფერი გვიკითხავს, დაგვაფიწყდა, მაგრამ ვეჭვობ, რაიმეს, ჩვენთვის საინტერესოს, გვეტყოდნენ. არა უშავს, როცა სათითაოდ ჩამოვივლით ოჯახებს, მაშინ მათთვისაც მოვიცლით.
 - ჩაუარეს მრგვალ აუზს, რომელსაც ალბათ თავის დროზე ზაფხულობით პატარა შადრევანიც ამშვენებდა, ახლა კი მოუფლევლობით გაპარტახებული იერი ჰქონდა – გათლილი ქვით მოპირკეთებული კედლები ალაგ დაბზარულ-დამტვრეული იყო, ალაგ კი ქვის პერანგი სულაც მოეხსნათ და მოშიშვლებული ბეტონი ჩანდა.
 - რა კარგი აუზი იქნებოდა, ახლა ქვებითა და პლასტმასის ბოთლებით არის სავსე, – წამით შეჩერდა აუზთან დათვობადაჲ.
 - როგორ უპატრონოდ არის მიგდებული, შიგ თუთის ხეც კი ამოსულა, – მხარი აუბა ღამურაული. – რამხელა გაზრდილა, ეტყობა, დიდი ხანია, ასეა მიგდებული. ერთი დასუფთავების ხალხს უნდა დაგურეკო...
 - ივნისამდე ნუ იჩქარებ, აცალე: გაზაფხულზე ბავშვები აუზის კიდიდან ხეზე აუსვლელად მიერთმევენ თუთას, – გაეხუმრა დათვობადაჲ.
 - მეზობელი გრძელი სახლის პირველ სართულზე ჩამწკრივებული იყო ნაირ-ნაირი მაღაზიები, სახაჭაპურე, ავეჯის სარესტავრაციო და ტელევიზორების შემკეთებელი სახელმწიფოები, ვალუტის გადასაცემელი პუნქტი და გვერდიგვერდ განლაგებული სამი ლომბარდი.
 - რა ამბავი მარკეტი, ვინც მაღაზიებს მარკეტი დაარქვა, მაგარი კეტი მოუხდებოდა. ამდენი გამყიდველია, მყიდველი ვინაა? – ისევ იხუმრა დათვობადაჲ.
 - ერთმანეთისგან ყიდულობენ!
 - ერთ ადგილას სათავსოს შესასვლელის თავზე მოზრდილი წითელი აბრა გაეკრათ თეთრი წარწერით: “სილამაზის სალონი”, ხოლო კარის გვერდით მიდგმულ თუნუქის გრძელ ნაჭერზე ზევით დახატული იყო, უფრო სწორედ – კონტურით მოხაზული, ქალის თავი და ქვემოთ კი აჯღაბაჯღა

ასლებით ჩამოეწერათ: “ქალის თმის შეჭრა – 4 ლარი”, “მამაკაცის თმის შეჭრა – 4 ლარი”, “ღა-ვარცხნა – 5 ლარი”.

– ამ დალოცვილს თმის გაკრეჭაში ოთხი ლარი უნდა მიეცე და თუ სავარცხელს გადამისვამს თავზე – კიდევ ხუთი ლარი? – გაიცინა დათვობადაქემ. – ისე, აქ შედარებით იაფი ყოფილა, სხვაგან უფრო ძვირია.

– ქალისა და კაცის თმის შეჭრა ერთია? – გაიკვირვა ლაშამაც.

შუშინი კარი შეაღეს და შევიდნენ. მოზრდილი ოთახია, მაგრამ კლიენტის გასაკრეჭად განკუთვნილი სავარძელი მხოლოდ ერთია, სამაგიეროდ, კედლებთან მიდგმულია ხის გრძელი, “საქელეხე”, სკამები. როგორც ჩანს, აქ უბნის პატარა კლუბივითაა, მოცლილი ხალხია შეკრებილი და ათას ჭორ-მართალს გაიგებს კაცი...

ჩია ტანის დალაქი ასაკით იქნება 60 წელს გადაცილებული, მელოტია, კეფაზე შერჩენილი თმა სულ გასთეთრებია; საკმაოდ დიდი, ჯიშინი, ჟოლოსფრად შექინულილებული ცხვირი, რაიც ალბათ მისი პატრონის ღვინო-არაყის ტრფიალს უკავშირდება, გადმომხობილა ჭადარა, დიდ ულვაშებზე; თეთრი ხალათი აცვია, რომელიც, ეტყობა, კარგა ხნის გაურეცხავია. სათვალის ზევიდან შეათვალთ-ერა შემოსულები, მისაღმებაზე მხოლოდ თავის დაქნევით უპასუხა, კლიენტის მომსახურება და დაწყებული ამბის ქაქანი განაგრძო:

– ჩემს შვილიშვილს ზოოპარკში წაყვანას და ორ ულუფა გურჯაანის ნაყინს დაგვირდი და, როგორც იქნა, დავიყოლიე – თმის გასაკრეჭად წამოვიყვანე...

სადალაქოში ტევა არ არის. დალაქი გაჩერდა და სათვალის ზემოდან უფრო დაკვირვებით ათვალთ-იერებს ახალშემოსულებს, მერე ამბობს:

– ხალხო, ჩემს ხელობაზე ხელს ვიღებ, თუ ეს ბიჭი ზემო ნაფეტვრებიდან არ იყოს! – მიუთითა ძელსკამზე მამის გვერდით მჯდომ ყმაწვილზე; დალაქს სახელად ქაქრია ნამდვილად შეეფერება, უფრო კი – ქაქანა მოუხდებოდა: ენას არ აჩერებს, თან ერთი შეხედვით ზანტად, მაგრამ ხელის მო-ზომილი, ზუსტი მოძრაობით მარდად პარსავს ლოყებჩავარდნილ შუახნის კაცს.

– რა იცი, ქაქრიავ! – იცინიან რიგში მომლოდინენი, ზოგნი – კედელთან ატუზულნი, სხვებიც – გრძელ სკამებზე მჭიდროდ ჩამომსხდარნი.

ქაქრიამ სათვალის ზემოდან ცერად გადმოსხედა ბიჭს:

– ნახეთ, რა გოგრაა! მხოლოდ ზემონაფეტვრელებს აქვთ ეგეთი თავები. უჰ, რა გოგრაა! ბიჯო, მსოფლიოში აღმართი მეტია, თუ დაღმართი?

ბიჭს რომ დარცხვენა შეატყო, ქაქრია ახალ ამბავს ჰყვება:

– ვა, გაიგეთ რამოტოლა ბუზი მოუყვანიათ ზოოპარკში? აი – ფრთები! – ხელებს შლის ქაქრია.

– ნელა, კაცო, ყელი არ გამომჭრა! – შეშინებულ კლიენტს ლოყები კიდევ უფრო ეჩუტება და გაქცევას ლამობს.

– ორფუთიანია, ინდოეთიდან ჩამაყვანიათ, მა-აშ!

– გამანებე რა თავი, გამიშვი! – თვალებს კარკლავს გასაპნული.

– დაჯე, დაჯე! – ძალით სვამს კლიენტს ქაქრია. – ამბობენ, რომა დღეში ორ კილო შოკოლად-სა სჭამს.

– მართლა, კაცო?! – პირს აღებენ რიგში მომლოდინენი და უსაქმურნი.

– მა-აშ!..

– ეგ კაცმა არ ნახოს, როგორ იქნება! წავალ, ვნახავ და მერე მოვალ! – საჩქაროდ იძრობს თეთრ საფენს ლოყებჩავარდნილი კლიენტი, ხუთლარიანს უგდებს მაგიდაზე და, სანახევროდ საპონ-შეუწმენდელი, საჩქაროდ ადებს კარს. მას უკან ორი კაცი მიჰყვა, ალბათ იმ ეგზოტიკური ბუზის სანახავად.

– მოდი, ბიჯო, აქ შენა! – მოუხეშავი თითის მოკაკავით ეპატიჟება ბიჭს ქაქრია. – ზემონაფეტვრელია, ქვემონაფეტვრელი არ გეგონოთ, ურიგოდ ეკუთვნის, მა-აშ!

ბიჭი სავარძელში ჯდება, შეშინებული, საცოდავად იკუნტება. ქაქრია ცდილობს, გაართოს ბიჭი, თან საკრეჭ მანქანას აჩხაკუნებს:

– ზომონაფეტვრელო, რა გქვია?

– ზურიკო... – ბიჭი, თავდაღუნული, ოდნავ გასაგონად პასუხობს.

– ვაჰ, ზურაბს ვენაცვალე, მართლა კარგი სახელი დაურქმევიათ! შენ თუ გინახამს, ზოოპარკში რო დიდი ზღარბი ჰყავთ – მაჩვზღარბა, ჰა? ტანზე გრძელი ეკლები აქვ დაყრილი ისრებივითა; თუ გააბრაზე, სამ მეტროზე ისვრის, გაგიგონია? თურმე სუ გააპუტულია – დამლაგებელი ქალები აბრა-ზებენ, მერე ეკლებს ჰკრეფენ და ჰყიდიან.

აქამდე გატრუნულმა ზურიკომ ხმა ამოიღო:

– მერე ისრებს ბავშვებს ურიგებენ?.. მშვილდ-ისრისთვის, არა?

– არა, კაცო, მაგ ზღარბის ისრის ღერით სათევზაო ტივტივას აკეთებენ. თითო ცალსა, არა, სამ ლარადა ჰყიდიან; ამბობენ, ეგეთი ტივტივა მსოფლიოში მეორე არ არისო, მა-აშ!.. შენ არც ის იცი ალბათა, ბალახის მჭამელი თევზები რო არსებობენ, ჰა? გაველენ წყლიდან მინდორში და გაისეირნებენ, გემოზე წაიბადასებენ, არა გჯერა? აბა, თუ იცი, საიდან მიხვდნენ, რო ეგეთი თევზები არსებობენ? ერთხელ თურმე თევზები ბრუნდებოდნენ ბალახობიდანა და რკინიგზაზე გადასვლისას ერთმა თევზმა დაიგვიანა, ვერ გადაასწრო და მატარებელმა გაიტანა, ორად გადაჭრა, გაიგე შენა?..

– მართლა?

– ვაჰ, ამოტოლა გოგრის პატრონმა ასეთი რამეები არ იცი? კარგი ჩხუბი მაინც თუ იცი, ჰა?! თაგური იცი?... რას გაჩუმებულხარ?... არც ჭიდაობა გიყვარს? ე-ე-ე, რანაირი ზემონაფეტვრელი ხარ, ამოტოლა გოგრა ტყუილად გაბია?... მაშ, კარგი, ჩემი ჭიდაობის ამბავს გაამბობ, თუ გინდა. გეცოდინება, ქვემონაფეტვრელები ზემონაფეტვრელებს ყველაფერში ვეჭიშპებოდით ხოლმე. არც ისინი ჩამოგვრჩებოდნენ შუალში, არ ვიცი, რა ვერ გაგიყავით. ერთხელ ჭიდაობაში ვეჯიბებოდით ზომონაფეტვრელები და ქვემონაფეტვრელები და ერთი თქვენებური ახმახი გამოვიდა საჭიდაოდ, სუ ბოლი გვადინა ქვემონაფეტვრელებსა და!.. ზორბა, მოსული ჯეელი იყო. მაგარი იყო, რათ გინდა ლაპარაკი, ადგილიდან ვერ დაძრავდი. ჩვენი ქვემონაფეტვრელი ნაქები ფალაგენები სუ ლავაშივით გააკრა ნახერხზე ერთიმეორის მიყოლებითა... დაგვლნდით ქვემოურები, არ ვიცით, რა ვიღონოთ... შენ დაუკარ!.. ერთხელ დასცხეს საჭიდაო, მეორედ, მესამედაც – ვინღა გამსვლელი შესარცხვენად, ნარჩევი ვაჟაკები გაგვიღახა, კაცო!.. ჩვენი ქალების ამბავი ხო იცი, ისე გაწიწმბდნენ, კაცებზე მეტად ისინი ბრაზობენ, დაბოღმილები დაგვცინიან და გვერდებში ქიმუნჯებსაცა გვცემენ – გადით, თქვე ქარაქუცებო!.. მაინც ვერავინ გააბრიყვეს – თავი ვის მოსძულეობა, ძალა აღმართსა ხნავს და!.. ბოლოს, ისეგ ხუმრობაში ვცადეთ ქვემოურებმა ჩაგვეტარებინა ყველაფერი: აიღეს და ხელი მკრეს, სალაღობოდ გამაგდეს ასპარეზზე: “ესლა ეს იჭიდავებს, დაუდექ, თუ ვაჟაკი ხარო!”... რა ყარამან ყანთელიც ვიქნებოდი, კარგად ხელავთ, ჰოდა, ხალხი გადაფინდდა!.. მაქვებდნენ: “მიდი, აჩვენე ზემოურებს, როგორ უნდა ჭიდაობაო”. ის ბიჭი გასული იყო წრიდან დასასვენებლად, ჰოდა, მეც შევიფერე “ფალაგნობა” – ამაყად გავიარ-გამოვიარე ნახერხზე, თან მუხლები მეკეცებო... თან ვიქადნები: “გამოვიდეს, რაღას უცდის, ეგ თქვენი ფალაგანი ლუკმად არ მეყოფა-მეთქი!”... რაც უფრო მეშინია, მით უფრო ვბაქიბუქობ, ვარ ერთ ამბავში. ქვემონაფეტვრელებმა ტაში დასცხეს, სტვენა-ყივინამ ხომ ყურები წაიღო – სიცილი დამაყარეს. მეც ვიფხორები ინდაურივითა, გაჯგომული დავიარები, უკვე გამარჯვებული ვარ და მუშტსა აი, ესე ვატრიალებ თავზევითა, თან ვცდილობ, ღრიანცელს ყვირით ვაჯობო: “სად არის თქვენი ქვეშაფსია ფალაგანი, ხომ არ შეშინდა-მეთქი!”. ვიბერები – მეტი არ შაიძლება! ზემოურთა ფალაგანს ეჭვის ჭია შეუნდა: ეგ თუ მართლა მაგარი არ არი, ასე ჯიქურად რას დადის და იქადნებაო; ერთი-ორმა ქვემოურმაც გვერდზე ჩაუარა და ვითომ სხვათა შორის მის გასაგონად ჩაილაპარაკა ჩემზე: “ეგ ისეთი რკინის მკენეტელია, თბილისიდანაც კი ჩამოდიან მასთან დასაჭიდებლად და ყველას ბოლი ადინა ზურგზეო”. ჩემმა ტანმორჩილობამაც შეაფიქრინა, ხო იცი, დააბნია. მე კი ვიჭაჭები: “ოღონდ იარაღს ნუ იხმარს და თუგინდ მასთან ერთად მეორესაც დავეჭიდები – ყველა-პურივით შევატან ერთმანეთს-მეთქი!”... ხალხი მამხნევეს, ღრიალებს: “მიდი, ქაქრი! მიდი, დაუდეჭავად გადაყლაპე!”.

ქაქრიაც სხვებთან ერთად იცინის და მუშაობას წყვეტს, დიდი ცხვირსახოცით ხმაურით იწმენდს ცხვირს.

– მერე, მერე, რით დამთავრდა ჭიდაობა, ქაქრიავ?! – მოუთმენლად შესძახეს.

– მერე – არაფერი... ეძებეს და ვერა ნახეს, ჩუმად გაპარულიყო!..

ქაქრიამ ზურიკოს ნაკრეჭი თმები ჩამოფერთხა, წკიპურტი მსუბუქად წაჰკრა კინკრისოში:

– უჰ, რა გოგრაა! თავისუფალი ხარ, ზემონაფეტვრელო! – მერე პოლიციელისფორმიან ლაშას შეხედა და დანარჩენებს მიმართა: – ბიჭებო, თქვენთან ბოლიში მომითხოვია და ეს პატივსაცემი ამხანაგები ურიგოდ უნდა დავსვა... დაკავებული ხალხია... მობრძანდით, მობრძანდით...

– მე არა, ამ ბატონს მოემსახურე, – უთხრა ლაშამ.

– დაბრძანდით! – ლაშას შესთავაზა ადგილი ერთმა ყმაწვილმა, წამოდგა და კარისკენ გაემართა; რატომღაც იმავედროულად სკამებზე მსხდომნი სხვებიც წამოიშალნენ, ფეხზე მდგომნიც დაიძრნენ დასასვლელისკენ და რამდენიმე წუთში ყველანი გარეთ გაიკრიფნენ.

აგაბო დათვიბადაძე მოხერხებულ სავარძელში გადაწოლილა, თან ენაწყლიან დალაქს ესაუბრება ათასი რამის შესახებ, შემდეგ კი მკვლელობის შესახებ შეეკითხა:

– ბატონო ზაქარია, აქ, თქვენი ობიექტის წინ, უშუალო სიახლოვეს, პირდაპირ ქუჩაში, თვითმცლელის მძღოლის მკვლელობა მოხდა და რამე ხომ არ დაგინახავთ ან ხომ არ გაგიგიათ? რა მოხდა, რატომ...

ქაქრია შეცბა, როცა ზაქარიად მოიხსენიეს, მაგრამ დაძაბულობამ მაშინვე გადაუარა, აგაბოს თავიდან და კისრიდან ნაკრეჭი თმების ჩამოფერთხვა დაიწყო ფუნჯით, თან ხრინწიშეპარული, ნაგარჯიშევი ხმით გაბმულად პასუხობს:

– მე პატარა კაცი ვარ, თქვენცა თქვენი თვალითა ხედამთ: სულ სხვის თავს დავცქერი, ერთი წამით თუ გავისადავ გვერდზე, როცა კლიენტი შემოდის... გარეთ რა ხდება, რა ვიცი, ჩემო ბატონო, რა ჩემი საქმეა, და მე რომ მეკითხებით, რომა, რა ხდებოდა და როგორაო, მაგერ თქვენს ამხანაგსა, სქელი საქადალდე რომ აქვ ამოდებული იდლიაში, ალბათ მაგ საქადალდეში გიწერიათ ყველაფერი ლამაზად... მე პატარა კაცი ვარ და ჩემზე კარგად იცით, ბატონო ჩემო, ამ უბანში ვინ რას საქმიანობს, ვინ ვის ყვარობს, ვინ სად დაძვრება, ვინ რით სუნთქავს... ხომ გითხარით, მე პატარა კაცი ვარ და ისიც იცით ჩემზე კარგად, რომა ყველა უკუღმართის ამბავი განსაკუთრებით გაინტერესებთ და მათი სისულელეები ყველაფერი მანდ გექნებათ ჩაწერილი, ეგრე არ არი? ვინ არის ქურდი და მამაძალი, ვის არ უნდა ენდო, ვის ყური უნდა აუწიო კარგადა...

– კაცო, – საკმაოდ უკმეხად ჩაერია ქაქრიას გაბმულ მონოლოგში დათვიბადაძე და სავარძლიდან წამოდგა, – ჩვენ რა ვიცი და ყური ვის უნდა ავუწიოთ, რას გვასწავლი, ეგ ჩვენ ვიცი, ჩვენ რასაც გეკითხებით, იმაზე გვიპასუხე!

– მა მე რას გეუბნებით, უფროსო? – დამფრთხალი სახით მისჩერებოდა ქაქრია. – რამე რომ ვიცოდე, რათ შავინახავ, რა შავი დღითვინ მინდა, რა თავში ვიხლი...

დათვიბადაძემ ხუთლარიანი დაუგდო მაგიდაზე, სიტყვა ისევ შეაწყვეტინა:

– მეჯღანე ხარიტონის ნახვა სად შეიძლება?

– აგე, აქედან გახვალთ თუ არა, – ცუსცუხით გაუძღვა სტუმრებს კარისკენ ქაქრია, – ეგრევე ხელმარცხნივ წახვალთ და ქუჩის პირას რომ გრძელი გარაჟია, ხედამთ, და მიხვალთ თუ არა, ეგრევე “ვივესკას” დაინახამთ... იქ ცალფეხა მეჩქემე ზის, ხარიტონა, მისი სახელოსნოს კარი ქუჩისკენაა... მუდამდე ღიაა და ის უფრო დაინახავდა რამეს.

– სახელოსნო გარაჟში აქვს?

– იქა აქვს, იქა; აქეთა მხარეს გარაჟის ნახევარში მისი პატრონი მანქანას აყენებს, ის წინა ნახევარი კი, ქუჩის მხარეს რომელიც არის, ხარიტონაზე აქვ გაქირავებული. კარი სუ ღია აქვ, მაშინვე დაინახამთ... მუდამდე იქა ზის...

– მადლობა, მადლობა, ბატონო ზაქარია. თუ მეგველობის საქმესთან დაკავშირებით რაიმე გაიგოთ ან რაიმე პრობლემა შეგექმნათ, დახმარება დაგჭირდეთ, ხმა მოგვაწვდინეთ... უბნის ინსპექტორი, ლაშა დამურაული, ახლა თავის სავიზიტო ბარათს მოგცემთ და იქ მითითებულ მისამართზე მობრძანდით ან ტელეფონზე დარეკეთ... კარგათ ბრძანდებოდეთ!

ერთხანს ქაქრია მიმავალი დათვიბადაძისა და დამურაულის ზურგებს ადევნებდა მზერას, მერე, შემცივნული, ცარიელ სადალაქოში შებრუნდა, სავიზიტო ბარათი უჯრაში შეინახა და კარადიდან არყის ბოთლი გამოიღო.

– მართალი მოგახსენოთ, მე არც მოველოდი რაიმე ღირებულს თუ გავიგებდით, – ამბობს ლაშა. – ეგ ლაქლაქა ქაქრია-დალაქი დიდი ქვეშევეშა ვილაცა ჩანს... რამდენი იქაქანა მაგ ლაზღანდარამ, ლამის აქეთ შემოგვიტია და ჩვენ კი, რაც გვაინტერესებდა, იმაზე არაფერი გვითხრა. შეუძლებელია, რაღაცა მაინც არ იცოდეს, ყურმოკვრით მაინც.

– ჰო, მაგარი შებერტყილი ჩანს... ეგ სადალაქო კლუბივითა აქვთ, ათასი ვინმე ტრიალებს იქა და მაინც ალბათ არც არაფერი იცის; კაცს რომ ქაქრია ერქმევა, მეტი რა უნდა მოსთხოვო. დრო ტყუილად მაინც არ დაგვიკარგავს, ეს ერთი საქმე მაინც მოვითავე, თუმცა, შემძლო, არ მეჩქარა – ამ ზამთარში თმის შეკრეჭვა სულ არ იყო აუცილებელი.

კარი VIII.

ხარიტონ ხორავა – ხარაზი, თვითნასწავლი მხატვარი

აგაბო დათვიბადაძემ და ლაშა დამურაულმა გრძელ გარაჟს შემოუარეს და ქუჩის მხრიდან ღია კარს მიადგნენ. აქ შეჩერდნენ: სახელოსნოს კარს ზევით დახატულია პირდაფრენილი ფეხსაცმელი; არაფერი ეწერა, ისედაც მიხვდებოდი, ვინ გეპატიჟებოდა შიგ შესასვლელად.

– ნადლი მხატვრის დახატულია! – წამოიძახა დათვიბადაძემ.

- ჰო, ვან გოგის დახატულს ჰგავს, - კვერი დაუკრა ლაშამ.
- კიდევ უფრო განცვიფრდნენ ისინი, როცა რკინის ცალ გაღებულ კარში შევიდნენ - სამი მხრივ კედლებზე უამრავი მცირე ზომის სურათი ეკიდა, რამდენიმე კი საშუალო ზომისაც იყო.
- გამარჯვება! ხარიტონთან მიგვასწავლეს, თქვენ ბრძანდებით?
- დიახ... - თავი ასწია დაბალ სკამზე მჯდომმა შუახნის, ბრგე ტანის კაცმა, ხშირ, ხვეულ თმაში ჭაღარა რომ გამოჩნდებოდა; სათვალის ზემოდან მოსულები შეათვალიერა. - გაგიმარჯვოთ, რა გნებავთ?
- მე გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძე ვარ, მაინტერესებს, რაიმე თუ იცით ამას წინათ რომ მკვლელობა მოხდა... თქვენ რა გვარი ბრძანდებით?
- ხორაგა... აქ ქუჩაში რომ ვიღაც შოფერი მოკლეს?
- დიახ, დიახ, გუშინწინ... იმ დღის შესახებ რას გვეტყვი?
- კი, გავიგე, მაგრამ არაფერი დამინახავს... იმ დროს აქ ვმუშაობდი. რას დაგინახავდი, ათასში ერთხელ თუ ავწევ თავს, სულ შესაკეთებელ ფენსაცემელს ჩავცქერი... თან, ცივა, კარების ცალ მხარეს ვადებ, ხომ ხედავთ, მე კი სიღრმეში ვზივარ, ხედვის არე ვიწრო მაქვს. იქ მერე რაღაც ყაყანი კი მესმოდა, მაგრამ არ გავსულვარ, სანქარო შეკვეთა მქონდა. ცოტა წელის ტკივილი მაწუხებს, წამოდგომა მიჭირს და თუ დიდი საჭიროება არაა, ვცდილობ, ზედმეტად არ გავიმიზეზო.
- სამწუხაროა... რა უჩინმაჩინის ქუდი ეხურა იმ მკვლელს, რომ ვერაფერს მოჰკრა თვალი? ძალიან გამოცდილი ვიღაცა ჩანს, ასე ვთქვათ, მაღალი კლასის პროფესიონალი. მაინც კმაყოფილი ვარ, რომ აქ სულ მთლად უნაყოფოდ არ შემოვსულვართ...
- გამომძიებელი და უბნის ინსპექტორი სახელოსნოს კედლებზე სურათებს ათვალიერებდნენ. გუაშის საღებავებით მუყაოსა და ქაღალდზე დახატული სურათები აშკარად არაპროფესიონალის მიერ იყო შესრულებული, მაგრამ სახვითი ხელოვნების მოყვარული გამომძიებლისთვის ცხადი იყო, რომ ნამუშევრებს ძალიან ნიჭიერი კაცის გამორჩეული, თვითმყოფი ხელწერა აშკარად ემჩნეოდა.
- ეს სურათები საიდან გაქვთ?
- ჩემი დახატულია.
- ძალიან კარგია, მომწონს... ეტყობა, ზღვაზე ხართ შეყვარებული - სულ მარინებია...
- მე სარფელი ვარ, ლაზი. იქ ვარ გაზრდილი...
- ეტყობა, ეტყობა... დიდი ხანია, იქიდან წამოხვედით?
- ორმოც წელზე მეტია - რაც სკოლა დავამთავრე.
- აი, ეს სურათი კი, ჩანს, მაგ ადგილიდან დაგინახავთ - ქუჩის ვიწრო მონაკვეთი... თავისებური ხელი გაქვთ. დიდი ხანია, ხატავთ?
- ათ წელზე მეტიც იქნება.
- ვინმემ გასწავლათ?
- არა, მე თვითონ... ერთხელ შემთხვევით ტრისტან ნისკარტაძის სარდაფში მოგხვდი და დაგინტერესდი. მანამდე იშვიათად ფანქრით რაღაცას ვჩხაპნიდი ხოლმე, ისე, ჩემთვის...
- ტრისტანმა რამე თუ გასწავლათ?
- არა, მე არაფერი მითხოვია. მერე ჩემი სურათები აქ რომ ნახა, სახელოსნოში, მითხრა, შენთვის სწავლა უკვე გვიანია, პროფესიონალი მაინც ვერ გახდები და ასე ჯობს, გააგრძელე, როგორც მუშაობ. რაღაც-რაღაცეებს მაინც ვსწავლობ და ახლა რომ ვუყურებ ჩემს ძველ ნახატებს, ცოტა სხვანაირად გამომდის.
- აქ სულ გუაშით შესრულებული სურათებია, ზეთი? ზეთის საღებავებით არ გიცდიან?
- არა, მე ესეც მაკმაყოფილებს. კი ვსინჯავდი, მაგრამ ზეთის საღებავები ძვირი ღირს, თანაც გუაშს უკვე მიჩვეული ვარ.
- შინაც გაქვთ სურათები?
- საკმაოდ ბევრი, მაგრამ შენახული მაქვს - კარადის უკან ვაწყობ: ცოლი შინ არ მაკიდებინებს, მეჩხუბება, კედლებზე არ ვნახო ისინი გაკრული, მტვრის ბუდეს გამიჩინო...
- აქ თითქმის მხოლოდ საზღვაო პეიზაჟებს ვხედავ...
- კი, მიყვარს... პეიზაჟების ხატვა მიყვარს, ზოგჯერ ნატურმორტებსაც ვაკეთებ.
- პორტრეტები?
- არა, პორტრეტები იმდენად არ მიზიდავს. რამდენჯერმე მთხოვეს და ვცადე პორტრეტის დახატვა, ისეთი ცუდი გამომივიდა, მეტი არ შეიძლება... მსგავსების დაჭერა მიჭირს. ამას კიდევ მოეგლება, სწავლისა და ვარჯიშის საქმეა, ხელს გაიწაფავ; უფრო ძნელია, პორტრეტი რაღაცით საინტერესო იყოს. პეიზაჟში ლაღად ვგრძნობ თავს, არაფერი მთრგუნავს.
- გამოფენაზე თუ ყოფილა თქვენი ნამუშევარი?
- კი, ერთი-ორჯერ იყო თვითნასწავლთა ჯგუფურ გამოფენებზე... ხალხური ხელოვნების მუზეუმმა შეიძინა ჩემი სამი ნამუშევარი, ისინი მუდმივ ექსპოზიციაშიც გამოფინეს.

- აქ თხუთმეტი სურათია, შინ რამდენი გაქვთ? სულ რამდენი ნამუშევარი გაქვთ შესრულებული?
- არ ვიცი, არ დამითვლია.
- მე მგონი, პერსონალური გამოფენის მოწყობასაც შეძლებთ... დიდი ხანია, ვარკეთილში ცხოვრობთ?
- თითქმის ოცი წელიწადია.
- აქაურობის ასახვა არ გიცდიათ?
- არა, მე ძირითადად წარმოდგენით ვმუშაობ... ეგ პატარა სურათი რომ აღნიშნეთ, - ხედი ჩემი სახელოსნოდან, - ასეთებს იშვიათად ვაკეთებ. სახლშიც მაქვს აქაურობის ამსახველი რამდენიმე სურათი. ძალიან შეიცვალა ყველაფერი. მე რომ აქ საცხოვრებლად ვადმოვედი, აი, ამ გზის მაგივრად პატარა, მაგრამ საკმაოდ ღრმა ხევი იყო, ნაგავსა ვყრიდით შიგა... ნაპირებზე მინდორ-ველები იყო, საქონელი დაიარებოდა, ვენახების ნარჩენები ჩანდა, აქა-იქ ვაზი ისხამდა კიდევცა. მერე ეს ხევი ამოავსეს, გზა გაიყვანეს. ნეტა ვინ მოიფიქრა აქ კორპუსების აშენება, შიგ შუაგულ ვარკეთილის მევენახეობის მეურნეობაში? არ ვუფრთხილდებით მიწას, არ ვიცით მისი ყადრი...
 - ვარკეთილის მევენახეობის მეურნეობა იყო აქა?
 - ჰო, მაშინ მართლა ეკადრებოდა ვარკეთილის სახელი.
 - ნეტა ვის მოუვიდა აზრად ასეთი ლამაზი სახელის შერქმევა?
 - ეჰ, რაც აქ ახლა აქა ხდება... სხვაგანაც, რა თქმა უნდა - ლოთობა, ნარკომანობა, ქურდობა... აგერ ახლა - მკვლელობა... წინა დროს, ათი-თხუთმეტი წლის წინათ, ასეთი მკვლელობა ბევრად ხშირი იყო, გასაჭირიც მეტი იყო, მაგრამ, ახლა, რა ვიცი, ისევ ბევრი გაჭირვებულია, ძალიან ბევრი. სადამოსპირს შინ რომ მივდივარ, გული მიკვდება - სანაგვე ბუნკერებში მოხუცი ხალხი და შუა ხნისიცა, ჯოხით იქექება - ბოთლებს ალაგებს ტომარაში ჩასაბარებლად, საჭმელს ეძებს, მინახია, იქვე ჭამს კიდევც... ვერ გეტყვით, როგორი საშინელი გრძნობით ვივსები, როცა ასეთ სურათს ვხედავ.
 - ამ სიცივეში როგორ ძლებთ?
 - შიგადაშიგ ელექტროქურას ვრთავ... აბა, რა ვქნა, ეს გარაჟი ბეტონის ბლოკებით არის აშენებული, გავიყინები. ყავასაც მაგაზე ვადუღებ, დღეში სამ-ოთხჯერ. ხომ არ გნებაგთ? ხუთ წუთში მზად იქნება, ჭიქებიცა მაქვს.
 - არა, დიდი მადლობა... ეს გარაჟი ვისია?
 - რაჟდენის, მე დაქირავებული მაქვს. ორად არის გაყოფილი, ქუჩის მხარეს მე ვარ, უკან რაჟდენი აყენებს მანქანას. ადრე ორი მანქანა ჰქონდა, ერთი მისი, მეორე - ბიჭისა, მერე ბიჭის მანქანა გაყიდა და ეს ნაწილი მე მომაქირავა.
 - ლაშამ საქალაქში ჩაიხედა:
 - რაჟდენ მეჭეჭაშვილისა № 150 სახლიდან?
 - გვარი არ ვიცი, სახელად კი ნამდვილად რაჟდენი ჰქვია, მის ბიჭს - გივი.
 - თქვენ სად ცხოვრობთ?
 - ახლოს... გვერდით, აი, იქით რომ დიდი კორპუსია - 152 ნომერი.
 - თუ შეიძლება, რომ შეგაწუხოთ და თქვენი სხვა სურათები დავათვალიეროთ? დიდად დავადებთ პატივს... არა, ახლა არ არის აუცილებელი, როდესაც სამაგისო დროს გამონახავთ, - დაამატა აგაბომ, როცა შეატყო, ხარიტონმა სკამიდან წამოდგომა დააპირა.
 - სწორედ ახლა ვაპირებდი შესვენებას, - თქვა ხარიტონმა და სათვალე მოიხსნა. - ახლა წამობრძანდით, მაინც შინ ვაპირებდი წასვლას.
 - როგორ შეგაწუხოთ...
 - რას ბრძანებთ, თქვენ დაკავებული ხალხი ხართ და სხვა დროს იქნებ ვეღარც მოახერხოთ ჩემი სურათების ნახვა.

* * *

№ 152 კორპუსი ისეთივე იყო, როგორიც № 150, ოღონდ ორჯერ უფრო გრძელი, და კვარტლის სიღრმეში იყო განთავსებული, გამზირიდან უფრო მოშორებით, ფოთოლგაძარცული ხეებითა და რამდენიმე ფიჭვის ხით გარშემორტყმული.

ლიფტით მეოთხე სართულზე ავიდნენ და იქიდან მესამე სართულზე ფეხით ჩამოვიდნენ, რადგან ხარიტონ ხორავას ცალი ფეხი არ ჰქონდა და ყავარჯნებით კიბეზე ასვლა უჭირდა.

მათ კარში ხნიერი, ლურჯთვალება ქალი შემოეგებათ, რომელსაც სახეზე წარსული სილამაზის კვალი აშკარად შერჩენოდა.

- ეს ჩემი მეუღლე გახლავთ - ლაჟვარდა, ხომ კარგი სახელია?

– დიახ, დიახ, შესანიშნავია, გამარჯობა, მოხარული ვართ თქვენი გაცნობით! – აგაბო დათვი-ბალაძეს აშკარად მოეწონა მასპინძელი ქალბატონი, რასაც მისი გუღლია, კმაყოფილი ღიმილიც მოწმობდა; ლაშამაც მოწიწებით ხელი ჩამოართვა ლაჟვარდას და ყველანი სასტუმრო ოთახში შევიდნენ. აქ უკვე გაწყობილი სუფრა დახვდათ, ოღონდ ორი ადამიანისთვის; ქალბატონმა ლაჟვარდამ ქმარს უსაყვედურა, რატომ არ შემატყობინე, თუ სტუმრებს მოიპატიუებდიო და მაშინვე სამზარეულოში გავარდა.

ხარიტონმა მეუღლის საყვედურზე მხოლოდ გაიღიმა და სტუმრებს მიმართა:

– გთხოვთ დაბრძანდეთ... ჯერ პატარა წავისაუზმოთ, თუმცა სადილობის დროა, და შემდეგ სურათების ნახვის ჯერიც მოვა.

ქურთუკები გაიხადეს და მაგიდას შემოუსხდნენ.

– თქვენს მეუღლეს კილოზე ეტყობა, რომ ქართველი არ არის... – კითხვის გამომხატველი იერით მიმართა დათვიბალაძემ ხარიტონს.

– წარმოშობით ქართველია, გვარად კეცხოველი. ამ ოცი წლის წინათ მე რომ ცოლად გამომყვა, ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული, სახელიც სხვა ჰქონდა – ნადეჟდა.

– საინტერესოა...

– ჰო, ლაჟვარდა ჩემს ცოლს მე დავარქვი. ეგ გრძელი ამბავია... თუ არ გექჩარებათ, მოკლედ მოგახსენებთ.

– გთხოვთ, დრო გვაქვს.

– მე რომ ციმბირში გადამასახლეს, იქ ხე-ტყის დამზადებაზე მამუშავებდნენ და ნადეჟდაც იქ მუშაობდა, – კოლონიაში, ექიმად. მისი ქმარიც ექიმი იყო, – სამხედრო ექიმი, – ოღონდ სამხედრო ნაწილში... ნადეჟდას გვარი რომ გავიგე, ვუთხარი: “ქართველი ქალი აქ საიდან მოხვლით-მეთქი”, მას გაუკვირდა: “არ ვიცოდი, თუ ჩემი გვარი ქართული იყო, მეგონა, იტალიური არისო”, – მითხრა. ეს ფეხი იქ დაგვარგე, კოლონიაში, – ხე დამეცა, თან ისე მარცხიანად, რომ მუხლიანად ქვემოთ ერთიანად მოსპო ყველაფერი. საავადმყოფოში ნადეჟდას ძალიან დავუშეგობრდი, ძალიან მომწონდა, მაგრამ არაფერი მიგრძნობებია – ამ ცალფეხა კაცს რისი იმედი უნდა მქონოდა, თან – ქმარიც ჰყავდა. ხშირად ვსაუბრობდით, იმ რამდენიმე თვეში ნელ-ნელა ერთმანეთის ყველაფერი გავიგეთ. მე სოფელში ცოლი მყავდა დატოვებული და ორი შვილი; მომწერეს: “ცოლი შენთან განქორწინდა და მეორედ გათხოვდაო”... გავიგე ნადეჟდას ამბავიც: სვერდლოვსკის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას სამხედრო ექიმს გაჰყვლია ცოლად, ერთი ქალიშვილი შესძენიათ... მერე, ხან სად ცხოვრობდნენ, ხან – სად, მოგახსენეთ – ქმარი სამხედრო ექიმი იყო; ერთი წლის წინათ მათი ქალიშვილი 18 წლისა გათხოვილა ვიღაც ოფიცერზე, იქიდან წასულა და მას მერე მშობლებმა აღარ იცოდნენ, სად იყო, რას აკეთებდა... არც წერილს იწერებოდა, არც არაფერი, მოკლედ, დაიკარგა. საავადმყოფოდან რომ გამოვედი, მძიმე სამუშაო აღარ შემეძლო, დავიწყე ფეხსაცმელის შეკეთება – ჯერ შეგირდად ვიყავი, მერე ჩემს მასწავლებელს წნევამ დაარტყა, მარჯვენა ხელს ვეღარ ხმარობდა და მთელი საქმე ჩემზე დარჩა. ნელ-ნელა გავიწაფე, მოვიდა ჩემი განთავისუფლების დროც... ამ დროს ნადეჟდას ქმარი მოუკვდა – მაგრად დამთვრალა და დილით ქუჩაში ნახეს განჩინებული, მთლად ყინულად იყო ქცეული. მე ვუთხარი, ძალიან მომწონხარ და თუ მიკადრებ, წამომყევი საქართველოში, შენი წინაპრების ქვეყანაში-მეთქი... ჩამოვედით და სოფელში რა უნდა შეკეთებინა ხეიბარ კაცს, ჰოდა, იქ რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ, მერე წამოვედით თბილისში... ასე მოხდა ეს ამბავი.

ამასობაში ლაჟვარდამ ტაფამწვარი, მუავე კიტრი, ორი ბოთლი ღვინოც შემატა სუფრას და თვითონაც მათთან დაჯდა; ხარიტონმა ორი ქილა თევზის კონსერვიც გახსნა და ღვინო ჭიქებში ჩამოასხა.

– ბოდიშს ვიხდი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღვეა არ შემიძლია! – განაცხადა ვაჟა ღამურაულმა.

აგაბო დათვიბალაძემ ჭიქა ასწია:

– ჩემო ვაჟა, თითო ჭიქა რომ არ დავლიოთ და ეს ოჯახი არ დავლოცოთ, არ შეიძლება...

ნახევარ საათში სუფრიდან წამოიშალნენ, და, სანამ სტუმრები და მასპინძელი აივანზე იყვნენ გასულები სიგარეტის მოსაწევად, – მათ შორის მხოლოდ აგაბო დათვიბალაძე არ ეწეოდა, – ლაჟვარდამ სუფრა სწრაფად ააღაგა, შემდეგ კი სურათები გამოიტანა. ამის გასაკეთებლად კი ბევრჯერ მოუწია ოთახიდან გასვლა.

– რამდენი გიმუშავიათ, ასამდე სურათია! – გაკვირვებულმა წამოიძახა აგაბო დათვიბალაძემ.

– ასი არა, მაგრამ სამოცამდე კი იქნება; სამი თუ ოთხი ამდენი გაჩუქებული მაქვს... – თქვა ხარიტონმა. იგი სავარძელში იჯდა და უყურებდა, დანარჩენები როგორ ალაგებდნენ უჩარჩო სურათებს კედლებთან, დივანზე, ტელევიზორთან...

– ბევრი ადამიანი გაგიხარებიათ! – წამოიძახა აგაბო დათვიბალაძემ, – თქვენც ბედნიერ კაცად ჩაითვლებით – ეს არის ბედნიერება!

– სხვათა შორის, ერთი სურათი, რომელსაც გამორჩეულად ვაფასებდი, სარდაფში ტრისტან ნისკარტაძესაც მივუტანე საჩუქრად. “ოჰ, შენ დიდი მხატვარი ხარ, ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, მე შენთან შედარებით არაფერი ვარ!” და რაღაც ასეთები დაახვავა...

– საპასუხო საჩუქარი თუ გაიმეტა?

– კი, თავისებური საჩუქარი მართლაც არ დაიშურა... რამდენიმე ხანში ჩემმა ცოლმა ის სურათი აქ, სახელოსნოში მომიტანა და მეკითხება: “ეს ხომ შენი დახატულია?”. “კი-მეთქი, საიდან გაქვს?”. თურმე სანაგვე ყუთში უნახავს ნაგავის გადაყრისას...

– ძნელი დასაჯერებელი ამბავია... – თავი გააქნია დათვიბალაძემ. – იმ დღეებში, თუ თქვენი სურათი არ მოსწონდა, ის მუყაო მაინც გამოყენებინა, ზევიდან თავისი რაღაც გაეკეთებინა...

– არა, ეგ მხოლოდ ტილოს ხმარობს – მუყაო იაფფასიანი მასალაა და მასზე გაკეთებულ სურათს ნაკლები ფასი აქვს... თანაც, გუაშის ზემოდან ზეთის საღებავები როგორ გაჩერდებოდა, არ ვიცი.

– არა, მე მგონი, აქ სხვა ამბავშია საქმე, – თქვა დათვიბალაძემ, – ნისკარტაძეს აღიზიანებდა თქვენი სურათი, გრძნობდა მის სიძლიერეს... და მოიშორა თავიდან, ხელს უშლიდა მუშაობაში!

– რაღას აგდებდა, ვინმესთვის მიეცა, – გაუკვირდა დამურაულს.

– არა, მისი მოსპობა უნდოდა, რომ მისი კვალი წაშლილიყო. სულ მუდამ ემახსოვრებოდა, სხვასთან რომ იქნებოდა ის სურათი, ეს ფსიქოლოგიურად აეკვიბებოდა და თავიდან ამის აცილება მონდომდა... აქ გაქვთ ის სურათი? – მიმართა ხარიტონს.

– აი, ეს გახლავთ... კიდევ კარგი, ჯერ არ იყო იმდენად დასვრილი; გუაშის ნამუშევრის გაწმენდა თითქმის შეუძლებელია, გაითხაანება. მხოლოდ აქა-იქ მომიწია ოდნავ ფუნჯის წაკვრა, მეტი არაფერი.

– რა ჰქვია ამ სურათს?

– “ნადური”. ჩემი სოფლის გახსენებაა... თითქმის ყველა სურათი ასე მაქვს დახატული – უცებ, სრულიად მოულოდნელად ბავშვობიდან გონებაში ჩარჩენილი რაღაც გამახსენდება და ვერ მოვისვენებ, სანამ სურათად არ ვაქცევ.

სურათზე გამოსახული იყვნენ ჭრელ კაბებში გამოწყობილი ქალები, რომლებიც ჩამწკრივებულნი იყვნენ დაბარულ მინდორში და სიმინდს თესდნენ; მარცხნივ მოჩანდა მალა აზიდული ხუჭუჭა ტყით შემოსილი, მომწვანო-მოდურჯო პონტოს მთები, მარცხნივ კი – აზავებულ-აზვირთებული ზღვა. ზღვის სიღრმეში, თავისებურად დახვეულ-დახუჭუჭებულ ტალღებს შორის, მიცურავდა თეთრი გემი.

– ეს მართლა შედეგია! – წამოიძახა დათვიბალაძემ. – შეხედეთ, როგორი თავისებური ხელი აქვს – ასეთივე დამახასიათებელი ჩახვეული ტალღებია სხვა სურათებშიც. ძალიან პირობითად არის გადმოცემული ხეებიც, ადამიანების ფიგურებიც, გემებიც და ძალიან დამაჯერებლად...

– მეც ძალიან მომწონს... ნისკარტაძემ რატომ ვერ იგუა? – იკითხა ლაშა დამურაულმა.

– მხატვრებისას რას გაიგებ... სხვისი, განსხვავებული მიდგომა, ხედვა ბევრს აღიზიანებს და აგრესიულადაც კი განაწყობს. – მერე ხარიტონს შეეკითხა: – აი, ამ “ნადურში”... ასე რომ გააკეთეთ – ეს ქალები აქა, აქა და აქა, აქა კიდევ ეს ზღვა და აქეთ – მთები... ყველაფერი ეს წინდაწინ გაქონდათ გააზრებული? საერთოდ, სურათის ხატვის დაწყებამდე რაიმე ჩანახატებს აკეთებთ?

– არა, გამახსენდება რაღაცა, ვიღაც მუყაოს ნაჭერს და მაშინვე ვიწყებ მუშაობას.

– როგორც ფიროსმანი! – წამოიძახა ლაშამ.

– ესე იგი, ინტუიციას ხართ მინდობილი...

– ჰო, ფერებსაც წინდაწინ არ ვარჩევ. რომ დავიწყებ ხატვას, მერე თავისით მოდის, რა ფერები უნდა ვიხმარო, სად, როგორ... ამაზე ადრე არ ვფიქრობ.

– ამიტომ გამოვლით სურათები ასეთი ემოციური... ხედავ, რომ აშკარად პირობითი სივრცეა, ეს ფიგურებიც, ზღვაც, მთებიც უცნაური ხერხებითაა გადმოცემული... მაგრამ ეს პირობითობა დამაჯერებლობას ხელს არ უშლის, პირიქით – ცხოველ აღქმას იწვევს!

– ყველას არ მოსწონს, მეუბნებიან, თამაშობო, ამახინჯებო... ახლა ცოტა სხვანაირად გამომდის, ესეც თავისით გამოვიდა ასე, მე კი არ მინდოდა.

– ყველას მოსაწონი ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულა.

– მე ძალიან მომწონს და სხვებისა არ ვიცი! – ჩაერთო საუბარში ლაშა.

– ნამდვილად გამორჩეული ნიჭის პატრონია ამ სურათების შემქმნელი... – გააგრძელა დათვიბალაძემ – ასე რომ გააკეთო, ასეთი რამ შექმნა – ამას ვერ ისწავლი, ამის უნარი რომ გაქონდეს, ბუნებამ უნდა დაგაბერტყოს თავისი კალთა... ცოტა მაღალფარდოვნად კი გამომივიდა ნათქვამი, მაგრამ ნადლია.

ხარიტონი ფრიად გახარებული იყო, მისი ხელოვნებას რომ ასეთი ყურადღებითა და გულწრფელი მოწონებით შეხვდნენ, ლაშასა და აგაბოს შესთავაზა:

- თქვენ ისე გამახარეთ, რომ თითო-თითო სურათი უნდა გაჩუქოთ... ამოირჩიეთ, რომელს რომელიც მოეწონება!
- სტუმრები განცვიფრებულნი არიან, აგაბომ წამოიძახა კიდევ:
- ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს... ჩვენთვის ძალიან ძვირფასი საჩუქარი იქნება, არ გენანება?
- რას ბრძანებთ, თქვენი კეთილი სიტყვების შემდეგ ისეთი ბიბი მომეცით, რომ იმ სახელოსნოს საერთოდ დავანებებ თავს და მთლიანად ამ საქმეს მივხედავ!
- მერე, რით უნდა იცხოვროთ?
- უკვე 65 წლისა ვარ და მაინც ვაპირებდი ამის გაკეთებას – წელის ტკივილები მაწუხებს, ჯანს ალარ მომდევს... ორნი ვართ, ჩემს მეუღლესაც პენსია ექნება და როგორმე გავიტანთ თავს. ბოდიშს ვიხდი, რომ ასე გატანთ...
- ეგ არაფერი, შესაფერის ჩარჩოს ჩვენ თვითონ ვიშოვით. ძვირფასი საჩუქარია, არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა...

* * *

- როცა ქუჩაში გამოვიდნენ, ხარიტონის დაკეტილი სახელოსნოს წინ მოუწიათ გავლა და ისევ შეავლეს თვალი კარის თავზე დახატულ პირდაფრენილ ფეხსაცმელს.
- რა უბედურებაა ამხელა გარაჟი, დანარჩენებზე ორჯერ მეტია სიგრძით... დიდი ხარბი ვიღაცა ჩანს ეგ მეჭეჭაშვილი, – ამბობს ლაშა დამურაული.
 - ეს ფეხსაცმელი საოცრად ექსპრესიულია, ღირს მისი ჩარჩოში ჩასმა, ძალიან ემოციურია, ჰა, მეთანხმები?...
- ნამდვილად... მოხუცი ფეხსაცმლის პორტრეტი!
 - ხორავა კი ამბობს, რომ პორტრეტებს იშვიათად ვხატავო, მაგრამ ამ ფეხსაცმლის გვერდით შეეძლო გარაჟის პატრონის პირდაფრენილი პორტრეტის მოთავსებაც, – იცინის აგაბო დათვიბალაძე.
 - საიდან ჩნდებიან ასეთი მომხვეჭელები? – უკვირს ლაშა დამურაულს. – როგორ იბადებიან? შენ – ორი გარაჟი, სხვას – ერთიც არა?
 - ასეთი არც ისე ცოტაა... ყოველი ადამიანი იბადება მომხმარებლად – ეს უნდა, ის უნდა, ათასი რამის მოთხოვნილება აქვს. ამავე დროს ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიც არის, ესე იგი, მან უნდა იღვაწოს სხვებისთვისაც, უშურველად გასცეს... აი, მე და შენ ხორავამ სურათებით დაგვა-საჩუქრა, ბევრი მხატვარი, ფრიად შეძლებულიც, არ იხამდა იგივეს. “რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია”, – დიდი შოთა ბრძანებს, მაგრამ ყველა კი არ მისდევს ამ ბრძნულ მცნებას. ადამიანები იმითაც განვსხვავდებით ერთმანეთისგან, როგორი თანაფარდობაა იმას შორის, რაც შენთვის გინდა და რასაც სხვისთვის აკეთებ...
 - მთელი ფილოსოფიაა...
 - რუსთაველი დიდი ფილოსოფოსიც იყო, ისე დიდი პოეტი ვერ იქნებოდა. ფილოსოფოსები ჭკვიანი ხალხი იყო, მაგრამ ცხოვრება ზოგჯერ სულ სხვაგვარად განსჯის ხოლმე – პირად ან საზოგადო ინტერესს შელახავენ – და საბრალდებო სკამზე აღმოჩნდებიან ხოლმე... ფილოსოფოსებიც აღმოჩენილან დილემაში დამწყვედეულნი, ამის უთვალავი მაგალითი არსებობს და უარესიც მომხდარა: სოკრატემ დალია ციკუტიანი ფიალა, სენეკამ ვენებო გადაიჭრა. ბოვეიუსი აწამეს და მოკლეს, ერიუგენას, სავარაუდოდ, მოწაფეებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე, ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს... საოცარი რა არის, იცი? ფილოსოფოსები ხომ ცხოვრებას თითქოს ფილოსოფიურად უყურებენ, ცივი გონებით, ემოციების გარეშე, მხატვრები კი პირიქით – გრძნობის ხალხია, უდიდეს განცდას დებენ ყოველი ნამუშევრის შექმნაში... ბოლოს კი რა გამოდის? მხატვრები ფილოსოფოსებზე ბევრად სიცოცხლისუნარიანი არიან! სულ თითზე ჩამოსათვლელია ფილოსოფოსები, რომლებმაც 80 წლის ასაკს მიაღწიეს, მხატვრები კი შესაშური დღეგრძელობით გამოირჩევიან. პიკასომ, შაგალმა, სარიანმა 90 წელზე მეტ ხანს იცოცხლეს... დასკვნა: თუ გინდა დღეგრძელები იყო, ნელთბილად კი არ უნდა იცხოვრო, შრომაში თავი არ უნდა დაზოგო, არც გრძნობათა დუდილს უნდა გაექცე...
 - მივიდნენ № 150 სახლთან და დიდი ფიჭვის ქვეშ მაგიდასთან ჩამოსხდნენ; აკადემიკოსებიცა” და “პროფესორებიც” იქ აღარ იყვნენ, მხოლოდ დომინო და ნარდი კი დაეტოვებინათ – ალბათ შუადღის შესვენება გამოაცხადეს.
 - აგაბო დათვიბალაძემ განაგრძო ფილოსოფოსობა სიკვდილ-სიცოცხლის ანუ გადარჩენის ფილოსოფიის შესახებ:
 - ყოველი ცოცხალი არსება ჩართულია განუწყვეტელ ბრძოლაში არსებობისთვის, შთამომავლობის დატოვებისთვის. ავიღოთ მარტივი მაგალითი. ტყეში დგას ფიჭვი, აი, ამ ჩვენი ფიჭვის მსგავსი, გარს ახვევიან მტერ-მოყვარენი და, ერთი შეხედვით, ნეიტრალური არსებები, მაგალითად, მგლეზბი, ციყვები, ბალახბულახი, სოკოები... ციყვი მთლად ნეიტრალურიც არ არის, მის გირჩას რომ წაი-

დებს და იქიდან თესლს იღებს, ის თითქოს მტერია – თესლს მიირთმევს, რომლიდანაც, შესაძლებელია, ახალი ფიჭვი აღმოცენებულიყო, მეორე მხრივ კი, რამდენიმე თესლი დაუდევრობით დაეკარგება და იმ თესლიდან, თუ ხელსაყრელ პირობებში მოხვდა, მიწიდან ახალი ფიჭვი დაიბადება... მტრები – ახლოს მყოფი ფიჭვებია, მიმდინარეობს ბრძოლა მზის სხივებისთვის, სინათლისთვის, მიწისთვის – ფესვებით, ტოტებით იბრძვიან... ასევეა ადამიანიც: ყველაზე დიდი მტერი და ყველაზე დიდი მეგობარი ადამიანისთვის ისევე ადამიანია... ადამიანს მეგობრები ცოტა ჰყავს, მტრები – ბევრად მეტი...

– სხვათა შორის, ძალიან მაინტერესებს, ხორავა რა დანაშაულისთვის გააციმბირეს... – ლაშა დამურაული საგულდაგულოდ ათვალიერებდა მხატვრის მიერ ნაჩუქარ სურათს. – შეკითხვას ვაპირებდი, მაგრამ მომერიდა და ახლა კმაყოფილი ვარ, რომ არაფერი ვუთხარი.

– ერთი რამ მიკვირს: შენ უბნის ინსპექტორი ხარ და არ იცოდი, რომ აქ, მეწადის სახელოსნოში, მთელი სამხატვრო გალერეა ყოფილა?

– აქ სულ რამდენიმე თვეა, რაც ვმუშაობ, ყველაფრის ნახვა ვერ მოვასწარი.

– აწი, იმედია, თუ ფენსაცმლის შეკეთება დაგჭირდება, აუცილებლად ხარიტონს მიაკითხავ. მხატვარი კაცის შეკეთებული ფენსაცმელი მაინც სულ სხვა შესახედავი იქნება.

– ეგ ვეღარ მოხერხდება – ხომ თქვა, რომ ხარაზობისთვის თავის დანებებას აპირებს.

– იცი, ხარიტონისთვის მე რის კითხვას ვაპირებდი? მხატვრული ფენსაცმლის შეკერვა ხომ არ უცდია? ქვეყანა გაივსო უნიჭო დიზაინერებით, საზღვარგარეთაც კი აწყობენ გამოფენებს, არიან ერთ ამბავში... ნეტა იქ რაღამ გადარიათ?

კარი IX.

ბინა № 6. მართა გაბმულაძე – № 150 სახლის თვალი და ყური

2 მარტს გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძე და უბნის ინსპექტორი ლაშა დამურაული შეუდგნენ წინდაწინ დაგეგმილ საქმიანობას – მეთოდურად უნდა შემოიარონ № 150 სახლის ორივე სადარბაზოს მეოთხე-მეხუთე სართულებზე მდებარე ყველა ბინა, გაესაუბრონ მაცხოვრებლებს მათთვის საინტერესო საკითხზე... შეუძლებელია, ვინმეს არ შეემჩნია – მკვლელობის დროს რა და როგორ იყო, უკიდურეს შემთხვევაში, ირიბი რაღაც გარემოება მაინც; როცა თითქმის სრული არარსებობაა ინფორმაციისა მკვლელობის გარემოებათა შესახებ, ყოველი წვრილმანი ძვირფასია.

– ბატონო აგაბო, აგერ ჩამოწერილი მაქვს ამ სახლის ორივე სადარბაზოს ოჯახები – მესამე-მეხუთე სართულებზე მცხოვრებნი. ისედაც გეგმაში მქონდა ჩემს სამოქმედო უბანზე ყველა სახლის ჩამოვლა და ერთი კვირის წინათ დავიწყო კიდევ. რამდენიმე სახლის მონახულება უკვე მოვასწარი – უნდა ვიცოდეთ, ვინმეს რაიმე პრობლემა ხომ არ აწუხებს, დახმარება ხომ არ სჭირდება...

– ძალიან კარგი, საქმეს ახლავე შევუდგეთ... დიქტოფონი მზად გაქვს?

– დიახ. დავიწყოთ პირველი სადარბაზოს მეოთხე სართულიდან... არა, ჯობს, ჯერ სახლის რწმუნებულთან, მაშო ხშირულგაშაძესთან მივიდეთ, გავესაუბროთ... თუმიცა... ბატონო აგაბო, შემიძლია, ნაძღვეს ჩამოვიდეთ, რომ მანამდე მართა გაბმულაძესთან შეხვედრას ვერ ავცდებით!

– ვინ არის ეგ ქალბატონი?

– ვიაროთ და გზა-გზა გიამბობთ... ეგ უცნაური ქალბატონია, ყველა დეიდა მართას ეძახის – პატარა ბავშვიც და მართაზე დიდებიც. ყველაფერი იცის, საიდან, როგორ? აი, გამოცანა! ნათელ-მხილველი ხომ არ არის?

– კიდევ კარგი, ნათელმხილველებისა არა მჯერა, თორემ სამსახურს დაგკარგავდი! – გაიცინა დათვიბალაძემ. – მართლა ყველაფერი იცის?

– უცნაური ამბავი მიაბმეს... მოგეხსენებათ, იყო დრო, როცა ტელევიზიით თითქმის ყოველდღე აცხადებდნენ: “თბილისში ავტომანქანების რამდენიმე სადღეღამისო სადგომი შეიარაღებულ პირთა თავდასხმების გამო დროებით უქმდება და მანქანათა მფლობელებს ვთხოვთ, საჩქაროდ გაიყვანონ მათი კუთვნილი მანქანები”. № 150 სახლის მაცხოვრებლებს მათი კუთვნილი მანქანები ღამე ავტომანქანების დაცულ სადგომზე კი არასდროს მიჰყავდათ, ყოველთვის ამ სახლის ეზოში ეყენათ და არ შინებიან მათი გატაცებისა ან გაპარცვისა. მიზეზი მარტივი გახლდათ: მათ ჰყავდათ იშვიათი თვისებებით შემკული მეზობელი – მართა!

– ღამით ახლა ყველა ეზოში აყენია მანქანები, მოპარვის აღარ ეშინიათ.

– ღიახ, მანქანების ქურდობა თითქმის მოისპო და ავტოსადგომზე დღე-ღამეში 2 ლარის გაღახდა ძვირი სიამოვნებაა...

– კიდევ გეკითხები: ვინ არის ეგ მართა?

– მართა ცალუღელაშვილი სამოცდაათ წელს გადაცილებული ერთი ქალია – შვილთაშვილე-ბიც ჰყავს... ისე კი, მაგარი ქალია. მამალი ქალია, აბა რა, სამი ლომივით ვაჟკაცი მარტომ გაზარდა – როცა ქმარი 1941 წელს ომში წავიდა და აღარც დაბრუნებულა, სამი შვილის დედა – მართა – მაშინ მხოლოდ ოცდაერთი წლისა ყოფილა... ახლა მარტო ცხოვრობს მეორე სართულზე. რამდენსაც აქეთ გავივლი, ერთსა და იმავე სურათს ვხედავ: გადმოყუდებულია ლოჯიის ღია ფანჯარაში და, როგორც მისი მეზობლები ხუმრობენ, ალბათ საგანგებო რეჟულიც აქვს, სადაც ყოველი მეზობლის წასვლა-წამოსვლის აღრიცხვას აწარმოებს... აგრეთვე: ვინ ვის ესტუმრა, ვინ რა შეიძინა, ვისთან დადის საყვარელი, რომელ ოჯახშია ყოველდღე ჩხუბი, მერამდენედ მოვიდა მთვრალი ამ თვეში მისი კარის მეზობელი, ცნობილი ღოთი, მსახიობი ბერდია ხამხამაძე და ასე შემდეგ...

– მარტო რატომია? აკი სამი ვაჟკაცი გაზარდაო...

– ქალების ამბავი არ იცით? რძეებიდან არცერთს სდომებია მართასთან დარჩენა, უმცროსი ვაჟის ცოლმაც მიზეზად ის დაიხვია თითზე, ვიწროდ ვართო.

– გადაჰყვივი ახლა შვილებს.

– დატოვეს მარტო. მეზობლებს კი აღიზიანებს მისი მარადი ყოფნა “პოსტზე”, მაგრამ მაინც უყვართ, – ეტყობა, კეთილია და არა მხოლოდ იმის გამო, რომ რამდენჯერმე მეზობლების მანქანები გაძარცვას თუ გატაცებას გადაარჩინა. ერთხელ თურმე ღამის ორ საათზეც კი გაისმა მართას ყვირილი: “პაიტი, თქვე მამაბაღლებო, გადმოვიღო ერთი ჩემი ანდროს სანადირო თოფი! კახა, მომწოდე, ჩქარა!” – დაუძახა იმხანად მასთან სტუმრად მოსულ და ღამის გასათევად დარჩენილ შვილიშვილს. ახლაც, ზამთარში, ყოველ დილით დადარაჯებულია: თავისი ლოჯიის ფანჯრები ამ სიცივეშიც მთელი დღე ღიაა აქვს, ზის იქ და ეზოში ვინც გინდა, გაიარ-გამოიაროს, აუცილებლად შეეხმიანება... თუ მოახერხა, ხანგრძლივ საუბარსაც გაუბამს – მარტოხელაა, მონატრებულია დამლაპარაკებელს... მოკლედ, მაღლა ცაში ჩიტი ვერ გაიფრენს და მიწაზე ჭიანჭველა ვერ გალოდდება, თუ ქალბატონმა მართამ არ “დააფიქსირა”, როგორც ამ ბოლო დროს უყვართ თქმა, განსაკუთრებით – პოლიტიკოსებსა და პარლამენტარებს.

– მე რომ მკითხო, ამ სიტყვის წამდაუწუმ და თან უადგილოდ ხმარება ქართულს ნამდვილად არ შეეფერება. შენი აზრი უნდა გამოხატო, აღნიშნო, შენი შეხედულება საზოგადოებას უნდა გააცნო... აი, რამდენნაირად შეიძლება ითქვას. მეორე სიტყვაც აქეთ ამოჩემებული – “გაგიარეთ”. “ამა და ამ საკითხს გავივლით” – გაივლი რა, რუსთაველის გამზირზე კი არ გაისეირნებ! კი არ უნდა გაიარ-გამოიარო, უნდა განიხილო – საკითხი, დღის წესრიგი და სხვა და სხვა უნდა განიხილო! მართაზე კიდევ რას იტყვი, გარდა იმისა, რომ მანქანებს მარჯვედ დარაჯობს?..

– აღამიანებზე რაღა ითქმის – მართას ცნობისმოყვარე თვალებს რა გამოეპარება! “რატომ მიღიხარ ასე გვიან?” – უბოდიშოდ გეკითხება მეორე სართულიდან. “საიდან მოღიხარ?” – ამის გაგებაც სურს. “რა მოგაქვს?” – ქალისთვის ეს კითხვა ბუნებრივია და საპატიებელიც. “ვისთან იყავი?” – ხანდახან ძალიან ღრმად შესტოპავს ხოლმე. მეზობლებიდან ბევრს აღიზიანებს მისი ზღვაგადასული ცნობისმოყვარეობა, უნდათ, ერთი შეუღრინონ ან მასხრად აიგდონ, მაგრამ ისეთი ალაღი გამოხედვა შემოანათებთ, ისე დათაფლულად უღიმის, ენა პირში როგორ მოუბრუნდებათ მართას გასაკილად. თქვენც გაიცნობთ და დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში.

– მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა მხოლოდ ქალებს კი არა, ზოგიერთ კაცსაც ახასიათებს.

– არა, მართა ქალებშიც გამოჩენილია. თავისი სახლის მობინადრეთა ასავალ-დასავალი და ყოველივე წვრილმანი ხომ იცის და იცის, მეზობელი სახლების მცხოვრებთა ამბებშიც მეტ-ნაკლებად ერკვევა. ხომ სულ შინ ზის, ამ დასახლებაში კორპუსების ნომერი და განლაგებაც მთელ უბანში მისთვის უცნობი არ გახლავთ, საოცარია!

– შენ ხომ არ გჯობნის?

– საოცრებაზე მეტი საქმეც შეიძლება მოხდეს, თუკი ქალბატონი მართაა მასში გარეული... ერთხელ მისი კარის მეზობელი ბერდია ხამხამაძე დაბრუნდა თეატრიდან – ეს ამბავი ბერდიამ მიაბო – და მართამ ამცნო: “შენი ნათესავი იყო და თქვენგან შინ არავინ დახვდითო”. “ვინც ჩემთან იყო მოსული, კარგი ნაცნობია ჩემი, – უპასუხა ბერდიამ, – მაგრამ, ქალბატონო მართა, თქვენ შეცდით, ის ჩემი ნათესავი არ გახლავთ”. მართას თურმე გაუკვირდა: “ბერდო, როდის აქეთ დამიწყე კამათი, ნუთუ აქამდე არ იცოდი, ის კაცი შენ რაღაც გეკუთვნის? ნათესავია შენი, დამიჯერე!”. ბერდია განცვიფრდა: “ქალბატონო მართა, თქვენ მასწავლით, ვინ არის ჩემი ნათესავი და ვინ – არა?”. “ღიახ, გასწავლი! – არ დაუთმო მართამ. – მე შენი საყვედური არ მწყინს, ჩემო ბერდო, მხოლოდ ერთს გეტყვი: აბა ერთი, კარგად გაარკვიე, როგორ არის საქმე და მერე მითხარი, მე ვცდები თუ შენ!”.

ბერდიამ მართლაც გაიკითხ-გამოიკითხა ნათესავებში და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მართა სავსებით მართალი იყო!

– გამოვცადოთ, იქნებ მართლა ნათელმხილველია! – იხუმრა დათვიბალაძემ. – თუ გამაცნობ, მაღარიჩი ჩემზეა!

– მართა დეიდას გაცნობა ყველა ვარიანტში ისედაც არ აგცდებოდა!

– ძალიან კარგი, დაველაპარაკოთ... მიყვარს ადამიანებთან საუბარი, განსაკუთრებით – მოხუცებთან, მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით, ინფორმაციის მოსაპოვებლად კი არა, საოცრად საინტერესო საუბარი იციან, რას არ მოიგონებენ... ეს დეიდა მართა განსაკუთრებული ადამიანი ყოფილა და ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება მასთან მასლაათი.

– ასეა, ბატონო აგაბო, № 150 სახლის ბინადარი ამ ღირსშესანიშნავი პიროვნების შესახებ ბევრი სხვა საინტერესო რამის მოყოლა კიდევ შეიძლება. კარგა ხანია, ქალბატონ მართას სახელი მთელ უბანში გავარდა... მივედით კიდევ და ქალბატონ მართასაც ვხედავ... ლოჯიაში კი არ არის, უკვე ეხოშია.

მართლაც, დეიდა მართა ლაშა დამურაულს სადარბაზოს შესასვლელში შეხვდა, – ხანში შესული, ტანმორჩილი, ჩასუქებული ქალი იყო, მაგრამ მოძრავი; სათვალის იქიდან ცოცხალი, თაფლისფერი თვალებით მოსულები დაკვირვებით შეათვალიერა, – ეტყობა, ისინი თავისი შუშაბანდიდან დაინახა და მაშინვე ჩამოცუნცულდა ეხოში... ლაშას ძველი ნაცნობივით მიესალმა და შესჩივლა:

– ორი დღეა, წყალი არ მოდის! რა დროს წყალსადენის მილის გამოცვლაა?

– ქალბატონო მართა, აქ კანალიზაციის სამუშაოები ტარდება, წყალსადენთან ამას კავშირი არ აქვს. მესმის, თქვენ საკუთარი საწუხარი გაქვთ, ბოდიშს გიხდით, მაგრამ ჩვენ აქ ამის გასარკვევად არ მოვსულვართ, სხვა საქმეზე ვართ... თქვენ აქაურობის თვალი და ყური ხართ, დიდი იმედი გვაქვს თქვენი დახმარებისა. ეს გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძე გახლავთ, იმ საწყალი შოფრის მკვლელობის საქმის გამოძიება მას აქვს დაგალებული...

– კი, გაგონილი მაქვს, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა... – დეიდა მართამ აგაბოს ხელი ჩამოართვა და ბუზდუნის განაგრძო: – დენი და გაზი ძვირია, წყალი ძვირი იყო და კიდევ უფრო გაძვირდა, ნაგვის გატანა გაძვირდა, ყველაფერი ორჯერ გაძვირდა... ტელეფონში თვიურად ჯერ ერთ ლარს ვიხდიდი, მერე უცებ გაორმაგეს, ახლა კიდევ მოუმატეს – 3 ლარი გახადეს... საშინლად გაძვირდა პური, შაქარი, წიწიბურა, ლობიო, კარტოფილი და რა აღარა... რა გვეშველება, არ ვიცი... ერთი ჰაერს ვსუნთქავთ უფასოდ და მასაც მალე ფასს დაადებენ, ნამუსი შეაწუხებთ თუ რა!

ქალბატონი მართა ახასიათებს “შემტვეი”, მეტისმეტად ხმაბლდა საუბრის ნირი, მჭახე, ერთგვარად “ჭრიალა” ხმა აქვს.

– დეიდა მართა, რას იზამ, მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია და ჩვენ კიდევ კარგადა ვართ. ლარის კურსი დოლართან და ევროსთან მიმართებაში სტაბილურია, – ვითომ ნუგეში სცა ლაშამ.

– სასაცილო თავი გაბია! ტელევიზორში რასაც ტლიკინებენ, მეც კარგად ვიცი. კურსს რა თავში ვიხლი, თუკი ბაზარში შიშით ვერ შევსულვარ? გუშინ მაშო მეწუწუნება: “იცო, ბაზარში გადასაყრელი კარტოფილი ლარნახევარი დამიფასეს!”, მე კიდევ ვეუბნები: “ბაზარში წასვლა როგორ გაბედე, ინფარქტის არ შეგეშინდა? ყოჩაღ, მაგარი გული გაქონია!”. მაინტერესებს, ამ უსაქმურ, ქურდ-მამაბაღლ მინისტრებს და დეპუტატებს საიდან აქვთ ამდენი სასახლეები, მიწის ნაკვეთები? რა მიკვირს, იცი? სანამ მთავრობაში არიან, გემოზე დაჯივრითობენ, არიან ერთ ამბავში, მერე, ოპოზიციაში გადასულნი, უცებ როგორ დაჯკვიანდებიან, რა ბრძნულ აზრებს აფრქვევენ – მოგეწონება! უცებ ხდებიან დემოკრატიის მოციქულები, სამართლიანობისა და ხალხის უფლებების დამცველები, დიდი მამულიშვილები! მაგათ რა უჭირთ, ისევ უზარმაზარი ჯიპებით და მცველებით მოდიან ოპოზიციის მიტინგებზე ხალხის დასამოდვრად, ჩვენ, გაჭირვებულ ხალხს რა გვეშველება? გავმათხოვრდით, ეს სამოწყალოდ გადმოგდებული ოცლარიანი ელექტროდენის გაუჩერი მიშველის? უგულო ადამიანები მართავენ ქვეყანას; ნორმალურები არ ივარგებენ – ხალხი შეეცოდებათ... – მერე წამოიძახა: – შვილებო, ამ სიცივეში ტყუილად ვდგავართ აქ, წამობრძანდით, ცხელ ყავას დაგაღვინებთ...

– დიდი სიამოვნებით! – მაშინვე დაეთანხმა დათვიბალაძე.

დილის 9 საათის შესრულებას ბევრი ადარაფერი უკლია, როცა აგაბო დათვიბალაძე და ლაშა დამურაული უკვე სუფრას უსხედან მართას ორთახიანი ბინის “ხალაში” და მათ წინ უდგათ ფინჯნებით ქაფქაფა ყავა...

– როგორ არ გცივათ, ქალბატონო მართა, ჩვენ თბილად გვაცვია და მაინც ვგრძნობთ სიცივეს... – აგაბო ღარიბულად, ძველი აგეჯით მორთულ ოთახს ათვალიერებს, ერთადერთი შედარებით ახალი ნივთი მხოლოდ “პანასონიკის” დიდეკრანიანი ტელევიზორია. – თქვენთან უფრო ცივა, ვიდრე გარეთ, გათბობას არ რთავთ?

– რა შავ ჭირად მინდა... რამდენიმე წლის წინათ ჩემმა ბიჭმა მომიტანა დენის რაღაც ოხრობა გამათბობელი, თვეში ას ოცი ლარი დაწვა და მაინც გავცივდი, ესაა საქმე? ახლა ჭკუა ვისწავლავ?

თბილად მაცვია ხოლმე, შევეჩვიე ასე ყოფნას. მეზობლად რაჟდენ მეჭეჭაშვილს სულ ჩართული აქვს გათბობა და თვეში 500 ლარს იხდის; ჩემზე დიდი ბინა კი აქვს, მაგრამ მაინც, მე სად მაქვს მაგის მეოთხედის გადახდის საშუალება? წინა თვეში მარტო გაზის გადასახადი 12 ლარი მომივიდა, ახლა – დენი, წყალი, დასუფთავება...

– არც ტელევიზორს რთავთ?

– როგორ არა, საინფორმაციო გამშვებებს ყოველთვის ვუყურებ, – მართამ დისტანციური პულტი აიღო და ტელევიზორი ჩართო. – ძველისძველი ტელევიზორი მქონდა, აღარაფერი ჩანდა, მხოლოდ ხმას ვუსმენდი, მერე ეს ახალი ტელევიზორი ჩემმა ბიჭმა მიყიდა. კი ვებუზღუნებოდი, რათ მინდა მე, გადაყრუებულ ბებერს-მეთქი, მაგრამ ახლა კმაყოფილი ვარ, ზოგჯერ მაინც ჩავრთავ, გულს გადაგაყოლებ...

– ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ, – ამბობს დათვობალაძე, – მხოლოდ უკანასკნელი ცნობების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების ანონსს, რადგან დრო იმდენი არ მაქვს... თანაც ახლა მირჩევენია, დეიდა მართა, თქვენ გესაუბროთ, ეს უფრო მნიშვნელოვანი და ბევრად საინტერესოც მგონია.

ეკრანზე გამოჩენილმა ცისფერთვალება, ქერა დიქტორმა გოგონამ არცთუ სასიამოვნო ტემბრის მჭახე ხმით გამოაცხადა:

“თქვენ უყურებთ “შიკრიკს” დილის 9 საათზე, მე ფაცია ბაცაცია ვარ. დღეს 2 მარტია, ოთხშაბათი, დილის საინფორმაციო გამოშვებაში თქვენ მოისმენთ და ნახავთ:

ორი ყმაწვილი ჩხუბის შედეგად მიღებული ნაკვეთი ჭრილობებით გადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

დღეისთვის აღრიცხულია გრიპის 840 შემთხვევა, აქედან 540 – აშ ერთი ენ ერთი ტიპის ვირუსით, 29 შემთხვევა ლეგალური შედეგით დასრულდა.

ლიბიაში სამოქალაქო ომი გრძელდება. ლიბიის სანაპიროებს ამერიკის სამხედრო ხომალდები უახლოვდებიან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ჰუმანიტარულ ოპერაციებში და გადაუღებელ ევაკუაცი-აში მიიღებენ მონაწილეობას.

ოპოზიციასა და ძალოვნებს შორის შეგაკეებებია ირანშიც. ოპოზიციის ლიდერები თეირანში შიდა პაკიმრობაში არიან.

ერევანში ოპოზიციის დარბევის 3 წლისთავზე შეკრებილებს ძალოვანებთან მოუხდათ დაპირისპირება. ლევონ პეგროსიანი – ოპოზიციის ლიდერი – გამოვიდა მიგინგზე, სადაც, პოლიციის მონაცემებით, 10 000 კაცი მონაწილეობდა, ოპოზიცია 50 000-ს ასახელებს.

პაკისტანში მორიგი თავდასხმა მოხდა – მოკლეს მინისტრი.

ქვეყნის პრემიერენგი ფორმაში გამოწყობილ უმცროს ვაჟთან ერთად მივიდა სპეცდანიშნულების რამ-ში, ჯარისკაცებთან ერთად ივარჯიშა და ისაძლია.

ამერიკულმა კომპანია “პიონერმა” საქართველოში შემოიგანა ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესლი.

პრემიერ-მინისტრის მოადგილემ გიგუშა ბარამგულიძემ თავისი ენერგოვაჟერო ლიდერებში მცხოვრებ ხახუბის მრავალშვილიან ოჯახს გადასცა.

– ყოჩაღ, ბიჭიკო, ნაღდი გმირული საქციელია! აი, მესმის ასეთი მსხვერპლის გადაება – თანაც ტელეკამერების წინ! – წამოიძახა ქალბატონმა მართამ. – თვეში რამდენიმე ათასი რომ გაქვს ჯამბ-გირი და ერთი იმდენი კიდევ – პრემიები, სხვა მამაძაღლოებში ნაშოვნ ათი ამდენს არ ვთვლი, ბარემ გექნა სიკეთე და ერთი 200-300 ლარიც მიგეცა შენი ჯიბიდან, ნუ გეშინია, არ გაგაღარიბებდა!

– დიდი მადლობა, ქალბატონო მართა! – წამოდგა აგაბო დათვობალაძე.

– რა იყო, შვილებო, ყავა არ მოგეწონათ?

– არა, რას ბრძანებთ, მშვენიერი ყავა იყო!

– გამოვრთავ ამ დასაწვავ ტელევიზორს, ნერვების მოშლის მეტს არაფერს აკეთებს! ამდენ მკვლელობებს და ავტოკატასტროფებს რომ აჩვენებენ, სხვა არაფერი ხდება საინტერესო ამ ქვეყანაზე? დაბრძანდით, კიდევ ცოტა ხანს ვიმუსაიფოთ, ახლა საით გაგიწევიათ? დაბრძანდით, დაბრძანდით!

– ქალბატონ მარიამ ხშირულვაშაძესთან ვაპირებთ მისვლას, პირველ სართულზე, რაღაც საკითხების გარკვევაში დაგვეხმარება.

– მაშოსთან უნდა მიხვიდეთ? ჩემი მეგობარია, ერთმანეთს არაფერს ვუმაღლავთ. იქნებ მეც მოგეხმაროთ რამეში?

– კეთილი, მაშინ ქალბატონ მაშოს შესახებ გვიამბეთ... – აგაბო დათვობალაძე ისევ სკამზე დაეშვა.

– მაშო აქ ცხოვრობს, პირველ სართულზე, კი იცით, სახლის რწმუნებულია – ლაშა კარგად იცნობს, ხშირად აკითხავს ხოლმე... მობინადრეები ხშირად იცვლებიან: ერთი ყიდის ბინას, მეორე –

ყიდულობს; წინათ რომ იყო, ახლა სულ სხვანაირადაა – მეზობლების უმეტესობა ერთმანეთს არც იცნობს, ერთ სადარბაზოში მცხოვრებნიც კი, არც ესალმებიან ერთმანეთს. ძირძველი მაცხოვრებელი, ვინც ამ სახლში თავიდანვე შესახლდა, ერთი ათიოდე ოჯახი თუ დარჩა. მე უკვე თხუთმეტი წელიწადია აქ გადმოვედი, მაშო – ალბათ ოცი წელიც იქნება.

– ლაშამ მითხრა, რომ დიდი ხნის დაქვრივებულია, ორი ვაჟი ჰყავს...

– ჰო, ორი ბიჭი ჰყავს; უფროსი, კახაბერი, რამდენიმე წლის წინათ დაქორწილდა და ახლა სხვაგან ცხოვრობს, ცალკე ოჯახად.

– უმცროსი ვაჟი?

– უმცროსს ყარამანი ჰქვია, ისიც კარგი ბიჭია. ორი წლის წინათ მანაც მოიყვანა ცოლი: კახაბერის ძმაკაცმა – ალუდამ და ამ ალუდას ცოლმა, მიმოზამ, გაურიგეს მიმოზას დაქალი, ლოლიტა.

– ესე იგი, ყარამანი თავის ოჯახთან ერთად აქ ცხოვრობს, დედასთან?

– სწორედ ეგრეა, ოდონდ ლოლიტა... ეს გოგო საოცრად ამბიციური და ამპარტავანი გამოდგა – მცირე რამესაც არ უთმობს ხოლმე მაშოს. ხშირ-ხშირად დაჰკრავს ხოლმე ფეხს და გარბის მშობლებთან, ბავშვთან ერთად – ვითომ ამით სჯის დედამთილს. ამირინდო თავმტკივანადქვს ჰყავდა კიდევ მაგის ტოლფარდი – ცისია წიპწიაური; იმან რაც დაკრიფა თავისი უხიაგობით – ცალკე მოსაყლია და რა ჩიტსაც ეს ლოლიტა დაიჭერს, იმასაც მალე ვნახავთ!

– მერე, ქალბატონი მარიაში უთმობს?

– მაშო დაიბოღმება ხოლმე, მაგრამ შვილის ხათრით არაფერს იმჩნევს, ითმენს. რა ჰქნას, სულ წყევლის ალუდას და მიმოზას, ეს რა ჯოჯო შემომიყვანეს ოჯახშიო – ხომ გითხარი, მათ გაურიგეს ყარამანს მიმოზას დაქალი, ლოლიტა... მაშომ ერთი ამბავი მიაბზო, გული როგორ მოიფხანა ცოლტათი. შარშან, ზაფხულის მიწურულს, აგვისტოში, ეს მისი უფროსი ვაჟის ძმაკაცი, ალუდა, ჩამოვიდა სურამიდან – იქ ცოლ-შვილი დატოვა აგრილებამდე, თვითონ შეგებულეა გაუთავდა. შინ, ცარიელ ბინაში, არავინ დახედებოდა და პირდაპირ სამარშრუტი ტაქსიდან მივიდა ხშირულვაშაძეებთან, – ალუდა და მისი ცოლი ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე ლოლიტას და ყარამანს, ალუდა მათი შვილის ნათლიაც იყო. მაშო სხვა დროს დაფაცურდებოდა ხოლმე, კახაბერის ძმაკაცს გაუშლიდა სუფრას... ახლა რაღაც საქმე მოიმიზეხა და შინიდან გავიდა, – დატოვა ყარამანთან და ლოლიტასთან: “ბევრი სასაუბრო გექნებათ დაგროვილი და ხელს არ შეგიშლითო!” წასულა ბაღში, იქ სკამზე დამჯდარა ცოტა ხანს, მერე გადაწვიტა, წასულიყო გელდანში, თავისი დიდი ხნის უნახავი და და დის-შვილები მოენახულებინა – სულ აპირებდა მასთან მისვლას და თავი ვერ მოაბა. როცა კარგა ხნის შემდეგ შინ დაბრუნდა, ხედავს: ყარამანი და ლოლიტა ბავშვს აბანავებენ და ამ ბავშვის ნათლია კი ამ პროცედურას უყურებს – მშიერი... “ახია შენზე, რას შემომტენე ეს უჯიშო!” – გაუფიქრია მაშოს, დაუწვია ვახშმისთვის ფუსფუსი, მაგრამ ალუდა წამომხტარა და წასულა – ეტყობა, ისე დაიმშა, ვახშმის მომზადებას ვეღარ მოუცდიდა...

– ქალბატონო მართა, ყარამანს ვნახავთ?

– აეროპორტში მსახურობს, არ ვიცი, იქ რას აკეთებს. ამ ბოლო დროს არ დამინახია, მაშო ყველაფერს უფრო კარგად აგისხნით, დღეს რომელ ცვლაში მუშაობს.

დათვიბალაძე და დამურაული ქალბატონ მართას მადლობა გადაუხადეს, დაემშვიდობნენ და კიბეზე დაეშენენ.

– ეს ქალი რა ჭირად გადაგვეკიდა, მაგისთვის გეცალია? წაიღო ლაქლაქით ტვინი... – თქვა ლაშამ.

– შენთვის თუ ასეა, ჩემთვის – ოქროს განძია! – არ დაეთანხმა ავაბო. – კეთილი ქალბატონია, რას ერჩი. ხომ იცი, ქალი – ქალია, ლაპარაკი უყვარს. ის კი არა, შენც რომ სულ მარტო იყო, მოსაუბრე მოგენატრებოდა. მართალი გითხრა, ყარამანი არაფრად გვჭირდება, პირველი სართულიდან არ მომხდარა გასროლა, მაგრამ მაინც დაველაპარაკოთ – რომ არაფრით ელი, ზოგჯერ მაშინ გავიმართლებს: თითქოს უმნიშვნელო ინფორმაციით იმ გორგალის წვერს წაწვდები, რომელიც საქმის გახსნაში დაგეხმარება...

კარი X.

ბინა № 1. მაშო ხშირულვაშაძე – სახლის რწმუნებული

უკვე პირველ სართულზე იყვნენ ფეხით ჩამოსულნი და ლაშამ № 1 სამოთახიანი ბინის რკინის მასიურ კარზე დააკაკუნა.

– მაგარი კარია, ქალბატონი მარიამ ხშირულვაშაძეც მაგარი ქალი იქნება, – ამბობს ავაბო დათვიბალაძე.

– ბატონო აგაბო, ხშირულგვაშაძე სახლის რწმუნებულება, სხვებზე კარგად იცნობს დანარჩენებს: მას აქვს ხოლმე ყველაზე ხშირად ურთიერთობა მეზობლებთან, მოაქვს ხოლმე მათთან საარჩევნო ბარათები, ახლახანს დენის გაუჩერები დაარია... ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორია, სახლის კოოპერატივის თავმჯდომარეც თვითონ არის. მოკლედ, ყველაფერი ეგ არის ამ სახლისა – პრეზიდენტიც, პრემიერ-მინისტრიც და პარლამენტის თავმჯდომარეც...

– ალბათ შინ არ არის... – ამჯერად დათვიბალაძემ დააკაკუნა – საკმაოდ ძლიერად.

– ამდენი თანამდებობა უჭირავს და ელექტროზარი რომ დაეყენებინა, რა გაუჭირდა ისეთი ნეტაგი...

საკმაოდ მოგვიანებით კარი გაიღო და მაშო ხშირულგვაშაძემ ჯერ მოიბოდიშა – სააბაზანოში ვიყავი, რაღაც წვრილმანის გასარეცხად სარეცხი მანქანა აღარ ჩავრთე და წყლის ჩხრიალში კაკუნი ვერ გავიგონეო; შემდეგ სტუმრები შინ შეიპატიჟა – შეატყო, რომ რაღაც საქმეზე იყვნენ მისულნი.

მაშო შუახნის, ტანსრული, სანდომიანი ქალია; შავები აცვია, შავ თმებში ჭაღარა შერეგია – იცის, რომ უხდება და არ იღებავს. ლაშა დამურაულმა ჯერ გააცნო ქალბატონ მარიამს გამომძიებელი, დათვიბალაძემ ქალბატონ მარიამს ხელი ჩამოართვა, შემდეგ კი ბოდიში მოიხადა შეწუხებისთვის და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– თქვენთან რა გვაქვს დასამალი და გულახდილად გეტყვით, რომ არ არის გამორიცხული, შოფრის მკვლელობა ამ სახლის რომელიმე ბინიდან მომხდარმა გასროლამ გამოიწვია... ამას ყველაზე მეტად ვვარაუდობთ. ხომ მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა? რომელიმე თქვენი მეზობელი... ამდენი ხანია აქ ცხოვრობთ, ადრე სახლმმართველობაშიც მუშაობდით დიდხანს და ყველას კარგად იცნობთ, ძველ მეზობლებს მაინც... რაიმე ეჭვი ხომ არ გაგჩენიათ, ვისი ნამოქმედარი შეიძლება ყოფილიყო?

ქალბატონმა მაშომ თავისი დაგროვილი გულისწყრომა ვერ დამალა – მეზობლების მიმართ გაღიზიანება ფრიად ემოციურად გამოამჟღავნა:

– ჭირი მაგათ! ვერაფერი შეგვანებინე, ერთი არაა ნორმალური! ვეუბნები: “მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა ეზოში ხომ ახალი ასფალტი დაგვიგო, ცოტა ჩვენც გამოვიღოთ ხელი: თითო ოჯახიდან თვეში ორ-ორი ლარი შეგვკრიბოთ, ბევრ დარჩენილ პრობლემას მოვაგვარებთ-მეთქი... ეზოში აშენებულ გარაჟებს დაგაკანონებთ, სარდაფებს მივხედავთ, სახურავს... ხომ ხედავთ, სადარბაზოები რა დღეშია, გელურების ნამოქმედარი გეგონება”... ვეუბნები: “შეგაკეთოთ, ქალაქის მერია დანახარჯის ორ მესამედს თავის თავზე იღებს, მეტი რაღა გინდათ! ლიფტს მივხედოთ, წარამარა რომ ფუჭდება”... “არა, არ გეინდა!”, “მე სარდაფი არ მაქვს”, “მე გარაჟი არ მაქვს!”, “მე ლიფტი არ მჭირდება!”... აბა, მე ლიფტი რა შავ ქვად მინდა, ისევ მაგათზე ვზრუნავ! შეუგნებელი ხალხია!..

– ქალბატონო მარიამ, ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ... ნაწილობრივ მაინც. რატომ გგონიათ, რომ ყველაზე ცუდი ხალხი მაინცდამაინც თქვენს სახლში შეიყარა? ყოველთვის ასეა – სხვაგან უკეთესი გგონია, სხვისი შვილი უფრო დამჯერია, უფრო იოლად გასაზრდელი, უფრო ჭკვიანი და განათლებული...

– ბრმა კი არა ვარ, კარგსა და ცუდს ვარჩევ როგორმე! – გაწიწმატდა მაშო.

– ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ხომ დამეთანხმებით, რომ ცუდები ყოველთვის თვალში გვეჩხირებიან თავისი საქციელით, კარგები კი არ ჩანან, ხომ ასეა? ისინი ჩუმად არიან, არ ყვირიან, შეუმჩნეველად აკეთებენ თავიანთ საქმეს...

– აბა, მე რა ვქნა? – თითქმის ყვიროდა მაშო ხშირულგვაშაძე, თითქოს შეურიგებელ მტერს უტევს და უეჭველად უნდა დაამარცხოსო. – სახლს მიხედვა არ უნდა? უკვე ოცდაექვსი წლის აშენებულია, შეხედეთ, რას დაემგვანა, კედლები როგორაა უშნოდ აჭრელებული! სართულშუა ნაკერებში წვიმის დროს წყალი შემოდის, ნახევარი ბინები დანესტიანებულ-დაობებულა... თუ არ უნდათ, იყონ ასე!

– ქალბატონო მარიამ, სასურსათო გაუჩერები თუ დაარიგეთ? – საუბრის სხვა რელსებზე გადასაყვანად ყასიდად იკითხა დათვიბალაძემ.

– მაგათ გაუჩერები კი არა შავი ჭირი უნდათ! ჯერ არ მოუციათ, გვპირდებიან, ერთი კვირის შემოდევ მოვიტანთო... ალბათ მარტში იქნება, პირველ ნახევარში.

– მე რაც გკითხეთ რაიმე ეჭვის შესახებ, იმაზე რას გვეტყვით?

– რა ვიცი, თუ ჩვენს მეზობლებზეა ეჭვი, ვინმე ცხვირმოუსოცელი ახალგაზრდა უფრო იქნება – აცვენილების დოღია, უბანში ბევრს აქვს იარაღი... ლაშას ჩემზე უკეთ ეცოდინება. მაგათ უყვართ ძველებიჭობა, ამხანაგებთან თავის გამოჩენა, რაღაც როლის თამაში.

– თქვენი შვილიც, ყარამანი, შემჩნეული იყო ამ ამბავში...

– დიახ, ეს ადრე იყო, ისეთი დაუშტატანე, ახლა ველარ გაბედავს... მოხდა რამე? ეჭვიტანილი ხომ არ არის?

- არაფერი, არაფერი მომხდარა... – დააწყნარა დათვიბალაძემ. – მასთან გასაუბრება გვინდა, იქნებ ის დაგვეხმაროს... რამდენი წლისაა?
- ოცდამესამეში გადადგა.
- ახლა სად არის? აეროპორტში რას აკეთებს, რა თანამდებობაზე მუშაობს?
- თანამდებობა კი არა, ის არ გინდათ?... დაცვის პოლიციაში იყო, მეტი მაგას რა შეუძლია. დაბნება თავი, უკვე ორი კვირაა.
- სხვაგან მუშაობს თუ სწავლობს?
- ბაკურიანში ერთობა... რომ სწავლობდეს სადმე, რაღა მიჭირდა, ჭირი მაგას! – ჩვეულებად ჯიჯღინებს მაშო, – სკოლაც ძალისძალათი დავამთავრებინე. რომ დაამთავრა სკოლა, გუთხარი, რომელ უნივერსიტეტშიც გინდა, მოგაწყობ, ოღონდ შენც ცოტა მონდომე-მეთქი, მაგრამ არ ისურვა გაუბატონმა, გამომიცხადა: “მეყო ამდენი ტვინის ჭყლეტა, უნდა დავისვენო”... მერე ხან სად იმუშავა, ხან – სად. ბოლოს აეროპორტში, დაცვის სამსახურში იყო რამდენიმე თვე, ახლა იქაც თავი დაანება, ცოტა დასვენება და გართობა მინდაო, ჰოდა, ახლაც ისვენებს. ცოლ-შვილიც აიკიდა, ცოტა შენც დაისვენე ჩვენგანო... საიქიოს დაასვენოს მამაზეციერმა!
- ჯერ ახალგაზრდაა...
- ქალბატონმა მაშომ დათვიბალაძეს სიტყვა გააწყვეტინა:
- რაც მე მაგან ჯვარს მაცვა!.. ერთი ფუნდამენტური დაბრუნდებოდეს იქიდან, მეტი არაფერი მინდა! ვისში გამოვიდა ასეთი დამთხვეული, პირდაპირ გაკვირვებასა ვარ! ჩემს უფროს ბიჭს, – ყარამანზე ათი წლით არის უფროსი, – უკვე მინისტრის მოადგილეობას ჰპირდებიან, მაგის ხნისა რომ იყო, წიგნს ვერ მოაცილებდი, ეგ კი სულ ქუჩაში გღია, შინ ვერ შემოიყვან, მაგისგან კაცი დადგება? სწავლა არ სურს, პროფესია არ აქვს და ცოლ-შვილი აიკიდა, რისი იმედით არის? სადამდე უნდა იყოს ძმის დახმარების შემხედვარე? შენი ცოლ-შვილი რა მისი სარჩენია? უსაქმური!.. უკვე რამდენი სამსახური გამოიცვალა, თვლა დაგვარგე...
- ქალბატონო მაშო, თქვენგან შემდგომშიც დახმარებას ველით, – შეაწყვეტინა ქალს მონოლოგი დათვიბალაძემ. – ერთ საკითხში გაგვარკვეით... ამ სახლის სახურავზე ასასვლელი თუ არის დაკეტილი?
- დიახ, ორივე დაკეტილია.
- გასაღები ვის აქვს?
- ერთის მე მაქვს, იმ სადარბაზოსი და ამ სადარბაზოსი – ამბროსი ბირკაწერილაძეს აქვს, უკვე ძალიან დიდი ხანია, გამორთმევა დამავიწყდა.
- რატომ გამოგართვათ?
- ამბროსი მხატვარია, სახურავს ზევით, სახლის თავზე, უნდოდა სახელოსნოს დაშენება, ნებართვაც ჰქონდა ადებუდი. ერთხელ სამი მანქანა ხრეში და სილაც კი მოიტანა, მაგრამ მშენებლობა არ დაუწყია, არ ვიცო, რამ შეუშალა ხელი. მახსოვს, ბავშვებმა გაიხარეს, იმ სილაში ჩემი ყარამანიც თამაშობდა; ბევრს ჩუმად წადება უნდოდა, ვედროებით მოდიოდნენ, მაგრამ მართამ ყველას დაუფრთხო ანგელოზები. მერე, დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა ყველაფერი გაიფანტა, მისგან აღარაფერი დარჩა...
- ბატონი ყარამანი როდის წავიდა ბაკურიანში?
- ზუსტად ათი დღეა.
- და ამ ხნის განმავლობაში თბილისში არ ჩამოსულა?
- რამდენიმე დღის წინ დამირეკა, ფული შემოგვაკლდაო და... ვინანე: ფული რომ არ გამეგზავნა, ახლა აქ იქნებოდნენ – შვილიშვილი უკვე მომენატრა...

კარი XI.

ბინა № 11. კაკანა კარმანაული – ფეხსაცმლის გამყიდველი.

ბინა № 12 + ბინა №36. რაჟდენ მეჭეჭაშვილი – საქმოსანი

4 მარტს ისევ უმეური ამინდი იდგა – სიცივეს თან უსიამოვნო ქარიც დაერთო... რას ერჩი – მარტი მარტობას ვერ მოიშლის!

თითქოს ტრადიციად იქცა: დღესაც დეიდა მართა დილით დადარაჯებული იყო და ლაშა და აგაბო წაიყვანა თავისთან – დილის 9 საათზე ისინი უკვე სუფრას უსხდნენ ოროთახიანი ბინის “ზალაში” და ფინჯნებით წინ ედგათ სურნელოვანი ჩაი (დღეს ასეთი არჩევანი გააკეთეს სტუმრებ-

მა), ასევე, თეფშებით მირთმეული გარგარის ხილვაფიანი ნამცხვარი – ამ დილით მასპინძლის მიერ საკუთარი ხელით გამომცხვარი!

– დეიდა მართა, როდის მოასწართ? დამე არ გძინავთ?

– რას ამბობ, შვილო, ნახევარი საათიც არ სჭირდება მაგ საქმეს! მე კი ყოველდღე დილის 7 საათზე ვდგები, ჯერ კიდევ ბნელა.

– ზაფხულში ადრე თენდება და გასაგებია, მაგრამ ზამთრობით რა ძალა გადგიათ დილაუთენია წამოსტომისა?

– შვილო, ნახევარი საუკუნეზე მეტია, სულ ასე ვაკეთებ, აწი მე მხოლოდ სამარე გამომასწორებს!

ჩვეულებრივ ტელევიზორში უსმენენ მხოლოდ უკანასკნელი ცნობების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების ანონსს, რადგან დროს უფროსილდებიან, თანაც ურჩვენიათ, დეიდა მართას ესაუბრონ, ცხელ-ცხელ ამბებს მერე შინ, საღამოს დიდ საინფორმაციო გამოშვებებში მოუსმენენ და ნახავენ... თუმცა, თუ რომელიმე თემა განსაკუთრებით დაინტერესებთ, ტელევიზორს არც ახლა გამორთავენ.

აი, დღესაც შეატყვეს, რომ ისევ და ისევ – ლიბიაში სამოქალაქო ომია, მღელვარება გრძელდება სხვა არაბულ ქვეყნებშიც, უამინდობაა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში... ჯერჯერობით არც საქართველოში გამოდარებულა...

აგაბო დათვიბალაძე არც საქმეს ივიწყებს, დეიდა მართას ეკითხება:

– ვნახეთ, იქით მხარეს რაჟდენ მეჭეჭაშვილს უზარმაზარი ავტოფარეხი აუშენებია... ორი მანქანა დაეტევა შიგ და კიდევ თავისუფალი ადგილიც დარჩება.

– რაჟდენა? ღორია, ნამდვილი ღორი, გაუმაძღარი! საქმოსანია, გარაჟი კი არა, არაფერი გაუჭირდება, სასახლესაც აიშენებს. მაღაზიები აქვს, რაღაცეებს ყიდის, ყიდულობს, ვერაგინ გაიგებს მაგის დაბლანდულ საქმეებს... უცნაური ჩვევა აქვს: წელიწადის ნებისმიერ დროს და ახლაც, ამ სიცივეში, ყოველ დილით თავის ვაგონივით დიდ ჯიპს საგულდაგულოდ რეცხავს, – ჩვეულებრივ კი არა, რაღაც სპეციალური შამპუნებით, ქაფით ფარავს, დიდი გრძელტარიანი ჯაგრისით საგულდაგულოდ თავს ევლება ერთი საათი მაინც, – როგორ არ მობეზრდება ამ სიცივეში! ან ფული აკლია თუ რა, ჭანჭყობს რომ აყენებს ეზოში; ჩვენს ეზოს გაშრობა არ ეღირსა – ყოველ დილით შლანგი და ის გრძელი ჯაგრისი უკავია ხელში... ახლა ეზოში რომ გამოიარეთ, გუბები არ ნახეთ? წავიდეს, სამრეცხაობის მეტი რა არის.

– ჯიპის გარეცხვა ძვირი ღირს, 10 ლარი უნდა, – ამბობს ლაშა. – ყოველდღე რომ გაარეცხვიოს, თვეში 300 ლარი გამოდის, ერთი კაცის საშუალო ხელფასი.

– ჩემი სამი თვის პენსია, – დაამატა დეიდა მართამ.

– უყვარს მანქანის რეცხვა და რას ერჩი! – ამბობს აგაბო დათვიბალაძე. – ზოგი ძაღლს ან კატას ევლება თავს, ზოგი – ყვავილებს, მაგ კაცს მანქანის რეცხვა სიამოვნებს, ალბათ ერთგვარი ფსიქოთერაპიაა...

დეიდა მართამ ღიმილით განაგრძო:

– ერთ დილას გავიგონე, ჯუანშერა ეუბნებოდა მის მსგავს უსაქმურ ტატაშას: “რა არის, კაცო, ეს ჩვენი რაჟდენა თავის ავტომანქანას რომ ყოველ დილით საგულდაგულოდ რეცხავს?”, ის კი პასუხობს: “ცოლზე უფრო უყვარს და ეფერება!”. ალბათ ყოველდღე კი არა, ყოველ კვირას თავსაც არ იბანს, ბავშვობაში ალბათ თავის გვიგოს არ ბანდა ყოველდღე... ერთხელ სიცილით კინაღამ მოკვდი: ქაღებმა დილაადრიან ეზოში ასფალტზე ხალიჩები გაფინეს და რეცხავდნენ. გამოვიდა ეს ჩვენი კამეჩი რაჟდენა, მოუთმენლად გიჟივით გადის-გამოდის წინ და უკან – მანქანას ვერ რეცხავს! იწრიალა, იწრიალა, მერე, როცა კარვა ხნის შემდეგ ადგილი განთავისუფლდა, დააყენა ონკანთან ახლოს თავისი ჯიპი და რომ ეცა! რეცხა და რეცხა – რაღაც ქაფებით და ერთი ამბით... ორი საათი მაგარ სიამოვნების მორევეში დაცურავდა!... რაც აქ ცხოვრობს, ერთი ათი მანქანა მაინც გამოიცვალა, მეტი თუ არა. მაგას ბინაც ორმაგი აქვს: ეგ ჩვენს სადარბაზოში ხომ ცხოვრობს, მერე სადარბაზოში მომიჯნავე ორთახიანი ბინა იყიდა, იმის პატრონს საბურთალოზე უკეთესი ბინა მისცა. მერე კედელი გაანგრია, გააერთიანა ორი ორთახიანი ბინა, ახლა ოთხთახიანი ბინა აქვს, ორი ღოჯია, ორი სანიტარული კვანძი. არა, ისეთი ხარბია, ერთი ტუალეტ-სააბაზანო და გვერდით მდებარე სამზარეულო გააუქმა და ისინი მეხუთე და მეექვსე ოთახებად აქცია... რა შავ ჭირად უნდა?

– რატომ? დიდი ბინა ვის მოსჭარბებია.

– ხომ გითხარით – ღორია! სულ ოთხნი არიან: ეგა, რაჟდენა, მისი ცოლი, შუჟუნა, მათი შვილი – გვიკო და შვილიშვილი – ნანიკო... ხონშიც, თავის სოფელში, უზარმაზარი სახლი აუშენებია. ახლა ფადიშაპივით ცხოვრობს, მაგრამ რად უნდა – შვილი, შვილი დაღუპავს... უკვე დაღუპა. სახლიდან ეკარგებოდა ნივთები, ქურდები ხომ არ შემომეჩვივნენო, ჩიოდა, თურმე ქურდი შინ ჰყოლია – საკუთარი შვილი. ყველაფერს ნელ-ნელა ჰყიდდა და წამალს ყიდულობდა. სულ იმას ვფიქრობდი, როდის დადვინდება ეს ბავშვი-მეთქი? რაჟდენას ცოლი – შუჟუნაც – ფულს აკეთებს, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე: კერძო საბავშვო ბაღები აქვს, მამალი ქალია, ქმარი ხუმრობით “გენერალს”

უწოდებს; ვითომ ხუმრობს, მაგრამ ქმარს მართლა თავის დაკრულ დუღუკზე აცეკვებს. ერთადერთ შვილს კი ვერ მიხედა. რა ვიცი, გივიკო დედიკოს ბიჭი იყო, ჟუჟუნა სულ კულში დასდევდა და რა დაემართა... ერთხელ გადაიხედა ჟუჟუნამ ფანჯრიდან და გულს შემოეყარა – მთელი ეზოს ბიჭები მისი შვილის ტანსაცმელში გამოწყობილები არიან... გივი გამოიჭირეს – ბანქოში წააგო. მერე – ველოსიპედი წააგო, რაც კი ჰქონდა, ყველაფერი წააგო, მარკების კოლექციაც კი წააგო... მარკებს აგროვებდა – ინტერესიანი ბიჭი იყო, ნიჭიერიც, სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა; მერე სამხატვრო აკადემიაში მაშინვე მოეწყო – ამბროსიმ, ჩვენმა მხატვარმა, მამამისს უთხრა, შენს ბიჭს განსაკუთრებლ ნიჭს ვატყობ, ფერის ძალიან კარგი გრძნობა აქვს, მისგან დიდი მხატვარი დადგებოდა. რაჟღერმა ჯერ არ დაუჯერა, სულ სხვა განხრით უნდოდა უნივერსიტეტში შვილის შეყვანა – ეკონომიკურზე ან საერთაშორისო ურთიერთობებზე; მივიდა ტრისტანასთან, ხომ იცით მეორე მხატვარიც გვყავს მეზობელი, იმასაც ჰკითხა. ტრისტანამ ნახა მისი ნამუშევრები, გაგიჟდა, მე მაგას უფასოდ ვამეცადინებო, ჩემთან იაროსო. ერთი წელი კი იარა, ტრისტანა იძახოდა, უკვე ახლა მჯობნის მეო, მერე ერთ მშვენიერ დღეს გამოაგდო, ახლოს აღარ გაიკარა... სურათი მოპარა, ტრისტანას რომ ყველაზე უფრო უყვარდა და გაყიდა, ტრისტანა მაგას აპატიებდა? კიდევ კარგი, რომ პოლიციაში არ უჩივლა. გივი, რაც ქუჩას დაუმეგობრდა, სულ წავიდა ხელიდან...

– თქვენ შვილიშვილი ახსენეთ...

– ნანიკო გადასარევი ბავშვია... სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს გივიმ ძმაბიჭებთან ერთად 16 წლის გოგო მოიტაცა – კეკლუცა, ხომ კარგი სახელია? ჯერ სკოლაც არ ჰქონდა ღამთაგრებულში... წაიყვანა ბათუმში, ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. ატყდა ტელეფონების რეკვა, აქვთ რაჟღერა და მისი ცოლი იჭრიდნენ ვენებს – სად დაგვეკარგა ჩვენი შვილიო... საეჭვო მეგობრები ჰყავდა გივიკოს, ვერავის სიტყვა ვერ დააცდევინეს; იქით ამ კეკლუცას მშობლები არიან გადარეულნი – მამა პოლიციის მაღალი თანამდებობის პირი იყო... მოკლედ, გივიზე ლამის სახელმწიფო ძებნა იყო გამოცხადებული. მერე უზარმაზარი ქორწილი გადაიხადეს, ნახევარი ქალაქი იქ იყო. დაიბადა ნინიკო და კეკლუცა მაშინვე მშობლებთან გაიქცა – გივიკომ მთლად აიშვა, ვითომ ინაზღაურებდა ორი წლის განმავლობაში თავშეკავებას... აკადემიიდან გამოაგდეს. ყველაფერი ნარკომანმა მეგობრებმა და უსაქმურობამ გამოიწვია. ძველთაძველი ამბავია, ათასჯერ და მილიონჯერ რომ მომხდარა: არაფერი რომ აღარ გაინტერესებს, უსაქმური რომ ხარ, ცუდ წრეს უკავშირდები – და ჯაჭვიც იკვრება, წუმბეში იძირები თანდათან... მერე კეკლუცა, დიდი ფიცილისა და ხეყნა-მუდარის შემდეგ, დაბრუნდა და ერთ თვეში ისევ დედამისთან წავიდა. ერთი ხუთჯერ წავიდ-წამოვიდა ასე და, ბოლოს, აღარ მობრუნდა – რამდენიმე წელია უკვე – და ალბათ აღარც არასდროს იბრუნებს პირს ამათკენ, ისევ გათხოვდა...

– რა ეჩქარებოდა, ოჯახსაშენებულს, ცოლის მოყვანა? არც – პროფესია, არც – სამუშაო... სულ მამის კისერზე უნდა იჯდეს? – კითხულობს აგაბო დათვიბალაძე.

– ასეთი ბიჭები სკოლიდანვე ლიდერები არიან, ცოლს ადრე თხოულობენ... – ამბობს ლაშა ღამურაული.

– ნანიკოს ჟუჟუნა ზრდის, უკვე სკოლაში დადის, – აგრძელებს დეიდა მართა, – ძალიან კარგი ბავშვია, ძალიან მიყვარს; რომ დავინახავ, ჩემი შვილიშვილები მახსენდება, გავცუნცუნდები და კანფეტები მაქვს შვილიშვილებისთვის გადანახული და მას ვაძლევ ხოლმე... ახლა ჟუჟუნა ამ ანგელოზსაც ატუტუტებს – უკვე რამდენჯერმე ტელევიზორშიც გამოიყვანა, რაღაც სარეკლამო კლიპებშიც გადაიღეს – მართლა ძალიან ლამაზი ბავშვია, ნიჭიერი. ზედ არის გადაყოლილი, აღარ იცის, რა ჩააცვას და დაახუროს... არ ვიცი, საკუთარ შვილს რომ ჯეროვნად ვერ გაზრდი, შვილიშვილს როგორ ასწავლი რამეს?

– იქნებ გამოცდილებამ თავისი ჰქნას...

– რაღაც მასეთს ვერაფერს ვატყობ – სულ გიჟივით დარბის აქეთ-იქით. მაღაზიები ხომ აქვთ, ჟუჟუნამ რამდენიმე კერძო საბავშვო ბაღი გახსნა, ახლა შემოდგომაზე კერძო სკოლის დამატებასაც აპირებს, დიდ ბინას ეძებს დასაქირავებლად ან საყიდლად. ეს სკოლების ოპტიმიზაციის პროგრამა რომ შემუშავებს ჩვენმა ჭკვიანმა უფროსებმა, რამდენიმე საჯარო სკოლას დახურავენ ზაფხულში და იმ შენობებს უმიზნებს... ვერ ვაძლავ, ხარბია. ორივე ასეთია – ცოლიცა და ქმარიც. შვილისთვის ვერ მოიცადეს და ახლა უკვირთ, არაფერს ვაკლებდით, რატომ დაგვსაჯა ღმერთმა ასეო. შენი მანქანის გარეცხვას რომ მეტ ყურადღებას უთმობ, ვიდრე შვილის გაზრდას, უარესიც დაგემართება.

– ახლა რომ მივიდეთ, ვინმე დაგვხვდება შინ?

– რაჟღერა კი დავინახე დილით, მანქანას რეცხავდა. მას უფრო ნახავ შინ, ვიდრე მაგის ცოლს. უმეტესწილად შინ არის, ბავშვიც სკოლიდან მას მოჰყავს ხოლმე და ვერ გამოგია, რანაირი საქმოსანია? არადა, ამბობენ, მაგარ ფულს შოულობსო. ნეტა მეც გამაგებინა, როგორ შეიძლება, თითი არ გაანძროს და ფული თავზე გადაგდოდა. მართლა გადაუვიდოდა კიდევ, გივიკო რომ არა...

– ჯერ კაცი არ მინახავს, რომ ამბობდეს, ფული მყოფნისო...

– მე მყოფნის! – იღიმება დეიდა მართა. – ამას წინათ მაღაზიაში გამყიდველი მეუბნება: “დეიდა, ხომ არ გეწყინება, ხურდა ფული რომ მოგცეო”; მე ვუთხარი: “შვილო, უკეთესიც არის, მეტი იქნება-მეთქი!”.

* * *

აგაბო დათვიბალაძე და ლაშა დამურაული დეიდა მართას გამოემშვიდობნენ და № 11 ბინისკენ გაეშურნენ – დღევანდელი გეგმით უპირველესად სწორედ ამ ბინაში მცხოვრებ ქალბატონთან, კაკანა კარმანაულთან საუბარი ჰქონდათ გათვალისწინებული.

ზარის დარეკვაზე ქალის მაღალი ხმა მოისმა: “ერთი წუთით!”, ცოტა ხანში კარი ოდნავ გაიღო და იგივე ხმამ მიიპატიჟათ: “მობრძანდით!”, ბინაში შესულებს კი ვიწრო მოსაცდელში არაგინ დახვდათ, თუ არ ჩავთვლით აყეფებულ-აწრიალებულ ფინიას; ერთგვარი ყოყმანის შემდეგ შევიდნენ ოთახშიც – იქაც არაგინ იყო...

ხუთიოდ წუთში შემოცქრიალდა – ალბათ სააბაზანოდან გამოვიდა – ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალბატონი: გრძელი, მოქანავე, ბრჭყვიალა საყურეები, შეღებილ-დალაგებული თმა, კონტად შეკერილი ფერადოვანი კაბა... შემოსვლისთანავე სიგარეტი აიღო მაგიდაზე დადებული კოლოფიდან და თვატრალურად გააბოლა.

დათვიბალაძე და დამურაული ათვალიერებენ ოთახს – ეტყობა, ქალბატონი გაჭირვებულია, თუმცე დარბიული ბინა დალაგებულ-დაწკრიალებულია, არეულობა მხოლოდ ქალის ძაღლს შეაქვს – მოულოდნელი სტუმრები რომ ბინაში შევიდნენ, ატეხა ალიაქოთი, სირბილით გარს უვლიდა კაცებს, მაღლა ხტებოდა, ჰაერში აფრინდებოდა მტრედივით და ყეფდა, ყეფდა... ეტყობა, ასეთი სასიხარულო მოვლენა – უცხო ხალხის გამოჩენა – იშვიათად ეწვევა ხოლმე!

– ჩემო ლამაზო, საყვარლო, ნახე, ვინ მოვიდნენ! ახლა დაწყნარდი, ჩარლი, ჩემო კეკლუცო, ხომ ჰკვიანი ცუბა ხარ? – როგორც პატარა ბავშვს, ისე ალერსიანად ელაპარაკებოდა კაკანა. – ჩემო კონტავ, ლამაზო, საყვარელო!..

ერთი შეხედვისთანავე ჩანდა, რომ ამ ქალბატონისგან საქმისთვის ოდნავ მაინც გამოსადეგარს ვერაფერს შეიტყობდნენ, მაგრამ ზრდილობა მოითხოვდა, ასე უცებ არ ებრუნებინათ პირი წასასვლელად... და გაიბა ფრიად მოსაბუხრებელი, გაჭიანურებული ლაილაი ყველაფერზე და არაფერზე...

– რა ლამაზი გადასაფარებელი გაქვთ ტახტზე! – ცდილობდა საუბრის გაბმას დათვიბალაძე. – მშვენიერი ნახატია, შეიძლება მისი ნაჭერი ჩარჩოში ჩასვა და კედელზე დაკიდო.

– უი, კი არ დაგვიკვირებია? – წამოიძახა კაკანამ, წამით ძაღლიდან დივანზე გადაიტანა მზერა. – ამდენი წელია, მას ვუყურებ და მისი მშვენიერება როგორ ვერ შევამჩნიე!

– უყურებდით, ქალბატონო, და ვერ ხედავდით!.. ასე ხშირად ხდება, ჩვეულს, ყოველდღიურს ვეღარ ვამჩნევთ, თითქოს ის არც არსებობს... ბოდიშს ვითხოვთ, ჩვენც არ გვისამოვნებს თქვენი შეწონება, მაგრამ საქმე მოითხოვს, გაგესაუბროთ... ჩვენ ერთი რამის გამო დაგირღვიეთ მყუდროება: ალბათ გაიგეთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ თქვენს ქუჩაზე, ზუსტად თქვენი სახლის წინ, მკვლელობა მოხდა... ეს არცთუ ჩვეულებრივი ამბავი იყო და თუ თქვენ რაიმე მოსახრება ან დაკვირვება გაქვთ ჩვენთვის გასაზიარებელი...

– კი, გავიგე, მაგრამ მე რა უნდა შემემჩნიან? სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ეზოში ხალხი იყო შეკრებილი და მაშინ მითხრეს.

– თქვენს ასეთ პასუხს მოველოდი, რა გაეწყობა...

– ვინ არის კარგი ბიჭი? – გამაგრძობდა ძაღლის ალერსს ქალბატონი კაკანა. – ახლა გვაცალე საუბარი და მერე სასეირნოდ წავიდეთ...

საოცარია, ამ სიტყვების შემდეგ ჩარლი დაწყნარდა, ახტა და კაკანას კალთაში გაყურდა, კაკანა თავზე ხელს უსვამდა.

– ასეთი მომხიბვლელი ქალი ბრძანდებით, მარტო ცხოვრებისა არ გეშინიათ? – ჰკითხა დათვიბალაძემ.

– რატომ მარტო? მეგობარი აგერ არ მყავს?

– მოვლა არ გიჭირთ? მარტო როგორ ტოვებთ ხოლმე?

– გაწვრთნილი მყავს, ხომ ხედავთ, რა სისუფთავეა, იცის თავისი ადგილი, სად რა უნდა ქნას...

– რამე რომ მოხდეს, აი, კარზე მოგადგნენ... გააღონ... თავს როგორ დაიცავთ?

– ჰო, ვინც კი მოვა, ყველას ასე ალერსიანად, სიხარულით ხვდება ეს საზიზღრი! – სიყვარულით წარმოთქვა კაკანამ და გააბა კაკანი მისი საყვარელი ოთხფეხის თვისებებზე, ჩვეულებებზე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

სტუმრებს ერთი სული ჰქონდათ, როდის დაემშვიდობებოდნენ ქალბატონ კაკანა კარმანაულს და, რასაკვირველია, მის ფრიად ცოცხალ და მხიარულ ფინიასაც, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, მოესმინათ, ასევე, სიტყვაუხვი ქალბატონის გულის გამაწყალებელი სხვა ამბების შესახებაც: რამდენი

ფრიად ღირსეული მთხოვნელი ჰყავდა; ერთხელ კინალამ გათხოვდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბოლო წამს გონს მოგეო და მორიგი მთხოვნელიც გაწბილებული დატოვა – თურმე მას ძაღლები ეგრერიგად არ ეხატებოდა გულზე და, რასაკვირველია, ქალბატონმა კაკანამ თავისი ერთგული ოთხფეხი არჩია; საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა მიეტოვებინა ის...

* * *

– ესეც რაჟდენ მეჭეჭაშვილის ბინა... – აგაბო დათვიბაღაძე მუხის მდიდრულ, ჩუქურთმებით შემკულ კარს ათვალიერებდა, რომელიც, ხელოვნის კი არა, კარგი მხატვრის მიერ შექმნილი ჩანდა; ასეთი ხელოვნების ნიმუში ჯერ არ ენახა.

მათ კარი თვით რაჟდენმა გაუღო და ბინაში შეიპატიჟა. შეხედვისთანავე თვალში მოხვდათ მისი მოლაპლაპე მელოტი თავი, დამშვენებული დიდი ცხვირითა და თაფლისფერი, დიდი თვალებით, რომლებშიც აშკარად ჩანდა შემოფოთება პოლიციელის ფორმაში გამოსწობილი ლაშას დანახვის გამო. რაჟდენი ადრეც ნახეს ეზოში, სახლის დომინოსა და ნარდის სხვა “აკადემიკოსებთან” და “პროფესორებთან” ერთად და მაშინ უფრო დაწყნარებული ჩანდა.

ქურთუკები შესასვლელში საკიდზე დატოვეს, რადგან ბინაში ძალიან თბილად, მეტისმეტადაც კი. ერთი დიდი ოთახი გაიარეს, თითქმის ცარიელი, და მეორე, მოზრდილ ოთახში მასპინძლის მიერ შემოთავაზებულ რბილ სავარძლებში ჩაესვენენ.

მცირე ხანს სტუმრები საკმაოდ მდიდრულად გაწყობილ ოთახს ათვალიერებდნენ. კედლებზე მშვენიერი სურათები ეკიდა, ხის ბუდეში ჩასმული, იატაკზე დადგმული, ძველებური ქანქარიანი საათის ტიკტიკი სიმშვიდისა და სიმყუდროვის გარემოს ჰქმნიდა.

– გვითხრეს, თქვენი ვაჟი მხატვარიაო...

– დიახ, ასე ვთქვათ... – რაჟდენმა შევებით ამოისუნთქა, მიხვდა, მის შვილს ჯერჯერობით მორიგი საგმირო საქმე ჯერ არ ჩაედინა.

– ეს თქვენი ვაჟის ნამუშევრები არ უნდა იყოს...

– დიახ, ეს ციმაკურიძის პეიზაჟები და ეს სიღამონ-ერისთავის ტილო კერძო პირებისგან არის ნაყიდი, დანარჩენები “მშრალ ხილზე” მაქვს შექმნილი.

– თქვენი ვაჟი სურათები თუ გაქვთ?

– კი, ბევრი, მის ოთახშია სუყველა, ერთ დროს მაგრად მუშაობდა... ვეუბნები, ზოგი მაინც გადმოიტანოს აქ, მაგრამ არ შერება, ამათ გვერდით როგორ დაგვიდოო...

– ამჟამად სად არის?

– გივი? რა ვიცი, აბა? ერთი საათის წინ მანქანით გამოუარეს ძმაბიჭებმა და წაიყვანეს.

– არაფერი გითხრათ, სად მიდიოდა?

– ე-ე-ეჰ... რა ხანია, უკვე აღარც ვკითხულობ მის ასავალ-დასავალს...

– როგორ, არ გაინტერესებთ, ვისთან დადის, რას აკეთებს...

– რას უნდა აკეთებდეს მაგისთანა ნაძირალა? – მოულოდნელად აფეთქდა რაჟდენი; ეტყობა, შინაგანი დაძაბულობა ვერ მოთოკა. – ზოგჯერ რომ წამომივლის, ვიფიქრებ: “დავახლი ერთ ტყვიას და ამით გათავდება ყველაფერი-მეთქი, მეც მოვისვენებ და ჩემი ცოლიც”... იცით, რამდენჯერ მომსვლია ასეთი უცნაური აზრი? ვერასდროს გავიმეტე: შვილია მაინც... ეგ ერთი გეყავს...

– გასაგებია...

– ერთხელ ხომ უნდა გაწყდეს, საცა წვრილია, აღარ უნდა მეღირსოს წყნარი ცხოვრება? ყოველდღე რაღაც საშინელის მოლოდინს, ჯობს, ან მე მოგვედეს, ან – ეგ მოვიშორო რამენაირად თავიდან, მაგის საშველი მაინც არ არის და არც იქნება...

– იარაღი გაქვთ შინ?

– არა, რას ამბობთ, ჩემი ვაჟბატონის გადამიდეს, მისი ხელში დაჭერა კი არა, მისი დანახვაც ჭირივით მეზიზღება!

– თქვენს შვილს თუ აქვს?

– არა, არა, გაფრთხილებული მყავს: “თუ მსგავსი რამ დავინახე შინ მოტანილი, იცოდეს, იმ წამსვე პოლიციას შევატყობინებ-მეთქი! ნუ გგონია, რომ ძველებურად გამოვიხსნი, ოთხი-ხუთი წლით ჩაგაყუდებენ, ცოტა ხანს მაინც მოვისვენებ-მეთქი”... არ მეყოფა, რაც მე გულის ხეთქვა მაქვს გადატანილი?

– რას გულისხმობთ?

– რამდენიმე წლის წინათ... ყაზბეგში იყვნენ, დათვრნენ თუ რა იყო და მოუხდათ იქაურებთან შეხლა-შემოხლა, რევოლვერით დაჭრეს მოხვევე ბიჭი. ატყდა ერთი ამბავი, კინალამ დახოცეს ერთმანეთი. კიდევ კარგი, მოხვევები ფხიზლები იყვნენ, არ აწყენენ ამათ. მივარდა პოლიცია... დამირეკეს, ასეა საქმეო. რა თანხა დამიჯდა ამ ამბის ჩაფარცხვა, ახლა ვერ გეტყვით; ძლივს დავითანხმე, რომ შერიგებულიყვნენ, ოღონდ იქაურმა პოლიციამ მოითხოვა რევოლვერის ჩაბარება...

- ძალიან შფოთისთავი შვილი გყოლიათ!
- იცით, ბავშვობაში რა კარგი ბავშვი იყო?! ყველა გიჟდებოდა, ასეთი ლამაზი და ასეთი ალერსიანი ბავშვის მნახველი არ ვართო...
- მერე რაღა დაემართა?
- არ ვიცი... მაშინ დიდუბეში ვცხოვრობდით; 11 წლის რომ იყო, იჩხუბა და მეზობელ სახლში ერთი ბავშვი დაჭრა დანით. იმის მშობლები მოვიდნენ, მეღაპარაკენ – ისე შეეშინდათ, არ გადაგვეკიდოსო; ფულს ვაძლევდი, არ აიღეს და ძალათი რა აღარ არ ვაჩუქე... იმ ბიჭს ველოსიპედი ვუყიდე... ხმა აღარ ამოუღიათ.
- თავიდანვე მოუსვენარი ყოფილა.
- გივიკო 16-17 წლის რომ იყო, გოგოებმა აგვიკლეს ტელეფონის რეკვიტით – მასზე შეყვარებული იყო ნახევარი ვაკე და ვერე; მაშინ გოგებაშიელის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ერთი ფისო იყო, ფისო ერქვა, ისეთი კარგი ბავშვი იყო, საოცარი. გივიკო იყო 17 წლის, ეს გოგო იყო 14 თუ 15 წლის და დასდევდა ამას, გივის, და ჰქონდათ სიყვარული რამდენიმე წელი – გვეგონა, რომ ის ფისო ცოლად უნდა მოეყვანა... ეს გოგო ძალიან თავისებური იყო, წიგნი აჩუქა – “თამაში ჭგავის ყანაში” ჯერომ სელინჯერის, ხომ გახსოვთ, პატარა გოგოსა და ბიჭის ამბავია. გივიკომ ეს ვერ გაიგო, აზრზე ვერ მოვიდა, – გოგო ადრე მწიფდება, – ის იყო 14-15 წლის ქალიშვილი და ეს – 17 წლის ვირი, რომელსაც წიგნი აჩუქა. მოვიდა ერთხელ გივიკო და მითხრა, შეყვარებული მყავსო. ეს გოგო იყო ცნობილი არქიტექტორის შვილიშვილი. მერე უცბად ჩამოსცილდა ეს ბავშვი – ამის ხელში გაიარა – და ცოლად გაჰყვა ვიღაც ძალღნორბაძე თუ ძალღნახვაძე გვარად – ნაყინების წარმოების “შეფის” შვილს – 20 წლის პატარა ბიჭი იყო, ცხვირმოუხოცელი. შეგროვდა უამრავი ხალხი სიძესთან სახლში, დიდი ქორწილი აქვთ და ჩემთან მოვიდნენ...
- ქორწილში თქვენც დაგპატიუს?
- არა, მოვიდნენ და რა მთხოვეს, იცით? გივიკო გაჩერდეს და რამე არ გაგვიკეთოს ქორწილშიო, – ამ ნაბიჯვარს, გაბრაზებულს, რაღაც უთქვამს, დამუქრებია, – ავტომატით არ შემოვარდეს და რამე უბედურება არ დაატრიალოსო. ახლა ის დრო აღარ არის, 10 წლის წინანდელ ამბავს ვიამბობთ, თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ 23 წლის ბიჭი იყო გივიკო... ეს გოგო გათხოვდა მის თანატოლზე; მისი ქმარი იყო ცხვარივით, ვისაც გაჰყვა. მერე იმ ბიჭმა ძველბიჭობა მოინდომა, მანქანა მოიტაცა, დაიჭირეს – მილიონერია მამამისი, მენაყინე; გადარეკა, გადმორეკა, მაყუთი დაადებინეს და მისი ბიჭი გამოუშვეს. მერე კიდევ რაღაცა იგიუა, ცოლის გულისთვის ვიღაცა დაჭრა... ცოტა გამომწვევი გოგო იყო ის ფისო, თამამი და ეჭვიანობის ნიადაგზე ქმარმა კინაღამ ვიღაც მოკლა... გივიკოს პირველ შეყვარებულზე გიყვებით.
- გივი? რას შერებოდა ამ დროს?
- რაც მაგას გაეუმწარებივარ... – თავს აქნევს გაბრაზებით თუ დანანებით რაჟდენი. – და მაშინ რა ხდებოდა... ქორწილში მეჯვარეები წაიყვანდნენ ხოლმე გივიკოს – ხომ იცით, ამ დროს სწორედ ესეთ “ყოჩებს” ირჩევდნენ, მაყუთიანი ხალხის შვილები რომ კაიფობდნენ... ნარკოტიკი ძვირი იყო, ხვდებით, რას ვამბობ? ითვლებოდა პრესტიჟულად, აი, ასეთი ვარიანტია, პატივს გცემდნენ, რომ “ნარკუშა” იყავი... აი, სიტყვა “ნარკუშას” რომ იტყოლი, უკვე სიყვარულით გიყურებდნენ – “ნარკუშა!”. მოდასათვთ გახდა და ამ ჯგუფში მოხვდა გივი. ვერეზე იყვნენ ბიჭები, ჯგუფი, “ბოროტებს” ეძახდნენ და ერთი მათგანი იყო ნიპო ნაგებაიშვილი. ამ ნიპომ, ალბათ გაგიგიათ, თბილისში, თავის სახლიდან “მუხა” ესროლა, ერთი ქურდი ჰყავდა მეზობლაძე, მიგალაძე თუ მიგალაძე, რაღაც ვერ გაიყვეს, გააბრაზა, – იმის სახლს, – აი, ის რაკეტა თუ რაღაც ჯანდაბა, “მუხა”, ტანკს რომ ესვრიან! თბილისში ვგეთი რამე თუ მომხდარა... ამათ უძახდნენ “ბოროტებს” და ნიპოს ერთ-ერთი ძმაკაცი იყო გურამი, მეტსახელად “ზარალა” – ამათი თავკაცი. ახლა სასტუმრო “ივერია” რომ არის, მის ქვევით ცხოვრობდა. დედამისი იყო მაკა – ისეთი ლამაზი ქალია, კონსერვატორიაში მუშაობდა, იმის დედა, პედაგოგი... ჩემი ქვისლის მეზობლები არიან, ახლობლები, გურამის მამა კი, ამ ზარალას მამა, – თედო, – ერთ დროს ცეკვაში მუშაობდა “კაგებეს” ხანით. მოკლედ, ამ ნიპოს და ზარალას თაობის შემდეგ იყვნენ ესენი, ახალი თაობა წამოვიდა – ამ ზარალას უმცროსი ძმა, ჩემი გივიკო და სხვები. ახლა რომ ერთ-ერთი მინისტრია, რომეო რაკრუკაძე, თითქმის ყოველდღე რომ ტელევიზორში ვხედავთ და ხელოვანებს ჭკუას არიგებს, მაგ რომეოს ძმას გაუვარდა რევოლვერი და ინგუშა დევდორაკაძე, თავისი ძმაკაცი, შემოაკვდა – ეტყობა, “კაგებეს” რაღაცა იყო... “მრგვალ ბაღთან” ხდება ესა. ინგუშა როგორი ბიჭი იყო, იცით? სხვებმა მითხრეს, აი, კინოში რომ ნახო ქართველი კაცი – ულამაზესი ბიჭი იყო და მართლა ძალიან კარგი... გააგორეს! ამას დარჩა ძმა – ზუკა, ესეც ძალიან კარგი ბიჭი. ამ ზუკას და გივიკოს თაობა წამოვიდა უკვე – მეორე თაობა “ბოროტების”, როცა ვერეზე გადავედით. ერთხელ ამოვარდა გივიკო, პატარა იყო, 17-18 წლის, და ნიპო მოკლესო... ეს ნიპო გაუშვეს ოზურგეთში, დანიშნეს გამგებლად თუ გამგებლის მოადგილედ – მაშინ, შევარდნაძის დროს, და იქ წილებში ჩაჯდომა მოუნდა, ეს იქაურებს არ მოეწონათ და ვიღაცამ დაცხრილა ავტომატით. მახსოვს, მის დასაფლავებაზე ვიყავი და ბოლომდე სასაფლაოზე არ წაგ-

სულეარ. ჩამოსულან ოზურგეთიდან ხალხი სამძიმარზე – და აქ, ვერეს სასაფლაოზე მოუკლავთ 5 კაცი, იქიდან დასაფლავებაზე ჩამოსულები! ამათ იცოდნენ, რომ ის ჩამოსულები იყვნენ ნიპოს მკვლელობის საქმეში გარეულები – და იქვე მიახვრიტეს, ვერის სასაფლაოზე – იქვე დახოცეს ისინი. ნიპო რომ “წავიდა”, ესენი წამოვიდნენ – ახალი თაობა... “ძველებმა” მაყუთი იშოვეს და “შავი” ფულით საქმე გაიკეთეს – ზოგმა თანამდებობა იშოვა, ზოგს – სხვადასხვა კომპანიაში წილი აქვს. ახლა ამ ზარალას ხშირად ვხედავ ხოლმე ტელევიზორში – სადაც კი ბიზნესმენების შეკრებაა; ეს ზარალა არის ახლა მილიონერი.

– საიდან?

– ასტანაში ჩავიდა, იჩალიჩა, ყაზახებთან დაამყარა კონტაქტი ნავთობზე, რაღაცაზე – მამამისის ძველი კავშირები გამოიყენა, “კაგებეში” მაღალი თანამდებობა ეკავა, ესენი კი ერთმანეთთან კავშირს არასდროს წყვეტენ – ხომ იცით, რაც ხდება და როგორც ხდება. მაგათ თავიანთი ძველი “არხები” აქვთ. რაზე დაარქვეს, იცით, იმას “ზარალა”? ისეთი ავარდნილი იყო, რომ რაღაც იმამაძაღლა და მამამისი, თედო, გამოაგდეს ცეკადან. და ამ ბიჭს დარქვეს “ზარალა”... და მერე ამ გურამამ აზარალა კი არა, საერთოდ ააშენა ოჯახი! ოცი თუ ოცდაორი მილიონი მისცა მიშას ხალხს, რომ არ დაეჭირათ – უნდა ჩაესვათ, გადაიხდა ფული. ერთხელაც, გივიკო რომ დაჭერილი იყო, დაინახა: გვერდზე იჯდა, ისიც დაიჭირეს – ტარიკა. ეს ტარიელი დიდი მაყუთის პატრონია, ზარალას მეგობარია. დაუნახია გივიკოს ეს ტარიკა მის გვერდზე საკანში და უთქვამს: “შენ ტარიკა არ ხარ?”. “ხო, მაინც ნუ იტყვი, ნარკოტიკებზე დამდევენ ვირიშვილებიო”. ტარიკა ციხეში იჯდა, მე რომ იქ ვიყავი, გივიკომ, და რაღაცეებს დამპირდაო. მე რომ ვიყავი ადვოკატებთან, ის ადვოკატები იყვნენ ტარიკას ადვოკატებიც, ველაპარაკე და მითხრეს: ტარიკა დაბოღმილი იყო, ფულს თხოვდნენ და არ იხდიდაო, მაგრამ ახლა გადაიხდის და გამოვაო. ჰოდა, ის გადაიხდის და გამოვა, ეს კი – ჩემი შვილი, გივიკო – ჩაჯდება, თუ მამამისმა, ესე იგი – მე, არ გავვიდე სახლიდან რამე ან ახალი ვალი არ ავიკიდე... უმნიშვნელო დანაშაულზე უპატრონოს და უფულოს მიაჩნობენ დიდ ვადას, ყაჩაღს და მაგარ ქურდს – გამოუშვებენ, რადგან ფულიანია და გადაიხდის... ჩემს შვილს ვეუბნები: “ბიჭო, ტარიკასავით და ზარალასავით რას იქაჩები – ისინი არიან შენზე უფროსები და დიდი ყაჩაღები!”. ტარიკასთან მისულა ზარალა ციხეში. რადიოში იყო თუ ტელევიზორში თქვეს – ზარალა დაიჭირესო, ჰოდა, შევიდა ციხეში და ნახა იქ ტარიკა უბრალოდ – ამ გურამამ. ამ გურამა-ზარალამ რა გააკეთა ახალგაზრდობაში, იცით? ეჭვი ჰქონდათ, რომ ერთ ძველებურ ოჯახში შევიდნენ, მოხუცი ქალი მიიბეს სკამზე და წაიღეს ოქროსულობა; ეს არეულობის დროს მოხდა, ახალგაზრდა ბიჭები რომ იყვნენ, მაშინ... ახლა არის მილიონერი ეს ზარალა და აშენებს უზარმაზარ სასტუმროს! მაგის ფირმამ გაარემონტა ძველი შენობები, მაგან დადო ფული და აკონტროლებს რაღაც-რაღაცეების შემოტანას საზღვარგარეთიდან, წილში ჩასვა პარლამენტის დეპუტატები, მინისტრებთან მიესვლება... ხვდებით? ამას რომ უყურებენ ესენი, მიბაძვა სურთ... მურტალია. თანაც ძლიერები არიან ისინი. გივიკოს ვეუბნებნები: “გაჩერდი, იმათ რას ბაძავ, – შენა ხარ დონ კიხოტი, დედ-მამის ნიფხავზე ხარ ჩამოკიდებული, ზარალა კი პირიქით – მგელია! არა ხარ შენ მგელი, გაიგე? გეყოფა ამდენი ქაქის ჭამა!”.

– ეშველა რამე, დაჭკვიანდა?

– ვერეზე სახლი გავყიდე, აქ გადმოვედი საცხოვრებლად – ძველ სამოსს გამოვარიდე... აქ გივიკომ მაშინვე ახალი ძმაკაცები გაიჩინა, ძველებზე არაფრით უკეთესები. განცვიფრებული ვარ: როგორი ყნოსვა აქვთ, ასე უცებ სად პოულლობენ ეს ნადირალები ერთმანეთს... ძველებიც არ ივიწყებენ, აქაც ხშირ-ხშირად აკითხავენ – დღესაც გამოუარეს და სადღაც წაიყვანეს... როცა ათი წლის წინათ ცოლი ითხოვა, ჯერ კიდევ ვერეზე ვცხოვრობდით, ვიფიქრე, აწი ცოტა დაჭკვიანდებამეთქი... პირიქით, უფრო აურიბა, განსაკუთრებით – პირველი ექვსი თვე: აურზაური, ჩხუბი, ნარკოტიკები... დაწოწილობდა აღმა-დაღმა, სად ათენებდა და აღამებდა, არც ვიცოდი. რომ ჩამოვთვალო მაგის გმირობები, არ დამიჯერებთ, ერთ ბიჭს თუ ამდენის გაკეთება შეუძლია... ჯერ იყო და დაამტვრია ჩემი ახალთახალი ყვითელი “ნივა”: ვერის დაღმართზე შეასკდა ბოძს, ის ბოძი გადუნა და მანქანა რა დღეშიც იქნებოდა, წარმოგიდგენიათ. წამიყვანა და მე დავიბრალე – ხომ ვერ ვიტყვოდი, ბიჭი ნარკოტიკებით გაბრუებული იყო-მეთქი. პოლიციელები მეუბნებიან: “ბიძაჩემო, აწი ნელა იარეო”, – დამაჯარბიმეს, მანქანის გაკეთების ხარჯი კიდევ სხვა იყო... გავიდა ერთი თვე და ახალგაკეთებული მანქანით გადავარდა კლდეზე, კარსანთან... რა ჯანდაბა უნდოდა იქ, არ ვიცი. იოლად გადაჩნა, სერიოზულად არაფერი დაშავებია – ცოტა დაიჟევა; ნეტა უარესი მოსვლოდა, რამდენიმე ხნით დავისვენებდი. მის ძმაკაცს ლავიწის ძვალი გაუტყდა. მეორედ არ გაუმართლა: ავარიაში მოყვა – დიღომთან ამოტრიალდნენ ტრასაზე და სამჯერ გადაყირავდნენ. ტვინის შერყევით საავადმყოფოში მოხვდა. რამდენიმე თვეში მცხეთა-თბილისის გზაზე მეგობრის მანქანით მიდიოდნენ, ნარკოტიკები ჰქონდათ მიღებული; მანქანა გზიდან გადაფრინდა, ამოტრიალდა და ისევ – ტვინის შერყევა... არაგვის ხეობაში იყვნენ, იქ ერთი სოფლის სასადილოში იჩხუბა და ჩემი “ნივა” დაამტვრიეს, მაგას და მაგის ძმაკაც სიკვდილას – მოხვდათ ორივეს კარგად; გივიკო რევოლვერით გაიქაჩა, წაართვეს და

ისე სცემეს, ძვალი და რბილი გაუერთიანეს. ბიჭებს მთელი სოფელი დაესია, მანქანა ისე დაჭეჭეს, შემეცოდა – უნდა გენახათ, სურათი მაქვს გადაღებული, რა დღეში იყო წითელი “ნივა”. იმ დღის მთელი სოფლის გზები პოლიციამ გადაკეტა, აიყვანეს ბატონი გივი თავის ამფსონთან ერთად. ორივენი იყვნენ არანორმალურ მდგომარეობაში. ჩასვეს ციხეში, 40 დღე იჯდა. იქ რა გააკეთა მაგან: როცა დაგუპირისპირე, ვისთანაც ჩხუბი მოუვიდა, წინდაწინ ფული მქონდა მიცემული, მოკლედ, ის ტიპი ეუბნება, მამაჩემი მამაშენის ძმაკაცია და გპატიობო, შევერიგდეთო – გივიმ რა უპასუხა? “მამაჩემის კარგიცო...”, შეიგინა – ამას რომ კაცი პოლიციაში იტყვის... ეს მანქანა გაეყიდე და ახალი “ნივა” ვიყიდე, ისევე წითელი, ძველი ნომრები დაგუტოვე. ერთ წელიწადში რა დღეში ჩააგდო: გაკენჭილი ჰქონდა თავი, როგორც ხევსურ კაცებს რომ ჰქონდათ წინათ, როცა ხანჯლაობდნენ ხოლმე; გვერდები – ისე დაჭეჭილი, იმას რა ხელოსანი გაასწორებდა, გამოსაცვლელი გახდა. ეს ახალი მანქანა, ერთი წლის, წარმოუდგენლად გაუბედურებული: რამდენჯერმე გადატრიალებული, გადმოტრიალებული, ბევრგან ეტყობოდა რეფოლვერის ნატყვიარები... ოთხი მანქანა გამიუბედურა. ძალიან მივქარე – მისთვისაც ვიყიდე, ერთ წელიწადში ისე უტირა დედა, ჯარტში ჩასაბარებელი გახდა. ახლა აღარც ჩემსას ვაძლევ, ცოტა დავისვენე...

– ხელოსნებს კარგ სამუშაოს უჩენდა!

– ვერაზე ბიჭს დაარტყა მანქანა, ვერის ბაზრის წინ – ახალგაზრდას. იქ გადასასვლელი არ არის და ამან ცოტა უშველა. ის ბიჭი მოხვდა საავადმყოფოში; უწამლა, დამატებით კიდევ 1 000 დოლარი იმას მისცა და 1 000 დოლარი პოლიციას, რა თქმა უნდა, ჩემი ჯიბიდან. “ტოიოტა” რომ გვეყავდა, პატარა ჯიბი, ქალებს რომ უყვართ... თურქეთში ვიყავი საქმეზე, სიზმარი ვნახე ცუდი. დავურეკე ღამის 3 საათზე ჟუჟუნას: “რა მოხდა?”, “არაფერი”, “მოხდა!”, – ვეუბნები; “საიდან გაიგე? ჩამოდი, რაც მალე ჩამოხვალ უკეთესია, ასე ვერ გეტყვი”. ჩამოვედი და რა გაუკეთებია: მანქანით წამოიღეს ანაშა ლაგოდენიდან. მაგასთან ერთად ისხდნენ კიდევ ორნი: მაგის ძმაკაცი, მამამისი პოლიციის უფროსი იყო და კიდევ მესამე ვიღაც. ეს ანაშა სახურავის გვერდზე სადღაც ჰქონდათ დამალული – გამოუდიათ რკინა და იქ შეუდიათ. რომ მიუახლოვდნენ თბილისს, პოლიცია გამოეკიდათ, დაიჭირეს ესენი, ეს ანაშა ნახეს: მესამე ბიჭი ალბათ შეკრული იყო პოლიციათან და ესენი “ჩაუშვა”, ისე ვერაფრით მიაგნებდნენ... ტელევიზორშიც აჩვენეს მათი დაკავების მომენტი, წინდაწინ იყვნენ მომზადებული: “ესენი და ესენი იყვნენ, მოდიოდნენ ლაგოდენიდან, ამდენი და ამდენი გრამი ნარკოტიკი უნახეს”... კარგი სპექტაკლივით იყო გათამაშებული ყველაფერი. განა გასაყიდად მოჰქონდათ – რომ ეკაიფათ: რომ აი, თავს დადებს, მაგარი ბიჭია, რა... ეჰ, რამდენი ჩამოვთვალო... რა ენაღვლება, მამიკო ყოველთვის დაიხსნის, ეგ გარეწარი, ეგა. მკერდში დაჭრეს დანით, დაჭრეს ფეხში... არ ვიცი, ახლაც ყოველდღე გულის ხეთქვაში ვარ, რომ რაიმე საშინელებას შემატყობინებენ...

– მკურნალობა არ გიცდიათ?

– 2002 თუ 2003 წელი იყო, ბიშეკეში მყავდა – გავიკითხ-გამოვიკითხე და მითხრეს, იქაურ კლინიკაში არიან ძლიერი სპეციალისტებიო, იქ შევხვდით ახალ წელს... ახლა მე აღარ ვამბობ, რა დამიჯდა ეს ყველაფერი – დაახლოებით 5 000 დოლარი, მთავარია – რა ნერვების წეწვა გადავიტანე... ყველაფრის მოყოლა შეუძლებელია.

– ეშველა რამე?

– მეტი არაა ჩემი მტერი...ხუთჯერ არის ნამკურნალები. საინტერესოა, რომ ჩამოვწერო, რაებს იღებდა... ალბათ ყველანაირი წამალი აქვს გასინჯული. რატომ, რისთვის – ვერ გავიგე...

– როგორ შოულობდა?

– მპარავდა ფულს – ფულს სახლში ვერ გააჩერებდი. ყველაზე ცუდი ეს იყო... რამდენიმე წლის წინათ 800 დოლარი მედო შინ, ბოლო ფული გექონდა საჭმლისთვის გადანახული, უფრო სწორედ – გადამალული; მიაგნო, წაიღო, კაზინოში ითამაშა და მოვიდა გაგლეჯილი ნარკოტიკებით, ეს ფული – წაგებულნი...

– ალბათ გაგიჟდით, არ ელოდით...

– ერთხელ ისიც კი გააკეთა, რომ შემთხვევით რაღაც ქაღალდი მომქონდა ბანკიდან და დაინახა ინტერნეტში – მე რა ფული მიღვეს და გამფტაცვანა, ერთი თეთრი არ დატოვა ანგარიშზე მაგ უნამუსომ. იმასაც აკონტროლებს, ხვდებით? მეორედაც... ბანკში ცოტა ფული მქონდა გადამალული შინაურებისგან, ვიღაცამ ჩემი ანგარიშიდან მთელი თანხა მოხსნა – დარწმუნებული ვარ, გივის ნამოქმედარია... ის მიკვირს – კოდი არ იცოდა და როგორ მოახერხა? ნიჭიერია, მამაძალი, დიდ წარმატებას მიაღწევდა ცხოვრებაში, სწორ გზას რომ დადგომოდა... ეცადე, როგორც გინდა, ფულს ვერსად დაუშვალავ – მიაგნებს, ახლა ჯიბით დამაქვს. ეს რა არის... დაიკარგა დედამისის ოქროს ბეჭედი, ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი, ვიდეოკამერა, ფოტოაპარატი... ყველაფერი გაზიდა. ეს სურათები რამდენჯერმე უკან მაქვს დიდი წვალეებით დაბრუნებული – წაიდებდა და ვიღაცებს ჩალის ფასად აძლევდა. მე აღარ გიყვებით ყოველდღიურ წვრილმან ამბებს. ტრაგედია და ტრაგიზმი შორის დიდი განსხვავებაა. ტრაგიზმია, როცა გრძელდება უბედურება და ტრაგედიაა, როცა უცებ თავდება

ყველაფერი. როცა ოჯახში ეს ხდება, ეს არის საშინელება. საშინელებაა, როცა სახლში გიზის დამნაშავე... ხანდახან მინდა, მოგვლა...

– მისი ცოლი როგორ უძლებს ამას ყველაფერს?

– ცოლთან ურთიერთობა... კეკელუცამ გააჩინა შვილი, გოგო. მალე წავიდა, გივი მიატოვა, შვილი მე მომიგდო, ძუძუც კი არ უწოვებია. შვილიშვილს მე მაზრდევინებს ჩემი ცოლი, ნანიკო უკვე 8 წლისაა, სკოლაში დადის. ახლა გივი ვიღაც ქალზეა გადაკიდებული, რომელსაც 2 შვილი ჰყავს – პოდიუმზე გამოდიოდა, მოდელია – მამა ჰყავს ცნობილი საქმოსანი. ერთხელ დაგბრუნდი შინ, ჩაკეტილი აქვს ოთახის კარი, ავუტეხე ბრახუნი... გააღო – ეს ქალბატონი ჰყავს. გამოვაბუნძულე: “სადაც გინდათ, წადით!”. ამ გოგოს ვუთხარი: “თუ ნარკოტიკებს გადააჩვენე, მე ყველაფერს გაპატიებ...”. შენც არ მომიკვდი!

– სულ ასეთ დღეშია? როგორ უძლებს ორგანიზმი?

– ამას წინათ გამოვიყვანე მდგომარეობიდან, რამდენიმე თვე ვარჯიშობდა... როგორი მონაცემები აქვს, იცით? აი, ასე აიწევა, ცალი ხელით ჩამოეკიდება და ფეხებით კუთხე უჭირავს; ან ასე აიწევა ასჯერ. როგორც კი ნარკოტიკებს მოკიდებს ხელს, ნათრევე კატას ჰგავს. თუ გაანება თავი – ვეღარა ვცნობ, გალამაზებულია. მერე – ისევ აურევს...

– სათავგადასავლო რომანის დაწერა შეიძლება...

– კიდევ ბევრი რაღაცა მოხდა, ბოლო ორი კვირის ამბავი უნდა ვთქვა... საქმეზე ვარ წასული ფოთში და დამირეკეს ტელეფონით, გივის მეგობარი, ალიკო, მირეკავს: “რაჟდენ ბიძიაო, როგორ ბრძანდებით და უნდა გითხრა ერთი ცული ამბავიო...”, “რა მოხდა?”, “გივი დაჭერილიო”. “რაზეა დაჭერილი?”, “მაგას და გიგა ცინდალაძეა ერთი, ადრე ავტონისპექციაში რაღაც უფროსი იყო, ტაქსში აიყვანეს ორივეო და აღმოაჩნდა გივის ანაში თუ რაღაც ნარკოტიკიო. იცოდნენ ალბათ და გიგას დასდევდნენ. ჰოდა, ახლა ორივენი არიანო ვაკის პოლიციაში”. მე ვუთხარი: “გივიკოზე დაქაღნებული ვარ, მაგისტანა ნაძირალასთვის თითს აღარ გავანძრე, ჩავსვამ, მაგის დედა... ერთი-ორი წელი მაგისტვის კარგი იქნება”. “არაო, რაჟდენ ბიძიაო, 6 წელია მაგაზე ციხეო”. ამათ ძმაკაცები ჰყავთ პოლიციაში, ყველაფერი იციან. “მე მითხრეს ჯერ 4 ათასი დოლარი, მერე 3 ათასიო, მე ხომ ვიციო და, რაჟდენ ბიძიაო, მე დაგუგდე ფასი და 1 600 დოლარი უნდა მიუუტანოთ...”. მე ვუთხარი: “უნდა დაიჭირონ, უკეთესია მაგისტვის...”; “არაო, რაჟდენ ბიძიაო, ძალიან დიდი “სროკიაო”. მაინც შემაბეს და გამოვიტანე 1 600 დოლარი. ამ ალიკოს მივეცი ეს 1 600 დოლარი და ჩააბარა პოლიციას. პოლიციას ეგენი რატომ ევასება, ხომ იცით? იციან, რომ ესენი ნაღდად არ გაყიდნან იმათ და ამიტომ ამათგან აკეთებენ მაყუთს. ახლა მომთხოვეს 1 600 დოლარი, შემდეგ, დროზე რომ არ ვუშველო, შეიძლება, 10 000 დოლარი დასჭირდეს ამ საქმეს. მიმატანინეს ეს 1600 დოლარი. ახლა, უკურეთ, როგორი ნაძირალაა ეს ალიკო... მეუბნება, 1600 დოლარი უნდაო, ასი დოლარი “მოტეხა”. არ უნდა მიმეცა, მაგრამ... ეგ ალიკო პოლიციიდან გამოვათრიე ამ ორი თვის წინათ, ქუჩაში ვიღაცებთან უჩხუბია, მამლაყინწობს, პოლიციაში არის აღრიცხვავს... ჩემი შვილის ძმაკაცი როგორი იქნება...

– თავიდან არ იქნებოდა ასეთი...

– ამ ალიკოს მამა, კობა, მიყვებოდა, რომ ალიკო იყო არაჩვეულებრივი ბავშვი... სტუმარი რომ მოვიდოდა, ლოკავდა – ისეთი თბილი იყო და ულამაზესი... და ძალიან ინტერესიანი ბავშვი. “ცული რა მენიშნაო, იცი? – მამამისი მიყვება; – პირველად სკოლაში გამოჩნდა: მასწავლებელი ვერაგინ იგუა, ხუთი სკოლა გამოიცვალა. ჩემი ცოლი მეუბნებაო: “ჩემზე არიან გადაკიდებული!”, “ფული უნდათ!”, “მანანას იცნობენ, ჩემს ძმას იცნობენ...” – რაღაც სისულელეებს მეუბნებაო. ერთხელ სულ მთლად ბავშვი, რვა წლის იყო ალიკო, როცა დიდი მანქანა დააგორა. რომ დააგორა, გლიჯა ორ ბოძს, წაქცია... გამისკდა გულიო. მერე მოხდა ყველაზე ცული: ხმა გავარდა, რომ 15 წლის ბიჭმა 14 წლის ბიჭი მოკლა დანით – ქვემოთკენ სკოლაშიო... და აი, პოლიცია მე მეჩითებაო: “დაგვიტხოთ ალიკო”. მე ვუთხარიო: “ალიკო 11 წლისაა, რა შუაშია ალიკო?”; “მაგის დანით იყო მოკლულიო”. ამან ჩაიტანა თურმე დანა, ეს დანა გამოართვა იმ ტიპმა და დაარტყა მეორეს. “აი, შენ დაუკვირდი, როგორი ცოდვია ჩადენილიო”... ეს დანა ნამდვილად ჰქონდა ჩატანილი – აი, ეს იყო უკვე ცული ნიშანი, რომ ვერ იყო კარგად საქმეო”. ახლა გამახსენდა კიდევ მანქანის ამბავი. გივის მანქანის საჭესთან დაჯდომა არ შეიძლება. გივი და ალიკო ჩემი ყვითელი “ნივით” დაგრილებდნენ და გადახტნენ მეზობლის ეზოში. ის ტიპი ნარკომანი იყო და ძველბიჭობდა, გიჟუას ეძახდნენ; მერე ამოვიდა და მითხრა: “ამის დედა ვატირე, მე მთელი თბილისის მიცნობს და – გივიზე მითხრა – ეს მამლაყინწა წამომეჭიმაო, ამის დედაო, მერე ბიჭები მომიყვანაო და კინაღამ “დულა” და დანა დამადესო”... შეუშინებიათ: ამათ წაუყვანიათ თავიანთი ამფსონები, თავხეულადებულები. გიჟუას შეეშინდა: უფროსი “ბოროტები” – ნიპო და ვიღაცები – ახლდნენ გივის. ეს რომ მითხრა, ჩავისვი მანქანაში გივიკო, 13 თუ 14 წლის იყო, წამოვიყვანე და დავსვი საჭესთან: “14 წლის ბიჭი ხარ...”, თოთხმეტის ხდებოდა; ზაპესთან გავიყვანე, იქით, სანამ გვირაბში გახვალ, ჩასახვევია მტკვრისკენ. “ჩაიყვანე! – ჩაიყვანა მანქანა, – ახლა მოატრიალე!” და ვერ უხვევს... “მოატრიალე! მუხრუჭი! – აქეთ რკინის მი-

ლია, – ბიჭო, მუხრუჭი!“. ამას ვეუბნები, ის კი უფრო აჭერს გაზს ფეხს და გლიჯა ამ რკინის მილს... შენი კარგი... უცბად დაედო ტრაწის ფერი... მარჯვენა მხარე შეიჭყვყა, ფარა ჩაიმსხვრა. მე ვიფიქრე, ახლა ამას რამე არ დაემართოს-მეთქი და დავტკბი შექარივით: “კარგი, დაწინარდი, შეილო, რაც მოხდა – მოხდა“. გაემართე, გავათავისუფლე საბურავი. მოვიდვართ უკან და ათი წუთის გასულები არა ვართ გზაზე – ტიპები დგანან აქა და ნახეს, რა დღეში მოვიდვართ და “რა დაგე მართათო?“. ეს იყო პირველი გაფრთხილება. მერე, უკვე მოგიყვებით, გივიმ მოიყვანა ცოლი, კეკლუცა. არ მინდა გაგაგრძელო, კიდევ სხვა რა მოხდა, მოიტაცა ქალი. აგერ ვსხედვართ და ვილაც ქალი რეკავს: “ჩემი ბავშვი მოიტაცეს, სადღაც წავიდნენო“, თურმე დედამისმა დარეკა. შუშუნაც აფორიბქებულა, მაგრამ ტელეფონში იქით ამწვიდებს: “კაი, კაი, დაწინარდით ქალბატონო!“. მერე შუშუნა მეუბნება: “დღეს გივიკო ოთახში შემოვიდაო და ესე თქვაო, რო აი, ცოლი უნდა მოვიყვანოო, ესე ეშმაკურად იყურებოდა, მე კი მეგონა, მესუმრებოდაო”... იმ ნაბიჭვარს დედამისის იმედი ჰქონდა, რომ გადაარჩენდა, ჩემთან ნახუბარი იყო – 23 წლისა შესრულდა მაშინ. რაღას იზამ, რაც მოხდა, მოხდა, უნდა შეურიგდე – მოიყვანა ის გოგო ჩვენთან. პირველ დღეს – არა, სადღაც წავიყვანა, მეორე თუ მესამე დღეს, ტელეფონით გადარეკვა-გადმორეკვის შემდეგ. კაი, მოდიან ჩვენთან სახლში, დაბრუნდნენ... პატარა სუფრა მაინც ხომ უნდა გაშალო, აღნიშნო... ერთი გუჯა ქარაიძე იყო, მართლა ვაჟკაცი კაცი; მე სადღაც დავრბივარ – ღვინო, რაღაცეები მომაქვს და ვიკითხე: “გივიკო სად არის?”. სულ ახალთ-ახალი “ნივა” ჰყავს გამოყვანილი ამ გუჯას: “ვათხოვე მანქანა, სადღაც წავიდაო”. “რატომ ათხოვე მანქანა?! – მე ვუთხარი, – მაგ ახლა ჭკუაზე არ არის?”. შეწუხდა გუჯა. მანქანა არის, იცით, როგორი? რო ქარხნის სუნი ასდის ჯერ, ცინცხალი. გავეარდი და ვერეხეა დანგრეული ეს მანქანა. მიდიოდა ჭავჭავაძეზე, იქ ვილაც გამოვარდნილა და ამას უგლეჯია... და მანქანის წინა მხარე არის დანგრეული. რა ვუყო ახლა ამას? ახალი “ნივა” ვუყიდო გუჯას? მართლა კარგი ბიჭია: “გავაკეთებინებო, იმის ბრალი იყოო”. ვინც მანქანა დააჯახა, ის დაიჭირეს, ეტყობა, ნარკუშა ტიპი იყო ვილაცა და გუჯა მეუბნება: “აი, რაჟღერ ბიძიაო, ესეთი ამბავია, ნუ დარდობო”. მართლა მომეწონა – ეს არის კაცი! გავიდა ორი თვე და გივიკო და კეკლუცა დაბრუნდნენ თურქეთიდან, ანტალიაში გაატარეს თაფლობის თვე, ჩემთან არიან, დილაა. გავიღვიძე და მანქანა უნდა გამოვიყვანო გარაჟიდან. რძალი, კეკლუცა, მეუბნება: “რაჟღერ ბიძია, გუშინ პატარა მოუცურდა მანქანაო და ცოტა დაიმტვრაო და...“. გავაღე გარაჟი და შევიხედე... მანქანა რა დღეშია, იცით? საერთოდ არა აქვს წინა ნაწილი! დანგრეულია მანქანა, როგორ მოიყვანეს აქამდე... დათვრა, გასკდა, კოსტავას ქუჩაზე რომ არის ჩამოსასვლელი, იქ მობზრიალდებულა თურმე და გაუსვა სამ მანქანას: “ფოლკსვაგენს”, “მერსედესს” და ტაქსს – “ოპელ-გეტრას”, სამი მანქანა მდგარა. ეს გიჟი კი გაიქცა და კიდევ ერთ “მერსედესს” დაამტვრია... ახალი ვალები კარგა ბლომად ავიკიდე. ახლა დანარჩენი რომ მოგიყვით... თქვენ იტყვით, შენც გიჟი ყოფილხარო... ეტყობა, რაღაცა მაკლია ან... არ ვიცი. სიკეთა ეს ჩემი თუ სისუსტე, არ ვიცი...

– მშობელი ხართ და გასაგებია, თქვენი ცდა.

– ტყუილად მეურნალობდნენ, ის ნარკომანობას მაინც არ მოიშლის, ეს არის სისულელე. მეურნალობს იმ ფულით მთავრობა თუ რა აკეთებს... ნარკომანს მესამედ რომ დაიჭერს, რას აკეთებს მთავრობა? მიუსჯის ციხეს – შეიდიდან ცხრა წლამდე. ამას აკეთებს... და მშობელს უკვე იმდენად მობზრებული აქვს თავისი შვილი, რომ მზადაა, დაიჭიროს, ოღონდ ფიქრობს, რომ ერთ-ორ წელიწადს მიუსჯიან. შეიდიდან ცხრა წლამდე რომ აყურყურებენ ციხეში, იქიდან რა კაცი უნდა გამოვიდეს? და მამა დარბის ნათესავეებში ფულის სასესხებლად... თუ არა და – 20 000 დოლარი! 15 000 დოლარი! აღგება ეს გაუბედურებული ხალხი და ყიდის აგარაკს, სახლს და აი, სხვა ბავშვები რომ ჰყავს გასაზრდელი, იმათ უდგებათ შავი დღე. ეს ქვეყანაა? ეს მინისტრი რომ გამოდის ტელევიზორში და რაღაცეებს ლაქლაქებს, ყველა ღონეს ვხმარობთ ნარკომანისთან რადიკალურად საბრძოლველად, ტყუილია! ესე არ შეიძლება! მიხვდით თქვენა, როგორ შანტაჟზე მიდის მთავრობა? ამ დროს: ვილაცამ კაცი მოკლა, მივიდა მასთან სახლში, დახოცა სხვებიც და რა? 14 წლამდე მისცემენ... ხედავთ, რით იწყება? 14 წელი ციხე. და აგერ ამას კი ნარკოტიკის გამო – შეიდიდან ცხრა წლამდე... გამოვა და ისევ გააბოლებს ან უარესს იზამს. მთელი ქვეყანა აბოლებს, მთელი ქალაქი იკეთებს და... აი, რომელიც აყვანილია უკვე, აღრიცხვაზეა, იმას დასდევენ! მიხვდით თქვენა? იციან ამოჩემება, გადამხდელი თუ არის... ერთი ნაცნობი მყავს, მისი შვილი მესამედ რომ დაიჭრეს, ნახევარ მილიონს ეუბნებოდნენ, ნახევარ მილიონს! არ იხდიდა... იცოდნენ, რომ ფული ჰქონდა. ნახევარი მილიონი – გაგიტონიათ ეგეთი რამე? ვინ არის გადამხდელი...

– ვინც გინდა იყოს, ნახევარი მილიონი რა ამბავია! – ამბობს ლაშა.

– ამდენს თხოვენ. ეხლა, გივიკოს ჰყავდა ერთი მეგობარი... ახლაც ჰყავს; ჯემალ ლაკლაკაძე იყო, არქიტექტორი – ძალიან წესიერი კაცი, – იმის შვილი არის ბერიკა და გივი და ის ერთად სწავლობდნენ სკოლაში. მერე ამ ბერიკამ პოლიტექნიკურში მამამისივით არქიტექტურული დაამთავრა, ნიჭიერი ბიჭია. არქიტექტორი ახლა ვის რად უნდა, სამშენებლო ფირმაში მუშაობს, მენეჯერია

თუ რაღაცა ამის მსგავსი. ახლა ეს ბერიკა მშენებლობაზე, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან სახლები რომ შენდება, მაგათი ფირმის სახლებია რამდენიმე და გავიდა საქმეში.

– არქიტექტორია?

– არა, მამამისია არქიტექტორი... ხომ ვთქვი, თვითონაც განათლებით არქიტექტორია და იქ რაღაც მენეჯერის ვარიანტი შია და რაღაც საბურთალო აქვს საქმე – ყიდვა-გაყიდვა... და ამ ბავშვს გაუჩნდა ფული... თუმცა, რაღა დროს მისი ბავშვობაა, 33 წლისაა. ჯერ ერთი მანქანა იყიდა, მერე – მერე, მერე იყიდა მაგარი ჯიპი, “მერსედესი” – 30 000 დოლარი მისცა. მერე, ხომ იცით, რაც ხდებოდა, კაცს რომ ფული გაუჩნდება, აიყვლიეს კმაკაცებმა... გივიკო მეუბნება: “გაგაფრთხილეო, – როჭოს უძახის, – როჭო იყო მოსულიო და დაიწყო ნარკოტიკთან თამაშიო; ვუთხარი, მაგას ნუ აკეთებ, თორემ დაგიჭერენ-მეთქი”. დაიჭირეს ეს როჭოკა, ის მანქანა დაატოვებინეს, ჩამოართვეს ის “მერსედესი”, 80 000 დოლარიც გადაახდევინეს. გივი მეუბნება, ნარკოტიკი ჩაუდგესო, მიხვდი შენ? 80 000! ის მანქანაც წაიღეს, დაეინახე, რომ პოლიციის უფროსი დადიოდა იმ მანქანით... საგანგებოდ ნადირობენ ფულიანებზე, ყველამ კარგად იცის... ის მანქანა განა პოლიციას დარჩება, მაგრამ ხომ არის მომენტი, საჯარო მოედანზე ჰყავთ განჩერებული, დასხდებიან და გამოვლენ, დასეირნობენ ქალაქში. აი, ასე გაუკეთეს შენს როჭოკას და 5 წელი “ლიშენია”, – მანქანაზე ვერ დაჯდება ხუთ წელიწადს. ახლა გივიკომ მითხრა, რომ ის ფულები გადაიხადა, მერე ორი კვირა იჯდა ციხეშიო, ჰყავდათ დაჭერილი, ჰოდა, გამოვიდა თუ არა, მანქანა უყიდა ახალი. მე ვკითხე გივიკოს, როგორ დადის-მეთქი, მართვის საბურთალო ხომ ჩამორთმეული აქვს... და მძღოლი ჰყავს დაქირავებულიო. კიდევ კარგი, სამსახურიდან არ გამოაგდეს. აი, კარგ სამსახურს იშოვი, ამდენ ფულს მოხვეტავ და უტვიწნობით უაზროდ მიაფშენებ... საკვირველი, იცით, რა არის? გივიკო როგორ არიგებდა ჭკუას, წარმოგიდგენიათ? “მე ვუუბნებოდიო, როჭოკა, ბიჭო, ცოლი მოიყვანე, ოჯახი შექმენო, შეეშვი ამ ნარკოტიკს, დაგლუპავსო”...

– მართლა საოცარია! – წამოიძახა ლაშამ.

– გივიკო რომ ფხიზლად არის და იცილებს ამ საქმეს, მიხარია, მიხვდით ახლა?

– აკი მის მორჯულებას არაფერი ეშველებო? ცოლი ხომ არ შეურიგდა?

– რას ბრძანებთ! იმ კეკლუცამ კიდევ ორჯერ გათხოვება მოასწრო... მოგვიგდო ბავშვი და ერთს არ იკითხავს მის ამბავს, ნახვას ვინ ჩივის. ბავშვს დედა როგორ არ უნდა, მაგრამ, მართალი გითხრათ, ასეთი... ასეთი უმაქნისი და მუწუკი თუ არ ჩანს, დაკარგულივითაა, მით უკეთესია. ნინიკო იცით, როგორი ბავშვია? გადასარევი!

და ბატონი რაჟდენი იწყებს და აღარ ამთავრებს მისი შვილიშვილის ქება-დიდებას – ეტყობა, მასაც შეჰყურია გავრცელებული ავადმყოფობა: მომბეზრებლად გრძლად და გაზვიადებულად აქებს ნინიკოს: “როგორი ჭკვიანია, იცით? ასეთი ბავშვის მნახველი არ ვარ?” და ასე შემდეგ...

დათვიბალაძე იძულებულია, შეაწყვეტინოს მონოლოგი:

– ბატონო რაჟდენ, თქვენ გივის ამბავი არ დაგიმთავრებიათ.

– ახლა გივიკოს ახალი გატაცება აქვს – ტოტალიზატორი, – ამოიხენეშა მეჭეჭაშვილმა. – ამ ზამთარშიც არ მოცდება – სანამ ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგის მატჩები დაიწყება, ბრაზილიაში და არგენტინაში ჩატარებულ მატჩებზე დებს ფსონს.

უცებ ოთახში შემოვარდა ძვირფასი ბეწვის ქურთუკიანი ქალი და სუნამოს ნაზი სურნელი შემოიტანა ოთახში – ვერც გაიგეს, ჟუჟუნამ როდის შემოაღო კარი.

– ერთი წამით შემოვირბინე, საჩქარო საქმე მაქვს! – მოუბოდიშა სტუმრებს, გამარჯობაც კი არ უთქვამს; ერთხანს რაღაც კარადებსა და უჯრებსში იქექებოდა. აგაბოს ყურადღება მიიქცია ქალის უცნაურმა მაღალქუსლიანმა, ლითონის კანტიანმა და რაღაც დეზებით თუ ძეწკვებით შემკულმა ჩექმებმა, აქეთ-იქით როცა დაპაკიპუკობდა მუხის პრიალა პარკეტზე. შემდეგ ჟუჟუნა ოქროსფერი ძეწკვების ბრჭყვიალ-ქანაობით თითქმის სირბილით გავარდა სამზარეულოში, რამდენიმე წუთში ბუტერბროდის დეჭვით გამოვიდა, კართან მივარდა, გამოაღო და გაუჩინარდა – კარი ისე ძლიერ მოიჯახუნა, ოთახში ჭადი შექანდა.

“ქალი კი არა, მერტყორია!”, – კინაღამ წამოიძახა დათვიბალაძემ.

კარი XII.

ბინა № 14. გაქირავებულია სტუმართმოყვარე და კეთილ გოგოებზე.

ბინა № 15. მამუკა ეკალდიჭაშვილი – დურგალი

დღეს 2011 წლის 7 მარტია, ორშაბათი.

რამდენიმე დღეა, მარტი მართლა მარტობს: დილას მოღრუბლულია, ზოგჯერ ცოტას წამოთოვს კიდეც, შემდეგ – მონატრებული მზე, სადამოს კი – ცა ისევ მოღრუბლულია. საკმაოდ ცივა, განსაკუთრებით – ღამით, ამას თან ერთვის უსიამოვნო ქარიც...

და დღეს კი, – როგორც იქნა, როგორც იქნა! – დილიდანვე ჩახჩახა მზე ამოგორდა და რაც ღრუბელთა მცირე ნაფლეთები იყო შემორჩენილი, ისინიც მალე გააქრო, არც ქარია მაინცდამაინც.

– დეიდა მართა, თქვენი ყავა ნამდვილი მისწრებაა! – ამბობს ლაშა ღამურაული. – აღარც კი გვინდა აქედან წასვლა.

– აგერ უკანასკნელი ცნობების დილის გამომშვებაში ვნახავთ, როგორი ამინდია მსოფლიო პოლიტიკაში და მერე ჩვენს გზას ვეწევით... – ამატებს აგაბო დათვიბალაძე. – მხოლოდ ანონსებს მოვისმენთ, მეტი დროის დაკარგვა არ ღირს – დროის ორ მესამედს სულელურ რეკლამას გადმოსცემენ.

– ნუღარ იტყვით, ამოვიდა ყელში, – მხარს უბამს დეიდა მართა. – როგორც კი რეკლამა იწყება, მაშინვე სხვა არხზე გადავრთავ ხოლმე ან საერთოდ გამოვრთავ.

ტელედიქტორი გოგონა, – გრძელსახიანი, შეუხედავი, რომლის გამშვენიერებასაც ალბათ კარგა ორ საათს ცდილობდნენ დიპლომათი მხატვარ-სტილისტები და მაკიაჟის ოსტატები, – თუმცა ამოდ, – სახის ისეთი მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებითა და კიდეც უფრო – ხმის საიდუმლო დადაბლება-ამაღლებით იმზირებოდა ეკრანიდან, თითქოს მთელი მსოფლიოს ბედი მის ხელში იყო ან მის მეტმა არავინ იცოდა ის ეგრეთწოდებული “ექსკლუზიური” მასალა, რომელსაც გაიღებდა მოწყობლებას და მაყურებელს ახლა გაანდობდა...

გუშინ შენდობის დღე იყო – ადამიანის სამოთხიდან განდევნის დღე, დღეიდან იწყება მარხვა.

“ძალიან ბევრს ვცოდავთ ადამიანები და, ღვთის შეწევნით, ვილოცოთ, რომ ერთმანეთს შევეუნლოთ”.

ნავთობის ფასი მსოფლიოში კატასტროფულად იზრდება: ერთი ბარელი ნეფლი ნავთობის ფასმა ლონდონის სასაქონლო ბირჟაზე 117 დოლარს მიაღწია, ნიუ იურკში – 106 დოლარს. შეერთებული შტატები განიხილავენ ნავთობის სტრატეგიული რეზერვების გახსნის საკითხს.

ტორნადოების მთელი წყება ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდთოვლობა ესპანეთში. დაღესტანში თოვლის ზვავის გყვებობიდან 15 კაცი გადაარჩინეს, 1 დაიღუპა.

1 სექტემბრიდან პენსია საქართველოში 100 ლარი გახდება, სტაჟისთვის ემატება 7 ლარი.

– აწი აღარაფერი მიჭირს! – ამბობს მართა დეიდა. – 7 ლარს მომიმატებენ. თითქმის 40 წელი სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ტექნიკოსად ვმუშაობდი და, თუ მადლის მოსხმა უნდოდათ, თითო წელზე თითო ლარი მაინც მოემატებინათ ოჯახსაშენებულებს... ამათ უსაქმურ დეპუტატებს, პარლამენტში რომ გაზეთების კითხვისა და ჭორაობის მეტს არაფერს აკეთებენ, რაში აძლევენ თვეში ათასებს? დაშტრიკინობენ საზღვარგარეთ, რაში მარგია ან მე, ან ქვეყანას, თუკი ისინი იქ სეირნობენ და დროს ატარებენ? დამსვან მე დეპუტატად, მაგათზე ნაკლებად კი არ მეხერხება პულტზე თითის მიჭერა, თანაც, ხმის მიცემის წინ, ჩემი გამოღვიძება არ იქნება საჭირო!

– დეიდა მართა, პოლიტიკას მოუკვდა პატრონი, ჩვენ ვინ რას გვეკითხავს... მესამე სართულზე რომ ქალიშვილები ცხოვრობენ, – ლაშა რადაცას მეუბნებოდა, – მამაკაცთა სქესის წარმომადგენლები სტუმრობენ მათო...

– სოფლიდან ჩამოსულ მდგმურ გომბიოებზე მეკითხები?

– დიახ... ბიჭბუჭობა დადის?

– მაგათი ამბავი კაკანას ჰკითხე, ქალი კინაღამ გადარის... გაუმართლათ, რომ მათ ქვევით უწყინარი კაკანა ცხოვრობს, თორემ ბერდია რომ ყოფილიყო ან ანტონა, მაგდენს მოუთმენდნენ? ყოველდღე ღრეობისა და ბრავგან-გრიადის ატანა არ გინდა?

– ჩემთან მოვიდა მეზობლებისგან სიგნალი, – ჩაერთო საუბარში ლაშა. – მოჰყავთ ხოლმე კაცებიო, არის ერთი ვაიუშველებელი და თუ შენიშვნა მიეცი, უშვერი სიტყვებით გაგიმასპინძლებიან და, თუ კარგ ხასიათზე არიან, არც მუშტს დაგამადლიანო... მივედი და გავაფრთხილე: თუ ამგვარად გააგრძელებთ რია-რიას და სხვათა შეწუხებას, ცუდად წავიგვით საქმე-მეთქი...

– ახლა? უშველა შენმა შეგონებამ? – იკითხა აგაბომ.

– როგორც ძაღლის კუდს ვერ გაასწორებ, ისე არ იქნება მათი გამოსწორება, – პირფარა გადაიწერა დეიდა მართამ, თითქოს უნდოდა, მანვე სულების გაგლენას ასცილებოდა. – ათასი ოხერი დაეთრევა, ძაღლი და მამაძაღლი...

– ვნახოთ, ვნახოთ ერთი, რა სამოთხის ჩიტებიც არიან... დღეს კიდევ ვისთან ვაპირებთ მისვლას? – იკითხა აგაბომ დათვიბაღაძემ.

ლაშა ღამურაული იღებს საქაღალდეს და კითხულობს:

– “ბინა 15. მამუკა ეკალდიჭაშვილი, დაბადებული 1960 წელს, ცოლი – დოდო თაგვიკუდავა, დაბადებული 1967 წელს, შვილი – ოქტავიანე, დაბადებული 1989 წელს”.

– ეგ ადამისდროინდელი ცნობები საიდან გაქვთ? მამუკა თხუთმეტი თუ მეტი წელიწადია, აქ აღარ ცხოვრობს, – თქვა მართა დეიდა. – ცოლს დიდი ხნის წინათ გასცილდა.

– გაყრა ოფიციალურად არის გაფორმებული? – იკითხა ლაშამ.

– ეგ არ ვიცი; მერე ამ ბინაში დოდო ცხოვრობდა, მის ახალ ქმართან ერთად. შვილიც ეყოლა, თეიმურაზი, – მისი უფროსი ძმა უკვე დიდი იყო, ასეირნებდა ხოლმე ეზოში... იმ დამპალ დოდოს თითის განძრევა ეზარებოდა.

– რატომ – დამპალი?

– ფუი! – ამრეხით წამოიძახა მართა დეიდა, – ქალია ეგ? რამდენი წელი გავიდა და დღესაც მახსოვს, როგორ დამავიწყდება, ქმარზე, მამუკაზე, მითხრა: “ერთგულია, როგორც ყველა ბრიყვი!”, წარმოგიდგენიათ? გავშირი... იმის შემდეგ ამ დედაკაცის რა პატივისცემა უნდა მქონოდა? ათასი სხვა უცნაურობაც სჭირდა: ერთხელ დავინახე, საზამთროს მარილს აყრის და ისე თქველევს. პომიდორზე და კიტრზე გამოვია მარილი, ზოგიერთი ნესვსაც მიირთმევს ასე, საზამთროს ვინ ნორმალური ჭამს მარილდაყრილს? ან შვილს რომ ოქტავიანეს დაარქმევ...

– მეორედაც გათხოვდა?

– კი, კაი ხანია. ახალი ქმარი ასლან ქარაქოზაძეა, მილიციაში მუშაობდა, ახლა რას აკეთებს, არ ვიცი.

– ვინ არის? ასეთი არ გამოგონია, – თქვა ლაშამ.

– ჩამოსული ყოფილა რაიონიდან ვიღაც მოჭიდავე, ეგ ასლანა, დაცვის მილიციაში დააწყებინეს მუშაობა – ლომბარდში მუშაობდა მცველად, ქალაქის ცენტრში რომ ლომბარდი იყო, იქ მაშინ მთელ ქალაქში ის ერთი ლომბარდი იყო, ახლა რომ გადააფრთხო, ლომბარდს მოხვედრა – მარტო ჩვენს ქუჩაზე არ ვიცი, რამდენია, თანაც გვერდიგვერდ ჩამწკრივებულები... იქ დოდო, მამუკას ცოლი, რომ ნახა, კაი ფუნთუშა ქალი იყო, ისიც იმ ლომბარდში იყო მოღარედ, შეყვარებია – ჯერ კიდევ მაშინ, ქმარი რომ მამუკა ჰყავდა. ერთხელ მიუსწრო მამუკამ შინ საყვარლებს, ატყდა ჩხუბი და ერთი ამბავი. იმ ასლანამ მოასწრო გაქცევა და მამუკამ ცოლი კინადამ მოკლა – მის კივილზე შევარდნენ მეზობლები და გადაარჩინეს, თორემ მართლა უყრიდა დანას. დოდო გაიქცა სახლიდან, ნაქირავებში ცხოვრობდა იმ თავის პოლიციელთან თუ მილიციელთან ერთად. მერე ქმარს უჩივლა და მამუკას რამდენიმე წლით პირობითი სასჯელი დააკისრეს... მეზობლები გამოვექმნავთ, თორემ კარგა ხნით ჩააყვლებდნენ.

– ბავშვი?

– ესე იგი, ხუთ წლამდე ბავშვი – ბიჭი, ოქტავიანე – გაზარდა მამუკამ. მერე გაუჭირდა მისი მოვლა და წაიყვანა დოდომ... მამას აღარ აძლევდა ბავშვის ნახვის საშუალებას, აღარაფერი, რაღაც... მერე მამუკა გაეყარა; ბინა მის სახელზე კი იყო გაფორმებული, მაგრამ დაუტოვა ცოლს, დოდოს და იმ ბიჭს, ოქტავიანეს, შვილს დაუტოვა. და მისმა ყოფილმა ცოლმა შეიყვანა ამ ბინაში ეს ასლანა, საყვარელი. მანამდე სასამართლოში გამოვაჩინეთ კიდევ ასლანას საყვარლები – რუსის ქალები; ის ქალები ყველა მივიყვანეთ სასამართლოში: დაუშინეს ქვები, სხდომა სამი დღე გადაიდო, მერე კიდევ... “ტი, სუკა, ბლიად, იზმენიკი”; “ახ, ტი სვოლოჩი!” – რას არ გაიგონებდი, ამ ასლანას ძაღლიან ერჩოდნენ. შვილები ჰყავდა მიტოვებული იმ მოჭიდავე ასლანას, ზოგი – გოგო, ზოგი – ბიჭი. მამუკა მიდიოდა ხოლმე შვილის სანახავად და ბიჭისთვის მიჰქონდა საჩუქარი – დიდი, კარგი სათამაშოები. მერე აღარ აჩვენებდნენ: დოდო ეუბნებოდა: “რა შენი შვილია, აი, ამის შვილია!” – ასლანაზე ეუბნებოდა. მამუკა იძულებული იყო, სკოლაში მისულიყო ხოლმე ოქტავიანეს სანახავად, ატყობდა, დედამისი განაწყობდა მის წინააღმდეგ, – ეს ოქტავიანე მამას კუშტად ხვდებოდა... ერთხელ ზამთარი იყო, დეკემბერი, და ტრამვაიში შეხვდა დოდოს, მაშინ ტრამვაი დადიოდა, და მის მეორე ქმარს, ასლანას. ასლანა ძველი მოჭიდავე იყო, მაგარი, მამუკას დანახვაზე წამოხტა; ჯერ აგინა, მერე გაიგდო ფეხქვეშ და ზევიდან მოაჯდა. ასლანას ეგონა, მამუკა არიფაო, მაგრამ იმან,

ისეთი ნავარჯიშევი იყო, დაკუნთული, – მთელი დღე შალაშინის ხმარებით მკლავები აი, ასე ჰქონდა დამსხვილებული, – იმდენი იფართხალა, რომ, წიწილა შიშველი რომ დაიბადება კვერცხიდან, ისე, ხალათის ამარა გამოუძვრა ქვეშიდან, სქელი ჯუბა თუ ქურთუკი ეცვა, ის შეატოვა... მერე მამუკა მოექცა ზევიდან ასლანას, ის დანა ქე ჰქონდა ალესილი და ფატრა და ფატრა – სარემონტო კანტორაში მუშაობდა დურგლად და შალაშინის დანა ედო ჯიბეში, შინ მიჰქონდა გასალესად... და უსვა და უსვა, გამწარებულმა. ატყდა წივილ-კივილი, მიატოვა ის ტრამვაი ხალხმა; მამუკამ ეს რომ მოიშორა, პირველად ის ქმარი ჩაფატრა, მერე, ცოლი რომ კიოდა, ქმარი უკვე მისაგათა, ჭიდაობის თავი აღარ ჰქონდა, დაფატრული იყო და ეს მკივანი დაითრია თმებით, დაუსვა დანა... პოლიციელები რომ შევიდნენ, ტრამვაი იყო სულ დასისხლიანებული – ნაომარი, გაუბედურებული...

– გიჟი ყოფილა! – წამოიძახა ლაშამ.

– და ეს გიჟი პირველად წაიყვანეს წინასწარი დაკავების საკანში. მამუკა მიყვებოდა: “რომ მიყვანეს იქო, პოლიცია გლახად არ მომექცაო, გაიგეს, რაშიც იყო საქმე; ბიჭები მეუბნებოდნენო, ორმა მითხრაო, არ გამტყუნებთო, ნუ გეშინიაო, მარაო, ბიჭოო, მაგ ბოზის და ჩათლახის გულისთვის რატომ გაიფუჭე თავიო”. ხუთი წელი მიუსაჯეს, ის პირობითიც მიუმატეს. მერე მე ვუშველვო, თორემ კლავდნენ: დოდოს ნათესავი იყო ციხის უფროსი, გაბრიანიძე, უწყობდა რაღაცებს მამუკას. მერე მივუგზავნე ისევე ვიღაცა, ჩემი უფროსი ბიჭის ძმაცაცის მამა, ლომთითაძე, მაგენის ნაუფროსალი ძველი, დაურეკა ამ გაბრიანიძეს და რა უთხრა, იცი? “მაგ ასლანას ნამეტანი გრძელი აბიაო და შენც უფროხილდო, ბიბიკოო, შენი ცოლიც არ შეგიცდინოსო; მამუკა კიდევ, ხომ იცი, რა გადარევა ცეცხლია, შენ უარესს გიზამსო”, – ტელეფონზე უთხრა. “კაი, კაცოო, გენდობო, კაცო, მერე მეც არ მომკლას ამ შობელძაღვლმა, დაუნდობელი ვიღაცააო”, – იმ ლომთითაძეს უთქვამს. “არაო, შენც გამხეცდები მაგის ადგილზეო. ახლა მაგი დაწვანებულიაო, ნუ გეშინიაო, კაცია ეგ იმნაირიო, პატოსანი კაცია, ხომ იცი შენო, მეზობლებს ვისაც გინდა ჰკითხეო და მაგი აწი ხმას არ გასცემს არავისო, ოდონდაც გამოუშვიო”; “კიო, კაცო, მეც მასე ვფიქრობ, უნდა გამოვუშვაო”. სხვებმაც გამოიღეს ხელი და მოკლე ხანში მამუკა ამნისტიით გაანთავისუფლეს... ყველაზე უფრო მამუკას უმცროსმა ძმამ გაიხარა. ადრე, როცა სამედიცინოზე სწავლობდა, მამუკა უგზავნიდა ფულს, ჰქონდა საშუალება, მუშაობდა, ბავშვობიდან საქმეში იყო, კარგი ხელი ჰქონდა. მამუკას ძმა ისე კი არ მოუწყვია მამამისს, ფულით და ნაცნობობით, როგორც ხდებოდა ხოლმე, ნიჭიერი ბავშვი იყო. კაცს რომ მიიყვან იმ ზომამდე, კაცი რომ დაგაჯდება ზევიდან და გცემს, გამოძვრა ქვეშიდან... მაშინ სულ იოლად გამოვიყვანეთ, ახლა, თუ ბლომად ფული არ გაქვს, ციხიდან ვინ გამოვიშვებს...

– ახლა სად არის?

– ახლა? ვიღაც ქალი გაურიგეს, მეორე ცოლი ითხოვა; მერე ის ქალი ავადმყოფი გამოდგა და ქე მოუკვდა. ისე, კაი ქალი იყო, ორი შვილი დაუბადა, ორივე – ბიჭები. იმ მეორე ცოლის სახლში გადავიდა. ის ქალი დაკუტდა, დავარდა. თხუთმეტი წელიწადი იყო ეტლში, თხუთმეტი წელიწადი ურეცხა მამუკამ, საჭმელი უკეთა, სანამ ცოცხალი იყო, თანაც ის ქალი განათხოვარი იყო. “მერე რაო, განათხოვარი თუაო... – მამუკა მიყვებოდა, – პირველ ქმარს ყვარებიაო, იმ შობელძაღვლსაო, შვილი არ უნდებოდათ, ჰოდა, იმ პირველ ქმარს დები ეუბნებოდნენ თურმე, რად გინდა უშვილო ქალიო”... იქ რომ მიჰყავდათ ექსპერტიზაზე, ექიმებს მოისყიდავდა ქმარი, რაღაც წამლები გამოუწერეთ უშვილობისო. თურმე იმ წამლებს უკურნაქცია ჰქონია, ცხენის დონებს ასმევდნენ და დაადაბლავს ქალი. ეს მერე გამოჩნდა, როცა მამუკას ცოლი იყო. არ უნდოდა ამ ქალის ხელიდან გაშვება იმ კაცს, პირველ ქმარს, მაგრამ დებმა მანც გააშორეს – სხვა ქალი შერთეს... მამუკასთან კიდევ მაშინვე დაფეხმძიმდა. ყვოლა ამ კუტ ქალთან ორი ბიჭი: სარდიონი და ვასო. ერთი ბიჭი ახლა საბერძნეთშია, – სარდიონი, – ბერძენი ცოლი ჰყავს და წაყვია იქა, წავიდა... აქ ვიღაცებთან, ბნელ ხალხთან ჰქონდა საქმე: აკეთებდა მანქანებს, აახლებდა, ჰოდა, რომ მიუყვანდნენ, ქურდები აშინებდნენ – შეუცვლიდნენ ნაწილებს ძველებით და რომ გაუტყდა საქმე, საბერძნეთში ჰყავდა სიდერტი და გაიქცა, რომ იმ ბიჭებს მოშორებოდა. მეორე ბიჭი ავადმყოფია, იფსამს, ახლა ოცი წლის არის, ვასო ჰქვია. მამუკასთან არის იქ, სოფელში, თავის სოფელში დაბრუნდა. იქ ეკლესიას აშენებდა და იქაურ ხელოსნებს მოჰქონდათ კარბიტის “ოტკა”; ესეც, ხომ იცი, კაცს რომ აქვს გადატანილი ამდენი უბედურობები, სვამდა... დაბრმავდა, საწყალი. უფროსი ბიჭი, სარდიონი, უგზავნის საბერძნეთიდან ცოტა ფულს...

– დოდოსთან რომ შვილი ჰყავს? – იკითხა დათვიბაღაძემ.

– როცა მამუკა გამოვიდა ციხიდან, მივიდა სკოლაში, კარისკაცს ეუბნება: კაცო, შვილი უნდა მოვიწახულოო, მოაყვანინა ეს ბავშვი, ოქტავიანე, და ბავშვს უკითხავს: “ვინა ხარ შენო?”. “მეო, ბიჭო, მამაშენი ვარო, აქო ბიძაშვილები გყავს გვერდზე, უნდა იცნობდეო”. დედამისს ისე ჰყავდა მოწამლული, მამაშენმა დამჭრაო, არ გაიკარა. არ უნდა იცოდე, ბავშვს რომ დედას დაუჭრი, ის აღარ შეგირიგდება, თუნდა ათასგზის მართალი იყო?.. უნდა შეეშვა. მერე, ქალმა იქიდან დაახვედრა მოსყიდული მოწმეები, გზაში, ვითომ მამუკა ახრჩობდა და კლავდა, ესენი რომ არა, ვითომ ვერ გადარჩებოდა. მერე, მე წამიყვანა მოწმედ და მე ვუთხარი: “თუ მამუკა დოდოს ახრჩობდა, წაიყვანეთ ექ-

სპერტზე: თუ ხელი აქვს მოკიდებული, ხომ გამოჩნდება?“. “არა, ექსპერტი არ გეჭირდებაო”, შეიტანეს საჩივარი ჩვენი უბნის მილიციის ინსპექტორთან, კუკურასთან. კუკურა მეგრული ბიჭი იყო, მე ვთქვი, მეგრული მეგრელს, დოდოს, მიუდგება-მეთქი, ღღონდ, იცი, როგორი მეგრული იყო? სამტრედიელი, მეგრული არ იცოდა. კუკურა კარგად მიცნობდა; მაგას ვუტირებ დედასო, დოდოსო, რომ მოვა აქაო. დოდო მეგრული იყო, თაგვიკუდავა გვარად. დოდო მივიდა ინსპექტორთან, კუკურამ კიდევ შეაშინა: “მოდო, მოდიო... ჯერ ერთი, ეს კაციო პატიოსანიაო, საწყალიო... ყალბი მოწმეები გყავსო, ციხეში ჩაგსვამო, – ამ კუკურამ უთხრა დოდოს, – მეორეო, შენო, თუ კიდევ გაახურებ, ეს კაცი ბინას მოგთხოვსო, რომ იცოდეთ და ფული გექნება ბევრი გადასახდელიო; წვიდე ახლა ეს საბუთებიო, საჩივარიო; მე შენს მხარეს ვარო, გეიტანე ეს საბუთები, მოაშორე, თორემ შენი საქმე ცუდად წავაო... ვერე არ არის, შენ რომ გგონია, ქმარი მილიციონერი მყავსო, იცი, ამ ბიჭს რამდენი ვინმე უდგას მხარშიო. მეც გამაფუჭებენ და შენ კი დედა გეტირებო”. “არა, არა, კაცოო, რაც იყო, იყოო”, – ვითომ არაფერი მომხდარა, ჰოდა, გაატანია დოდოს საჩივარი. “მაგის დედა ვატირეო, მაგანიჩ ჩათლახებს რომ მისცე უფლებათ, ქვეყანას გადაჭამენო” – ისე, კარგი ბიჭი იყო კუკურა. მერე სახელი იყიდა სადღაც, მერე რაღაც შეემთხვა, გლდანში გადაიყვანეს, მგონი დაიჭირეს თუ რაღაცა... ჩვენს სახლში იყო უბნის რწმუნებულად, ერთი ოთახი ჰქონდა ჩვენს შენობაში პირველ სართულზე და იქ იყო ვაა, მილიციელი იყო. შტატიც ჰყავდა – 2-3 კაცი. რამე რომ მოხდებოდა, ეგრევე რეაგირებას ახდენდა.

– მერე რა მოხდა?

– ძლივს მოვიშორეთ ის შობელობა – დოდო. ახლა რომ მხვდება ეზოში ან ქუჩაში, ვითომც ვერ ვიცნობ, ტანში მზარავს... მერე მამუკას ბიჭი – ოქტავიანე – გლახა გახდა, მილიციაში მუშაობდა.

– მამუკა ცოცხალია?

– ცოცხალია, მარტო ცხოვრობს სოფელში, დაბრმავდა, საწყალი. მობილური ტელეფონით რამდენჯერაც დავურეკავ, სულ მეუბნებიან, ძინავსო. შეიძლება, კაცს სულ ეძინოს?

– მადლობთ, მადლობთ, ძალიან საინტერესო იყო... – აგაბო დათვიბადაძე წამოდგა, ქურთუკის ჩაცმას შეუდგა, ლაშას მიმართა: – კარგი იქნებოდა № 14 ბინაში მცხოვრები გულკეთილი და სტუმართმოყვარე ქალბატონების ყველა სტუმრის ვინაობის დადგენა, მაგრამ როგორ გინდა ამის გაკეთება? არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანმა... ხომ არ გაგირკვევია, ვინ დადიან, რა ხალხია?

– ძალიან საჩოთირო საქმეა, – ამბობს ლაშა და ისიც ქურთუკს იცვამს.

– კარგი ხალხი რომ არ იქნება, რა საკითხავია... – ასკენის დეიდა მართა.

– ბიჭო, შენ რომ უფორმოდ მოსუფიყავი ამათთან, ასე ვთქვათ, მათი მუდმივი კლიენტი ყოფილიყავი, მეტი გვეცოდინებოდა!.. – და დათვიბადაძემ შეცბუნებულ დამურაულს დაუყვავა: – ვხუმრობ, ვხუმრობ!.. ახლა კი, ჩემო ლაშა, დროა, მეთოთხმეტე ბინაში იმ სტუმართმოყვარე და კეთილ ქალბატონებს მივაკითხოთ, იქნებ მათგან შევიტყოთ რაიმე საინტერესო...

* * *

მიადგნენ № 14 ბინას; ლაშა ჯერ ზარს ახმიანებს, მერე – კარგა ხანს აბრახუნებს კარზე... მათ არაფერს უღებს.

– ალბათ დამე მუშაობენ და დღისით სძინავთ... – ხუმრობს ლაშა. – კიდევ მოსვლა მომიწევს და დავუფრთხოთ ანგელოზებს!

შემდეგ ლაშამ № 13 ბინის კართან გადაინაცვლა:

– ყოველი შემთხვევისთვის დავრეკავ, ეს ბინა, რა ხანია, პატრონს დაკეტილი აქვს.

– ვინ არის პატრონი?

– ვინმე გელა ნაცარაშვილია... აქვე, მეზობელ კორპუსში კიდევ ორი ბინა აქვს ნაყიდი, იმათშიც არაფერს ცხოვრობს – ალბათ ფული დააბანდა და ბინების გაძვირებას ელოდება.

ლაშამ ახლა № 15 ბინის კართან მივიდა, დააზარუნა:

– აქ მიხეილ ეკალდიჭაშვილის ბინაა.

კარი ცისფერთვალადაა, ქერა, ტანსრულმა ქალმა გააღო, ამ შუა ზამთარში სახე მწყერის კვერცხით ჰქონდა დაჭორფლილი.

– გამარჯობა! ქალბატონო, თქვენს გვერდით ბინაში შინ არაფერს არის?

ქალბატონმა სალაში დაუბრუნა და კითხვას უპასუხა:

– ეგ ბინა თითქმის ერთი წელია, დაკეტილია, მისი პატრონები სოფელში არიან გადახვეწილები, იშვიათად თუ ჩამოვლენ ხოლმე.

– ბოლოს როდის იყვნენ?

– ორი თვის წინათ... ჰო, ბოლოს ახალი წლის წინ ვნახე.

- იქით, მეორე ბინაში?
- აქ გოგონებს ჰქონდათ ნაქირავეები, მგონი დები იყვნენ თუ დეიდაშვილები, სოფლიდან ჩამოსულნი, ორი კვირაა, არ დამინახავს ისინი... ალბათ სხვაგან გადავიდნენ.
- მიზეზი ხომ არ იცით?
- მათ ქვევით მაცხოვრებელმა ბინის პატრონთან იჩივლა – ამიკლეს ხმაურით, ვეღარ დამიძინა-ო.
- ქვევით ვინ ცხოვრობს?
- კაკანა, მარტო ცხოვრობს.
- თქვენი ქმარი შინ გახლავს?
- დიახ, მობრძანდით!
- ოთახში შევიდნენ და მათთან თვალების ფშვნეკით გამოვიდა შუახნის ჩასხმული მამაკაცი – ქერა თმის დავარცხნაც ვერ მოესწრო.
- ბოდიშს ვიხდი, ღამის ცვლა მქონდა... – მერე ცოლს უთხრა: – ერთი კარგი ყავა მოგვიდუღე, მანამდე გამოიტა, რამე თუ გაქვს...
- სტუმრებმა მადლობა მოახსენეს, ეს-ეს არის ყავას გეახელითო, დასხდნენ მაგიდასთან.
- თქვენ ასლანი ბრძანდებით?
- დიახ, ასლანი ქარაქოზაძე ვარ...
- საუბარში ქალი ჩაერთო:
- ეს ჩემი მეორე ქმარია, მამუკა კარგა ხანია, აქ აღარ ცხოვრობს.
- ბინა ვის სახელზეა?
- ბინა სასამართლომ მე დამიტოვა...
- ბატონო ასლანი, თქვენ სად მუშაობთ?
- დაცვის პოლიციის თანამშრომელი ვარ.
- ორგანოს მუშაკი ყოფილხართ და წესის დარღვევა არ გეკადრებათ! თქვენს შესახებ მხოლოდ ახლა გავიგე, თუ აქ მუდმივად ცხოვრობდით.
- ოთახში შემოვიდნენ ბიჭები – ერთი ოცდახუთი წლის იქნებოდა, მეორე ალბათ – თხუთმეტის. უფროსი წაბლისფერთმიანი იყო, თაფლისფერთვალება, უმცროსი კი – ძალიან ღია ქერა, ცისფერ-თვალება.
- თქვენ ძმები ხართ?
- მათ მაგივრად ქალმა უპასუხა:
- დიახ ძმები არიან... უფროსი ბიჭი პირველი ქმრისგან მყავს.

კარი XIII.

ბინა № 18. ჯუანშერ ვირიტერფაძე – ყოფილი ტოპოგრაფი.
ბინა № 19. დაგირაგებულისა.

ბინა № 20. გაქირაგებულისა, ცხოვრობენ სტუდენტი გოგონები

2011 წლის 9 მარტია, ოთხშაბათი. დილის სტუმრების თხონა არ დასჭირვებია – მართა დეიდამ 9 საათზე ტელევიზორი ჩართო.

ღია ქერად თმაშეღებილი ტელედიქტორი გოგონა ახალი ამბების ანონსს თვალდაუხამხამებლად ტყვიამფრქვევით აყრის:

“ოპოზიციური პარტიების ფრაქციების მოთხოვნით პარლამენტში მინისტრებს იბარებენ: რაგომ მაგულობს ასე სწრაფად ფასები, რა ანტიკრიზისული პროგრამა აქვს მთავრობას?

ჯერის უღელტეხილზე ხილვადობა ნოლის გოლია, შეწყვეტილია კავშირი ყაზბეგის რაიონთან.

ყადაფის ჯარები ოპოზიციის მიერ კონგრუალირებად ქალაქებს უგეგს. “ნატოს” წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით ლიბია არასაფრენ მონად უნდა გამოცხადდეს.

მსოფლიოს საგაღუგო ბირებებზე შვებით ამოსუნთქეს – შავი ოქროს ფასი დაბლა იწვეს.

ეგვიპტის ყოფილ პრემიერს ჰოსნი მუბარაქს სამი თვითმფრინავი ჩამოართვეს.

საპროტესტო აქციები გაიმართა იემენში, ირანში.

ლოს ანჯელესის სანაპირო წყლებში თევზები მასობრივად დაიღუპნენ.

დღეიდან იწყება 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერების დარიგება.

ჰონგ კონგში გაიმართა ძვირფასი ქვების აუქციონი, 57-კარატიანი ბრილიანტის სასტარტო ფასი 10 მილიონი დოლარია.”.

დღედა მართამ ტელევიზორი უპირველესად პარლამენტში მთავრობის წევრების მიპატიუებასთან თუ დაბარებასთან დაკავშირებით სარკაზმით წარმოთქვა:

– რატომ არის ჩვენი მთავრობა ხან რეფორმებს მთავრობა, ხან ტურისტული მთავრობა, ხან აგრარული მთავრობა? როდისღა გვედირსება ჩვეულებრივი, საქმის მცოდნე მთავრობა? ან რომ გვახარებენ, მსოფლიო ბირჟებზე ამოისუნთქეს, ნავთობის ფასმა დაიკლო, ჩვენთან რატომ სულ იზრდება და იზრდება? მხოლოდ ბენზინზე რომ იყოს, არა უშავდა კიდევ, ყველაფრის ფასი რომ გაორმაგდა, მაგათი სამადლოდ გადმოგდებული მათხოვრული ოცდაათლარიანი ვაუჩერი მიშველის? ან სალაპარაკო დაელიათ – ვის ახარებენ ნეტავი იმ ბრილიანტს?

– დეიდა მართა, ნუ ხართ ასე უკიდურესად ოპოზიციურად განწყობილი! – დიმილით ეუბნება ლაშა დამურაული. – ჰონგ კონგში გამართულ ძვირფასი ქვების აუქციონს ნამდვილად დაესწრებით და იმ ბრილიანტსაც არავის დაუთმობთ! ოღონდ ჩამოსვლის დღე შეგვატყობინეთ – ემანდ ვინმე სულსწრაფმა და ხელმრუდმა აეროპორტის გზაზე თქვენი დაყაჩაღება არ მოინდომოს!

– დღეს საით? – იკითხა დათვიბალაძემ, როცა დეიდა მართამ ტელევიზორი გამოერთო.

– დღეს, თუ მოვასწართ, რამდენიმე ბინის მაცხოვრებელს შევაწუხებთ: № 18, № 19, № 20... თუმცა, არ ვიცი, № 19-ში დაგვხვდება თუ არა ვინმე.

– რატომ?

– ეს ბინა დაგირავებულის, პატრონი წასულია საბერძნეთში, – პასუხობს ლაშა დამურაული.

– ცოლ-შვილი ნათესავთან დატოვა, – ამბობს დეიდა მართა. – ალბათ ვინმე მაინც დაგვხვდებათ...

– ახლა ვინ ცხოვრობს ამ ბინაში?

– გერონტი ნათლიმამიშვილი, – პასუხობს მართა დეიდა. – ხნიერი კაცია, ცოლი და ორი შვილი ჰყავს, ბავშვები სკოლაში დადიან; მათთან ერთად ცხოვრობს სიდედრიც, – სულ ხუთნი არიან. ის სიდედრი მაგ გერონტიზე მხოლოდ რამდენიმე წლით არის უფროსი. უკვე რამდენიმე წელიწადია, აქ ცხოვრობენ. რომელიღაც დიდ სამშენებლო კომპანიაში ჰქონდათ ფული შეტანილი, არ დაადგა საშველი მათი სახლის აშენებას...

– ახლა თითქმის ყველა მშენებლობა შეჩერებულია, – ამბობს დათვიბალაძე. – მთელ მსოფლიოში რომ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, მერე ამას რუსეთ-საქართველოს ომიც დაერთო, სამშენებლო ბიზნესიც ჩაკედა...

– ტელევიზორში ამის მეტს კი არაფერს ლაპარაკობენ. ეს საწყალი ხალხი ვერც ბინას ედირსა და აღარც ფულს უბრუნებენ... – ამბობს დეიდა მართა. – საბერძნეთიდან რომ ბინის პატრონი დაბრუნდება, ამ გერონტიმ რა უნდა ჰქნას?

– გირაოში ჩადებულ ფულს დაიბრუნებს და სხვა ბინაში გადავა – იქირავებს ან ისევ გირაოს მისცემს... – ამბობს ლაშა. – მთელ ქალაქში ახლა ბევრი ბინაა თავისუფალი, რამდენიმე მხოლოდ ამ კორპუსშიც არის.

– და ასე უნდა იწოწილოს წლების განმავლობაში? – სხვისი გასაჭირით შეწუხებულია მართა დეიდა. – ბავშვები, სანამ სწავლას დაამთავრებენ, ალბათ ხუთ სკოლას მაინც გამოიცვლიან...

– დიდი მადლობა, დეიდა მართა!

– ნათლიმამიშვილებთან მაგრად დააბრახუნეთ, შვილებო, შესაძლოა, შინ მარტო მოხუცი იყოს, – თქვა დეიდა მართამ. – ცოტა ყურს აკლია, ცოტა კი არა, კარგა გვარიანად, არადა, ჩემზე ათი წლით უმცროსი მაინც არის...

* * *

ლაშა დამურაულსა და აგაბო დათვიბალაძეს VI სართულზე ასვლა ფეხით მოუწიათ – რატომღაც ლიფტი არ მუშაობდა, – და № 18 ბინის კართან მივიდნენ, რომლის მონიკელებულ ფირფიტაზეც ზედა ნაწილში ეწერა: “ჯუანშერ ვირიტერფაძე”, ხოლო ქვედაში – “ციცინო მათუთაძე”.

ლაშა დამურაული შეჩერდა, აგაბოს შესვლა: ეტყობა, ამ ოჯახში დიდი დაკა-დაკა არის გამართული! ისმის ქალის ხმამაღალი, შიგადაშიგ კივილამდე მისული დავა ვიდაცასთან, რომელიც ამოდ ცდილობს დაყვავებით ქალის დაშოშმინებას.

– სხვა დროისთვის ხომ არ მოვიდეთ? – ყოყმანით იკითხა ლაშამ.

– უხერხულია კია ამ დროს სტუმრობა, მაგრამ, მეორეს მხრივ, იქნებ ჩვენმა გამორჩენამ განმუხტოს დაძაბული მდგომარეობა.

ლაშამ რამდენჯერმე მიაჭირა ზარის დილაკს თითი.

ძალიან გვიან გააღეს კარი.

– გამარჯობა! ბოდიშს ვიხდით შეწუხებისთვის... თქვენ ბატონი ჯუანშერ ვირიტერფაძე ბრძანდები?

– დიახ, დიახ... – შუახნის საკმაოდ გამელოტებული, ჭაღარამორეული, შავგვრემანი კაცი დამფრთხალი თვალებით იყურებოდა. – გამარჯობათ, გამარჯობათ... მობრძანდით! – მიიპატიჟა უცნობი სტუმრები, შეიყვანა მოზრდილ ოთახში.

– ბოდიში, ცოტა არეულ-დარეული ვართ...

ცოლ-ქმარს ეტყობა გადატანილი “ომის” კვალი – ჯერ კიდევ აღზნებული არიან, გაოფლიანებული... ცოლი ხმელი ქალია, ისეთი, რომლებსაც ასაკი არ ეტყობათ – გადატკეცილი სახე აქვს და ძალიან ღია ფერის ქერად შედებილი, მოკლედ შეჭრილი თმები.

ცოლს აგაბოსა და ლაშას მისალმებაზე არ უპასუხია, არც სკამები შეუთავაზებია მოსულთათვის; ჯერ ჩაჯდა გამორთული ტელევიზორის წინ მდგარ დრმა სავარძელში, მალევე წამოხტა და ლოჯიაში გამავალ კართან ზურგშექცევით დადგა; ვერც იქ მოისვენა და ოთახში სიარულს მოჰყვა.

– მე ვარ გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძე, ეს კი თქვენი უბნის ინსპექტორი ლაშა დამურაულია. ნუ გეშინიათ, თქვენი უთანხმოების გამო არ მოვსულვართ... – გაიღიმა დათვიბალაძემ, ვითომ იხუმრა დაძაბული ატმოსფეროს ცოტა მინც განსამუხტავად. – თუმცა, უტაქტობაში ნუ ჩამომართმევთ და უნდა გკითხოთ: რა მოხდა, რა ვერ გაიყავით?

– სასაცილოა, მაგრამ აი, ამ ნუშის ტოტის გამო ამიშარდა... – ჯუანშერმა მაგიდის შუაში დადგმულ ბროლის მაღალ, ვიწრო ლარნაკისკენ გაიშვირა თითი.

– მე აგიშარდი? – მაშინვე პირში ეცა ცოლი.

– აბა, არა? აგერ არიან პატივცემული სტუმრები და ვინც არის ჩვენს შორის მტყუნ-მართალი, ამათ გააკეთონ პირუთვნელი დასკვნა...

ქალმა გააღმასკებული მზერა სტორცნა ქმარს, უნდოდა, ისევ რაღაც წამოეძახა, მაგრამ სტუმრებისა მოერიდა და თავი შეიკავა.

– ჰო, იმას ვამბობდი... დილას პურის მაღაზიიდან ვბრუნდებოდი და ფურნის წინ მიწაზე დაგდებული ვნახე ეს ტოტი – ვიღაცას მოუტეხია და ხის ქვეშ დაუგდია. წამოვიღე შინ, წყლიან ლარნაკში ჩავდე და მაგიდაზე დავდე, ხომ ლამაზია? შემოვიდა ჩემი ქალბატონი, ამიხირდა: მოაცილე აქედან, აივანზე გაიტანე... მე ვეუბნები, რას გიშავებს, იყოს აქმეთქი, მსიამოვნებს მისი ყურება. არაო, გინდა თუ არა, მოაცილე აქედანო, გადააგდე ან აივანზე გაიტანე... აივანზე რა უნდა? აი, ამაზე მოგვივიდა წაკინკლავება.

– ასეთ წვრილმანზე რა გაჩხუბებთ?

– ეს წვრილმანი არ არის, პრინციპის საქმეა! – წამოიძახა ქალმა, ინსპექტორს თვალმოწკურვით ისეთნაირად შეხედა, თითქოს უნდოდა, ადგილზევე ფერფლად ექცია, უცებ წამოხტა და ოთახიდან გაეპარდა, კარი გამეტებით გაიჯახუნა.

– ბოდიში, ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს... – დარცხვენით ჩაილაპარაკა ჯუანშერმა.

– არა უშავს, ალბათ მეზობელთან გავიდა გულის მოსაფხანად, – სცადა მისი დაწყნარება დათვიბალაძემ.

– რას ბრძანებთ! – წამოიძახა ჯუანშერმა. – გულის მოსაფხანად მხოლოდ მე ვარ მისთვის დარჩენილი: მეზობლებს არ ელაპარაკება... ამოჩემება იცის: ხან ერთს ლანძღავს ყოვლად უმიზეზოდ, მერე – მეორეს ამოჩემებს და იმის ლანძღვა არ მოებურდება... ჩემმა დამ, რა ხანია, ამოიკვეთა ფეხი ჩემი ოჯახიდან – ლანძღვა და თათხა გაუთავებლად... მერე, რძალი რომ მოვიყვანეთ, ახლა იმას მისდგა... კარგი გოგოა, მომთმენიც გამოდგა. რამდენიმე თვეს გაუძლო ჩემი ქალბატონის ათვალწუნებას, საწყაღმა, მერე ჩემს ბიჭს უთხრა, დროზე წამიყვანე აქედან, თუ არ გინდა, ჭკუაზე შევიშალოო... აი, ასეთ დღეში ვარ, დღეში ათჯერ აფეთქდება, თანაც არაფრის გულისთვის... გაძღება არ გინდა?

– თქვენი მეუღლე ადრეც ამგვარი ქცევისა იყო, თუ...

– რაც მე მაგის ხუმტურები გადამიტანია, – ამოიხსრა კაცმა. – არ ვიცი, რა მოვუხერხო, ისეთი კაპასია და მხოლოდ ჩემს მიმართ კი არა... სამხედროებს რომ აქვთ ცნება – “წრიული თავდაცვა” – აი, ასეთნაირ მდგომარეობაში იმყოფება. “ერთი ყველას წინააღმდეგ!” – აი, ცაცას დევიზი! ციციწო ჰქვია, შინაურობაში ცაცას ვეძახით. “სულ ნაგავი მეზობლები შემხვდა, ერთიც არაა ნორმალური, რომ ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდესო”... ვეუბნები: “სითბო სითბოს წარმოშობს, სიცივე – სიცივეს, იქნებ საკუთარ თავში ეძებო მიზეზი-მეთქი”, მაგრამ გააგონებ რამეს? მეათასჯერ ვრწმუნდები, რომ წყლის ნაყვას, მეტი არაფერი... არც წინათ იყო თავი და შაქარი, მაგრამ ამ ბოლო დროს ნამეტანი აურია.

– მე გირჩევთ, ექიმს გაასინჯოთ, – თქვა ინსპექტორმა. – რამდენი წლისაა?

– ორმოცდახუთის.

– იქნებ კლიმაქსი დაეწყო, იქნებ რაღაც სხვა მიზეზია.

– რა ვიცი, მე კი მომინელა და... თუმცა, კლიმაქსი რა შუაშია. ქალ-ვაჟი გეყავს, უკვე დიდები. ვაჟი ათი-თორმეტი წლისა იყო, როცა სულ იბახდა, სახლიდან უნდა წავიდეთ... სამჯერ გაიქცა და კარგა ხანს იყო დაკარგული, ლამის ჭკუაზე შევიშალეთ – მეც და ჩემი მეუღლეც. პირველად როცა დავაბრუნეთ, ჩემი ცოლი სულ იფიცებოდა, აწი უბატონოდ ხმას აღარ გავცემო, მაგრამ რამდენიმე თვეში ბიჭი ისევ გაგვეპარა – უმიზეზოდ ყვირილი, და ზოგჯერ ცემაც კი, ვეღარ აიტანა...

– ახლა სად არის თქვენი ვაჟი? რამდენი წლისაა?

– ოცდახუთისაა, ერთ თვეში ოცდაექვსის შესრულდება. ცოლთან ერთად ცხოვრობს, ნაქირავებ ბინაში.

– დიდი ხანია?

– უკვე ხუთი წელია. ოცი წლის რომ შესრულდა, დაქორწილდა, ხომ გითხარით, მშვენიერი გოგო ითხოვა. ჩემს ცოლს ისტერია დაემართა, ჩემს დაუკითხავად როგორ გაბედა ვიღაც გომბიოს რომ გადაეყარაო; როგორც იქნა, დავაშოშმინე, ერთი კვირა გაძლო, მერე რძალს აუხირდა, ყველაფერს ჩემს საწინააღმდეგოდ აკეთებ, სულ კრიჭაში მიდგეხარო... რძალმა ერთხანს ითმინა, ხმას არ უბრუნებდა, მერე ჩემს ბიჭს უთხრა, აქ მე ვერ ვიცხოვრებო და... მართალი მოგახსენოთ, ბიჭსაც ერთი სული ჰქონდა, ჩვენგან წასულიყო, იქირავეს ბინა და გადავიდნენ ჩვენგან, უფრო – გაიქცნენ. არადა, რძალი უკვე ფეხმძიმედ იყო, ძალიან ცუდი ფეხმძიმობა ჰქონდა, მძიმე ტოქსიკოზი, სულ უნდა წოლილიყო – მაშინ სჭირდებოდა დახმარება, გვერდზე დგომა, მაგრამ არჩია, ნერვებდამშვიდებულები მაინც ყოფილიყო... დედამისთანაც ვერ წავიდა, იმას თავისი გასაჭირი ჰქონდა – მის ვაჟიშვილს სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და მეოთხეს ელოდებოდა. ასე გახდნენ ჩვენი ვაჟი და რძალი იძულებულნი, ცალკე წასულიყვნენ და დღემდე წვალობენ... უკვე ორი შვილი ჰყავთ, მაგრამ ცოცხალი თავით არ უნდათ ჩვენთან ერთად ცხოვრება. ჩემი ცოლის გადამკიდვე, მეც არ ვიცი, რა გქნა – თქვენ თვითონ დაინახეთ.

– თქვენ უნდა რამენაირად დაუყვავოთ ხოლმე, არ აწყვეთ.

– მეც მაქვს ნერვები, როდემდე უნდა დაგუყვავო? სადამდე? ისედაც სულ ჩუმი ვარ, ვუსმენ, ვუსმენ და უცებ მეც ავფეთქდები... მგონია ხოლმე, ჩემს ნერვებზე თამაში სიამოვნებს. დღე არ მახსოვს, დღე, რომ მან ნერვები არ მომიშალოს... მიკვირს, ამდენ ხანს რამ გამაძლებინა! სულ მეკითხება: “ეს როგორ გააკეთო? ასე თუ ისე?” და რომ ვეცვი, ასე-მეთქი, ყოველთვის საწინააღმდეგოდ გააკეთებს, აუცილებლად!

– თუ გიყვართ, ოჯახის შენარჩუნება გინდათ, უნდა მოითმინოთ... დრო გავა და აღვზნება თუ გალიზიანება გაუფლის.

– მე თუ მანამდე მომინელა? უკვე უკიდურეს ზღვარზე ვარ...

– მაშინ... არ ვიცი, რა გირჩიოთ. კარგად დაფიქრდით, აწონ-დაწონეთ და გადაწყვიტეთ, როგორ მოიქცეთ. სხვა შვილები არ გყავთ?

– ერთი გოგო გეყავს... ჩემი ძმიშვილია წასული გერმანიაში სასწავლებლად და ამანაც მოინდომა, შემოდგომაზე მასთან ერთად წავიდა, გაყვა. კარგი ბავშვია, ნიჭიერი და, რახან მოინდომა, არ დაგუშალეთ, სწავლის ფულს ჩემი ძმა იხდის. “შენ რომ დარჩი უსწავლელი, გინდა, შენი შვილიც გაუნათლებელი დარჩესო”, – ციცო დღეში ათჯერ მაინც მსაყვედურობდა.

– თვითონ რა აქვს დამთავრებული?

– მაშინდელი პუშკინის ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტი. რა სცხია ბიოლოგობისა? აყვავებული ნუშის ტოტმა გააღიზიანა. ბიოლოგიის ინჰიბინი არ ესმის, ერთი დღეც არ უმუშავია სპეციალობის მიხედვით და აქეთ მე მსაყვედურობს.

– თქვენ რა ხელობის კაცი ბრძანდებით?

– ტოპოგრაფი ვარ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ტოპოგრაფიული ტექნიკაში დავამთავრე.

– აქ მე თქვენს სპეციალობად გეოდეზისტი მიწერია, – თქვა ლაშამ.

– გეოდეზია და ტოპოგრაფია ერთი და იგივეა, – დაიწყო ახსნა ჯუანშერმა. – არსებობს უმაღლესი გეოდეზია, რომელიც სწავლობს მთლიანად დედამიწის ზომასა და ფორმას და არის გამოყენებითი გეოდეზია ანუ ტოპოგრაფია, რომელიც სწავლობს დედამიწის ცალკეული მცირე ნაწილების ზედაპირს, აგეგმავს მას... ახლა აღარც გეოლოგიურ-აგეგმვით სამუშაოები წარმოებს, მოგესხენებათ, მშენებლობები ჩაკედა – გეოდეზისტ-ტოპოგრაფებს სამუშაოს შოვნა უჭირთ, თუმცა, ვის აღარ უჭირს?... ზოგი ამას მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს აბრალებს, ზოგი – რუსეთთან ომს... რა ვიცი, ორმოცდარვა წლის კაცი ვარ, ჯერ ჯანი მომდევს, არ ვითაკილებ ნებისმიერ სამუშაოს, თუნდაც – მტვირთავად დავდგები, მეეზოვედ, რა ვიცი... უმუშევართა დახმარების არავითარი პროგრამა არ არსებობს. უფრო ამ უფულობის ბრალია, ასეთი აღრენილი რომ არის. მეჩხუბება, წადი, გაიარ-გამოიარე, რაღაცას მაინც მოჰკიდებ ხელით, რა აზრი აქვს ტყუილად ხეტიანს? გზის ფულიც კი არ მაქვს ხოლმე. ვაჭრობა კიდევ – ყიდვა-გაყიდვა – მე არ შემიძლია, რომ მომკლა, – არ არის საჩემო საქმე.

– ხომ არის პროფესიული გადამზადების რაღაც პროგრამები, კურსები...

- მერე რა? ვის რად უნდებხარ, ყველგან ახალგაზრდა გოგოები უნდათ, თანაც ლამაზები უნდა იყვნენ და ალბათ – კეთილი გულისა...
- ბოდიშს ვიხდით, ალბათ შეუფერებელ დროს მოვედით, გთხოვთ გვაპატიოთ, მაგრამ სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებთ.
- გისმენთ...
- თქვენ ალბათ იცით, რა სამწუხარო ამბავიც მოხდა თქვენს ქუჩაზე, უშუალოდ თქვენი სახლის წინ...
- დიას, დიას!
- ჰოდა, ჩვენ გვანტერესებს, რაიმე ხომ არ იცით ისეთი, რომელიც გამოძიებას დაეხმარება ამ მკვლელის გარემოებათა დადგენაში?
- სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით, ამ მკვლელის შესახებ მეზობლებისგან გავიგე, მე თვითონ არაფერი დამინახავს. იმ დღეს დილით ბაზარში წავედი, თითო კილო მაკარონი და შაქარი უნდა მეყიდა, აქ, ვარკეთილის ბაზარში, სვანების ბაზარს რომ უძახიან – ცოტა იაფია ყველაფერი... ჰოდა, იქ ძაღლმა მიკბინა, ბაზრის დაცვის თანამშრომლებმა მითხრეს, ეს პირველი შემთხვევა არ არისო. მერე, თქვენ აქ რას შერებით, რატომ არ მოაცილებთ აქაურობას-მეთქი; ლეკვები ჰყავს და იმიტომ არის ასეთი აგრესიული... სასწრაფოდ წავედი ქალაქის V საავადმყოფოში, ანტირაბიულ განყოფილებაში ნემსის გასაკეთებლად; მომხდარი მკვლელის შესახებ მხოლოდ შინ დაბრუნებისას გავიგე. საავადმყოფოში 52 ლარი გადამანდევინეს, რა ნამუსია?.. დაზღვევა თუ გაქვსო, მეკითხებიან, უმუშევარ კაცს რა დაზღვევა უნდა მქონდეს? ჩემს მეზობელს სასწრაფოდ დაგურეკე, იმან მისესხა და მომიტანა... ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გყავს თუ სისხლის წთვის მონსტრი? კიდევ ოთხჯერ უნდა მივიდე და თითო ნემსის გაკეთება 10 ლარი დამიჯდება, საქმეა ეს? ჩემს ცოლს ფულს ვეღარ ვთხოვ, ისტერია ემართება, რა უნდა ვქნა? მეტს ვეღარ მივალ და უნდა ვილოცო, რომ ის ძაღლი ცოფიანი არ გამოდგეს...
- მინისტრი არაფერ შუაშია, უფასო აცრები პარლამენტის თუ ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით გაუქმდა.
- მაშინ მაწანწალა ძაღლებს მოუარონ! ვაჰ, ეს ქვეყანა ნაღდი საგიჟეთია, რომ შემეძლოს, ნამდვილად სხვაგან გავიქცეოდი!
- მაშ, თქვენ მომხდარის შესახებ ვერაფერს გვეტყვით... თქვენ რომ უშუალოდ რაიმეს შესწრებოდით, ვალდებული იქნებოდით, ამის შესახებ თვით მოგეწოდებინათ ინფორმაცია, მე სხვა რამ მინტერესებს: იქნებ რაიმე ეჭვი გაქვთ, ვის შეეძლო ამის ჩადენა... დიდი ხანია, ამ ბინაში ცხოვრობთ?
- თითქმის ოცი წელია.
- მეზობლები კარგად გეცოდინებათ, ვინ რას წარმოადგენს და...
- იცით, ამ ბოლო ხუთ-ათ წელიწადში უამრავი ბინა გაიყიდა, ახალი ხალხი გამოჩნდა, ბევრს არც კი ვიცნობ...
- მაინც, მაინც, იქნებ რაიმე გვითხრათ, ერთი შეხედვით – უმნიშვნელო... ჩვენთვის ყოველ წვრილმანს დიდი მნიშვნელობა აქვს, შესაძლოა იმ ძაფის წვერი აღმოჩნდეს, რომელიც მერე გორგალთან მიგვიყვანს.
- ხომ გითხარით, თხუნელასავით შინ ჩაკეტილი ვზივარ, ეზოშიც კი არ ჩავდივარ დომინოს ან ნარდის სათამაშოდ, თუმიცა თავისუფალი დრო თავზე საყრელად მაქვს.
- რატომ, გაერთობით მაინც...
- კი, ბატონო, გაერთობა კარგია, მაგრამ რომ წააგო, ლუდის ფული – საიდან? მართალი გითხრათ, როცა ფინანსურად უკეთ ვიყავი, არ მიჭირდა, მაშინაც მერჩინა, თავისუფალ დროს წიგნები მეკითხა; ჩვენში დარჩეს და, ჩემს ცოლზე ბევრად უკეთ ვერკვევი ბიოლოგიაშიც კი... გული კი შემიჭამა: “ჭკუა სად მქონდა, მე, უმაღლესდამთავრებულმა, შენისთანა გაუნათლებელს როგორ გავყვირო”.
- როცა აგაბო დათვიბადაძე და ლაშა დამურაული ამ ბინიდან გამოვიდნენ, შვებით ამოისუნთქეს.
- მიკვირს, ამ ქალთან როგორ ძლებს, – თავი გააქნია ლაშამ.
- შენ დაოჯახებული ხარ?
- ჯერ არა.
- არც შეთვალეირებული გყავს ვინმე?
- მოწონებით ბევრი მომწონებია, მაგრამ საცოლედ ჯერჯერობით არავინ მნდომებია. სწავლას ვაპირებ და ცოლის შეერთებისთვის ჯერ არ მცალია. თანაც არც ბინა მაქვს – მშობლებთან და უმცროს ძმასთან ერთად ოროთახიანი ბინაში ვცხოვრობ; წარმოიდგინეთ, ამ ქალბატონის მსგავსი რომ შემხვდეს...
- მე სპეციალისტი არ გახლავარ, მაგრამ, ჩემი მოკრძალებული შეხედულებით, მაგ ქალს შესაძლოა, შიზოფრენია სჭირს, კერძოდ, ეგრეთწოდებულ საზღვრისმიერ ფსიქიკურ პათოლოგიებთან ახლო მდგომი ის სახეობა, რომელსაც სამედიცინო ლიტერატურაში ოცამდე განსაზღვრება აქვს:

“რბილი” შიზოფრენია, ამბულატორული შიზოფრენია, ამორტიზებული შიზოფრენია, ფსევდონერვოზული შიზოფრენია და ასე შემდეგ; უკეთეს შემთხვევაში – ფსიქოპათია მაინც აქვს. აღზნებული ფსიქოპათია გახლავს.

– ჩემთვის ეგ საკითხი ჩინურია.

– თუ გინდა კვალიფიცირებული გამოძიებელი იყო, ფსიქიატრიაში ცოტა მაინც უნდა ერკვეოდე, საკმაო ფსიქოლოგიური განათლებაც სრულიად აუცილებელია.

– მართალი მოგახსენოთ, ისიც კი არ ვიცი ხეირიანად, რა განსხვავებაა ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიას შორის...

– ფსიქიატრია კლინიკური მედიცინის დარგია, ფსიქოლოგია უფრო ფილოსოფიასთან არის წილნაყარი...

* * *

VII სართულზე ავიდნენ და № 20 ბინის ზარი დიდხანს ახმინავს, მასიურ რკინის კარზეც უბრა-
ხუნეს, როგორც დეიდა მართამ დაარიგათ, მაგრამ ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

– აქ ვინ ცხოვრობს? – იკითხა აგაბო დათვიბალაძემ, როცა ლაშა დამურაულმა მეზობლად ხის კარზე დააკაკუნა – ზედ არც პატრონის ვინაობის აღმნიშვნელი ფირფიტა ჰქონდა და რატომღაც არც ზარი მუშაობდა, მხოლოდ ფანქრით ეწერა: “№ 19”.

– ხომ იცით, რომ ამ ბინაში მხოლოდ სტუდენტი გოგონები ცხოვრობენ ქირით, დროს ხომ არ ეკარგავთ მათი შემოწმებით?

– კი, ერთი შეხედვით, შეიძლება, ეს ბინა არც შევამოწმოთ, მაგრამ ცხოვრებაში ათასი უცნაურობაა, ზოგჯერ, რასაც არ მოელო, სწორედ ის ხდება ხოლმე, ერთი შეხედვით, სრულიად წარმოუდგენელი რამ... რა იცი, სულ ათი-თხუთმეტი წუთის დაზოგვა, შესაძლოა, ცხვირიდან ძმრად წამოგვდინდეს, ამიტომ ნუ დავიზარებთ და დააზარუნე...

გოგონები შინ დახვდათ – ნანული და ესმა – წყნარი ქალიშვილები ჩანდნენ. დილის საუზმეს მიირთმევდნენ და მოსულთაც მორიდებით ჩაი შესთავაზეს, რაზედაც ლაშამ უარი განაცხადა, აგაბო დათვიბალაძემ კი მათ მადლობა გადაუხადა და მაგიდას მიუჯდა. ლაშას გაუღიმა, გოგონებს კი უთხრა, რომ ადრე დილით ჩაი კი მიირთვა, მერე, მოგვიანებით – ყავაც, მაგრამ ასეთი მშვენიერი ქალიშვილების მიერ შემოთავაზებაზე უარის თქმა ყოველად შეუძლებლად მიაჩნია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ამინდს...

როგორც საუბრიდან გამოირკვა, აღმასხან ჯამიაშვილის მკვლევლობის დღეს გოგონები ლექციებს ესწრებოდნენ, შემდეგ კაფეში შეიარეს და კინოთეატრ “რუსთაველში” ახალი ფილმი ნახეს; შინ გვიან დაბრუნდნენ, მომხდარი დანაშაულის შესახებ კი მხოლოდ ახლა გაიგეს... სხვათა შორის, რატომღაც ლაშას მიმართ გამოიჩინეს განსაკუთრებული ყურადღება: ცნობისმოყვარე გოგონები გამოდგნენ და უბნის ინსპექტორს მოუხდა მათი მრავალრიცხოვანი კითხვებისთვის პასუხის გაცემა.

აგაბო დათვიბალაძე დაინტერესდა, რა ფილმი ნახეს გოგონებმა; მერე გაიმართა ერთგვარი დიდი-კუსია თანამედროვე კინოს შესახებ და გამოძიებელმა აღიარა, რომ კინოს სანახავად არ დადის და როდის იყო უკანასკნელად, ვერც კი იხსენებს...

– რომც მქონდეს თავისუფალი დრო ამისთვის, ვამჯობინებ, წიგნი წავიკითხო – უამრავი წიგნი მიდევს თავსთუმაღთან.

– რატომ? ძალიან საინტერესო ფილმები გადის, უამრავ ხალხი დადის.

– უფრო ახალგაზრდობა... არ მიზიდავს სისასტიკე, ძალადობა, მკვლევლობები, ეროტიკა, უგემოვნო და უაზრო ფანტასტიკა...

ამ დროს მათთან სტუმრად მოვიდნენ მეგობარი ქალიშვილები: ერთი – ჩასუქებული, მეორე – გამხდარი, მაგრამ ორივენი შარველებში გამოწკეპილნი, ქურქებით დამშვენებულნი და – ამ ზამთარში – ჭიპოშიშველებულნი! მეტისმეტად ხმაბლდა საუბრობენ, გაუთავებლად იცინიან, თან კეფს იღეჭებიან... ძალიან თავისუფლად, შინაურულად გრძნობენ თავს, ოთახში მყოფ მათზე ასაკით უფროსებს – დათვიბალაძესა და დამურაულს, უცხოებს, – თითქოს ვერც ამჩნევენ...

კიდევ კარგი, ამ ბოლოქანქარების სტუმრობა ხანმოკლე გამოდგა: როგორც მოცქრიალდნენ, ასევე უცბად დაემშვიდობნენ გოგონებს, მხოლოდ ლაშას შეხედეს წუთით, – ახედ-დახედეს, მისი გარეგნობა შეაფასეს, – და ხორხოც-სიცილით წავიდნენ, თითქოს ძალიან სასწრაფო საქმეზე ეჩქარებოდნენ...

მოკლე ხანში აგაბო დათვიბალაძე და ლაშა დამურაულიც გამოემშვიდობნენ ნანულისა და ესმას.

– ლაშა ბატონო, ურიგო გოგონები არ ჩანდნენ...

– რა თქმა უნდა...

– მე იმას გეუბნები, რომ რაღაც საეჭვოდ გზვეერადნენ – ორივეს მოეწონე! მე იმ ბოლოქანქალებს არ ვგულისხმობ, მათთან რომ მოვიდნენ... შენ რომელი უფრო მოგივიდა თვალში?.. ჰა, რას იტყვი?

– არცერთია დასაწუნი, მაგრამ მათ მე სულ არ ვაფასებდი იმ თვალსაზრისით, რომელსაც თქვენ გულისხმობთ...

– ჰო, ჯერ სწავლა-განათლება, მერე – ბინის პრობლემის მოგვარება, მერე – კიდევ რაღაც გამოჩნდება და ამასობაში წლები გაფრინდებიან...

– ახლა არ გნახეთ აჩქარების შედეგი? ჯუანშერ ვირიტერფაძის ცოლს ვგულისხმობ – ცაცია თუ ციცინო.

– მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, ჩემო ლაშა! მეორეც... ხომ ცნობილია: ცოლის თხოვა ლატარია – ან წააგებ, ან მოიგებ, წინასწარ ამის გამოცნობა კი ლელა კაკულიასაც არ შეუძლია. თუ კაცი ხარ, უნდა გარისკო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გაწყენს, ჯერ კარგად დაფიქრდე, ყველაფერი ყოველმხრივ აწონ-დაწონო...

კარი XIV.

ბინა № 21. გაყიდულია სასწრაფოდ.

ბინა № 22. ამბროსი ბირკაწვრილაძე – მხატვარი

დღეს 10 მარტია, ხუთშაბათი.

ბაღიან ცივა, აღარ უნდა ვიგრძნოთ გაზაფხულის დადგომა? დამე წამოთოვა, თუმცა თოვლი არ დადო; დღისით სველია მიდამო – გამოიღარა, მაგრამ მოღრუბლულია და მზე ერთი წამითაც არ დაგინახავს...

– გული წაიდეს ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში: “იწყება 30-ლარიანი სასურსათო გაუჩერების დარიგება!”. შემოგვრათ დაფდაფებს, ჩაებერთ ღოროტოტოებს – აწი აღარაფერი გვიჭირს! – გამორთო ტელევიზორი მართა დეიდამ. – დღეს ვისთან აპირებთ მისვლას?

– “ბინა № 21, ანზორ და არიანა ყურცქვიტაძეები, შვილი – დავითი”, – წაიკითხა დავთარში ლაშა დამურაულმა.

– დათო ჯარშია, – თქვა მართა დეიდამ. – როცა ჯარში გაწვევის უწყება მოუვიდა, საჩქაროდ გაყიდეს თავიანთი ბინა და მეზობელ სახლში გადავიდნენ ქირით. იმ სახლის რწმუნებულმა მეორე დღესვე მიუტანა ახალი უწყება – ვერ დაიმალა, წაიყვანეს.

– მამამისი?

– ვალები ჰქონდა, წააგო კაზინოში და ანზორა ცოლმა გააგდო – ახლა დასთან ცხოვრობს.

– დეიდა მართა, თქვენ რა იცით, რა არის ღოროტოტო?

– შუათანა ბიჭმა ისტორიული დაამთავრა, იცით, რა ნიჭიერია? პირველი კლასიდან სულ ხუთო-სანი იყო; წიგნების ჭიას ეძახდნენ, დიდი ბიბლიოთეკა შეაგროვა. იმის წიგნებს მეც ვათვალიერებდი. ახლა დისტრი... დიდტრი...

– დისტრიბიუტორია?

– ჰო, რა უბედურებაა, ენას მოიტენს... რაღაც ყიდვა-გაყიდვაშია დასაქმებული. ისტორიკოსი დღეს აღარავის სჭირდება, ალბათ მალე დინოზავრებივით გადაშენდებიან.

* * *

№ 22 ბინის კარი ხნიერმა კაცმა გაუღოთ. მხატვარი ამბროსი ბირკაწვრილაძე: დაბალი, მსუქანი, მელოტი; სათვალის იქიდან დიდი ნაცრისფერი თვალები ბავშვივით მიამიტურად იმზირებინ. საღებავებით აჭრელებული ტურტლიანი რაღაც ჯუბა აცვია, ფეხზე – უშნო, რაღაც უცნაური ფორმის ქების წადები, ეტყობა, შინნაკეთი...

ბინაში საკმაოდ ცივა.

– ბოდიშს ვიხდი, მე გათბობა არ მაქვს...

– არა უშავს, ჩვენ არაფერი გვიჭირს, თქვენ როგორ უძლებთ?

– მე? ახლა შედარებით დათბა. ზამთარშიც კარგად ვარ – პირიქით, სითბოს ვერ ვიტან, მაშინვე გცივდები. თბილად მაცვია, ასე მიჩვევია.

– ოჯახის სხვა წევრები?

– ქალიშვილი და სიძე რომ მოვლენ სამსახურიდან, თავის ოთახში ელექტროღუმელს ჩართავენ...

- თქვენი ვაჟი?
- ორი ვაჟი მყავს, ერთი ცალკე ცხოვრობს ცოლ-შვილთან ერთად, მეორეც დაოჯახებულია, მუსიკოსია, უკვე ათ წელზე მეტია, ოჯახთან ერთად გერმანიაშია წასული.
- ეს მაგარი სურათია... - კედელზე ჩამწკრივებული სურათებიდან ერთ-ერთის წინ შეჩერდა აგაბო დათვიბალაძე.
- ჩემი არ არის, ცნობილი მხატვრის ხოჯა ხუმარაულისაა, ათი წლის წინ მოკვდა, საწყალი... აღრინდელი ნამუშევარია, დიდი ხნის წინ მაჩუქა, მეც ჩემი ვაჩუქე, სურათები გავცვალეთ.
- გამიგია, მაგის სურათები ახლა ძვირად ფასობს, - თქვა დათვიბალაძე.
- მაგის ნახატები მოაქვთ ხოლმე სალონში, ყოდიან, ნაგლეჯები მოაქვთ, რაღაცეები... ცეცხლის ფასი დაადეს. კაცი რომ მოკვდება, მერე აფასებენ. სიცოცხლის ბოლოს გალოთებულა ძალიან, საწყალი. მესამე ცოლი ჰყოლია. პირველ ცოლს ვიცნობდი, როცა სტუდენტობაში ვცხოვრობდი, ლამაზი გოგო იყო, კონსერვატორიაში სწავლობდა, მღეროდა. მაგათ შვილს ბაკური ჰქვია, ისიც მხატვარია, მე არ ვიცნობ. კიბეებზე მოაქვს ხოლმე ნახატები, მეცნიერებათა აკადემიის წინ. სხვანაირად ხატავს, გრაფიკოსია.
- ცოლი რატომ გასცილდა?
- ვინ გაგიძღვს უბედურ ლოთს, ვინ გაგიჩერდება? “გადახუხე, ჩემო ხახა, ვის უთქვია ღვინის მარხვა?” - გადაუშვებს და დასუნავს გამხმარ თევზს, ჭამის თავიც აღარ აქვს. კაცი რომ დათვრება, მოვა შინ და შემოგარწყევს, შემოგაბოყინებს და თან - პანჩურსაც ამოგარტყამს გინებით: “წადი, შენი დედა, შენ ვინ ხარ, მე ვარ ყველაფერიო”... ლოთის ციებ-ცხელება დაემართა, სიმახინჯეებს ხედავდა და ხატავდა - ქათამს ქრისტეს თავით ან კიდევ უფრო უბედურ რამეს. ტვინში რომ ანთება გაქვს, არანორმალურად აზროვნებ და ჰგონიათ, რომ თავისებურიართ...
- მანც, როგორი მხატვარი იყო?
- კი, კარგი მხატვარი იყო, ნიჭიერი. ლოთობას რომ არ გადაჰყოლოდა, უკეთესსაც გააკეთებდა, მაგრამ მაინც ბევრი რამის გაკეთება მოასწრო... აი, ეს წიგნი - მხატვრების ცნობარი - იმით არის მურტალი, რომ ყველა დამლაგებელი შეტანილია შიგ, ყველა უბედური, ვინც კი მხატვართა კავშირში მუშაობდა, კარგი მხატვრებიდან ბევრი გამორჩენილია. არც ხოჯა არის... გაიგე, შე შობელებლო, რომ ადგენ ამ წიგნს, რაღაც პასუხისმგებლობა ხომ უნდა იკისრო! დრო გადის, ნაღდი მხატვრები იკარგება, ვიღაც კრეტინები იჭყანებიან აქედან - მცდარი წარმოდგენა ექნებათ მომავალ თაობებს.
- რას იზამ...
- ჩვენ, ჩვენს თაობას ნაკლებ აფასებენ - შენ თუ მართლა კარგი მხატვარი ხარ, ამ გადაკარგულში, ვარკეთილში რა გინდა? ვაკეში უნდა ცხოვრობდე, ან - საბურთალოზე მაინც, გქონდეს 2-3 სართულიანი შენი სახლი-სახელოსნო, საკუთარი გარაჟით, დიდი ბაღით... “მოლაში” უნდა იყო: შენს შესახებ ხშირად უნდა საუბრობდნენ ტელევიზიით, გიწვევდნენ სხვადასხვა სულელურ გასართობო შოუებში მონაწილეობის მისაღებად - აი, მაშინ ხარ დიდი მხატვარი! ჯიბესქელი ბიზნესმენები ხშირად მოგაკითხავენ, თითო ნამუშევარში, ნამდვილი დამფასებელი რომ გროშსაც არ გაიმეტებს, 10, 15, 20 ათას დოლარს ჩაგიჩხრიალებენ ჯიბეში... მერე სტუმრებს ახარბებენ: “შეხედეთ, მე ხუნდი-კაშვილის 7 ტილო მაქვს, წყალკაკლაშვილის 10 ტილო მაქვს”... შენ კი აქ მუშაობ, მუშაობ და ზედაც არაფერს გიყურებს...
- თქვენი სიძე მუშაობს?
- ქალიშვილიც მუშაობს და სიძეც. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტშიც მუშაობდა; უნივერსიტეტიდან დაითხოვეს - რეორგანიზაციაა, შტატებს ვამცირობთო, მაგრამ ახალმა რექტორმა სხვები მიიყვანა, თავისი ხალხი. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ვითომ რომელიღაც უნივერსიტეტს მიუერთეს, სინამდვილეში - საერთოდ გააუქმეს და ესენი - ქალიშვილი და სიძე - ახლა სარჩენად მე დამაწვენენ; თუ არ დაგხატე, სალონებში არ მივიტანე, იქნება საცხა-საცხა რაცხა გავასაღო და თრიოდ გროში გავაკეთო, სახლიდან გამომავლებენ... კომუნალური გადასახადები სულ ჩემი სატიკვარია, ამ ბოლო დროს ისიც გააორმაგეს, ბაზარშიც მე უნდა ვიწანწალო და სადილი დავახვედრო - ამ ხნის კაცს ამდენი შემოიძლია?... ქალიშვილი რომ არაფრად ჩაგაგდებს, რატომ გიკვირს, რომ სიძეს სულ ფეხებზე ჰკიდიახარ - შე შობელებლო, მადა ხომ მაგარი გაქვს, სადამოს შინ რომ ბრუნდება, ერთი პური მაინც დაიჭირე ხელში...
- თქვენ გამოგადგებენ? ვინ გაბედავს...
- გაბედავსო? კაი რა, ფეხებზე არ ჰკიდიათ, ჩემნაირი რამდენია. სიძე ბატონი სულ იბახის, ვალები მაქვსო, ჩემს გოგოსაც ართმევს ფულს.
- სიძე ხომ მუშაობს?
- ნაქირაგებ ტაქსზე ზის შოფრად.
- თქვენთან არის ჩაწერილი?
- არა. ახლა ჩაწერა აღარ არის, არც აქ მობინადრედ ითვლება.

- გაფორმებული აქვთ ქორწინება?
- არა, ჩემს გოგოს ეხვეწება, ის კი არ თანხმდება. ჩემი გოგო მეუბნება: “რა ვიციო, ბოლოს როგორ გამომადლებათ, მაგასთან რომ ხელი მოვაწერო, მერე, რა ვიცი, რა იქნებაო, ცხოვრებაში ვეღარ გავაგდებო. პირდაპირ მითხრა, რომ “მეო, მამაო, წაგყვიო, რა ვიციო, ყველაფერი წინ არისო, თუ გამოდგაო და მეგობრად დამჩხა ბოლომდე, რა მნიშვნელობა აქვს ხელის მოწერასო”.
- სწორია.
- “რამე რომ იყოს, ბინას წამართმევს, ქუჩაში დამტოვებსო, - გაიგე? - და მაგას ვჭამო?”. ამაში მაინც გამოდგა ჭკვიანი. სიძე ახლა რომ მოვიდა, მოიყვანა თავისიანები: “ჩვენები წაგყვიებინ... კარგი გოგოა ნათელაო, მაგრამ ხელის მოწერაზე არ თანხმდებაო”. მე სიძეს ვუთხარი: “ხელი ხომ მოაწერე ერთხელ, - პირველი ცოლი გარდაეცვალა, - ყოველდღე ხელის მოწერა გამიგია? ხომ გყავს ცოლად? ეგრე სად არი, თათრები ხომ არ ვართ? ქართველი ხარ, ქართველს ჰყავს ერთი ცოლი, არის ერთი ხელის მოწერა. ახლა ჩემი გოგო არის შენი მეგობარი. თუ მეგობრობას გაუწევ, ხომ კარგი და თუ არა, რად გინდა ხელის მოწერა?”. ცუდად მითქვამს? პირდაპირ ვუთხარი. “კახელებსაც პირდაპირი ლაპარაკი გვიყვარსო, - მეუბნება, - მაგრამ ასე პირდაპირაც არ ვარგაო...”. “აბა, როგორ გინდა სხვანაირად, ოჯახაშენებულო? სხვანაირად მე ვერ გეტყვი-მეთქი”, - მე ვუთხარი. გაჩუმდნენ, ხმა აღარ ამოიღეს. აბა, ხელის მოწერას რომ მთხოვ, თუ კაი კაცი ხარ, ხელის მოწერას გაძღვეს? მოგცემს იმას, რომ დაჯდები აქ ხონთქარივით და თუ ჩემი შვილი გაგიფხუკიანდება, გაუყოფ ბინას და დატოვებ გზაში - ქუჩაში. ეგრე არ არის?
- ეგრეა, ნამდვილად... ეს თქვენი ნამუშევრებიც მომწონს... კაციშვილი არ წერს, ვინ არიან ნაღდი მხატვრები, მათზე წიგნი არ უნდა იყოს?
- რთულია, მაგის შექმნას არ ეყოფა ერთი წელი.
- აბა, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი რომ არის, მეტს რას მიკეთებენ, დასხდნენ და დაწერონ.
- რომ დაწერონ, მილიონი გამოვა, ყველა ვიდაც მიიტანს: “მე ვარ მხატვარი, მე ვარ!”, ატყდება ჩხუბი, დედას უტირებენ იმ წიგნის შემკრებს... კაი, რა! ყველა ამბობს: “მე ვარ გენიოსი!”. საქართველოში რამდენი მხატვარი იქნება? ერთი მილიონი ხომ იქნება?
- სასაცილოა, ყოველი მეორე - მხატვარია?
- ერთი მილიონი აცხადებს, რომ ის არის მხატვარი! ყველაზე დიდი მხატვარი! ზოგს აკადემიაც არ დაუმთავრებია და... მაგალითად, თარხან ეკალღიჭაძეს რომ ჰკითხოთ, საქართველოში ფირფიტის შემდეგ - მეორეა. ჯემალას რომ ჰკითხოთ, ტარაბუაძეს: “ყველანი გადასაყრელები ხართ, არავინ არ არის, მხოლოდ მე ვარ!”. მაგნიტები, იცი, რამდენია? ვერ ჩამოთვლი. დაუმთავრებიათ ფიზიკური ან სხვა განხრით და ხელოვნების მეორადი ფაკულტეტი - უნივერსიტეტში რომ არის, იმის მსგავსი. რამდენ მხატვარს ვიცნობ, გიჟივით არის: თმები მხრებამდე აქვს, წვერი მოუშვია და თავისი კერძო სამხატვრო ინსტიტუტი გაუხსნია: “აკადემია აფუჭებს!”. მუდამს რომ გასწავლიდა ქობულაძე ან შუხაევი, მის სადარს დედამიწის ზურგზე ვინ მოგცემს? აკადემია როგორ აფუჭებს? ვიდაცა გასწავლის, უფროსი კურსის სტუდენტი ან შენი ამხანაგი; შეიძლება, პროფესორი და მასწავლებელი გამოშტერებული გყავდეს, მაგრამ ყველა ერთმანეთის მასწავლებელია - კარგად რომ მუშაობენ ბიჭები, ამდენი ერთად და უყურებ, იმაზე უკეთესს ვინ გასწავლის? ეგრე არ არის?
- ამ სახელში რამდენი მხატვარია?
- რამდენიმე იყო, ახლა შემორჩა ერთი ხელოსანი - მე - და ერთი ნამდვილი მხატვარი - ტრისტანა ნისკარტაძე.
- ლაშა დამურაშელმა ჩაიხედა რაღაც ქალღმერთებში:
- ტრისტან ნისკარტაძეს, რა თქმა უნდა, იცნობთ...
- ჩემი მეგობარია, ნიკოლაძეში და აკადემიაშიც ერთად ვსწავლობდით.
- მაშ, მეგობრობთ მასთან?
- რა არის, იცი? ცოტა მოსიაფანდო ტიპია, მაგრამ ამ სიაფანდობაში კარგ რაღაცეებსაც გამოურევს ხოლმე. მიხვდი? ღრმა ტიპი არაა, მომჩატოა. მაგის ბიჭიც მხატვარია - ბააკა, გერმანიაში გაუშვა, ახლა ნიუ იორკშია. ადრე, კომუნისტების დროს, ტრისტანას ჩამოჰქონდა შეკვეთები, შუა აზიაში იყო წასული, შეკვეთების ამღებად; იცნობდა იქაურ რაიკომის მდივნებს ყველა ოლქის; ჩამოჰქონდა შეკვეთები, ყიდდა ამ შეკვეთებს. პირველ ცოლთან გაყრილია, ახლა იმ ქალს საკუთარი “მარკეტები” აქვს საბურთალოზე - ერთი სამი; ვაჭარია, ვაჭარზე ვაჭარი. მეორე ცოლთან ორი გოგო ჰყავს, გათხოვილები. უფროს გოგოს ერთი ათი-თორმეტი წელი შვილი არ ჰყავდა, შარშან, მგონი, აიყვანეს. “ეყოლა, ბიჭო, ეყოლა, ისეთი კარგია!”. რა ეყოლა, იშვილეს, დიდი გოგოა, ორმოცი წლის.
- ესე იგი, ტრისტან ნისკარტაძეს დიდი ხანია, იცნობთ...
- ნახევარი საუკუნეა! სანამ აკადემიაში მოეწყობოდა, ნიკოლაძეში სწავლობდა და ფურნეშიც მუშაობდა წუნმდებლად; გამოჰქონდა ბიჭებისთვის რამდენიმე პური და აჭმევდა მშიერ ამხანაგებს.

- სად მუშაობდა?
- ფურნეში, აბა, რაჭველი სად იმუშავენ! ფურნეში, წუნმდებლად. ჰოდა, ყველაზე კაი პური, გამომცხვარი, გამოჰქონდა: “ეს არ ვარგა!”. ოთხი-ხუთი პური გამოჰქონდა მთელი ამ “მათხოვრების-თვის”: ოთარია ჩხართვაძე იყო მიჩვეული მაგასთან, ნიკუშა მეშველიშვილი, მეორე ნიკო კიდევ – კოჭლი... მე არ მინდოდა ჭამა, მაგის გასაჭირი მაშინ არ მქონდა, უბრალოდ, ბიჭებთან მივიდიდი, ჩემი მეგობრები იყვნენ, ერთად ვსწავლობდით. ანგია ნანუშიაშვილი იყო იქ კიდევ მდგმურად, იმ სახლში, სადაც ტრისტანაც ცხოვრობდა – ერთ კაცთან ლოტკინზე – და იქ მოჰქონდა პური, შეგროვდებოდნენ და ამ მუქთახორებს აჭმევდა. “მე დაგზარდვ ეგენი სუყველა!” – ამბობდა ტრისტანა.
- კეთილი კაცი ყოფილა.
- რა გითხრა, იცი? ხან კეთილია და ხან – არც ისე...
- ნიჭიერი ხომ არის?
- ამბროსი დაიჭყანა:
- ნიჭიერიც არის და ბოლო-ბოლო – არც ისე... ადრე იყო ეს ამბავი, როცა ყოველ წელს სამხატვრო გალერეაში რამდენიმე დიდი გამოფენა იმართებოდა. ადარ მახსოვს, საგაზაფხულო გამოფენა იყო თუ საშემოდგომო, მხატვართა კავშირიდან სურათების შესაძენად თანხა იყო გამოყოფილი, ტრისტანა კომისიაში იყო და ჩემი ნამუშევარი დაიწუნა... “ჩემი ძმაცაღი თუ ხარ, ეგრე უნდა მოიქცე?” – ვუთხარი, მაგარი დავა მოგვივიდა, კინალამ დავარტყით ერთმანეთს. “შენო, – მეუბნება, – რამე ხომ არ გეშლებაო? – მაშინაც ძველბიჭობდა, თუ რამე არ მოეწონებოდა, ეგრევე გაულაწუნებდა ყბაში. – სახელმწიფომ იმიტომ კი არ გასწავლა, შენზე ფული დახარჯა, რომ ასეთი სისულელეები აკეთო, – აბსტრაქტული სურათი გამოფენე, მაშინ უცხო ხილი იყო, ბევრი აიფოფრა, რას ჰგავს ესო; – სახელმწიფოსგან ხელშეწყობა რომ არ გქონოდა, შენგან მხატვარი არ გამოვიდოდა და ასე უხდი ამავისთვისო?”. ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება და შენც ხომ უნდა შეიცვალო... როცა ყველაფერი იცვლება, ცხოვრება იცვლება და შენ თუ დატოვე ძველი ფუნდამენტი, რომელიც უკვე იშლება და ვეღარ უძლებს მიწისძვრას – მთლიანად უნდა გამოცვალო ყველაფერი, მოძველებული უნდა მოიშორო. უნდა გადახვიდე ახალ ყაიდაზე, ახალი ძრავა უნდა იყიდო, რომ წინ სწრაფად წახვიდე... იმ ძველმა მაშინ გაამართლა, რადგან კონტროლი იყო ძალიან მკაცრი, სახელმწიფო თვითონ ხარჯავდა ფულს ყველაფერზე, ყველაფერს აკონტროლებდა და დარღვევაზე – ციხე, ციმაბირი, დახვრეტა! ეს დემოკრატია მოვიდა და ყველაფერი დაიშალა. რაღა დაგვრჩა? დაგვრჩა ერთადერთი: ხერხი უნდა გამოცვალო ჭიდაობის – ცხოვრება ჭიდაობა... მარადიული არაფერია, იცვლება ყველაფერი. მე რომ ისევ ისე ვხატო, სხვანაირი არ შევიტანო, ძალიან მოსაბეზრებელი გაგხდები – ერთი და იგივე, ერთი და იგივე... პიკასო გიჟი კი არ იყო, სულ ახალს რომ აკეთებდა. ერთ რამეზე არ უნდა შეჩერდეს. მოძრაობა – სისუფთავეა: მდინარე რომ მიდის, იწმინდება, დადგება ტბად და – დამყაყდება...
- ახალგაზრდებში თუ გამოჩნდა ნიჭიერი?
- თითო-ოროლა ყოველთვის გამოჩნდება, ასე იყო ყოველთვის, ეს კანონია... ყველა დებილს თავი გენიოსი ჰგონია, განდიდების მანიით არის შეპყრობილი... ყველა ჭკვიანმა იცის, რომ ის არ არის გენიოსი, ხომ მეთანხმები? ჩემში იყო სიამაყეც და თავმდაბლობაც – ეს ცხოვრებაში ძალიან მშველდა.
- თქვენ და ტრისტან ნისკარტაძეს ორივეს ბინა ბოლო სართულზე გაქვთ... აქედან კარგი ხედია და იმიტომ აირჩიეთ? თუ გინდოდათ, ზემოდან არავის შეეწუხებინეთ?
- ვანგარიშობდით, რომ როდისმე მოვანერხებდით მეცხრე სართულად პატარა მანსარდასავით რალაცის დაშენებას, რომელსაც სახელოსნოდ გამოვიყენებდით, მაგრამ ამდენი დრო გავიდა და ფული არა და არ გამოგვიჩნდა... ახლა ხომ ისეთი სიძვირეა, ოცნებაც არ შეიძლება. ტრისტანმა მაინც მოასწრო და სარდაფში დაითრია ფართი, იქ მოაწყო სახელოსნო. მხატვრის სახელოსნოს სარდაფში რა უნდა, მაგრამ მაინც შეღავათია: ჩემსავით საღებავების სუნი არ ყარს მთელი ბინა.
- მერე, თქვენც იგივე გაგეკეთებინათ...
- მეზობელი რომ შეგხვდება უბედური... სარდაფის ფართი დანაწილებული გვქონდა მეზობლებს, ყველას თანაბრად, ყველას გვერგო პატარ-პატარა სათავსოსთვის ადგილი. იქ სახელოსნო ვერ მოთავსდებოდა, მაგრამ ხარახურას მაინც შეინახავდა კაცი...
- რომელიმე მეზობელს რომ დაეთმო თავისი წილი?
- კი, კაცო, ორს გაგურიგდი კიდევ, მაგრამ ვინ გაცალა: ერთმა მეზობელმა რამდენიმე ნაკვეთი დაითრია, გააერთიანა და იქ ჭედურობის კეთებას შეუდგა ამხანაგებთან ერთად – მაშინ მაგარ მოდაში იყო და დღედაღამ ისმოდა იქიდან გრიალი და რაკარუკი, ამწოვი მილიც გააკეთეს სახურავს ზემოთ. იქ სახელოსნო რომც მომეწყო, როგორ უნდა მემუშავა იმ საგიჟეთში. მეორე უბედურმა ძალით დაიკავა დარჩენილი ნაწილი, რკინის კარი ჩამოკიდა და საყვედური რომ გუთხარით, “თუ ვაჟ-კაცები ხართ, იმასაც ვნახავო”, – თოფით აშინებდა ყველას. მე თოფით რას მაშინებ, თუ მართლა

ვაჟკაცი ხარ! თანაც ორმეტრიანია თითქმის, ასოცი კილო იქნება, თითო დაღვევაზე ათ ლიტრ ღვინოს სვამს...

- ეგ რომელია, მესამე სართულის მობინადრე ბერდია ხამხამაძე?

- დიახ, ეგ გახლავთ, ზუსტად მოარტყით! მსახიობი კაცია, ან დრო სად აქვს ამდენი ან ფულს სად შოულობს? სარდაფში მარანი მოაწყო, არის ერთი რიარია – ღრიანცელი და ლოთობა თითქმის ყოველდღე... მაგის გამო ცოლი გაექცა, შვილებმაც მიატოვეს. ახლა ხან ერთ ქალს მოიყვანს, ხან – მეორეს, შტერ ქალებს რა გამოლევს! მაგრამ ორ-სამ თვეზე მეტ ხანს ვერაფერს უჩერდება... ფხიზელს ვერ ნახავ, თუ არ დალია, დასაბმელი ხდება... მთვრალი და გიჟი ერთია; თვითონ კი არის კარგად, მისთვის ვარდისფერია სამყარო, აბა ერთი, სხვისი ამბავიც იკითხოს, რა დღეში აგდებს?!

- აქ წამოსვლამდე ოქმები გადავათვალიერე: გასულ წელს ახალწლის ღამეს სროლისთვის პატრულს პოლიციაში წაუყვანია და დაუჯარიმებიათ...

- ჰო, მოპირდაპირე კორპუსში საფანტით შუშები ჩაამტვრია... ბედი მაგისი, არაფერს დააზიანა, ერთი წუთით ადრე შესულან ბავშვები ოთახში. დამსახურებული არტისტი ვარო და სხვა დროსაც, როცა დათვრება, ისე ისვრის თავისი შუშაბანდიდან, თითქოს შუა ტყეში იყოს. კიდევ კარგი, უფრო ხშირად სარდაფში სვამს, თოფების კოლექცია კი ბინაში აქვს კედელზე ჩამოკიდებული. ამ ხნის კაცია და ჭკუნს კი ვერ მოეგო... რა გინდა, რომ ჰქნა – გიჟია, გადარეული! ქვეყანა ნაცნობ-მეგობრები ჰყავს, საყვედურის თქმას ყველა ერიდება...

- ქვეყანა ჭრელია, ყველა ერთი ჭკუნის ხომ არ იქნება.

- რას ლაპარაკობ, ეს სახლი განსაკუთრებულია! ეს სად მოგხვდის, კაცო, სახლი კი არა ნაღდი საგიჟეთია!

- რატომ?

- ერთი ოჯახი არ არის ნორმალური! ერთ კაცს ვერ ნახავ, რომ მასთან ურთიერთობა შეიძლება ბოლეს... ჭკუიდან აცვენილები, ლოთები, ნარკომანები, ბოზები, ჭკუნასუსტები!.. ქურდები, აფერისტები, ზრდილობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

აგაბო დათვობადაძე ლაშას მიუბრუნდა:

- აუჰ, დღეს რა ცუდი ამინდია! მაგრამ საქმე – საქმეა, მიხედვა უნდა... წავედით... დიდი მადლობა საუბრისთვის და, ბოლოს, ბატონო ამბროსი, კიდევ ერთს გკითხავთ... თქვენ ასეთ ამინდშიც მუშაობთ? მე იმის თქმა მინდოდა, გაქვთ მუშაობის ხალისი?

- ერთი კარგი სიმღერა რომ არის ერთ-ერთ კინოფილმში, სახელი ახლა არ მახსენდება, ალისა ფრეინდლიხი რომ მღერის, ბუნებამ არ იცის ცუდი ამინდით, ასეა ნამდვილად. სხვათა შორის, ამ სიმღერის დამწერი თბილისში გაზრდილი კაცი იყო, მიქაელ თარივერდიევი...

- ფილმს ჰქვია “სამსახურებრივი რომანი”... აღარ არის ცოცხალი?

- არა... ალისა ფრეინდლიხი ვახსენე. ხომ თითქოს უღამაზო ქალია, მაგრამ როგორი მომხიბველია! რაც შეეხება დღევანდელ ამინდს... მშვენიერია, მშვენიერი! ამ დილით უკვე რამდენიმე ჩანახატი გაგაკეთე – ფანჯრიდან. სახელოსნო მე არ მაქვს და ზოგი გაიკვირებს: მანსარდის დაშენება რომ ვერ მოვახერხე, დღეს აღარც მადლევებს – ჩაკეტილი, ოთხი მხრივ ჩაკეტილი სივრცე მთრგუნავს კიდევ! ხომ იცი, ძველი გამოთქმაა, რომ სურათი იგივე ფანჯარაა დამყაროში გასახედად. იცი, რამოდენა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, მერვე სართულზე რომ ვცხოვრობ? ჩემს კოლეგას, ტრისტან ნისკარტაძეს რომ სარდაფში აქვს სახელოსნო, ოთხ კედელშია გამომწყვდეული, მე ამას ვერ შეგეგუებოდი... აკადემიაში კვირაში სამჯერ მივდივარ ავტობუსით და ყოველ გაჩერებაზე პატარა ჩანახატს ვაკეთებ – ფანჯრიდან დანახულ ხედს ან თუ ვინმე მომეწონება ავტობუსში – საინტერესო ტიპაუებს რა გამოლევს!

- მერე, სად ინახავთ ამდენ ჩანახატს?

- ზოგს მერე დავამუშავებ, თუ მოტივი მომეწონა – გრაფიკულ სურათს ვაკეთებ ან, უფრო იშვიათად, ფერწერულს...

- როგორც ვხედავ, თქვენ აბსტრაქტულ ფერწერას დავამშვიდობეთ...

- დიდი ხანია... რის თქმაც მინდოდა იქ, ვთქვი. სახადივით რომ მოედო და, ვისაც ხელში ფუნჯის დაჭერა არ ეზარება, ყველა აბსტრაქტულ სურათებს ჯღაბნის, ხროვაში გარევა მე რად მინდა?

- მეტს ძვირფას დროს აღარ წაგართმევთ, კეთილად ბრძანდებოდეთ!

* * *

- პატარა ლექციაც მოვისმინეთ! პატარა კი არა, საკმაოდ გრძელი – აუჰ, რამდენი გველაქლაქა, არ წაიღო ძალა?! – წამოიძახა ლაშა დამურაულმა, როცა ამბროსი ბირკაწერილაძის ბინის კარი მიიხურა.

– რა ჰქნას, მთელი დღე მარტოა, წყინდება... თუმცა, არ მესმის, მხატვარ კაცს რატომ უნდა მოწყინდეს? როცა ადამიანი საკუთარ თავზე ბევრს ლაპარაკობს, გინდა – კარგს, გინდაც – ცუდს, ეს უკვე ამპარტავნობის ნიშანია... თუმცა, მხატვარი, ხელოვანი ალბათ ამბიციურიც უნდა იყოს!

კარი XV.

ბინა № 23. უშანგ აქშიგოქშაძე – ყოფილი მეცნიერი, პენსიონერი.

ბინა № 24. მურმან მარმუჭიშვილი – ტაქსისტი

აგაბო დათვიბალაძე და ლასა დამურაული დეიდა მართასთან სტუმრობისას უკვე ტრადიციად ქცეულ დილის ყავას ნეტარებით წრუპავდნენ და საინფორმაციო გამოშვების ანონსს უსმენდნენ:

“დღეს 11 მარტია, პარასკევი, მე ნათია ნათიკაური ვარ, თქვენ უსმენთ დილის საინფორმაციო გამოშვებას.

იაპონიას ისევ ეწვია მძლავრი მიწისძვრა, ამჯერად 8,9 მაგნიტუდის სიმძლავრისა. წარმოიშვა 10-მეტრიანი ცუნამი, მოსალოდნელია გიგანტური ტალღის დარტყმა და გავრცელება ხმელეთზე. აჩვენებენ საშინელ კადრებს: ერთ გემს ტალღამ მთლიანად გადაუარა ზევიდან, 100 კაცის ბუდი უცნობია. ბოლო 140 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერმა მიწისძვრამ უკვე 60 ადამიანი იმსხვერპლა, ასობით – უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. იწვის ქარხნები, ხანძარიან ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგურის რეაქტორზე.

ბათუმში “გრამმგაურის” მშენებლობა იწყება. ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი 250 მილიონი დოლარის ინვესტიციას ღებს ბათუმსა და თბილისში მაღლივი შენობების ასაშენებლად”.

შემდეგ სარეკლამო პაუზა დაიწყო და დეიდა მართამ ტელევიზორი გამორთო.

– დეიდა მართა, დღეს უშანგ აქშიგოქშაძესთან უნდა მივიდეთ, ალბათ ტყუილად დაკარგავთ დროს... მარტოხელა პენსიონერია, როგორც ლაშამ მითხრა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა კაცია?

– ყოვლად უწყინარი, არავის აწუხებს... როცა ამ სახლში შესახლებულან, შეუკრებიან კაცები და უშანგს უთქვამს: “დავთქვათ, რომ ჩვენს ეზოში არავის მიეცემთ უფლებას ერთი გარაჟიც კი რომ ჩაიდგას! დავრგათ ხეები, გავაშენოთ ყვავილნარი, ისევ ჩვენი ბავშვები და მოხუცები გაიხარებენ!”. მთელ დასახლებაში ეს ერთი ეზოა ასეთი, დღევანდლამდე ერთი ავტოგარაჟიც არ ღვას და ეს უშანგის დამსახურებაა. და კიდევ ერთი მეზობლის – ალექსანდრე ლიტოვსკის...

– ეგ გინ არის? ჩემს დაგთარში ეგ გვარი არ მიწერია, – დაინტერესდა ლაშა დამურაული.

– უკვე ოცი წელიც იქნება, რაც ისრაელშია წასული, იქ გადასახლდა მთელი ოჯახი. ახლა იქ ცხოვრობს, თუ ცოცხალია კიდევ – მაშინ 60 წელს გადაცილებული იქნებოდა. ჩემს ინსტიტუტში განყოფილების გამგე იყო, მეცნიერებათა კანდიდატი. სამსახურში ექსპურსიები და ტურისტული გასეირნებები სულ მაგის თაონობით ეწყობოდა ხოლმე – პროფკავშირების ხაზით კულტურულ-მასობრივი მუშაობის კომისია იყო თუ ამის მსგავს რაღაცას ხელმძღვანელობდა. ამ სახლში ერთად შეგვასახლეს 25 წლის წინათა, ჯერ კიდევ კომუნისტების დროსა. იმ დროის მობინადრეებიდან სულ ათამდე ოჯახი თუ დარჩა ამ სახლში. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, საზღვარგარეთ საცხოვრებლად ბევრი წავიდა, განსაკუთრებით – რუსები, სომხებიცა. სომხებიც, უმეტესწილად, რუსეთში გადასახლდნენ, ეს ლიტოვსკი კი ისრაელში წავიდა, ძალიან კარგი კაცი იყო, კეთილი. ჩვენი ეზოს ბავშვებს შეკრებდა, ავარჯიშებდა, ერთმანეთში აჯიბრებდა... რუსულ სიმღერებსაც ასწავლიდა – საოცრად ენერგიული კაცი იყო. მისი შვილიშვილები თავისუფლად ლაპარაკობდნენ ქართულად, თვითონ ქართული არ იცოდნენ. მაშინ ბევრს უნდოდა გარაჟის ჩადგმა, მაგრამ ლიტოვსკიმ და უშანგიმ არავის დაანებეს. ქართველებიდანაც ბევრმა გაყიდა ბინა, უმეტესობა სოფლებშია იყიდეს, კახელებმა – აქედან მათი სოფლები უფრო ახლოს არის. შარშან აქ ახალი მეზობელი რომ შემოგვემატა, კახელი, იქითა სადარბაზოში, იქ ბინა რომ იყიდა, მეორე დღესვე მოიტანა ბლომად ბეტონის აგურები, სილა, ცემენტი და მუშებიც მოიყვანა. რომ გაიგო უშანგიმ, გარაჟის აშენებას იწყებდნენ, რომ მიუფარდა საჩხუბრად, ძლივს გააშველეს მეზობლებმა. ის კახელი ტანკივითაა, უშანგი ერთ ლუკმად არ ეყოფოდა, მაგრამ მთელი ეზოს კაცებმა რომ უშანგის მხარე დაიჭირეს, კუდი ამოიძუა... მეგრე ქუჩის მხარეს გარაჟი მაინც გაიკეთა, მას რაჟდენამ მიბაძა და მის გვერდით ორჯერ დიდი აიშენა!..

– მოკლედ, აქშიგოქშაძემ ეზო დამახინჯებას გადაგირჩინათ...

– უშანგი ფუსფუსაა, ერთ წამს ვერ ნახავ უსაქმოდ გაჩერებულს. შექანებული კია!

- აკი წყნარი პიროვნებააო? რატომაა შექანებული?
- დარგო ქუჩის გადაღმა ხეები და ყოველ საღამოს ჩადის და რწყავს. ახლა კი არა, ზაფხულში, ცხადია.
- ნორმალური ყოფილა, ძალიან კარგი კაცი...
- მერე ჩადგამს იმ ხეებქვეშ მაგიდას და წავა ძმაკაცებთან ქეიფი! - წამოიძახა ლაშამ, შემდეგ დაამატა: - ვხუმრობ, ვხუმრობ!
- რა ჯიშის ხეები დარგო? - იკითხა დათვიბალაძემ.
- ჯერ ხეხილი დარგო - ვაშლი და ბალი. ძალიან შეეცდიო, მერე ამბობდა, ქალაქში დაბინძურებული ჰაერია და აქაური ხილი არ იჭმებაო, თანაც ბავშვები რამეს დამწიფებას აცლიან? იმ ვაშლის ვერც გემოს გაიგებ და ვერც ფერს იხილავ, ლამის თხილის ხელას გლეჯდნენ და ჭამდნენ, თან ტოტებს უმოწყალოდ ამტვრევდნენ. მერე იფანი და კვიპაროზი დარგო, ესენი გვალვას უძლებენ კარგადო, და კიდევ რაღაცა, მგონი, ნეკერჩხალი... ერთხელ ზაფხულში ბიჭებმა ცეცხლი წაუკიდეს გამხმარ ბალახს, მისი დარგული რამდენიმე ხის ქვედა ტოტები დაზიანდა. გიჟივით გამოვარდა და გამოეკიდა ბავშვებს, თოფი რომ ჰქონოდა, ესროდა. ასეთი გაცეცხლებული არასდროს მინახავს.
- გასაგებია, გასაგებია... - გაურკვეველად წაილაპარაკა დათვიბალაძემ. - ყველას აქვს რაღაც ისეთი... აკვირება თუ თავისებურება, ამის გამო მათ შექანებულიად ვერ მივიჩნევთ.
- პირველ სართულზე მარჩენკოვსკების ოჯახია, ორმოცდაათზე მეტი კატა ჰყავთ! - წამოიძახა ლაშამ; რასაკვირველია, ის კი აღარ დაამატა, რომ შეეძლო ეთქვა: "თქვენც, დეიდა მართა, შეიძლება, მავანმა შექანებულიად შეგრაცხოთ, თქვენც გახასიათებთ უცნაური ქცევით"...
- აჩემებული აქვთ: იმას - კატები, ამას - ხეები... ბარემ შემოღობოს თავისი ნარგაობა, - თქვა დათვიბალაძემ. - თუმცა... მე და ლაშამ ამ შოფრის დაღუპვასთან დაკავშირებით რამდენჯერმე დავიარეთ ახლომხლო ტერიტორია, ზედმიწევნით დაკვირვებით დავათვალიერეთ. ძალიან არ მოგვეწონა, რაც კი ვნახეთ. მოსახლეობაში მრავლად არის ადამიანი, რომელსაც უნდა, რაღაც გააკეთოს - ხე დარგოს, გაახაროს... ზაფხულშიც გამივლია აქეთ; აქ და სხვაგანაც ბევრს აქვს შემოკავებული მცირე ნაკვეთი სახლთან, გაშენებული აქვს ვენახი, ყვავილნარი, ხეხილი, მოცხარი, რგავს პომიდორს, ზოგს ხენდროც კი აქვს. სხვები ძალიან უდიერად ეპყრობიან ყველაფერს, თელავენ ყვავილებს, მესრებს, ხეებს ამტვრევენ ტოტებს... ბავშვებს შენ გააჩერებ? ჩემი სახლის წინაც ერთმა დარგო ვაშლის, ბლის, ალუბლის, კომშის ხეები, შესანიშნავად უგლიდა, ელოლიაგებოდა, მაგრამ რად გინდა: ბავშვები ჯერ მთლად მწვანე ნაყოფს გლეჯდნენ და ჭამდნენ, ნამდვილი მხეცები... მშობლების მიკვირს, ერთს არ ეტყოდნენ შვილებს, ჯერ მიკვანა, მაგის ჭამა არ შეიძლება, კუჭი აგეშლებათო... ეგ ქალაქის მტვერში და ბენზინის გამონაბოლქვში მწიფეც არ იჭმევა, შეიძლება, მოგწამლოს. აქშიგოქშიაძე სწორად მოქცეულა, გზისპირას ხეხილის გაშენება არ ვარგა, მით უმეტეს, ბავშვები არ გააჩერებენ. მოკლედ, ჩემს მეზობელს მოზებურდა ნერვების მოშლა, თავი დაანება მოგლაპატრონობას, ერთ წელიწადში იმ ნარგაობიდან აღარაფერი დარჩა - გახმა და გატიალდა ყველაფერი.
- არც უფროსები აკლებენ ხელს - მერე სხვები ამ რკინის ღობეებს, ბადეებს არღვევენ და ჯართში აბარებენ... - ამატებს ლაშა. - საოცარია, სკოლებსაც კი არ შეარჩინეს რკინის ღობეები, საჯაროედ გაიმეტეს.
- ყველგან ასეა, რამ გააველურა ეს ხალხი, არ ვიცი... - ამოიოხრა დათვიბალაძემ. - რა თქმა უნდა, ნაწილს ვგულისხმობ, მერე ნაწილი კი მაინც ჯიუტად აგრძელებს დაზიანებული შემოღობვის აღდგენას, ზოგან ახალ ნაკვეთებსაც კი აშენებენ.
- რა თქმა უნდა, ეს ნაკვეთები კანონის დარღვევაა, რკინის ნაჭრებისგან და სხვა ხარახურისგან გაკეთებული ღობეები ცუდი შესახედია, მაგრამ თვალს ვხუჭავთ, ეს სიმწვანე გარაჟებს მაინც ჯობს, - თქვა ლაშამ. - გაავსეს ეზოები გარაჟებით, ახლა რომ მათი ადგება დავიწყოთ, ამას ალბათ აჯანყება მოჰყვება. იფ-იფ-იფ, კარგია!.. დეიდა მართა, მართალი მოგახსენოთ, აქ, ამ ოთახში ჯდომას და თქვენთან მუსაიფს ახლა არაფერი მირჩევნია, მაგრამ...
- უშანგის შემდეგ ვისთან აპირებთ მისვლას, ვისი ჯერია? - იკითხა დეიდა მართამ.
- ბინა ნომერი ოცდაოთხი, მურმან მარმუჭიშვილი, - მოახსენა ლაშამ
- კარგი კაცია... - თქვა დეიდა მართამ. - ცხოვრებაში არ უმართლებს, უფრო სწორედ, დრო არის ისეთი, რომ ყველა პატიოსანი ადამიანი დაჩაგრულია.
- რატომ ყველა? - არ დაეთანხმა ლაშა.
- ახლა რა ხნისაა? - იკითხა დათვიბალაძემ. - იქნებ აწი გაუმართლოს!
- აწი? - უკმაყოფილიდ იკითხა დეიდა მართამ. - პატიოსანი ადამიანი ყოველთვის დაჩაგრული იყო, ყოველთვის! და მით უმეტეს ახლა, ამათ ხელში, სამოცს წელს მიტანებული კაცი, რას უნდა ელოდოს კარგს?

– ჩვენ ფილოსოფიურ საკითხზე დავაში ჩაგვებით... – შემრიგებლურად თქვა აგაბო დათვიბა-ლაძემ; სურნელოვანი ყავისა და გემრიელი ნამცხვრის მირთმევის შემდეგ, არ სურდა, არაფრის მომტან დავაში ჩართულიყო, მით უმეტეს – დეიდა მართასთან, თანაც წინ ერთობ დაძაბული დღე ელოდა.

– მურმანი ნიჭიერი კაცია, ჯერ არც პენსია ეკუთვნის, ჩვენს სამეცნიერო-საკვლევე ინსტიტუტში სამუშაოდან დაითხოვეს – ბებერი ხარო; ახლა ეს ინსტიტუტიც გააუქმეს... ოჯახი რით არჩინოს?

– ოჯახში ვინ ჰყავს?

– ცოლი და ორი გაუთხოვარი ქალიშვილი.

– ახლა რას საქმიანობს?

– “ტაქსაობს”... აბა, რა ექნა? მეცნიერი კაცი იყო, დაფასებული – ოცდაათ წელზე მეტი სამეცნიერო-საკვლევე ინსტიტუტში მუშაობდა, დისერტაცია დაიცვა, ლაბორატორიის ხელმძღვანელობდა... და უცებ ამ ხელისუფლებას და ფულს დახარბებულმა ცხვირმოუხოცელებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე 35 წლის ასაკს ზევით ვინც არის, ყველა უვარგისია, ძველი ყოფით არის მოწამლული, ახალ დროებას ფენს ვეღარ შეუწყობს... რამდენიმე თვეს პირადი ბიბლიოთეკის წიგნებს ჰყიდდა მშრალ ხილთან გროშებად, ოღონდ პურის ფული ეშოვნა, მერე თავისი დაფეხვილი “უიჯული” შეაკეთა და ტაქსისტი გახდა... რამდენჯერმე ღამე თავს დაესხნენ და გაძარცვეს, ერთხელ ქალაქგარეთაც წაიყვანეს, უდაბურ ადგილას ტანზე სულ გახადეს, სცემეს და ხელფენშეკრული დააგდეს – დილით შემთხვევით მწყემსმა იპოვა ხევში ჩაგდებული... სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

– ახლა შინ იქნება?

– უნდა იყოს... უფრო ღამით მუშაობს, ახლა ალბათ სძინავს.

* * *

როგორც კი № 23 ბინის მიადგნენ და ზარის დილაკს მიაჭირეს თითი, კარი მაშინვე გაიღო – თითქოს ბინის პატრონი სტუმრებს ელოდა და დადარაჯებული იყო.

– გამარჯობა, მობრძანდით! – მისალმება დაასწრო მოსულებს უშანგმა და გვერდზე გადასა, სტუმრებს ვიწრო შესასვლელი გაუთავისუფლა. მაღალი კაცი იყო, გამხდარი, უკვე საკმაოდ ასაკოვანი, მაგრამ ჯერ კიდევ ჭაბუკურად წელში გამართული და სათვალის იქიდანაც ახალგაზრდული, ცოცხალი თვალები იმზირებოდნენ.

საშუალო სიდიდის საღად გაწყობილ ოთახში შევიდნენ – იდეალური წესრიგი და სისუფთავე... დათვიბალაძე და ღამურაული დივანზე ჩამოსხდნენ. საწოლი არსად ჩანს, ეტყობა, ბინის პატრონი ამ დივანზე იშლის ლოგინს. ლოჯიაში გასასვლელთან მოწყობილია სტელაჟი და მასზე აწყვია საზამთროდ ბინაში შემოტანილი ბარაქის ხე, მრავალგვარი კაქტუსი, ახლაც მოყვავილე ოთახის იუბი... კუთხეში – ერთ ხის კასრში წითელი მაგნოლია ჰყვავის, მეორეში – თეთრი; ხის კასრშივე მოყვავილე ლიმონია ათამდე დიდ-პატარა ნაყოფით: ორი ყვითელია, სამიც – შეყვითლებას იწყებს.

– რა ლამაზია! პატარა სამოთხე მოგიწყვიათ.

– ყველას ძალიან მოსწონს... რომ ვეტყვი, ყვავილს მოგცემ თავის ქოთნით ან, თუ გინდა, თესლს ან ნერგს-მეტქი, მაშინვე უარს არიან – არაო, მაგისტრის სად მცალიაო... ეზარებათ, თავის შეწუხება არ უნდათ.

გალიაში მოუსვენრად დახტის და ჭიკჭიკებს პატარა, სულ მთლად თეთრი ჩიტი...

– რა ჩიტია ეს?

– იადონი... კანარის ჩიტი.

– მე მეგონა, კანარის ჩიტი მხოლოდ ყვითელი იყო.

– არა, ბატონო, ასზე მეტი ჯიშის არსებობს, სულ სხვადასხვანაირია. ეს გერმანიაში გამოყვანილი თეთრი ფერის ჯიშია, ჩვენში იშვიათია.

გამომძიებელი ყურადღებით ათვალთვლებს ოთახს. ერთი კედლის გასწვრივ წიგნების თაროებია ჩამწრივებული იატაკიდან თითქმის ჭერამდე. უმთავრესად ქართული და რუსული მხატვრული ლიტერატურაა, ასევე – ზოოლოგიური და ბოტანიკური, გეოგრაფიული ატლასები, რამდენიმე თაროზე უცხო ენებზე გამოცემული წიგნებიც არის.

– თქვენ პროფესიით ვინ ბრძანდებით?

– ბიოლოგიას ვასწავლიდი საშუალო სკოლაში, მერე ზოოლოგიის ინსტიტუტში ემუშაობდი მეცნიერ მუშაკად, დისერტაცია დავიცავი, უნივერსიტეტშიც ვასწავლიდი სტუდენტებს... ახლა, როგორც ხედავთ, შინ ვზივარ, თუმცა მუშაობა ჯერ კიდევ შემიძლია.

– აბა, რატომ არ მუშაობთ?

– რატომღაც ჩემი ასაკის ხალხი ყველა ახალი დროების პირობებისთვის შეუფერებლად მიგვიჩინეს და სამსახურიდან დაგვითხოვეს...

– მერე, არ იჩივლეთ?

– სად უნდა იჩივლო? ფორმალურად კონკურსი ჩაატარეს, რომლის შედეგიც წინასწარ იყო განსაზღვრული. ადრე ტაქსისტობაც მომიწია, საკუთარი მანქანა მქონდა და დაგწანწალებდი ქალაქში, ჩემმა მეზობელმა, მურმან მარმუჭიშვილმა, შემაგულიანა. მერე შევეშვი, ათასი ძალღი-მამაძაღლი შემხვდა, ჯანიცა და ასაკიც ხელს აღარ მიწყობდა, აღარც მანქანა მივარგოდა და დავანებე თავი. ახლა ასაკმა მომიწია და პენსიონერი ვარ. სხვა შემოსავალი არაფერი მაქვს...

– აკი მუშაობა ჯერ კიდევ შემიძლია?
 – დიახ, შემიძლია, ოღონდ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს არ ვგულისხმობდი.
 – მარტო ცხოვრობთ?
 – დროებით.
 – დროებით?
 – დიახ, ერთი ქალიშვილი მყავს, აშუამად რუსეთში ცხოვრობს.
 – რუსეთის მოქალაქეა?
 – არა, იქ სწავლობდა ასპირანტურაში, დისერტაცია დაიცვა და სამუშაოდაც იქვე დარჩა.
 – ჩამოსვლას არ აპირებს?
 – ზაფხულში ჩამოსული იყო, მაგრამ სამუშაო ვერ იშოვა და იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო. იქ ბინაც მისცეს... რუსეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებს.
 – ეგ ერთი შვილი გყავთ?
 – ვაჟიც მყავს, ის დედამისთან ერთად ცხოვრობს. ჩემს ყოფილ მეუღლეს მეორე ოჯახი ჰყავს; განქორწინებისას ქალიშვილმა ჩემთან ისურვა ცხოვრება, ვაჟი კი დედასთან დარჩა.
 – თქვენს ბინაში... ცოტა დახუთული ჰაერია.
 – ძილის წინ სარკმელს ვადებ ხოლმე.
 – თქვენ ალბათ გაიგეთ, რაც აქ მოხდა 22 თებერვალს... თქვენი სახლის წინ.
 – დიახ...
 – შინ ბრძანდებოდით?
 – დიახ.
 – რას აკეთებდით?
 – კერძოდ, რა დროს?
 – შუადღეზე.
 – იმ დღეს პარლამენტის საგაზაფხულო სესია გაიხსნა და ტელევიზორში ვუყურებდი.
 – გასროლის ხმა ხომ არ გაგიგიათ?
 – არაფერი არ გამიგია, ხომ გითხარით, ტელევიზორს ვუყურებდი.
 – იარაღი გაქვთ?
 – რა იარაღი?
 – ცეცხლსასროლი.
 – არა, რად მინდა? სანადირო თოფიც კი არასოდეს მქონია. საერთოდ, არ ვარ იარაღის მოყვარული.

– ეს კარი აივანზე გადის?
 – დიახ, მაგრამ ახლა ცივა და ჩაკეტილი მაქვს, აქედან არ დავდივარ.
 – ჰო, თქვენთან ოთახშიც საკმაოდ გრილა... ელექტროლუმელი მაინც ჩავერთოთ.
 – გათბობას იშვიათად, დიდი ყინვებისას მცირე ხნით ვრთავ, ნამეტანი სითბო კამელებს არ უყვართ, არც – ლიმონს, ფოთლებს დააყრევინებს.
 – ბინა კი არა, ორანჟერეაა, როგორ გძინავთ აქ?
 – რა ვქნა, ვუძლებ... სამწუხაროდ, მხოლოდ ეს ერთი ოთახი მაქვს. წინათ დიდი, სამოთახიანი ბინა მქონდა, გაყრისას ის ბინა “დავახურდავეთ” და ამ ერთოთახიან ბინაში გადმოვედი ქალიშვილთან ერთად.

– შეიძლება, აივანზე გავიდეთ?
 – მობრძანდით...

მასპინძელი მათ წინ გაუძღვა. შევიდნენ მცირე სამზარეულოში, შემდეგ უშანგმა აივანზე გასასვლელი კარი გააღო და ბინის სიმყუდროვიდან და სითბოდან გავიდნენ თებერვლის მოღუშული შუადღის სიცივესა და საკმაოდ ძლიერ ქარში.

ზამთრის სუსხის მიუხედავად, ქუჩის მხარეს მიმართული საკმაოდ გრძელი აივანი მწვანეშია ჩაფლული: რკინის ათლიტრიან კასრებში ხუთი მეტრნახევარი სიმაღლის ოლეანდრებია, დანარჩენ ყვავილების ქოთნებს პოლიეთილენის აფსკი აქვს გადაფარებული.

გადახედეს არე-მიდამოს...

მერვე სართულიდან მშვენივრად მოჩანს ის ადგილი, სადაც მაშინ მოკლულის მანქანა იდგა. ქუჩის ამ მონაკვეთზე სამუშაოები დაუსრულებიათ და ახლა იქ ასფალტს აგებენ, ასფალტის სატკეპნი მანქანა წინ და უკან მოძრაობს.

- მაშ, თქვენ არაფერი დაგინახავთ და არც გასროლის ხმა გაგიგონიათ...
- სწორედ ასეა, ბატონო ჩემო. ვწუხვარ, რომ ვერაფრით დაგეხმარეთ...
- კარგი, მადლობა... თქვენს გვერდით ნომერ ოცდაოთხ ბინაში ვინ ცხოვრობს?
- მარმუჭიშვილების ოჯახია.

* * *

კარი მურმანმა გააღო. მიმე წონის მოჭიდავეს ჰგავდა; ნამძინარეე სახეზე ხელისგულს ისვამდა, ეტყობა, დილის ძილი დაუფრთხეს.

როცა წარუდგინე და მისვლის მიზანი აუხსნეს, სტუმრები სასაუბროდ დიდ ოთახში მიიწვია.

დათვიბალაქემ შეამჩნია, მურმანს ძლიერი, დაკუნთული ხელები ჰქონდა, მსხვილ მკლავებზე ხუჭუჭა, უხვი ბალანი მოსდებოდა. ოთახში საკმაოდ გრილოდა, ის კი მოკლესახელოებიანი კვართისა და საშინაო, თხელი შარვლის ამარა იყო. “დათვსა ჰგავს, მეცნიერისა არაფერი ეტყობა, – გაიფიქრა დათვიბალაქემ. – ან ყაჩაღებმა მასზე თავდასხმა როგორ გაბედეს, ორ-სამ კაცს თავისუფლად გაუმკლავდებოდა... ალბათ იარაღი ჰქონდათ”.

- თქვენ რაიმე სპორტს ხომ არ მისდევდით? – ჰკითხა დათვიბალაქემ.

- ახალგაზრდობაში სოფელში ვჭიდაობდი, მერე, უნივერსიტეტშიც, ორი-სამი წელი შეჯიბრებებშიც გამოვდიოდი, მაგრამ ჩემგან დიდი მოჭიდავე ვერ დადგა... უფრო სწავლამ და მერე მეცნიერებამ გადასძალა, ყველაფრისთვის დრო არ მყოფნიდა.

- გავიგეთ, თქვენ უსიამოვნება შეგემთხვათ, სიკვდილს გადაურჩით...

- დიას, სამწუხაროდ, მოხდა ასეთი ამბავი.

- და ისევე აგრძელებთ ამ საქმიანობას?

- იძულებული ვარ... ახლა ერთი რკინის არმატურის გადანაჭერი მიდევს გვერდით, ყოველი შემთხვევისთვის, თანაც უფრო ფრთხილად ვარ. ხალხის გამოცნობაც ვისწავლე – ყველას არ ვუჩერებ მანქანას.

- თქვენ მეცნიერი კაცი ყოფილხართ, გული არ გწყდებათ, რომ ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდით?

- გული როგორ არ მწყდება, ბევრი რამის გამო მეთანდრება გული. ჩემს თავს იმდენად არ ვჩივი, მეცნიერებათა აკადემიის სისტემა რომ მოშალეს, დიდი შეცდომა იყო... მე უფრო მგონია, – შეგნებული დანაშაული ჩაიდინეს. ჩვენს დარგშიც მთელი სამეცნიერო სკოლა მოსპეს, რომლის აღდგენასაც შემდგომ ალბათ ათეული წლები და უზარმაზარი სახსრები დასჭირდება... რატომ, რისთვის? მხოლოდ ოფიცინტები, შვეიცარები და დამლაგებლები სჭირდება საქართველოს? მალე ალბათ ქართულად სიმღერასაც ვეღარ გავიგონებთ, აგერ ზოგიერთმა რომანების წერაც კი ინგლისურად დაიწყო... ყველაფერი – უცხოელი ტურისტებისთვის, ჩვენთვის რაღა? ვისი გემოვნებით ხდება ამ მყვირალა ფერებად აჭრელება მთელი საქართველოსი? ჯერ სიღნაღსა და თბილისს, ახლა ქუთაისსაც მიაღწენ, ბათუმი რაღაც საოპერო სპექტაკლის დეკორაციას დაამსგავსეს, მცხეთა? აღდგენას რაღა სჯობს, მაგრამ მხოლოდ უნდა ფაქიზად და საქმის ცოდნით, გემოვნებით აღადგინო, კი არ უნდა შეცვალო და წარყვანა... ჩემი ჯიბის პატრონს ამაზე ოცნებაც კი აღარ შემიძლია, მაგრამ რომც მქონდეს საშუალება, ფეხს აღარსად გავდგამდი... აღარც თუშეთში მინდა წასვლა, აღარც სვანეთში – უნდათ გაავაჭრუკანონ ყველანი, გადააჯიშონ... ისეთი უგუნურობები ხდება, არ ვიცი, მე ვერაფერი გამოვიბა. უცხო ქვეყანაში მგონია თავი... ტელევიზორში რომ ვიდაც პოლიტოლოგები და მიმომხილველები გამოდიან, იმდენ ინგლისურ სიტყვას ხმარობენ, სანახევროდაც ვერაფერს ვიგებ. ამ ჩვენი პარლამენტარების – “ხალხის რჩეულთა”, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში, – გამოსვლებსაც იგივე ავადმყოფობა სჭირს. შვილიშვილებს თუ მოვესწარი, ალბათ მათ ქართულიც აღარ ეცოდინებათ...

- ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმეთ, მეტისმეტად პესიმისტურად ყოფილხართ განწყობილი... ამ თემაზე კამათი ნუ ჩაგვითრევს, ხანგრძლივი დავა გამოგვივა, თქვენ ეს გვითხარით: ამას წინათ თქვენი კორპუსის წინ, ქუჩაში რომ ერთი საწყალი შოფერი მოკლეს, ამის შესახებ რას ფიქრობთ? მეცნიერი კაცი ბრძანდებით, მოაზროვნე, თქვენი მოსაზრება ფრიალ ძვირფასი იქნება ჩვენთვის.

- როგორც მითხრეს, ეს უბედურება შუადღეზე მომხდარა, ამ დროს მე მძინავს ხოლმე. დღე ვიძინებ, ღამე ვმუშაობ – ასეთი განრიგი მაქვს. ამ დროსაც მეძინა და მხოლოდ გვიან საღამოს შევიტყვე ყველაფერი. სხვას ვერაფერს მოგახსენებთ, ჩემი მოსაზრებები კი... მე ამაზე არ მიფიქრია და რა მოსაზრებები უნდა მქონდეს? არავითარი... ის კი გავიფიქრე მაშინ: მე რომ მკვდარი ვეპოვნე იმ მწყემსს მუხათგვერდის სასაფლაოზე, თუ მოახერხებდნენ მკვლელობის საქმის გახსნას? რა ექნებოდა გამოძიებას ხელმოსაჭიდი?

- იქნებ თითების ანაბეჭდები ან სხვა რამ კვალი დაეტოვებინათ...

– საქმე არც აღუძრავთ, მაინც ვერ მივაკვლევთ მძარცველებსო. ჩემი მანქანით წამიყვანეს ქალაქგარეთ, მერე ის მანქანა დიდუბის მეტროს სადგურის წინ ნახეს დაგდებული, არავითარი კვალი არ არისო.

– მანქანაში სუნს მაინც დატოვებდნენ.

– არ ვიცი, მეც აღარ გამოგვიდებიათ ამ საქმეს, რაც მოხდა – მოხდა, უარესებიც ბევრი მომხდარა. ბევრს კი ტრაბახობენ, წესრიგი დაგამყარეთ, მანქანას აღარავინ იპარავსო, თუ გინდა, კარიც არ დაკეტო, ხელს არავინ ახლებსო...

– არც თქვენიანებს გაუგიათ რამე? რამდენადაც ვიცი, ისინი არ მუშაობენ და შინ იქნებოდნენ მკვლელობის ჩადენის დროს.

– დიახ, ისინი თითქმის სულ შინ არიან, ბაზარში ან მაღაზიაში თუ წავლენ. ახლა სძინავთ, ყოველ ღამე გვიან იძინებენ, ამ დროს გადის ყველაზე საინტერესო ფილმებიო. თუ გნებავთ, გაგაღვიძებ.

– არ არის საჭირო, არ ღირს. დაგემშვიდობებით და ბოდიშს მოგიხდით შეწუხებისთვის – ახალი დაძინებული ფეხზე წამოგახტუნეთ...

კარი XVI.

ბინა №34. მელორ ტყეკაფიაშვილი – ყოფილი მერი, საქმოსანი

– მზიანი დილაა, თუმცა საკმაოდ ცივა. ვნახოთ ერთი, რას გვპირდებიან, დღეს როგორი ამინდი იქნება, – თქვა აგაბო დათვიბალაძემ.

დვიდა მართამ ტელევიზორი ჩართო, რეკლამას გადმოსცემდნენ.

– მეც ძალიან გვიან მივედი შინ, სკოლის ამხანაგი დაქორწილდა, მეჯვარე ვიყავი, – თქვა ლაშა დამურაშვილმა.

– მაშინ შენ ცხელი ყავა კი არა, ცივი ბორჯომი ან მუავე კიტრი უფრო გესიამოვნებოდა, – გაიღიმა დათვიბალაძემ.

– შვილო, მწნილის ქილას გაგისხნი, – მაშინვე ფეხზე წამოდგა დვიდა მართამ. – გერმანულია, კორნიშონის მარინადი აწერია, მაგრამ მწნილია მაინც, გინდა?

– მადლობას მოგახსენებთ, დვიდა მართამ, ნუ შეწუხდებით, უკვე ყავას ვსვამ...

– ეს ერთი ხანია, ტელევიზორში ნათქვამს ვერ ვიგებ, ქართულად თუ ლაპარაკობენ, აღარ მგონია, – ამბობს დვიდა მართამ. – იმდენ უცხოურ სიტყვას ურევენ ეს დალოცვილები... აბერ, ცალკე ფურცელზე ჩამოვწერე... ”იმპლემენტაცია, რეფერალური, დისტრიბიუტორი, კრეატივი, პერიტენციული სისტემა, არტეფაქტი“... ჯანდაბა მაგათ!

– რას იზამ, დვიდა მართამ, ყველას უნდა, დიდად განსწავლულად წარმოაჩინოს თავი, – თქვა დათვიბალაძემ, – “ეი, შენ, გოიმო, თანამედროვეობას ჩამორჩი!”.

– ტელეგადაცემებში ისეთ სიტყვებს ხმარობენ, უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც არ არის, – მხარს უბამს დამურაშვილი.

– პარლამენტში გამოსვლებს ხშირად ვუსმენ, – ამბობს დვიდა მართამ. – დეპუტატები ერთმანეთს ეჯიბრებიან უცხო სიტყვების ხმარებაში, არ ჯობს, ხალხისთვის ზრუნვით გამოიჩინონ თავი?

9 საათი შესრულდა და დილის საინფორმაციო გამოსვლებაც დაიწყო. ჯერ ახალი ამბების ანონსი გადმოსცეს, როგორც ყოველთვის, არცთუ სასიამოვნო ამბები ჭარბობდა:

“დღეს 14 მარტია, ორშაბათი.

ხანძარია პარიზში.

შაბათს მოსკოვში ორ ადგილას აფეთქება მოხდა.

ამერბაიჯანში რამდენიმე დღეა, ხალხმრავალ ოპოზიციასა და პოლიციას შორის შეტაკებებია.

არაბულმა ლიგამ მხარი დაუჭირა ლიბიის არასაფრენ ზონად გამოცხადებას.

კვლავ არეულობაა იემენში, დაღუპულია რამდენიმე კაცი, ათასზე მეტი დაჭრილია.

იაპონიაში ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურში აფეთქება მოხდა, მოსალოდნელია რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელება. ბოლო მონაცემებით 2500 ადამიანია დაღუპული. განმეორებითი ბიძგების ძალამ 6-7 მაგნიტუდის სიმძლავრეს მიაღწია. იაპონიაში 55 ატომური ელექტროსადგურია, მათი მუშაობა შეჩერებულია. იაპონიის აეროპორტებში ათასობით ადამიანი გამოფრენას ელის.

კვირას შეჯიბრება გუდაურში თბილისის მერიის თასზე ფოიერვერკით დასრულდა.

შოუ “ნიჭიერი” გრძელდება ტელეკომპანია “რუსთავი-2“-ის ეთერში”...

– ფეიერვერკები, უნიჭოების ჭინთვა – აწი რაღა გვიჭირს! – წამოიძახა დეიდა მართამ და ტელევიზორი გამორთო. – დაგვცინიან თუ რა არის, ერთი მართლა საინტერესო გადაცემა ვერ უნდა ნახო მთელი დღის განმავლობაში?

– სერიალები არ გიყვართ?

– სისულელეა!

– დეიდა მართა, პირველი ქალი ბრძანდებით, რომელსაც მე ვიცნობ და სერიალებს ვერ იტანს. თქვენ იმდენი საინტერესო ამბავი იცით, აი, თქვენ უნდა მიგიწვიონ ტელევიზიაში და საგანგებოდ თქვენთვის ყოველდღე ერთსაათიანი გადაცემა მოაწყონ.

– ყაბულსა ვარ! – გაიცინა დეიდა მართამ, – ოღონდ მხოლოდ იმ პირობით დაეთანხმდები, რომ ეს იდიოტური რეკლამები არ ჩამიჩხირონ... ამ საზოგადოებრივ არხსაც რა გაუჭირდა ისეთი, მილიონობით სახელმწიფო დაფინანსება არ ჰყოფნის? ის მაინც ნუ გვიშლის ნერვებს რეკლამებით...

– რეკლამაც გაღიზიანებთ?

– ეს იყიდვ, ის იყიდვ, გამოგიჭედავენ ყურებს, თითქოს იმდენი ფული გქონდეს, არ იცოდვ, სად წაიღო.

– თქვენს საავტორო გადაცემაზე რეკლამების ცვენა იქნება, გაამდიდრებთ ტელევიზიას და ალბათ საკუთარ თავსაც!

– ნამდვილად ვგრე იქნება, – გამხიარულდა დეიდა მართა, – და ერთ მშვენიერ დღეს დამეცემიან თავზე, გამეოჭავენ... თუ არ მაწამებენ და არ მომკლავენ, მაღლობელი უნდა ვიყო და მთელ იმ ფულებს და ბევრ სხვა რამესაც წაიღებენ... მეგრე მობრძანდებით თქვენ, უკვე სტუმრად კი არა, გამოძიებლის სტატუსით და, თუ ცოცხლად დამტოვებს, გულს გამიწყალვებთ კითხვებით, რა წაიღვს, ვის როგორი ტანსაცმელი ეცვა და რა ხმა ჰქონდა...

– დეიდა მართა, სანამ ეგ სანატრელი დროება დადგებოდვს, მანამდე პატარა რეპეტიციასავით ჩავატაროთ და ერთი თქვენი ნაცნობის, თქვენი მეზობლის, მელორ ტყეკაფიაშივილის ამბავი გვიამბებთ... სწორედ მასთან ვაპირებთ მისვლას.

– მაგის ამბავი, ასე თუ ისე, ჩვენც ვიცით – გამორჩეული პიროვნებაა – და იქნებ თქვენ უფრო სრული სურათი დაგვიხატოთ! – აგაბოს ნათქვამს შეუერთდა ლაშა დამურაულიც.

– მელორას ამბავის მოყოლა რომ დაგიწყო, დღეს სხვა საქმეს ვეღარ მოასწრებთ... ერთი კაი რომანი დაიწერებოდა, ახალი “კვაჭი კვაჭანტირაძე”.

– თქვენ დაიწყეთ და ჩვენ მზად ვართ, იმდენ ხანს გისმინოთ, სანამ თქვენი ნება იქნება.

– ახლა რომ უყურებთ – გაბლენძილი დადის, სალაში თუ გითხრა, მაღლობა უნდა გადაუხადო, – ერთი მაშინ უნდა გენახათ, პირველად რომ გამოჩნდა თბილისში... მელორა ჩამოვიდა სოფლიდან, გაძვრა-გამოძვრა, რაღაც მანქანებით, – ალბათ მამამისის მიერ ლექტორებისთვის ჩამოტანილი ხურჯინებით, – დაამთავრა უმაღლესი და დაიწყო რაღაც ბაზაში მუშაობა... ერთხელ შეხვდა ძმაკაცი და ამას იდლიის ქვეშე კოლოფით წყვილი უცხოური ფენსაცემელი უჭირავს. “რა ფენსაცემელია, რად გინდა?” – ეკითხება, მაშინ, კომუნისტების დროს, კარგ ფენსაცემელს მაღაზიაში სად ნახავდი. “ბიჭო, ირაკლი აბაშიძესთან მივდივარ, მისთვის მიმაქვს”. ირაკლი მაშინ იყო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მის მფარველობას ესწრაფოდა. გავიდა ხანი და “მელორა, მელორა, მელორა!” – სულ მესმის. თურმე იარა, იძრომივალა და ერთი პროვინციული ქალაქის მერი გახდა! რა თქმა უნდა, გახადვს! ერთხელ შემხვდა ეზოში, შევხედვ – ის არის, – უცებ კაცი გახდა! დიდი კაცი!..

– ძველი ამბავია, მსგავსი ბევრი მომისმენია.

– სხვათა შორის, არ იყო ცუდი ბიჭი: ზოგიერთი რომ ნამეტანი გაღორდება და ირგვლივ სხვებს ვეღარ ამჩნევს, ისეთი კი არ იყო.

– აკი ისე გადიდვაცდა, სალამსაც არ კადრულობდაო?

– ეგ სულ ბოლოს... ფულს ხარჯავდა; რომ დაგიწყებდა ლაპარაკს – ამას ვიცნობ, იმ ქურდს, იმას, ამას... მოგიყვებოდა: ამ პროკურორს ვმძაკვობ, იმ რაიკომის მდივანთან პურს ხშირად ვჭამ... აქეთ – მთავრობის ხალხი, იქით – ქურდები... წაიყვანა მეგრე ბათუმში ასლან აბაშიძემ და ფულს რაში მოულობდა, იცი? გემი რომ იდგა პორტში, დაავიანებდა 2-3 დღეს გასვლას და ეკისრებოდა მილიონობით დოლარი ჯარიმა; ესენი ჯიბეში იდებდნენ – ბუღალტრულად არ აღირიცხებოდა, საბუთებში არ ტარდებოდა!.. მაგარი ფული იმოგვა. უფრო ადრე, კომუნისტების დროს, მამაძაღლობით ნაშოვნი ფულით კოლპერატივში ბინა აიშენა, ხუთ თუ ექვსოთახიანი, შეეშინდა და თავისი ნათესავის სახელზე გააფორმა ეს ბინა, რომელიც სოფლიდან ახალი ჩამოსული იყო; სამაგიეროდ, იმ ნათესავს ნაძალადეგში უყიდა ერთოთახიანი ბინა, მოუწყო, ტელევიზორიც კი დაუდგა. მეგრე, როცა მელორამ ეს დიდი ბინა გაყიდა, იმ ნათესავმა დაიწყო ჩალიჩი, რომ იმ მყიდველისთვის ფული წაერთმია – ბინა ხომ ჩემს სახელზე იყო გაფორმებულიო!.. მელორამ უთხრა ამ ნათესავს: “ბიჭო, შე უქნარა და არაფრის გამკეთებელი, შე უნამუსო! გადაგყევი, შე მამაძაღლო, შე თავხედო, და რას კადრულობ? წყნარად იყავი, თორემ იმ ნაჩუქარ ბინაში ჩაწერასაც გაგიუქმებ და თბილისიდან გუღა-ნა-

ბადის აკრეფაც მოგიწევს!“. მერე, შევარდნაძის დროს, მელორა უფრო გაიფურჩქნა. ბაკურიანში საკუთარი სასტუმრო ააშენა და ანსამბლი “რუისპირი” მიჰყავდა სამღერლად... აბა, მაშინ ასეთი დროც დადგა... გეუბნებით, გუელკეთილიც იყო... ვინც კი ფულს თხოვდა, ყველას აძლევდა 3-4 ათას დოლარს. ჟუჟუნა ჰყავდა მეუღლე და რომ გახდა ფულიანის ცოლი, გახდა – “ჯეკი”! თავზე ბუზს არ ისვამდა! მაგრამ ერთი დრო არავის შერჩებო, ნათქვამია და ამას წინათ მეზობლებში დადიოდა ჯეკი – სიღამონ-ერისთავის სურათი მაქვს გასაყიდო. 60 000 დოლარი დაადო ფასი, გაყიდა თუ არა, არ ვიცი.

– რა გაუჭირდა ისეთი?

– ტელევიზორში სულ აცხადებდნენ: მელორ ტყეკაფიაშიელი – ნიჭიერი ბიზნესმენი, სამაგალითო ქველმოქმედი... და უცებ გავიგეთ, რომ დაუჭერიათ – რაღაც სამშენებლო ფირმა ჰქონდა, ფინანსური პირამიდა აუკოკოლაგებია და ბოლოს ეს საქმე გასკდა... ახლა, ა, წინა კვირას დაუჭერიათ. მის შვილსაც, – უსაქმური ბიჭი ჰყავს, – ვალი დაედო, ფული მოსთხოვეს – დაადირა თავი და სადღაც გაიქცა, დღესაც ეძებენ. თვითონ მელორა საპროცესო გარიგებით თუ შეთანხმებით გამოძვრა, რა დაუჯდა განთავისუფლება, არ ვიცი. ისე კი ჯობდა, ცოტა ხანს მჯდარიყო, ახალ წიგნს დაწერდა.

– რა წიგნს?

– ლექსებისას. ერთი კრებული ადრე აქვს გამოშვებული, მეც მაჩუქა. თუ გაინტერესებთ, მოგიძებნით...

* * *

სტუმრობა მელორ ტყეკაფიაშიელის ოჯახში არ შედგა – დიდხანს აზარუნებდნენ, მაგრამ კარი მათ არავინ გაუღო. ამ დროს დათვობადაძეს მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ სამმართველოდან და მისვლა სთხოვეს.

კარი XVII.

ბინა № 35. ზინა ზაზუნაშვილი – ექთანი.

ბინა № 37. ლიპარიტ ასათიანი – პენსიონერი.

ბინა № 38. მარგალიტა ბებო

“დღეს 15 მარტია, სამშაბათი, დღის 9 საათზე საინფორმაციო გამოშვებაში თქვენ ნახავთ და მოისმენთ:

18 წლის წინათ ამ დღეს სოხუმზე შგურმი განხორციელდა.

საქართველოში გრიპს კიდევ 4 კაცი ემსხვერპლა, მიზეზი – დაგვიანებული მკურნალობა. წელს უკვე 40 კაცი დაიღუპა ღორის გრიპით.

დიდთოვლობის მიუხედავად, საქართველოს სამხედრო გზის კობი-გულაურის მონაკვეთი მოძრაობისთვის გახსნილია.

რადიაციული ფონი გოკიოშიც გაიზარდა. მიწისძვრის შედეგად იაპონია 4 მეტრით აღმოსავლეთით გადაადგილდა. დედამიწის ღერძი 16,5 სანტიმეტრით გადაიხარა, დედამიწის ბრუნვა დაჩქარდა და დღის ხანგრძლივობა 1,8 წამით შემცირდა. ახლანდელი მიწისძვრის შედეგად იაპონიისთვის მიყენებული მარალი სულ ცოტა 180 მილიარდ დოლარს აღწევს.

თბილისში თაღლითობის ბრალდებით დააკავეს იგალიური მალაზიის “სან მარკო” ღირეექტორი, მას ბრალად ედება 1 მილიონი ევროს მითვისება.

ინციდენტი აღმაშენებლის ხეივანში განლაგებულ რესტორან “გაგრაში”: 50 წლის მამაკაცი საკუთარი დაბადების დღეზე მუცლის არეში დაჭრეს – ჩანგლით.

45-ე სკოლის მოწაფეებით საესე ავგობუსი კომპანია “ვისოლის” ბენზინგასამართ სადგურს შეეჯახა, დაშავდა I-II კლასების 7 ბავშვი.

ჭალადიღში მგელი მოკლეს – ამ სოფელს მთელი ხროვა შეესია.

დღეს მიუნხენში “ალიანს არენაზე” “უეფას” ჩემპიონთა ლიგის მორიგ შეხვედრაში საფეხბურთო კლუბი “ბაიერნი” ხვდება მილანოს “ინტერნაციონალეს” – ყველა ბილეთი გაყიდულია. მეორე შეხვედრა შედგება ინგლისში: “მანჩესტერ იუნაიტედი” – ლიონის “ოლიმპიკი”; დიდი დეშამის გუნდი საუკეთესო შემაჯავებლობით ითამაშებს.

დღეს თბილისში ბრაზილიელი მომღერალი ტანია მარია ჩამოვიდა”.

– აგარია, დაჭრა, თაღლითობა, მგლების შემოსევა... რა უბედურებაა, ისედაც დაზაფრულები ვართ და ეს ღორის გრიპი გვაკლდა კიდევ? ან რესტორანში იმ კაცს რომ ჩანგალი გაუყარეს მუცელში, კაციჭამიები გავხდით?

– მართა დეიდა, არ გეშინიათ, რომ გრიპს გადაგდებთ?

– თქვენ თუ არ გეშინიათ, მე რისი უნდა მეშინოდეს? მე ერთთავად შინ ვზივარ, კვირა ისე აივლის, არ გავალ გარეთ.

– პურის საყიდლადაც არ გადიხართ? თუ ორცხობილებით გადიხართ იოლას? – იკითხა ლაშამ.

– იქნებ სულიწმიდა ხართ და მხოლოდ ჰაერის ჩასუნთქვით კმაყოფილდებით? – იხუმრა აგაბო დათვიბალაძემ.

– ჩემს შვილიშვილს ხუთი კილო ჭადის ფქვილი მოაქვს ორ კვირაში ერთხელ; თუ დამჭირდა, პურს მეზობლის ბავშვს მოვატანინებ, კარგი ბავშვია. აგერ, ხომ ხედავთ, – სერვანტის თავიდან ჩამოიღო ფერად-ფერადი მავთულებისგან მოწნული საპურეს მსგავსი, სახვე ნაირ-ნაირი კანფეტებით, – პურს რომ მომიტანს, დაგუდვამ მაგიდაზე და ვეუბნები: რამდენიც გინდა, იმდენი აიღე-მეთქი, ის კი მხოლოდ ერთ ცალს სჯერდება, თანაც კი არ ამოარჩევს მაინცდამაინც შოკოლადიანს, – ის უყვარს განსაკუთრებით, – რაც ხელში მოხვდება, იმას იღებს.

– აქ ყველა კარგია, ასარჩევად არ აქვს საქმე! – ხუმრობით ამბობს დათვიბალაძე.

– ჰო, ახალი წლისთვის მომიტანეს შვილიშვილებმა და აი, რამდენი დაგროვდა... მიირთვით, მიირთვით!

– პურის მოტანას ხომ არ დაგვაგალებთ? – ისევ იხუმრა დათვიბალაძემ, ერთი ცალი კანფეტი აიღო, შეატყო, რომ ლაშას ერიდებოდა და მიუწია მოწნული: – აიღე, აიღე, დღეს ყავა უშაქროდ ღავლით, კანფეტით!

– შვილებო, ყავაზე არ მოუხდება, თორემ ქუჩაში გასვლის წინ ერთი კბილი ნიორი უნდა გადგუჯო და გრიპი ახლოს ვერ მოგეკარება... ან პირზე ასაფარებელი რომ იყიდება აფთიაქებში, ის უნდა იხმარო.

– დეიდა მართა, ჩვენ ხალხთან საუბარი გვიწევს და თუ ნიორი გვექნება ნახმარი, შეჭველად ეგ პირზე ასაფარებელიც უნდა გამოვიყენოთ... სულ ბურღულუნით უნდა ველაპარკოთ! – შემდეგ ლაშას მიმართა: – ახლა ვისთან მივდივართ?

– № 35 ბინაში ცხოვრობს შინაბერა ქალი – ზინა ზაზუნაშვილი, მის დედასთან ერთად.

– ეგ ზინა ექთანია, ახლა სამსახურში იქნება, კარს არავინ გაგიღებთ, – ამბობს დეიდა მართა.

– დედამისი ხომ შინ იქნება?

– ლოგინად არის ჩავარდნილი, საწყალი, ძალიან მოხუცია.

– მაშ, ამ ბინაში მისვლა არ არის საჭირო.

– დიახ, ბატონო აგაბო, ამჯერად არ მივალთ, მაგრამ ერთ შაბათ-კვირას ზაზუნაშვილის შეწუხება კი მომიწევს – არსებობს ეჭვი, რომ ამ ქალბატონს სამსახურიდან ნარკოზული ნივთიერებები მოაქვს...

– რა ჰქნას, ძალიან უჭირს, მხოლოდ წამლების შესაძენად არ ეყოფა ხელფასი, – ცდილობს დაიცვას მეზობელი დეიდა მართამ.

– თქვენგან მიკვირს, დეიდა მართა! თუკი დადასტურდა ინფორმაცია, რომ ამ ქალბატონს მოაქვს წამალი, აქ გაანარკომაანა რამდენიმე კორპუსის ახალგაზრდობა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება...

– შემდეგ ვინ გყავს სიაში? – იკითხა დათვიბალაძემ.

– ბინა № 38, ასათიანი ლიპარიტი... მეუღლე დარეჯანი და შვილები – თეა და ციციწო.

დეიდა მართა ჰყვება:

– ეგ სომხური ოჯახია, გვარი შეიცვალეს – ასატუროვები იყვნენ და გახდნენ ასათიანები, – უკვე დიდი ხანია. ლიპარიტი მეუბნება: “ჩემმა პაპამაც არ იცოდა სომხური, რანაირი სომეხი ვარო”. მხოლოდ გვარი შერჩათ და სრულიად ბუნებრივია მათი გადაწყვეტილება. ძალიან წყნარი ოჯახია. ლიპარიტსა და დარეჯანს მესამე, უფროსი შვილიც ჰყავთ – თინა. თინა, გათხოვილია, ცალკე ცხოვრობს. მომდევნო შვილები, ტყუპი გოგონები, სკოლაში სწავლობენ.

– მე მგონი, მათთან ხუთიოდე წუთით შევირბენთ, ფორმალობა რომ დავიცვათ, კიდევ თუ გყავს ვინმეს მონახულება გეგმაში?

– ოცდამეთვრამეტე ბინაში – მარგალიტა ნემსიძეაძე...

– მარგალიტა კარგი ქალია, – ამბობს დეიდა მართა, – მაგრამ თავისი ხუმტურები აქვს...
 – ერთი კაცი ან ქალი მანახა, ვისაც ეგ ნაკლი არ ჰქონდეს, – ამბობს დათვიბალაძე.
 – მარგალიტას მეტიმეტი მოსდის... მარტოხელა, პენსიონერი ქალია, შინაბერა; უფასო სასადილოში ყოველდღე დადის, თუმცა ნივთიერად არაფერი უჭირს: უპატრონო არ არის, გულისხმიერი ნათესავეები ჰყავს, ორი-სამი – საკმაოდ შექმნილი, რომლებიც ყურადღებას არ აკლდებიან, პატრონობენ, განსკუთრებით – ძმისშვილები. პენსია თითქმის არ ეხარჯება, აგროვებს და საყვარელ ძმისშვილებს მორიგეობით აძლევს – ძალით, თითქმის ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, უფრო ხშირად – უმცროსს... ძმისშვილებს საკმაოდ კარგი ხელფასი აქვთ; ერთი, ავთულა, ჯერ დაუოჯახებელია, უკვე 35 წლისაა, მეორე, როსტია – 32 წლისა და უკვე სამი შვილი ჰყავს, ძმას კი არ ჰგავს, მოხერხებულია, ადლოიანი.

* * *

ასათიანებთან შინ მხოლოდ ოჯახის დიასახლისი, დარეჯანი, დაუხვდათ. აგაბო დათვიბალაძემ ერთი ჭიქა ჩაი დალია, მშვენიერი კომპის მურაბაც მიაყოლა, ცოტა წაისაუბრეს კიდევ – საქმისთვის საინტერესო ვერაფერი შეიტყვეს და ახლა მარგალიტა ნემსიძაფაძეს ეწვივნენ...

ცოცხალი, ენაწყლიანი მოხუცი მაშინვე დაფაცურდა, შვილებო, ჩაის დაგალევიანებო.

აგაბო დათვიბალაძეს სულ სხვა რამ აინტერესებდა, ლაშას წაუჩურჩულა:

– ახლა შენ უნდა დათანხმდე!

სანამ ლაშა ჩაის სვამდა, – აქაც კომპის მურაბა იყო, როგორც გამოირკვა, ასათიანების მიერ მორთმეული! – დათვიბალაძე მარგალიტა ნემსიძაფაძეს ესაუბრებოდა.

– 22 თებერვალს აქ, ქუჩაში, შოფერი მოკლეს, ალბათ გახსოვთ...

– დიას, როგორ არა.

– იმ დღეს თქვენი შვილიშვილები თუ იყვნენ სტუმრად?

– არა, უფრო ადრე იყვნენ, 20 თებერვალს.

– ნამდვილად გახსოვთ?

– როგორ დამავიწყდებოდა, 20 თებერვალს ჩემი დაბადების დღეა, პატარა სუფრა მქონდა... ავთულა და როსტია როგორ არ მომილოცავდნენ. თანაც, გიჟდებიან, ისე უყვართ ჩემს მიერ გაკეთებული ტორტი! საჩუქრებიც მომიტანეს!

– კარგი ბიჭები ჩანან...

– აბა, ძვირფასები! მეუბნებიან: “დეიდა მარგალიტა, რა ძალა გადგას, სამოცდაათს გადაცილებულ, აგადმყოფ, მაღალწნევიან ქალს, რომ ამ სიშორეზე – სხვა კვარტალში – უფასო სასადილოში დადიხარ? ეგ 100 ლარი შენი პენსიისა თუ არ გყოფნის, გეითხარი, გინდა – ფულს მოგცემთ, რამდენსაც გვეტყვი, გინდა – სურსათ-სანოვაგეს მოგიტანო, კომუნალურ გადასახადებსაც ინტერნეტით გადაგიხდით, რომ შენ სალაროში სიარულით არ იწვალო”. ვეუბნები: “შვილებო, ეგ 100 ლარი მყოფნის კი არა, თავზეც გადამდის... ხომ იცით, როგორ ეკონომიურად ვცხოვრობ”. პური მრჩება კიდევ, ვახშობ და პარკში ვაგროვებ, ვცდილობ, გახისა და ელექტროენერჯის ეკონომია გავწიო...”. ავთულა უცოლოდ მიბერდება მე თავმკვდარსა... – შეწუხებულია მარგალიტა ბებია. – მინდა, ვინმე გაეურთო, ბევრი ვეძებ და გავიკითხ-გამოვიკითხე, ყველას თავი მოვაბეზრე, მაგრამ ამ ჩვენს ვითომ განათლებულ დროში ჩემი ბიჭის შესაფერის წესიერ, ჭკვიან გოგოს ვერე ადვილად იშოვი? ან ადრევე დათხოვდებიან ან ისეთი უბედოები ან წუნიები არიან, 40 წლისა მიხვდებიან, რომ შინაბერობა ელით ჩემსავითა.

– ქალბატონო მარგალიტა...

– ჰო, ვიცი, ვიცი, რისი თქმაც გინდა, – შეაწყვეტინა დათვიბალაძეს მარგალიტა ბებია. – ჩვენს კორპუსშიც არიან კარგი შესახედი გოგოები, როგორ არ არიან, შეხედავ – მოგეწონება: ტანწერწერა ქალიშვილი, მაღალი, თავაწეული, ამაყად ყელმოღვრებული, – ისე მიდის, – მაშინაც, როცა დგას, – თითქოს მთელ ქვეყნიერებას მისი დიდი ვალი ჰქონდეს... ასე გვონია, ჯერ არავისთვის თვალებში არ შეუხედავს – სადღაც ძალიან შორს იმზირება, კოსმოსურ სივრცეში ხომ არ მიფრინავს? მართლა მშვენიერია, მაგრამ რად გინდა: სიგარეტი პირში და ვისკი, ტანცაობა და ტლინკაობა... ნარკომანი თუ არ არის, კიდევ მაღლობა უნდა უთხრა...

გამომძიებელს გოგოების თემა კი არა, მარგალიტას ძმისშვილები აინტერესებდა.

– ეგრეა, ეგრე, ქალბატონო მარგალიტა, ძმისშვილები ხშირად გაკითხავენ?

– კვირაში ერთხელ, უფრო ხშირად – შაბათს ან კვირა დღეს. როგორც კი ავთულა დაოჯახდება, აქ უნდა გადმოვიყვანო, ან ეს ბინა და იმის ბინა უნდა გაეყიდოთ და დიდი ბინა ვიყიდოთ... უკვე მიჭირს მარტო ყოფნა... იცი, როდის ხარ უკვე ბებერი? როცა სადმე წასვლა მარტოს გეშინია – გზაში რამე არ დამემართოსო...

– ქალბატონო მარგალიტა, – ისევ შეაწყვეტინა მონოლოგი დათვიბალაძემ, – აქ რომ ქუჩაში შოფერი მოკლეს, იმ დღეს თუ იყო მოსული რომელიმე თქვენი ძმიშვილი?

– არა, როგორ გეკადრებათ, სამუშაო დღე იყო, როგორ მოვიდოდნენ? – მარგალიტა ბებო ლაშა დამურაულს საჩივრით მიმართავს: – ჩემს ზევით რომ დედა-შვილი ცხოვრობს, გთხოვთ, მოუხერხოთ რამე! დედამისი მატერორებს! ჩამოდიოდა ჩემთან და საათობით მელაქლაქებოდა, არ დააყენებდა საშველს წასვლას, სად მქონდა მაგის თავი? მერე ხერხი ვიხმარე: რომ მიზარუნებდა და მერე აბრა-ხუნებდა, კარს აღარ ვუღებდი, ვითომ შინ არ ვიყავი... მერე ტელეფონზე დამირეკავდა, რატომ არ აღებ კარსო... ვუთხარი, მეძინა-მეთქი. ახლა უარეს დღეში ვარ: როცა კარს არ გავუღებ, ზევიდან ჩამოყოფს გრძელ ჯოხს და საძინებელი ოთახის ფანჯარაზე უკაკუნებს... მეშინია, მაგ ოხერმა შუშა არ ჩამიმტვრიოს, რა ვქნა, აღარ ვიცი! უთხარით რამე!..

* * *

– აუჰ, როგორ მოგვაცდინა! მე მოსმენამ დამაღონა და ის ლაპარაკმა როგორ არ დაღალა? მაგარი ბებოა! ხომ გემრიელი მურაბა იყო?

კარი XVIII.

ბინა № 39. ესტატე ბუსკანტურაძე – ძველი რკინიგზელი

აგაბო დათვიბალაძემ ფინჯნიდან სურნელოვანი სითხე მოსვა და სთქვა:

– აბა, 9 საათი შესრულდა, საინტერესოა, რით გაგვახარებენ ჩვენ ამ მშვენიერ დილით ჩვენი ლამაზი სირინოზები?

ღვიდა მართამ ტელევიზორი ჩართო, აგაბო დათვიბალაძის გვერდით მაგიდასთან დაჯდა და ნამცხვრიანი თეფში უფრო ახლოს მიუწია:

– ეჰ, შვილებო, დარწმუნებული ვარ, ამ დილაადრიან გემრიელს არაფერს გვეტყვიან: ისევ – ნავთობის ფასების კატასტროფული ზრდა მსოფლიო ბირჟებზე, სარკინიგზო კატასტროფები ინდოეთში, მიწისძვრა იაპონიაში, საავტომობილო ავარიები თბილისში... უკვე ზეპირად ვიცი. კიდევ ვიდაცას ესროლეს, ვიდაცა დანით მოკლეს... სასიამოვნო ინფორმაცია არ დაეღვეათ. თქვენ კი ხართ მიჩვეული ცუდ რამეებს თქვენი პროფესიის გამოისობით, ჩვენ რას გვერჩიან ნეტავი, დანარჩენებმა რაღა უნდა ვქნათ?

– ტელევიზორი უნდა გამოერთოთ! – ხუმრობს ლაშა.

– ისედაც ციხესავით ვართ გამოკეტილი ამ ბინებში... ა, დაიწყო! წინდაწინ ნეტა ვალერიანის წვეთები დამეღია...

ტელევიზორის ეკრანზე გამოჩენილმა ქერა, ცისფერთვალა ქალიშვილმა ტყვიამფრქვევით დააყარა დილის საინფორმაციო გამოსვების ანონსი, ასე რომ, დაძაბულად, მთელი ყურადღებით თუ არ დაუბღებდი ყურს, ვერაფერს გაარჩევდი:

დღეს 16 მარტია, ოთხშაბათი, მე ფაცია ფურცელაშვილი ვარ, თქვენ უსმენთ დილის 9 საათის საინფორმაციო გამოსვებას. თქვენ ნახავთ და მოისმენთ:

ფინელმა სამართალდამცველებმა ადგილობრივ გუნდში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი დააკავეს. საქმე ეხება შარშან 10 მაგჩის “ჩაწყობილ” თამაშებში მონაწილეობას.

დღეს თბილისში გაიხსნა “ბრაგო რეკორდში”: ლონდონის დონის ხმის ჩაწერის და არანჟირების სტუდია. კოსტავას ქუჩის № 62-ში წითელ ხალიჩაზე სტუმრები გამოჩნდნენ: კულტურის მინისტრი ნიკა რურუა, ქალაქის მერი გიგი უგულავა, ბრაზილიელი პოპ-ვარსკვლავი ტანია მარია. სტუდიის ხელმძღვანელია საზოგადოებრივი ტელევიზიის ყოფილი ხელმძღვანელი. ტანია მარიამ როიალის თანხლებით შეასრულა ერთი სიმღერა ხვალისდელი კონცერტიდან.

კონგრესის პალატა საჯარო სკოლების შემოწმებას იწყებს – აუდიტი: სახელფასო ფონდი და სხვა.

ოპოზიციური პარტიების მტკიცებით, საქართველოში დარგის მონოპოლისტები კვლავ აგრძელებენ სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდას.

რეფორმები: ყველა უნივერსიტეტი კერძო სამართლის სუბიექტი ხდება.

იაპონიაში რადიაციულ საშიშროებას ველარ უმკლავდებიან. მოსახლეობა მასობრივად ტოვებს ქვეყანას.

რამდენიმე ქვეყანა ატომური ელექტროსადგურების მუშაობის შეჩერებას აპირებს.

ჩინეთმა ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის პროგრამა დროებით შეაჩერა.

ლბისის ჯამაჰურიის ლიდერმა მუამარ ყადაფიმ და მისმა ვაჟმა თხოვეს საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის იმ ფულის დაბრუნება, რომელიც მას მისცეს მისი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის.

– ასი ცუდი ამბავი უნდა გითხრან და ერთი – კარგი: თურმე ხმის ჩამწერი სტუდია გვაკლდა და ახლა გვეშველა, აღარაფერი გვიჭირს... – მართა დეიდამ რელიგიური გამორთო. – ნეტა რა ხელფასი ჰქონდა იმ კაცს, რომ ასეთი სტუდიის გაკეთება შეძლო? დალოცვილებო, კულტურის მინისტრი და ქალაქის მერი რომ მანდ გახსნაზე მირბიხართ, საქმე დალეული გაქვთ? რაიმე წვლილი მიგიძღვით მის მოწყობაში ან უთქვენოდ ვერ გახსნიდნენ თუ რა? თუ ტელევიზორში ერთხელ კიდევ გამოჩენა მოგენატრათ?

– მართა დეიდა, მოდიტ, გაგიხაროთ, რომ ერთი კარგი ამბავი მოხდა, კარგია, ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ... – შემდეგ დათვიბალაძემ დამურაულს ჰკითხა: – აბა, ჩემო ლაშა, დღეს ვისთან ვაპირებთ მისვლას?

ლაშა დამურაულმა საქალაქო გახსნა:

– ესტატე ბუსკანტურაძე, ცხოვრობს № 39 ბინაში...

– საწყალი ესტატე... – თქვა ქალბატონმა მართამ.

– რატომ – საწყალი? – იკითხა დათვიბალაძემ.

– ამ ერთი კვირის წინ დავასაფლავეთ...

– რა ხნის იყო?

– ესტატე ახლა იქნებოდა ოთხმოცდა... ოთხმოცდა სამი წლის, ზუსტად, – ჩემზე ათი წლით იყო უფროსი.

– ბოდიში... განაგრძეთ.

– რა გითხრათ... მართლა კარგი კაცი იყო, ცხოვრებული, ძალიან კარგი კაცი. ოთხი შვილი ჰყავდა: სამი თავისი და ერთი – იშვილა, შვილივით გაზარდა. ესტატე ძველი რკინიგზელი იყო, ნახევარი საუკუნე მუშაობდა რკინიგზაზე, და ერთხელ, დიდი ხნის წინათ, სადგურის მოსაცდელ დაბაზაში იპოვა ვიდაცის მიერ დატოვებული, მიგდებული ჩვილი. ომი კარგა ხნის წინათ დამთავრდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაჭირვება იყო, – მერე იქ მყოფთ თქვეს, ვიდაც შავგვრემანი ქალი ყოფილა, ბოშას ჰგავდაო, ეს ბავშვი აქ დატოვა და წავიდაო. ბოშა არ იქნებოდა, ისინი ბავშვებს არასდროს ტოვებენ, პირიქით – იპარავენ! ესტატეს შეეცოდა ჩვილი, კეთილი კაცი იყო, წამოიყვანა შინ ეს რამდენიმე თვის ბავშვი, გოგო, და გაზარდა თავის სამ შვილთან ერთად, საკუთარი გვარიც მისცა... ვინც არ იცოდა, რაში იყო საქმე, ყველას უკვირდა: უფროსი ორი და და ძმა ყველანი თეთრყირობიანი იყვნენ, ლამაზები და ეს ნაბოლარა რატომ არის ასეთი შავგვრემანი და შეუხედავიო... ესტატე და მისი ცოლი, ისიც კარგი ქალი იყო, ესტატეზე ბევრად ადრე გარდაიცვალა, ანეტას ღვიძლი შვილუბისგან ნამდვილად არ არჩევდნენ...

– მიჩვევაა ყველაფერი... მთავარია არა ის, შენი გაკეთებულია თუ არა, მთავარია, რომ შენ გაზარდე, ამაგი გაქვს, სიყვარული...

– უფროსმა შვილებმა ყველამ უმაღლესი დაამთავრა, ყველანი დაოჯახდნენ; ძველ ოჯახში სამი დარჩნენ: ესტატე, მისი ცოლი და ეს ნაშვილები, ანეტა. ეს ნაბოლარა ასაკით უფროს დაძმებზე 7-10 წლით უმცროსი იყო. სწავლა არ უნდოდა, რამდენჯერმე კლასში ჩარჩა და ესტატემ VIII კლასიდან გამოიყვანა; მერე რაღაც კურსები დაამთავრებინა და რკინიგზაში მოაწყო სამუშაოდ – გამცილებლად თბილისი – მოსკოვის სამგზავრო მატარებელზე. ორი წლის შემდეგ, – არ ვიცი, რა მოხდა და როგორ, – ანეტამ ბუში გააჩინა – ბიჭი, იყო ერთი ამბავი. ესენი, ესტატე და მისი ცოლი, მაინც პატრონობდნენ... სხვათა შორის, ესტატეს სამი უფროსი შვილიდან ექვსი შვილიშვილი ჰყავდა და ყველა – გოგო, ახლა ეს ერთი ბიჭი გამოერია, შავი ხოჭოსავით... ის შვილიშვილები უკვე დიდები არიან, აქ აკითხავდნენ პაპას, ყველას ვიცნობ; ზოგი გათხოვილიც არის და შვილებიც ჰყავთ. როცა ესტატეს საუწყებო რკინიგზის სახლი დაანგრეს და სადგურის მოედანი გააფართოვეს, – უფროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, – ესტატეს ოჯახს ბინა მისცეს აქ, ვარკეთილის დასახლებაში – მაშინ ესტატე უკვე პენსიაში ახალი გასული იყო, ცოლიც გარდაცვლილი ჰყავდა. ხშირად ვსაუბრობდით... ძველ რკინიგზელს ძალიან დააკლდა რკინიგზის სადგურის ცხოვრების ჩვეული ხმაური: ელმავლების კვილი, სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობისას ბორბლების რელსთა პირაპირებზე რიტმული კაკუნო... ამ ბოლო დროს ესტატე ბაბუა ძალიან დაუძლურდა, სკლეროზმა შეუტია – შინიდან გადიოდა და მერე უკან ვეღარ ბრუნდებოდა – საკუთარ სახლს ვეღარ აგნებდა. შვილებმა, – კარგი შვილები ჰყავს, – წაიყვანეს ექიმთან თუ ექიმბაშთან. “ისეთ წამალს მივცემ, ისეთ წამალს, რომ 20 წლის ჯველივით გავხდი! თუ ცოლის თხოვნას მოინდომებს, წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ!”. რაღაც ძლიერმოქმედი წამლები დალია ამ ჩვენმა ესტატე ბაბუამ და მართლა გადაირია: ეს მომჩვენ-

რული ბებერი ისე აღიგზნო, ეზოში დარბოდა და გოგოებს დასდევდა: “ქალი მინდა, ქალი მინდა!” – ყვიროდა. შვილიშვილები ვერ ეწეოდნენ, ისე სწრაფად გარბოდა. დაიჭირეს და რამდენიმე კაცი ვერ აკაგებდა, ისეთი ძალა მიეცა.

– მარტოხელა ქალების მეტი რა არის, შესაფერები თქვენს კორპუსშიც მოიძებნებიან, ასარჩევადაც ექნებოდა საქმე, – თქვა ღიმილით ლაშამ, მერე აგაბოს სახის გამომეტყველებით მიხვდა, რომ მთლად ლამაზად ნათქვამი არ გამოუვიდა.

– ეჰ, – ამოიოხრა მართა დეიდამ. – რამდენიმე დღეში გათავდა, ახლახან დავასაფლავეთ. რა უბედური წამალი იყო ან რა დოზით მისცეს საწყალს, არ ვიცი, რამდენიმე დღეში კი მოულო ბოლო და...

– სამწუხაროა, დიდად სამწუხაროა, – ლაშა დამურაულმა საქალაქად გადაშალა და კალმით იქ რაღაც ჩაინიშნა.

– იმ ანეტას ვაუი რა ხნისაა? – იკითხა აგაბომ. – კიდევ ვინ ცხოვრობდა ესტატე ბუსკანტურაძესთან ერთად?

– ანზორი ახლა ჯარშია, ფოთში მსახურობს სასახლევრო კატარღაზე, ესტატე ბაბუას ანეტა უფლიდა.

– სხვები? სხვა შვილები და შვილიშვილები?

– აქ არ ცხოვრობენ, ხშირად კი აკითხავდნენ, ყურადღებას არ აკლებდნენ.

– ლაშა ბატონო, როგორც ჩანს ბუსკანტურაძეებთან მისვლა არ არის საჭირო, დროს ტყუილად დაგვარგავთ; ახლა დეიდა მართას ყველაფრისთვის დიდი მადლობა ვუძღვნათ, დავემშვიდობოთ და ჩვენ-ჩვენ საქმეებს მივხედოთ...

კარი XIX.

ბინა № 40. ანტონ ტყუილკაკლაშვილი – ძველი მონადირე

18 მარტს, პარასკევს, ოდნავ დაავიანდათ მართა გაბმულაძესთან მისვლა – დილის საინფორმაციო გადაცემა უკვე დაწყებული იყო. წამყვანი ისე ჩქარობდა ახალი ამბების ანონსის გადაცემას, თითქოს მატარებელზე აგვიანდებოდა.

ალ ყაიდას 38 მებრძოლი დაიღუპა პაკისტანში, – ვაზირისტანის ჩრდილო ნაწილში, – საწვრთნელი ბაზის საპაერი დაბომბვისას.

გუმინ ლიბიაში “ნატო“-ს კოალიციის ავიაციამ დაბომბა ყადაფის ჯარის პომიციები ქალაქ ბენლაზისთან.

დღეიდან საქართველოს ციხეებში ხანგრძლივი პაემნის სისტემა შევიდა ძალაში; პირველად ამ უფლებით არასრულწლოვანი პატიმრები ისარგებლებენ – წელიწადში სამჯერ შეეძლება, 24 საათი გაატარონ ოჯახის წევრებთან ერთად ციხის სასტუმროში; პაემანი ფასიანი იქნება: 24 საათი – 60 ლარი.

კომპანია “რენო“-ს საქართველოში ელექტრომობილები შემოჰყავს.

რაჭაში, სოფელ სორში, მოსახლეობაზე შემოტანილ დასათეს პიბრიდულ სიმინდს ჰყიდიან.

– ო, თქვენ წინ გელით ჩვენი დროის უდიდესი მსახიობის ხილვა: მიშა გამოსულა რომელიღაც ამერიკულ უნივერსიტეტში! პირწავარდნილი დემაგოგია, მაგრამ ხანდახან ეჭვი გიჩნდება: ნუთუ მართლა სჯერა იმისა, რასაც ლაპარაკობს? ნუთუ მართლა ილუზიების ტყვეობაშია – ისეთი დარწმუნებით ლაპარაკობს... დიდი მსახიობია პოლიტიკური თეატრისა! რომ ვუყურებ, თან ძალიან მართლბს, მერე კი ძალიან ვბრაზდები! მე მგონი ფსიქოზი სჭირს: საკუთარ თავში მეტისმეტად დარწმუნებული თავხედია: ყველაფრის შეცვლა სურს, წარმოგიდგენიათ? თავი ღმერთად თუ არა, მეფედ მაინც წარმოუდგენია... უნდა, არა მხოლოდ ქალაქების იერსახე შეიცვალოს მისი საკუთარი გემოვნების შესაბამისად, არამედ – მთელი ხალხის ფსიქოლოგიაც, ზნეობრივი ფასეულობები!

– ხალხის ფსიქოლოგიის შეცვლა საუკუნეები სჭირდება, – ამბობს დათვიბალაძე. – იქნებ – ათასწლეულებიც.

– ტყუილად ფაფხურობს, გენაცვალე, მის გარშემო თუ რამდენიმე ზნედაცემულს აცეკვებს მის გემოზე, ჰგონია, რომ სხვებიც მათი მსგავსები არიან. გუმინ “რუისპირ“-ზე გადაცემა “ანფასს” უყურეთ? – კითხულობს დეიდა მართა. – ვაი მაგათ პატრონს!

– თუ დრო მაქვს, კითხვა მირჩევნია ან, თუ ძალიან დაღლილი ვარ, ტელევიზორში ფეხბურთს ვუყურებ, ან ფილმს, ან არადა – ვიძინებ.

– მე ამ გადაგვარებულ არხს საერთოდ არ ვუყურებ, გუშინ რაღაც ჭირად გადავრთე. სტრიბ-ტიზ-კლუბის მფლობელი, დაახლოებით 50 წლის უბედურად შეღებილი ქაღალტონი ალაპარაკეს, ასევე, ალბათ მისი მეასე საყვარელი, 23 წლის ბიჭი... წარმოგიდგენიათ? ამ ქალს 14 წლისას უკვე პირველი შვილი ჰყავდა, რომელიც ახლა ალბათ მის საყვარელზე 10 წლით მაინც იქნება უფროსი. ეს ტელეარხი და მეორე – “ირაო” – სიბინძურის ჩვენებისა და მაყურებელთა გამოთავყენების მეტს არაფერს აკეთებენ. დღიდან დღემდე დიქტორები აპოკალიფსური ტონით აცხადებენ: “იაპონიაში რამდენიმე საათი დარჩა კატასტროფამდე, რომელიც მთელ მსოფლიოზე აისახება!” – ეტყობა, ძალიან სიამოვნებთ მოსახლეობის დაზაფერა... ერთი ასჯერ მაინც გაიმეორეს, რომ ხვალ მთვარე 22 საათსა და 14 წუთზე დედამიწას მაქსიმალურად მიუახლოვდება და რომ ვიღაც ჩიტირეკია ამერიკელი ასტროლოგის წინასწარმეტყველებით სუპერმთვარე გამოიწვევს იმაზე უარეს კატასტროფულ მოვლენებს, როგორც იაპონიაში მოხდა... საინფორმაციო გამოშვებები ხომ ტყუილებითა და დეზინფორმაციითაა გაჯერებული, ამასაც არ თვლიან საკმარისად და დილიდან შუადღემდე ათამდე გულისამრევე, პრიმიტიულ სერიალს უჩვენებენ... რაც დრო დარჩებათ – “კომედი შოუ”, “ღამის შოუ”... სოჭში რომ რაგბის ოფიციალურ მანში რუსეთს მოუუგეთ, ატეხეს ერთი ვაიუშეგლელები – “ეს რა გმირობა ჩავიდინეთ, ვაშა!”... თითქოს საქართველოს ისტორიაში ამაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჯერ არ მომხდარა – ვაი, ამათ პატრონს!

– დეიდა მართა, ცოტა გულგრილად შეხედეთ ყველაფერს... დღეს რა გვაქვს გეგმაში? – იკითხა აგაბო დათვიბაღაძემ.

ლაშა ღამურაულმა საქალაქად გადაშალა და წინდაწინ მომზადებული ფურცლის კითხვა დაიწყო:

“ბინა № 40. სამოთახიან ბინაში სულ ცხოვრობს 6 პირი:

ანტონ ტყუილკაკლაშვილი, დაბადებული 1942 წელს, პენსიონერი;

ცოლი – დომნა კირიაკაშვილი-ტყუილკაკლაშვილი, დაბადებული 1960 წელს, დიასახლისი;

შვილები: ზვიად ტყუილკაკლაშვილი, დაბადებული 1982 წელს, ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს;

შორენა ტყუილკაკლაშვილი, დაბადებული 1980 წელს; მისი ქმარი საზღვარგარეთაა წასული უკვე ექვსი წელიწადია და მისი კვალი დაკარგულია – ქმრის ბინა გაყიდეს და შორენა მშობლებთან დაბრუნდა;

ანტონ ტყუილკაკლაშვილის შვილიშვილი – ზვიად შაგვეახაძე, დაბადებული 1996 წელს, შორენას გაჟიშვილი;

ანტონ ტყუილკაკლაშვილის შვილიშვილი – სოფიო შაგვეახაძე, დაბადებული 2000 წელს, შორენას ქალიშვილი;

ანტონ ტყუილკაკლაშვილის მესამე შვილი – მანა ვაციწვერაძე, დაბადებული 1985 წელს, გათხოვილია და 2009 წლიდან ქმრის ოჯახში ცხოვრობს.

ანტონ ტყუილკაკლაშვილის დეიდა – კლარა ტყუილკაკლაშვილი, დაბადებული 1926 წელს, გაუთხოვრი, ცხოვრობს ანტონთან ერთად”.

– ვინ არის ეგ ტყუილკაკლაშვილი, რას წარმოადგენს?

– ანტონა? ეგ არის მონადირე, ყოფილი სპორტსმანი. მექალთანე, ბევრი ქალი ჰყავს გამწარებული...

– რომელიმე მათგანმა შურისძიების გამო ხომ არ ესროლა? – გაიცინა ლაშა ღამურაულმა, მაგრამ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო – მიხვდა, რომ უხეირო ხუმრობა გამოუვიდა.

– ანტონაზე შური თვითონ ბედმა იძია, – აგრძელებს დეიდა მართა, – ისეთი აშარი და კაპანის ცოლი შეხვდა, მტრისას! თანაც – ჯოჯოხეთის მაშხალაა, შეხვდა შეგეშინდება... დომნამ სამი შვილი კი გაუჩინა, ისე მიიბა კალთაზე, ეშმაკიც ვერ მოაცილებს! ერთი-ორჯერ კი სცადა “გვერდზე” გასეირნება, მაგრამ ცალკერძ ცოლმა ლამის გააუტა, ცალკერძ კიდევ ცოლისძმებმა დაიჭირეს და მაგრად მიბედქეს, ცხვირ-პირიც დაუღლილავს და დაჰპირდნენ: დედიშენის შვილი ხარ და კიდევ გაბედავ ცოლის დაღატს, იმ შენს “ზაუერის” ნაქებ ორღულიანი თოფის ორივე ლულას უკან შეგტონით და ისე გავისვრითო!

– ასე კარგად იცით ტყუილკაკლაშვილის ამბები?

– მოხარულს ვიცნობ... ანტონა ოცდაათზე მეტი წლის წინ გავიცანი. მაშინ იქნებოდა ასე 35 წლისა, არც ცოლი ჰყავდა მაშინ და არც შვილები, ერთი მისი გამზრდელი დეიდა ჰყავდა, მეტი არავინ – მისი მამა ომის დროს ციმბირში გადაასახლეს, დედამისი გაჰყვა და, არ ვიცი, იქ რა მოხდა, არცერთი დაბრუნებულა.

– რას ერჩოდნენ?

– მამამისს გერმანული გვარი ჰქონდა. ანტონი ახლა დედამისის გვარზეა. ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ლაბორატორიის გამგე გახლდათ. მეც იქ ვმუშაობდი ძალიან დიდხანს, ამ სახელშიც ბინები ერთად მოგვცეს იმ სამსახურიდან. მაშინ ლამაზი კაცი ეთქმოდა: ოღნავ კეხიანი,

მოკაუჭებული ცხვირი ვაჟკაცურ იერს აძლევდა მის სახეს; თაფლისფერი, უტიფარი თვალების გამო “ფოცხვერს” ვუწოდებდი, სხვებმა კი “ფაშისტის” მეტსახელით მონათლეს.

– მამისის გვარის გამო?

– არა... უცნაური ხასიათი ჰქონდა: გაჭირვებულ ადამიანს რომ დაინახავდა, სიამოვნებისგან ხითხითებდა. თუკი შეეძლო, არასდროს დაიზარებდა, ვინმესთვის რაიმე გაეფუჭებინა ან უსიამოვნება მიენიჭებინა; თან იღიმებოდა და კმაყოფილებით იფშენებდა ხელებს.

– საკვირველია, თქვენ თქვით, რომ სპორტსმანი იყო, მათ ეს არ ახასიათებთ.

– ანტონას მართლა კარგი მონაცემები ჰქონდა – საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრების წევრი სულ ადვილად გახდა. დიდ იმედს ამყარებდნენ მასზე, თუმცა იქიდან მალე გამოაპანდურეს: ერთხელ, ვარჯიშის დროს, ვითომ შემთხვევით, ისარი ბეჭში მოარტყა თავის კოლეგას, მანამდე მის კარგ მეგობარს.

– მართლა უხიაგი ვიღაც ყოფილა.

– უყვარდა ქიფი და დროსტარება, მაგრამ მხოლოდ სხვათა ოჯახებში, თავისთან სუფრა არასდროს გაუშლია. იშვიათად, რომ რომელიმე ოჯახს ხელმეორედ სტუმრებოდა, რადგან ყოველთვის პირშერცხვენილი წაბრძანდებოდა იქიდან: დაღვედა, მაგრად დამთვრალად მოაჩვენებდა თავს და იწყებდა თავისებურ “გართობას” – განზრახ წააქცევდა სუფრაზე ღვინიან ჭიქას, მერე ვითომ ხელიდან დაუფარდებოდა ერთი თეფში, მეორე, მესამე... როცა ეგონებოდათ, დაშოშმინდა, ჩათვლიმა კიდევ ცო, თუ დაინახავდა, ყურადღებას არავინ მამკაცვსო, დროს იხელთებდა და ჩუმად ზურგს უკან კედელს შეასხამდა ღვინოს, თან ხითხითებდა, ხითხითებდა... რამდენჯერ მოუყოლიათ სამსახურში – რა ცირკებს აწყობდა. ერთ ოჯახში ჭადი გატეხა, მეორეში – დიდი სარკე, მესამეში – ძალად აირია გული – წარმოიდგენიათ, როგორ იყვნენ მასზე გაბრაზებულები და ხელმეორედ ვინდა დაჰპატიუებდა.

– ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ არსებობს შეხედულება, რომ უკაცო ოჯახში ბიჭი უნდელი, მორცხვი, ზედმეტად მორიდებული გაიზრდებო. ეტყობა, ეს გამონაკლისი შემთხვევაა.

– ხომ გითხარით, ანტონა სულ მთლად ჩვილი იყო, როცა დედ-მამის გარეშე დარჩა და გაუთხოვარმა დეიდამ უპატრონა. მართალია, სკოლაშიც და შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც კარგად სწავლობდა – უფრო თავისი ნიჭის, ვიდრე გულმოდგინების წყალობით, – მაგრამ მანვე ყმაწვილად კი იყო ცნობილი. მაგის სკოლის ამხანაგი, დათიკო, მუშაობდა ჩვენთან, მეუბნებოდა, ანტონას არც ბავშვობაში ჰყოლია მეგობარი და არც – ინსტიტუტშიო. ემატებოდა ხანი და მატულობდა ანტონას უტიფრობაც და თავხედობაც. რატომღაც ქალებს ძალიან მოსწონდათ – ჩვენთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მექაღობანედ, გოგოების ბირკად იყო ცნობილი. ჰოდა, ქალების მეტი რა იყო ინსტიტუტში, მაგრამ ანტონა რატომღაც ბაიას შეუჩნდა, წყნარ, წესიერ, ქმარშვილიან ქალს, – და იმდენს ეცადა, შეაყვარა თავი. ერთხელ, ზაფხულში, ბაია წყნეთში ავიდა ანტონას სანახავად და... მიუსწრო მას სხვა ქალთან ლოგინში მონებივრეს. ის ქალი – მადონა – ბაიას მეგობრადაც კი ჩაითვლებოდა, მათი სამუშაო ოთახები გვერდიგვერდ იყო და შუადღისას ჩაის ხშირად ერთად სვამდნენ... გულდამწვარი ბაია გამობრუნდა თბილისში, ბევრიც იტირა... ვერ მოითმინა და თავისი განცდები გაანდო სიდონიას – ისინი ერთ ოთახში ისხდნენ. ეს სიდონია მთელ ინსტიტუტში ცნობილი იყო, როგორც “კაცებზე მონადირე” და მისი სასიყვარულო ამბებიც ბაიასთვისაც კარგად იყო ცნობილი. ერთი რამ კი არ იცოდა და ვერ გაითვალისწინა ბაიამ; ეს სიდონია ეკურკურებოდა მადონას ქმარს, დათიკოს, – ისიც ამ ინსტიტუტში მუშაობდა, – კეთილი, გულუბრყვილო კაცს. დათიკომ შორს დაიჭირა სიდონიას არშიყოლა; სიდონიას, ცხადია, ეწყინა... და ახლა გულის მოსაფხანად დრო იხელთა, დათიკოს მიაძახა: “ნეტა რას ერთგულობ შენს მადონას, ხომ კარგად გადგამს რქებს, ბაიამ მიუსწრო მას, ანტონასთან მშვენიერად ატარებდა დროს!”. გაცეცხლებული დათიკო მივარდა ანტონასთან და პასუხი მოსთხოვა. “ფაშისტმა” დაუყვავა: “რას ამბობ, დათიკო, ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ, ბავშვობის მეგობრები... ერთადაც ვმუშაობთ ამდენი წელია, მასეთი რამე როგორ გაიფიქრე? ხომ იცი ქალების ამბავი, რატომღაც ჩვენი გადაკიდება უნდათ და ვერ ხვდები?”. დათიკო ნამუსზე შეაგდო და იმდენი ეჩინა, ბოლოს ბოლიშიც კი მოახდევინა. თან ალბათ გულში ხითხითებდა... ამ შემთხვევიდან ორი კვირის შემდეგ სამსახურში ანტონა შევიდა ბაიასთან ოთახში და უთხრა, შენთან სალაპარაკო მაქვსო. ბაიას ჯერ მისი დანახავაც არ უნდოდა, ისე იყო მასზე გულნატკენი და გაბრაზებული, მაგრამ ანტონა არ მოეშვა და ჩაიყვანა სამი სართულით ქვევით, სარდაფში. იქ ბევრი ეფიცა: “მაპატიე, ჩემი ბრალი არ იყო, მადონა ძალიან ჩამიწვა ლოგინში, მთელ ქვეყანაზე მხოლოდ შენ მიყვარხარო”. იმდენი ელაპარაკა, იმდენი ეაღერსა და ეფერა აცრემლებულ ქალს, რომ გული მოუღობო, მოსტეხა და იქვე დაიყოლია სასიყვარულო კავშირზე... როცა მოათავა თავისი საქმე, ადგა და ბაიას უთხრა: “მადონა ხომ გამოაჭენე და თავსლაფი დაასხი, შენც ხომ ქმარ-შვილი გყავს, რით ხარ იმაზე უკეთესი?” და ხითხითით უყურებდა, როგორ შეეცვალა ბაიას სახე, ჩაუყარდა ენა... ბაია მიხვდა, რომ ანტონამ შეგნებულად დაიბარა წყნეთში სწორედ იმ დროისთვის, რომ მადონასთან შესწირებოდა, – უნდოდა აირ-დაერია ურთიერთობები, – ბაიაც გაემწარებინა და სხვე-

ბიცი. ისიც ცხადი გახდა მისთვის, რომ სისაძაგლის ჩადენა სიამოვნებას ჰგვრიდა ანტონას... და ის შეზარა იმ აზრმა, რომ მას ასეთი ადამიანი უყვარდა... ბაიას ფსიქიკური აშლილობა დაემართა. ერთი კვირის შემდეგ ვეღარ იცნობდი – თითქოს ოცი წელი ერთბაშად მოემატა. ეს ამბავი ინსტიტუტში ყველამ გაიგო. ანტონა კი ახლა რუსიკოს თაფლაგდა: “შენისთანა გოგო ინსტიტუტში კი არა, მთელ ქალაქში ერთი-ორი თუ მოიძებნებაო”. რუსიკო მართლაც ეშხიანი ქალიშვილი იყო, სოფლიდან ახლახან ჩამოსული. უნივერსიტეტში ჩასარიცხად ქულები არ ეყო და ერთ-ერთ ლაბორატორიაში ტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. ბევრი ახალგაზრდა ეარშიყებოდა, მაგრამ ანტონამ ბოლოს ყველას აჯობა. ორი თვე სიყვარულის მორევში დაცურავდა რუსიკო, შემდეგ კი... ანტონამ უთხრა: “გითხოვდი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ერთგული ცოლი გამოხვალ; ისეთ ქალს ვერ ვენდობი, რომელიც ხელის მოწერამდე კაცს ნებდება” და ხითხითით უყურებდა გოგონას ტირილს. რუსიკო დღესაც გაუთხოვარია.

– ტყუილკაკლაშვილი როდის დაოჯახდა?

– ანტონა უკვე ორმოცს უკაკუნებდა, როცა ითხოვა ოცი წლის ქალიშვილი – დომნა, ინსტიტუტის დირექტორის მდივანი, – დაბალი, პუტკუნა, უშნოტანიანი, პირმრგვალი სახე სულ რომ უცინოდა. ისიც შეაცდინა, მაგრამ დაქორწინება ამჯობინა. ერთი რამის შეეშინდა: დირექტორი ლმობიერად კი უყურებდა ანტონას ბოროტ ცელქობებს, მაგრამ მისი პირადი მდივნის დაჩაგვრას არ აპატიებდა – სამსახურიდან შეჭველად გააგდებდა!

– გაგდების კი არა, მეტის ღირსიც იყო...

– არა, შეიწყალა და ანტონას ქორწილში ითამადა კიდევ. ანტონა ლაბორატორიის გამგე თითქმის ორმოცი წელი იყო და პენსიაში ისე გავიდა, საკანდიდატო დისერტაცია არ დაუცავს – თავი ვერ მოაბა, ზარმაცობას ვერ სძლია.

– სამწუხაროდ, ბევრია ისეთი, საკუთარ ნიჭს პატივს არ სცემს.

– ყველა ამბობდა: ანტონა ბრწყინვალე ტვინის პატრონია, განსაცვიფრებელი მეცნიერული აღწერა აქვს და ნებისმიერ რთულ საკითხს სულ თამაშ-თამაშ წყვეტსო, მაგრამ რად გინდა – ნიჭითა და შრომით კი არ უნდოდა წინსვლა, არამედ მამაძაღლობითა და ინტრიგებით, ადამიანების ერთმანეთთან წაკიდებით. სულ ვიდაც-ვიდაცეებს ედავებოდა, ჩემი მეცნიერული იდეები მიითვისებოდა. უყვარდა კამათი, თვალეში ნაცრის შეყრა – იშვიათი ნიჭი ჰქონდა მჭერმეტყველებისა, შეეძლო ნებისმიერისთვის დაეუმტკიცებინა და დაერწმუნებინა, რომ ეს თეთრი ცარცის ნატეხი შავიაო. ბოლოს, მაინც მოსტეხეს რქები: ცოლის თხოვნის შემდეგ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მის უნარს ქალებთან ურთიერთობაში ბოლო მოეღო: დომნამ, ამ პატარა, უშნო, გაუნათლებელმა ქალმა, უტეხი ნებისყოფა გამოავლინა – მუჭში მოიმწყვდია ქმარი, მოსპო მისი წანწალი ქალებში; აღარც ძმაცაცებში საქეიფოდ უშვებდა... სასაცილო იყო: ჯერ თუ დომნა გოშისაგით მიჰყვებოდა უკან ზორბა ანტონას, მერე კი – ნელ-ნელა მოუგრიხა კისერი. ახლა რომ ვხვდები, ვეღარ ვცნობ, მიკვირს: ნუთუ ეს ანტონაა? ნუთუ ასე შეიძლება, შეიცვალოს ადამიანი? მხოლოდ გარეგნულად, ხასიათის ცვლილებას არ ვგულისხმობ... სამოცი წლისთვის ანტონას წინა კბილები ჩამოსცვივდა და მსხვილი, ქვემოთ ჩამოშვებული უღვაშები დაიყენა პირის დასაფარავად – ბებერ კატას დაემსგავსა უწინდელი “ფოცხვერი”. თმებიც შეუთხელდა თავზე, გასუქდა, კიდევ უფრო გაზანტდა და მხოლოდ ძველებური ხითხითი ვერ მოიშალა, თუკი ვინმე გაჭირვებაში ჩავარდნილი ნახა.

– თქვენ ბრძანეთ, რომ შვილები ჰყავსო...

– ჰო, ერთი ბიჭი და ორი გოგო. ზვიადმა უმადლესი დაამთავრა, ახლა გერმანიაში ცხოვრობს, იქ გერმანელი ქალი ითხოვა; მამამისმა იჩაღიხა და შეიღს პაპამისის გერმანული გვარი მისცა. დედას ჰგავს – დაბალია, პირმრგვალი; გოგოები გარეგნობით პირწავარდნილი მამა: კეხიანი ცხვირი და ქორის თვალები მათ მაინც არ აუშნოებს, პირიქით, თავისებურ ეშხს მატებს.

– ცოლი? როგორ გადაიტანა ქმრის ასეთი ხასიათი?

– დომნაზე რა უნდა მოგახსენოთ? ქმრის ხუშტურები კი გადაიტანა, მაგრამ ძვირად დაუჯდა ანტონას მორჯულება: ორმოცი წლისას ოცი წლით მეტ ხნოვანებას მისცემდით და ახლა, ნახევარსაუკუნოვან ასაკს მიტანებული, ნამდვილ დედაბერს დაემგავანა... თან გახდა, ძალიან გახდა – ნაფოტს დაემსგავსა: სახე დაეღმიჭა, დაუნაოჭდა... მხოლოდ დიდი თვალებიღა შერჩა წინანდელი. ამ თვალებს არაფერი გამოეპარება, განსაკუთრებით ანტონას არ აძლევს გასაქანს. თუმიცა... თუმიცა ძველ “ფოცხვერს” აღრინდელი არც ბეწვი შერჩენია და აღარც კლანჭები... მხოლოდ ხითხითი არ გახუნებია. თავის თავზე თუ ხითხითებს ნეტავი?..

* * *

ანტონ ტყუილკაკლაშვილის ოჯახში სტუმრობისას შინ მხოლოდ ანტონას ცოლი, დომნა, დახვდათ.

– ანტონა ეხოშია, თუ გნებავთ, დაუშახებ! – შესთავაზა აგაბოსა და ლაშას.

– მაღლობას მოგახსენებთ, მაინც ეზოში უნდა ჩავიდეთ და იქ ვნახავთ, – უთხრა აგაბომ.
ანტონა მართლაც ეზოს “აკადემიკოს-პროფესორთა” შორის იჯდა დიდი ფიჭვის ქვეშ გამართულ შაბადსთან და, თუმცა ის არცერთ თამაშში არ მონაწილეობდა, მასთან საუბრის სურვილი არ გასჩენიათ.

კარი XX.

ბინა № 41. გოგონა გოდორაძე – წვრილი მოვაჭრე.

ბინა № 42. ხათუნა ხუხუღაიშვილი – მარტოხელა ქალი.

ბინა №43. ტატაშ ტაშფანდურაძე – მუსიკოსი

ამ ორშაბათ დილას, ზუსტად 9 საათზე დეიდა მართასთან ჩართული ტელევიზორის ეკრანიდან შაბათ-კვირას დაგროვილი უამრავი ინფორმაცია გადმოიფრქვა:

“დღეს 21 მარტი, ორშაბათი, 2011 წელი; დილის საინფორმაციო გამოშვებაში თქვენ გაცნობით: ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე განაცხადეს, რომ ლიბიაში სამხედრო აქცია წარმატებით მიმდინარეობს. ისინი იმსჯელებენ გრძელვადიან პერსპექტივაზეც ლიბიაში 79 წლის მუამარ ყადაფის 42-წლიანი “მეფობის” შემდეგ.

იაპონიაში, ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურში, ისევ რთული მდგომარეობაა. რადიაციის დონე იზრდება ძირითადად საკვებ პროდუქტებსა და რძეში, რომლებიც ფუკუშიმას მიდამოებში იწარმოება. ელექტროსადგურში გრძელდება სამაშველო სამუშაოები.

საქართველოში შემუშავებულია სახელმწიფო პროგრამა სმენადაქვეითებული პაციენტებისთვის ოპერაციების ჩასატარებლად.

გაიხსნა თბილისის მარაფხანიდან 14 წლის წინათ 35 კგ ოქროს გატაცების საქმე. დაპატიმრებული და პასუხისმგებელია მიცემული რამდენიმე პირი.

თბილისში დააკავეს შპს “წყაროსთვალის” დამაარსებელი ნათელა გაღმათითაძე, რომელმაც 500 მოქალაქის ნდობით ბოროტად ისარგებლა და ფინანსური პირამიდის მეშვეობით თაღლითურად დიდი თანხა მიითვისა.

“თავისუფალი დემოკრატები” ხელისუფლების წარმომადგენლებს ადანაშაულებენ მეწარმეთა შევიწროებას; მთავრობის მეთაურს გილაურსა და ფინანსთა მინისტრს ბაინდურაშვილს ბრალი ედებათ არასწორი გადაწყვეტილებების მიღების გამო.

საქართველოს რაიონებში დაიწყო გლეხებისთვის შიბრიდული სიმინდისა და ხორბლის თესლის მიყიდვა.

“ჩემი ქუჩა – საქართველო” – ამ საიტზე სულ რამდენიმე წამში შეიძლება მერიისთვის ოპერატიულად მიწოდება ინფორმაციისა იმ პრობლემის შესახებ, რომელიც არსებობს რომელიმე ქუჩაზე, განსაკუთრებით – ფორსმაჟორულ სიტუაციებში.

“ახალი მემარჯვენეები” მოითხოვენ დავით გარეჯის კომპლექსის გვერდზე შეწყდეს სამხედრო წვრთნები, რის შედეგადაც ზიანდება შუა საუკუნეების უნიკალური ფრესკები.

საქართველოში სასამართლოში მომჩივანმა უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი – 10 000 ლარი. ამ ბოლო დროს ის ორჯერ გაიზარდა.

– გამოვრთოთ, ამინდის პროგნოზი აღარ გვაინტერესებს, ისედაც ვხედავთ, რაც გველის, – ამბობს დათვიბაღაძე. – დღეს ნამეტანი ბევრი ახალი ამბავი დაგვიხვავს, მარტივ კიდევ თავისას შერება – ბუნებამაც აურია და პოლიტიკურ ლანშაფტშიც მაგარი ძვრებია.

– ბუნებამ თუ აურია, სასამართლოში უჩივლეთ, შეიღებო, – ოქროს კბილებს აბრწყინს დიმილში დეიდა მართა. – სახელმწიფო ბაჟი, ათი ათასი ლარი გადაიხადეთ, პატრიოტული ვალი მოიხადეთ, ჩვენს ბიუჯეტს შეეწიეთ!

– დღეს სამ ბინაში მოგვიწვეს მისვლა: გოგონა გოდორაძე, ხათუნა ხუხუღაიშვილი და ტატაშ ტაშფანდურაძე უნდა მოვინახულოთ.

– გოგონასთან მიხვალთ? – კითხულობს დეიდა მართა. – მადლს მოისხამთ დედამისთან მისვლით: საწყალი ქალი მთელი დღე მარტოა; ყოველ დღით დიდები სამსახურში მიდიან, ბავშვები – სკოლაში, “გამოყურადი”, – ამბობს. ანგელინას სწყინდება შინ მარტოდმარტოდ ყოფნა, არადა, ლაპარაკის მოყვარულია, ჰოდა, გადადის ხოლმე მეზობლებთან სამასლაათოდ... იმას კი არ უყურებს, რომ ჩვენს დროში ვის სცალია გაბმული მუსაიფისთვის, არც მისი წყენა უნდათ – ტკბილი მოხუცია... განსაკუთრებით მისი ტოლი მარგალიტა ბებო ამოიჩემა, ყოველდღე უნდა ესტუმროს. ადრე ანტონა ტყუილკაკლაშიელის მამიდასთან დაქალობდა, ძალიან ახლო მეგობრობა აკავშირებდათ – ორივე თავგადაკლული “ზვიადისტი” იყო, ახლა ერთმანეთი ჭირის დღესავეთ ეჯავრებათ, დასანახავად ვერ იტანენ ერთმანეთს: ერთი “მიშისტია”, მეორე – მისი ანტიპოდი, სულ ლანძღავს პრეზიდენტს.

– მის ქალიშვილს – გოგონას, ნამდვილად ეს სახელი ჰქვია? რამდენი წლისაა?

– კი, გოგონა ჰქვია, ახლა უნდა იყოს... მე მეონია, ორმოცდაათის ჯერ არ იქნება, მაგრამ არც ბევრი აკლია. ბაზრებში დაწოწიალობს; დილას ადრე მიდის, ბითუმად იაფად ყიდულობს გლეხებისგან ხილსა და ბოსტნეულს, მერე თავის ჯიხურში ჰყიდის – ახლოა, ამ კვარტალის ბოლოში დგას.

– მისი ქმარი?

– უმუშევარია. არც მაინცდამაინც ნაღვლობს, მეონია... გაკვირვებული ვარ: მომენატრება ხოლმე ქალებთან ჭორაობა, როგორც წინათ ეზოში შევიკრიბებოდით ხოლმე ქალები და ვქაქანებდით... ახლა ერთ ქალს ვერ ნახავ წამლად, ყველა აქეთ-იქით დარბის, რაღაცას ჩაღიჩობს, იქნებ ორი კაპიკი იშოვოს, ქმარ-შვილი შიმშილით არ დაეხოცოს... ეს ბედოვლათები კი, მათი ქმრები, მთელი დღე, ბოდიში მომითხოვია და ეზოში ყრიან, ნარდის თამაშს და დომინოს არიან გადაყოლილნი. ჰო, კიდევ – ლუდის სმას, ჭირი მაგათ! კაცები ჰქვიათ მაგათ?

– გოგონას ქმარი გვარად აჭრაჭუნაძეა?

– ჰო, ზედსიძედ არის შემოსული ამ ოჯახში. სიდედრთან ვითომ კარგი ურთიერთობა აქვს, მაგათ შორის ჩხუბი და უსიამოვნება მე არ გამოივია, მაგრამ სახლში რომ ვერ უჩერდება გული, ცხადზე ცხადია – ამ სიცივეში რა ძალა ადგია, რომ მთელი დღე ეზოში გდია? წადი, შვილო, საქმე ნახე: ან ცოლს მიეხმარე საქონლის ყიდვა-მიტანაში, საწყალ ქალს რომ მკლავები აქვს დაწვევტაზე ბაზრიდან მიიმე ჩანთების თრევით, ან სხვა რაღაც საქმე მოძებნე... მტვირთავად იმუშავე, ვიღაცას ხელი წაახმარე, ოჯახში ორი კაპიკი შეიტანე...

– იქნებ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უწყობს ხელს?

– ბუღასავით რაღამ გაასივია? დღეში ორი ლარისას მხოლოდ სიგარეტს ყიდულობს, ძმაბიჭებთან დასალევი ლუდი კიდევ სხვა არის... რამდენ ხანს უნდა ივადეს ცოლის კისერზე, კაცია ეგ?

– შვილები?

– გვიან დაქორწილდნენ, ორივენი ოცდაათს გვარიანად იყვნენ გადაცილებულნი, გოგონამ ორი შვილი მაინც გააჩინა – ქალ-ვაჟი. შვილებს ბებია უფლის, სკოლაში დადიან. გოგო უფროსია, კარგად სწავლობს, ბიჭი – არ ვიცი, მისგან რა გამოვა. ცამეტი წლისაა და უკვე გამამაძაღლდა: ბებიას ატყუებს, სკოლაში მივდივარო, თვითონ კი სკოლამდე არც მიდის, სადღაც დაეხეტება. სკოლიდან რამდენჯერმე მანდატურიც მოვიდა, თქვენი ბიჭი უმიზეზოდ აცდენს გაკვეთილებსო, მამამისმა ცოტნე გემრიელად მიბეგვა, მაგრამ ეს წამალი მხოლოდ კვირის ბოლომდე მოქმედებს – ორშაბათს ისევ სადღაც წაბენტერდება ხოლმე... მე რომ მკითხო, ჯერ მამამისია მაგარი მისაბერტყი. უსაქმური, არაფერი აღარდებას, ლუდის დაღვეის გარდა. სახლში სიდედრთან მარტო ვერ ჩერდება, მთელი დღე ეზოში დომინოს თამაშს არის გადაყოლილი, მაგის შვილი რომ მას დაემგავოს, გასაკვირია?

– ჰო, ამ სახლიდან აღრიცხვაზე აყვანილია რამდენიმე მოზარდი, მათ შორის – ცოტნე აჭრაჭუნაძეც: შემჩნეული იყო ერთ-ერთი ჯიხურიდან ნამცხვრის ქურდობაში, – ამბობს დამურაული.

– სხვა რამეზე არ გადავიდეს და ნამცხვარს მე მივცემ, – ამბობს მართა დეიდა. – რა ნამცხვრებიც იყიდება და რა ფასიც ადევს, ხომ იცით. ეგ არ არის მთავარი, როგორ აკეთებენ და რა ხარისხის მასალით, ღმერთმა უწყის – მუქთად რომ მომცენ, პირს როგორ დავაკარებ! მოწამვლა ან, უკეთეს შემთხვევაში, კუჭის აშლა მაკლია სწორედ!

– მართალს ბრძანებთ, ქალბატონო მართა, შესახედავად მშვენიერებია, მაგრამ გემო? თქვენს უბრალო ნამცხვარს როგორ შეედრება! დიდი მადლობა, რომ ასე გვანებიერებთ, ახლა კი ამ ქალბატონს უნდა ვესტუმროთ – ხათუნა ხუსულაიშვილს.

– მაგასთან ტყუილად მიხვალთ – შინ არ იქნება.

– რატომ?

– ყოველ დღით სადღაც მიდის, შინ გვიან ბრუნდება.

– სხვა არაფერ იქნება? ქმარ-შვილი არ ჰყავს?

– როგორ არ ჰყავს... ლაშამ კარგად იცის: ხათუნას ქმარი ციხეშია, ვაჟიშვილი გაქცეულია საზღვარგარეთ – ხან საბერძნეთში იყო, იქიდან კვიპროსში გადავიდა, იქიდან – ისრაელში, იქიდან – გერმანიაში... ახლა იქნებ ამერიკაშიც ამოყო თავი.

- რას დარბის ასე გამწარებული?
- მამამ აიკიდა შვილის ცოდვა – შვილი ქურდობდა და მის მაგივრად დაიბრალდა; მამას 8 წელი მიუსაჯეს. შვილი გაიქცა საზღვარგარეთ – კიდევ რაღაც ბნელ საქმეში იყო ჩათრეული, ვალი ჰქონდა და მოსაკლავად დასდევდნენ... ხათუნა ვაჭრობით ირჩენდა თავს – ხან ბაზარში ქირაობდა დახლს, ხან ჯიხური ჩაღვა ამ სახლის ეზოში, მაგრამ ერთ წელიწადში გაყიდა – გაკოტრდა... “რატომ გაყიდე ჯიხური”, რომ ვკითხვით, რა მითხრა, იცი? “მეზობლების ნისიას ვეღარ აუგედიო... ვხედავ, როგორი გაჭირვებულია, პურის ფული არ აქვს, უარს როგორ ვეტყვი?”. თანაც, აგერ, გვერდით, გახსნეს “სასოების” მაღაზია. ამბობენ, ქალაქის საკრებულოს წევრის გიგა გულდვარძლას ბიზნესიანო; ათი-ოცი პროცენტით უფრო იაფად ყიდიან საქონელს, ვიდრე ხათუნა ბითუმად შოულობდა, ვინდა მივიდოდა მასთან?
- ვინ დაგვრჩა სანახავი? – ლაშას ჰკითხა დათვობადაქემ.
- ბინა 43, ტაშფანდურაძე.
- ტატაშა? – იკითხა მართა დეიდამ. – 40 წლისაა, შეხედავ და მოგეწონება – 20 წლისას ჰგავს, სულ არ ეტყობა ასაკი... ერთი ეგაა, თმაში ჭაღარა გამოერია და იღებავს. ადრე კოხტა წვერ-ულვაშიც დაიყენა, ახლა გაიპარსა, თეთრი გამოერია იმაშიც. ხელოვანი კაცია, ეპატიება.
- მსახიობია?
- არა, კონსერვატორია ფრიაღზე აქვს დამთავრებული, ფორტეპიანოზე უკრავს რესტორნებში, თავისი ჯგუფი ჰყავს. ტატაშა მართლა მაგარია, გიჟივით უკრავს ფორტეპიანოზე, პატარაობიდანვე მუსიკასაც თხზავს, ბევრი მომღერალი მღერის მაგის სიმღერებს. ახალგაზრდა გოგოები ბუზივით ეხვევიან... ტატაშა მედღეხვალზე კაცია, არც ფულის ყადრი იცის – უაზროდ ფანტავს, გაჭირვებული მოხუცი მშობლები კი იშვიათად თუ გაახსენდება – ისინი სადღაც ვაკეში ცალკე ცხოვრობენ ქალიშვილთან.
- მის გარდა ოჯახში კიდევ ვინ არის?
- ტატაშას ჰყავდა ცოლი, მაისა, – უსაქმურებისა და უმაქნისების ერთი, მთელი დღე ან სერიულს უყურებდა, ან დაქალებს ტელეფონით საათობით ებაზრებოდა, ან მაღაზიებში დაწინააღმდეგებდა ჭრელაჭრულას საშოვნელად... მოკლედ, მხოლოდ გართობაზე ჰქონდა თვალები დატყეტილი, ქმარ-შვილს ყურადღებას არ აქცევდა. ტატაშამაც ერთ-ერთ რესტორანში საქმე დაიჭირა მასზე ოცი წლით უმცროს მომღერალ გოგოსთან. მაისამ ეს გაიგო, გაექცა, გასცილდა; დაადირა თავი და წავიდა გერმანიაში, იქ ცხოვრობს, არც ჩამოსვლას აპირებს – ამბობენ, ახლა გერმანელი ქმარი ჰყავსო.
- ტაშფანდურაძე მარტო დარჩა?
- ტატაშამ ეს ახალგაზრდა მომღერალი გოგო, მარი, მოიყვანა შინ, დაისვა ცოლად; ტატაშას შვილი, მეთერთმეტეკლასელი მურთაზი, დედინაცვალზე ორი წლით უმცროსია, ამ მარის უპრაწავს თვალებს... ახლა სკოლაში იქნება. ჯერჯერობით მაგის ცუდი არაფერი გამოიგია.
- ეგ ბიჭი კი აუცილებლად უნდა ვნახოთ, – თქვა დათვობადაქემ.
- არ ვიცი ნახავთ თუ არა, სკოლის შემდეგ ყოველდღე სადმე მიდის: კვირაში ორ დღეს რაგბიზე დადის, დანარჩენ სამ დღეს – მუსიკაზე. ტატაშასა და მის ცოლს გვიან უწევთ დაწოლა – ორ თუ სამ რესტორანში მუშაობენ – და ალბათ ახლა სძინავთ, ისინი ოთხ საათზე ადრე არ დგებიან.
- რა გაეწყობა, დღეს, ეტყობა, აღარ მოგვიწევს თქვენი მეზობლების შეწუხება, – ამბობს დათვობადაქემ. – ლაშა თავის საქმეს ეწევა, მე კი წავალ, გამოძიების სამმართველოს უფროსი მიბარებს.

კარი XXI.

ბინა № 44. ამირინდო თავმტკივანაძე – ბანკის მოსამსახურე

დაღვა 22 მარტი, სამშაბათი, 2011 წელი.

მზიანი დღეა, მაგრამ საკმაოდ ცივა.

ლაშას ცოტა ადრე მოუხდა მოსვლა, № 150 სახლის ეზოში დიდი ფიჭვის ქვეშ გამართულ მაგიდასთან დაჯდა დათვობადაქის გამოჩენის მოლოდინში. “აკადემიკოსები” ამ დროს, ადრეული დილის მიუხედავად, უკვე აქ ისხდნენ ხოლმე, მაგრამ რატომღაც ახლა არ ჩანდნენ, სამაგიეროდ, მეორე სართულზე ლოჯიის გაღებულ ფანჯარასთან მოჩანდა დეიდა მართას თეთრი თავი, – შუქურასავით ანათებდა, – როგორც ყოველთვის, პოსტზე იყო! ლაშა ხელის აწევით მიესალმა, დეიდა მართამ ხელითვე უპასუხა, რას შერებით, ჩემთან მოსვლას რატომ აგვიანებთო...

ლაშამ შეამჩნია: დღეს, როგორც იქნა, როგორც იქნა, № 150 სახლის წინ ნუში აპირებს აყვავებას!

ჭიანჭველებიც გაღვიძებულან და დაუწყიათ საქმიანობა: სოროდან ამოუყრიათ მიწა, გზა-ხვრელი გაუნთავისუფლებიათ...

ცხრა საათზე კი აგაბო დათვიბალაძე და ლაშა დამურაული უკვე დეიდა მართასთან მის ბინაში იყვნენ, მაგიდაზე დადგმული ფინჯნებიდან დაფქული ყავისგან დამზადებული სასმელის სურნელს ისრუტავდნენ და, ტელევიზორს მიჩერებულნი, დილის ინფორმაციულ გამოშვებას უყურებდნენ.

დიქტორმა ჩართო გუშინდელი ჩანაწერი, რომელშიც ტელეარხის სპეციალური კორესპონდენტი საპარლამენტო მოსმენიდან ჰყვებოდა: პარლამენტის სხდომაზე ანგარიშით წარსდგა ფინანსთა მინისტრი კუსა ბანდარაძე და განაცხადა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის საქონელი იაფია; ამის ძირითად მიზეზად ფინანსთა მინისტრმა დაასახელა საქართველოში ელიტური კორუფციის არარსებობა.

დეიდა მართამ გაბრაზებულმა წამოიძახა:

– გამაგიჟებს ეს კაცი! დადის კი საერთოდ ბაზარში? თუ დადის, რაშიც ეჭვი მეპარება, ალბათ ფულს ბლუჯად ამოიღებს ხოლმე და დარდიმანდულად დაუთვლელად დაყრის დახლზე – ფასს არც კითხულობს!

ტელედიქტორი ქალი განაგრძობს წინა დღეს მსოფლიოში მომხდარი უმთავრესი ამბების მიმოხილვას: ისევ იაპონია – ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგურის საგანგაშო მდგომარეობა, ისევ სისხლიანი სამოქალაქო ომი ლიბიაში – მუამარ ყადაფი დანებებას არ აპირებს...

ჩვეულებრივ დეიდა მართასთან აგაბო დათვიბალაძე საუბრობს ხოლმე, ლაშა დამურაული იშვიათად თუ ჩაერთვება, ძირითადად, ურჩევნია, მსმენელი იყოს.

– დეიდა მართა, დღეს ამირინდო თავმტკივანაძის ოჯახს უნდა ვესტუმროთ...

– ამირინდოს ვერ ნახავთ, წასულია.

– სად არის წასული?

– ჯანდაბაში!

– ვინ არის ეგ ამირინდო? რა ხნისაა?

– ჯერ ოცდაოთხი წლისაა და უკვე მეორე წყება ცოლ-შვილი ჰყავს.

– ყოჩაღ, მაგრად მოუსწრია! – წამოიძახა დათვიბალაძემ. – ჩვენი ლაშაც მაგ ხნისაა და ჯერ არ დაოჯახებულა.

– რა მეჩქარება, ჩემს გეგმასაც ეგ ასრულებს! – გაიცინა ლაშამ.

– ამირინდო არ იყო ცუდი ბიჭი, – თქვა დეიდა მართამ, – სკოლაშიც კარგად სწავლობდა, მერე უნივერსიტეტიც დაამთავრა, მერე ბანკში დაიწყო სამსახური... ცოლი ძალიან ადრე, სკოლის დამთავრებისთანავე ითხოვა – ცისია წიპწიაური, ზედიზედ ორი გოგონა შეეძინათ. რომ შეხედო, მოგეწონება, ლამაზი გოგოა, მეტისმეტად გამხდარი კია – მოდას მისდევს, მისი უბედური ტკუით.

– რატომ უბედურით?

– “არისტოკრატობს” ქალბატონი და ამან დააკარგინა კიდევ ქმარი... მერე რა ქმარი! ამ უაზრო მოდისა თუ გაძვალტყავებული მოდელების მიმბაძველმა, სკოლა დაამთავრა, მერე – რაღაც ორდობის კერძო უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა, თუ იქ სწავლას მართლა სწავლა ჰქვია, ფულის მახევა, მეტი არაფერი... ამ მჭლე მოდელ გოგოებს რომ ეუყურებ, როგორ უშნოდ მოიკვანწებიან ის პოდიუმი ან თუ რაღაც მაიმუნობა, მეშინია, საწყლები, წელში არ გადატყდნენ. საწყლები კი არა, უბედურები.

– რატომ არიან უბედურები? ფული აქვთ, ხალხიც იცნობს, მათი ფერადი ფოტოები ჟურნალებში იბეჭდება...

– აბა, ბედნიერებია? ყოველ დამე ალბათ სულ გემრიელი საჭმელები ესიზმრებათ.

აგაბო დათვიბალაძემ კინაღამ ჰკითხა, თქვენ კი ნაღდად არ გესიზმრებათ ნაირ-ნაირი საჭმელები და ბედნიერი თუ ხართ, მაგრამ ამან მხოლოდ წამიერად გაუელვა გონებაში, გაიღიმა და სულ სხვა რამ უთხრა:

– დეიდა მართა, ცისიაზე კიდევ რას გვეტყვი? და მის ქმარზე.

– ცისიაზე მეტი რაღა უნდა ვთქვა... მარადეამ უკმაყოფილოდ ჩამყავებული სახით დაბრძანდება, ყველას თვალმოჭურვით, ამრეხით ათვალთვლებს; ქუჩაშიც ისე მიდის, როგორც კატა გადადის ჭანჭყობში – თითქოს გახურებულ ტაფაზე მიდიოდეს და ფეხისგულის დაწვისა ეშინოდეს ან უწმინდურებაში არ სურს დაისვაროს... არც სწავლაზე იწუხებდა თავს, მე მგონი, დიპლომი იყიდა, უფრო სწორედ, ქმარმა უყიდა. ერთი დღეც არსად უმუშავია, ვის რად უნდა უვიცი და ზარმაცი. გაჭირვებულ ოჯახში გაიზარდა, საიდან აქვს ასეთი ამპარტავნობა, უნახავმა რა ნახაო... ერთადერთი ბავშვის მოსაგლეჯად გადია ჰყავდა დაქირავებული – ახალგაზრდა გოგო, თამთა. ამ თამთამ კი მიიღო უმაღლესი განათლება, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა და ასე დადიოდა ოჯახებში და რეცხავდა, ბინებს ალაგებდა, ხალიჩებს რეცხავდა; ამით ინახავდა უმუშევარ დედ-მამასა და მოსწავლე ძმას...

ცისია მთელი დღე ან ტელევიზორს უყურებდა, ან დაქალებს საათობით ექაქანებოდა ტელეფონით. შაბათ-კვირას, როცა თამთა არ მოდიოდა, საწყალი ამირინდო და ბავშვიც თითქმის მშვიდი იყვნენ – ცისია მაღაზიიდან ამოიტანდა გაყინულ პელმენებს ან მოხარშავდა ბლომად მაკარონს და მთელი დღე იმით გაჰქონდათ თავი. თამთას დაქრავება არც ისე იაფი უჯდებოდათ – დღეში 15 ლარს აძლევდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, დილიდან საღამომდე ჯარასავით ტრიალებდა: უვლიდა ბავშვს, რეცხავდა, აუთოვებდა, კერძებს ამზადებდა... ბავშვსაც კი თამთა ასეირნებდა, ცისიას შვილთან ერთად ეზოში ჩასვლაც კი ეზარებოდა. არ ვიცი, როგორ, რანაირად მოხდა ეგ ამბავი, როგორ მოახერხა და ამირინდომ თამთასთან არშიყობა გააბა...

– ჰა-ჰა-ჰა! – გაეცინა აგაბოს. – ასეც ვფიქრობდი!

– თამთა არ იყო უშნო გოგო, მაგრამ ცისიას სილამაზით ვერ გაუტოლდებოდა – უფრო დაბალი იყო, მაგრამ ჯანიანი, პუტკუნა. მოკლედ, თამთა დაფენშიძედა, ატყდა ერთი ამბავი... ორი წელი გავიდა და დღესაც სალაპარაკოდ აქვთ მეზობლებს.

– რით დამთავრდა ეს ყველაფერი?

– ამირინდო საბოლოოდ საცხოვრებლად თამთასთან გადაბარგდა. არც გაემტყუნება: მისი ყოფილი ცოლისგან განსხვავებით, თამთა ძალიან ენერგიულია, არაფერი ეზარება, საათივით აქვს აწყობილი საქმე და იმის მიუხედავად, რომ ტყუპი ბიჭები შეეძინა, მათთვის გადიის აყვანას არ აპირებს. ერთხელ შემხვდა, ისევე ფენშიძემდ იყო და ხუმრობით მითხრა: “თუ გადიას მაინც ავიყვან, მხოლოდ ქმრის პირველ ცოლს – ნაცვალგების პრინციპითო!”.

– ახლა ამ ბინაში ცისია მარტო ცხოვრობს?

– ხან – არის, ხან – დიდი ხნით დაიკარგება, დედამისთან ცხოვრობს, მარტოს უჭირს ბავშვის მოვლა. მერე გავიგე, ცისია თურმე მშობლებთან დაბრუნებას ადრეც აპირებდა: იმ დროს ამირინდო სამსახურში შეამცირეს, ნახევარი წელი უმუშევარი დადიოდა.

– ალბათ არ ღირს ამ ბინაში მისვლა... – თქვა დათვიბალაძემ

– ჰო, ცისიას ან ნახავთ ან – ვერა, აქ მოსულს იშვიათად ვხედავ – ხომ გითხარი, დედ-მამასთან ცხოვრობს, ბინა უმეტესწილად დაკეტილია.

– ძალიან კარგი, ჩვენ შემდეგ ბინაში მივალთ, ლაშა, ვინ ცხოვრობს იქა? – იკითხა დათვიბალაძემ.

– ბინა № 45, პეპინო გუერაძე, პენსიონერი, – ზეპირად, საბუთებში ჩაუხედავად უპასუხა ლაშამ.

– ბატონი პეპინო მწერალია, მასთან ხშირად დავდივარ ხოლმე.

– მეც გამაცანი, თუ ასეთი საინტერესო პიროვნებაა, ჰა, რას იტყვი?

– კი, ბატონო...

– თქვენ რას იტყვით? – ამჯერად დეიდა მართას მიმართა დათვიბალაძემ, – რა კაცია ეგ ვილაც პეპინო გუერაძე? ასეთი მწერალი მე არ გამიგონია.

– პეპინო მწერალია? – გაუკვირდა დეიდა მართას. – პირველად მესმის... მე რომ მკითხო, ერთი უშუბრი ვილაცა... თქვენი მეგობარი რაზე საუბრობს ნეტა ამ უცხვირპიროსთან, ეზოში ჩასულს, იქ ხალხთან დამჯდარს ვერ ნახავ, სულ შინ ზის თხუნელასავით.

– ნუ გაამტყუნებთ, ქალბატონო მართა, ალბათ მუშაობს, წერს... დრო მისთვის ძვირფასია.

– ოთხ კედელში გამოკეტილმა რა უნდა დაწეროს საინტერესო? არ მჯერა მე მაგის მწერლობის. მხოლოდ, ჯვარი აქაურობას და, თუ პანაშვილია, მაშინ გამოძვრება ათი-თხუთმეტი წუთით... წეროს და თვითონ იკითხოს...

– შინ ვინ ჰყავს?

– ცოლი და ვაჟიშვილი.

– ვაჟი?

– უფრო შვილიშვილად ეკუთვნის, ცოლი გვიან უთხოვია.

– რა ხნისაა?

– პეპინო სამოცდათხუთმეტი წლისაა, მისი შვილი, მამუკა, – ოცდაათზე ცოტა მეტის.

– თუ იცით, მამუკა სად მუშაობს?

– არ ვიცი... დილის ცხრის ნახევარზე რომ მიდის სადღაც, ამას კი ვხედავ... შინ როდის ბრუნდება? ხან – საღამოს, ხან – უფრო გვიან, იქნებ მეორე სამსახურიც აქვს.

– ახლა ბევრი მუშაობს ასე, თუ, რასაკვირველია, სამუშაო იშოვა, – თქვა ლაშამ.

– ყოველ შემთხვევაში, შაბათ-კვირასაც კი მე ეგ ბიჭი ეზოში კაცებთან ჩასული არ მინახავს, არც – ნასვამი.

– კარგი, ამას ჩვენ გავარკვევთ... – თქვა დათვიბალაძემ. – პეპინო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პენსიონერია...

– უკვე კარგა ხანია, ათი წელიც იქნება, – ისევე ჩაერთო საუბარში ლაშა.

– ჰოდა, მე ის მაინტერესებს, ადრე სად მუშაობდა?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? – გაუკვირდა დამურაულს.

– იქნებ რომელიმე ძალოვან სამსახურში მოღვაწეობდა, – განუმარტა დათვიბალაძემ, – ხომ ამბობენ, ნამდვილი ჯაზმანი არასდროს ბერდებაო, ასევე ძველი ჩეკისტიც... საერთოდ, ძალოვან უწყებაში ნამსახურევი.

– გუერაძეს ძალოვნებთან საქმე არასდროს ჰქონია, გეოლოგი იყო, – დააზუსტა დეიდა მართამ.
 – ამ კაცზე ბევრი ვისაუბრეთ, ახლა შინ ვეწვიოთ და გნახოთ, რას წარმოადგენს მისი ყმაწვილი... დიდი მადლობა საუბრისთვის და ყავისთვისაც, მშვენიერი იყო, მშვენიერი.
 – არაფრის... ამ პეპინომ ტყუილად დაგაინტერესათ...
 – უფრო მაგის ბიჭს მიხედავთ... წყნარი ბიჭი ჩანს, მეტისმეტად წყნარი – ხომ იცით, ეს უფრო საეჭვოა.

კარი XXII.

ბინა № 45. პეპინო გუერაძე – მწერალი

როცა № 45 ბინაში ზარი დარეკეს, კარგა ხანს მოუწიათ მოცდა, მერე მათ კარი ცალი ხელით გაუღო დაბალმა, საკმაოდ ჩასკენილმა, მელოტმა მოხუცმა, მეორე ხელში კი სათვალე ეჭირა.

აგაბო დათვიბალაძე მიესალმა და ამცნო მათი მისვლის მიზეზი, რის შემდეგაც ყველანი დიდ ოთახში შევიდნენ და მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. მასპინძელმა შეატყო, რომ საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი იქნებოდა, მოიბოდიშა, ლოჯიაში გავიდა და იქ მომუშავე კომპიუტერი გამორთო.

ამასობაში დათვიბალაძე ათვალეირებდა ერთი გრძელი კედლის გაყოლებით დაწყობილ წიგნის თაროებს, მერე – მეორე კედელზე ჩამოკიდებულ ფერწერულ სურათებს. ერთ კუთხეში კანცელარიული ტიპის მაგიდაც იდგა, ზედ უწესრიგოდ იყო დახვავებული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, კომპაქტ-დისკები...

– ეს თქვენი წიგნებია? – მიუთითა დათვიბალაძემ მაგიდაზე ერთ ადგილას ერთმანეთზე წესიერად დაწყობილ წიგნებს, რომლის ყუაზეც მან გააჩნია ავტორის სახელი და გვარი.

– დიახ...

– თქვენი დაწერილია?

– დიახ, დიახ...

– მერე, ამდენი?

– მანდ მხოლოდ ნაწილია, – ერთ ჩემს ძველ მეგობარს შევპირდი და მისთვის საჩუქრად გავამზადე, – რაც შემრჩა.

– მაშ, თქვენ მწერალი ბრძანდებით?

– ოცზე მეტი წიგნი მაქვს გამოცემული, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, ვარ მწერალი თუ არა.

– თუკი მუშაობთ, ამდენი დაგიწერიათ, ესე იგი, თავი მწერალი გგონიათ.

– სწორედ მასეა, მაგრამ ვარ თუ არა მწერალი, სჯობს, სხვას ჰკითხოთ... შეიძლება, ერთადერთი რომანი დაწერო და გენიოსად გალიარონ და პირიქითაც ხდება: ათი რომანი დაწერო და რომანისტი არ იყო.

– აქამდე მე თქვენი სახელი არ გამიგონია, არც თქვენი წიგნი შემხვედრია სადმე...

– ასე იქნებოდა. თუ დაინტერესდებით, ჩემს წიგნებს მხოლოდ ეროვნულ ბიბლიოთეკაში თუ წაიკითხავთ, მაღაზიებში ის არ იყიდება, მხოლოდ სიმბოლური ტირაჟით გამოდის და მეგობრებს გურვიგებ...

– რატომ?

– წიგნის დაბეჭდვა ძვირი ღირს, რომც მოახერხო და წიგნის მაღაზიებში მიიტანო, არ გასაღდება – ვინ იცნობს ვიღაც პეპინო გუერაძის სახელს?

– ეგ თქვენი ბრალიც იქნება.

– ალბათ... მე არც იმის თავი მაქვს და არც ღრო, რომ მაგ საქმეს მივდიო; მირჩენია, დარჩენილი ძალები და უნარი ახალი წიგნის დასაწერად მივმართო. ცოლი კი მეჯიჯღინება: “გეყო, ახლა მე დამეხმარე – იმაში, ამაში... საოჯახო ჭაპანწყვეტა სულ ჩემს მხრებზე გადადისო”. მე ვპასუხობ: “დაგეხმარები, თუ შენც დამეხმარები ჩემს საქმეში-მეთქი”, ჰა-ჰა-ჰა!.. ჭალია, რას შეგარჩენს! მეუბნება: “შენ ცოლი არ უნდა შეგერთო! შენ ეშმაკებისთვის აკეთებ, მე კი – სახლისთვის!”, ჰა-ჰა-ჰა!.. მართალია, რას ერჩი – მართლა კარგად გამიძლო, ხომ იცი, თითქმის ორმოცი წელი!

– ჩემი მეუღლეც სულ მეჯიჯღინება, ოჯახი არ გახსოვსო... ისიც მართალია: თითქმის ყოველდღე რომ გვიან მიდიხარ, აბა, რას გეტყვის.

- ამ ხნის კაცი ვარ, აღარ უნდა გავნთავისუფლდე? – ღიმილით აიჩეჩა მხრები პეპინომ. – ათი წელია, უკვე პენსიაში გავდი...
 – ეს სახელი მხატვრებისა და მწერლების ბუდე ყოფილა: ბატონმა მელორ ტყეკაფიაშივილმა საკუთარი ლექსების კრებულის ალბათ თქვენც დაგასაჩუქრათ!
 – მელორი? – გაიღიმა პეპინო გუერაძემ, – ეგ პოეტობით კი არა, უფრო სხვა მხრივ მოღვაწეობით არის ცნობილი, მაგან რა წიგნი უნდა დაწეროს? თამადა – კი, ბატონო, ქებულია, ათასგვარი საქმის მომკვარახჭინებელი – რაღა თქმა უნდა! ქვეყანა ხალხს იცნობს, ჩალიჩმანისტერი კაცი ბრძანდება და ლექსების წიგნის გამოცემა გაუჭირდებოდა? მე კი არ მგავს... ჩემი თავისთვის ვერ მომივლია და ერთ მშვენიერ დღეს მელორი კარზე არ მომადგა? მომცა ამობეჭდილი ფურცლები: “ეს ჩემი ლექსების წიგნისაა, “პეგასის ფრთები” დავარქვი; თუ ძმა ხარ, გთხოვ, მისი რედაქტორი მინდა, იყო, უარს ნუ მეტყვი”. გადაფურცლე, ერთი-ორი ლექსი წავიკითხე... ვუთხარი: “კი, ბატონო, ამას სიამოვნებით გავაკეთებ, მაგრამ, ასე ვთქვათ, არაოფიციალურად – წიგნი ნუ აღნიშნავ ჩემს რედაქტორობას-მეთქი”. “არაო, – დაიჯინა, – მე მინდა, შენი ღვაწლი აუცილებლად აღნიშნული იყოს – ტიტულზე თუ არა, მის მეორე გვერდზე მაინცო”. “რად გინდა ჩემი რედაქტორობის აღნიშვნა, – მე ვუთხარი, – ჩემი სახელის ხსენება რას შეჰმატებს შენს წიგნს? მე ხომ კაციშვილი არ მიცნობს, პირიქით, იფიქრებენ, ეს რა ლექსები იქნება, ჯერ რა რედაქტორი ჰყავსო”. კარგა ხანს ვგაჭრობდით. მე თანახმა ვიყავი, რედაქტორობა გამეწია, ოღონდ ეს არ უნდა ყოფილიყო ოფიციალურად აღნიშნული წიგნში; ის თავისას გაიძახოდა, გინდა თუ არა, უნდა წავაწერო შენი რედაქტორობა – ისეთნაირად მეუბნებოდა, რომ მე ეს ამბავი თურმე დიდ პატივად უნდა მიმელო... ის გაკვირვებული და აღშფოთებულიც კი იყო ჩემი უარით, ბოლოს, წამგლიჯა ხელიდან თავისი ფურცლები და, გაბრაზებული, წავიდა...
 – რა იცით, იქნებ მართლა მოგწონებოდათ? – ამბობს აგაბო. – სუსტი ლექსები იყო და იმიტომ უთხარით უარი?
 – იმ ორი-სამი ლექსის წაკითხვა ჩემთვის საგსებით საკმარისი იყო, რომ მთლიანად კრებული დონეზეც მქონოდა წარმოდგენა... მელორმა რა წიგნი უნდა დაწეროს? “კოკასა შიგან რაცა სდგას...”. სრულიად დარწმუნებული ვარ: ერთპროცენტის ალბათობაც არ არსებობდა, რომ მთელ კრებულში ერთი ხეირიანი ლექსი მაინც გამოერეულიყო. ძალიან ნაწყენი იყო, უარი რომ ვუთხარი, დაბეჭდა კრებული და მე არ მომცა... თითქმის ყველა მეზობელს დიდის ამბით ჩამოურიგა, მე “დაგავიწყდი”...
 – არ გეწყინათ?
 – პირიქით, გამიხარდა! არ წამიკითხავს, არც სურვილი გამჩენია იმისა, რომ გამეგო, ბატონმა მელორმა რა შედეგები შემატა კაცობრიობასო – მისი რამდენიმე ლექსისთვის თვალის გადავლება საგსებით საკმარისი იყო. ათასობით და ათათასობით მართლა შედეგრი ვერ წამიკითხავს – დრო არ მეოფნის – და ვიდაც მელორ ტყეკაფიაშივილის მიერ მოცალეობის ჟამს ნაჩირთიფირთალის გასაცნობად რატომ უნდა დავხარჯო დრო? არ მწყენია, პირიქით, გამიხარდა, ხომ იცი! გადავრჩი! რომ უთხრა: “ჩემო მელორ, მიკიბგ-მოკიბგის გარეშე, მეგობრულად პირდაპირ გეტყვი: სუსტი ლექსებია, არ ღირდა მათ მოკვარახჭინებაზე დროისა და ენერჯის დანარჯვა, კრებულს “პეგასის ფრთები” კი არა, “პეგასის წიხლი” შეეფერებაო”, ხომ გადაიკიდე მტრად და მოშურნედ სამარადჟამოდ – გამარჯობასაც აღარ გეტყვის! რომ ითვალთმაქცო და უთხრა: “მელორ, ეს რა დიდებული ლექსები გიწერია, აქამდე სად იყავი, ბიჭო, ჭეშმარიტი პოეტი ყოფილხარ, ძმაო, დიდი სიამოვნება მივიღე, ძალიან გამიხარდაო”, – ტყუილი როგორ ვიკადრო, როგორ ვთქვა ის, რისიც არ მჯერა, ხომ დავკარგავ საკუთარი თავის პატივისცემას... 12 საათი სრულდება, ტელევიზორს ჩავერთავ, ვნახოთ ერთი, რით გავახარებენ...
 – ჯობს, საღამოს შემაჯამებელ გამოშვებას ვუყუროთ, დილისა უკვე ვნახეთ.
 – მართალი ბრძანდებით... კიდევ უკეთესი იქნება, თუ საერთოდ არ უყურებთ! რა უბედურება სჭირთ, დილიდანვე უნდა დაგეზაფრონ... არ გამორჩებათ საქართველოში და, განსაკუთრებით, თბილისში მომხდარი არცერთი გაუპატიურება, მკვლელობა, ძარცვა-ყაჩაღობა, ხანძარი და ავტოავარი; უჩვენებენ გაუბედურებულ ხალხს, გასისხლიანებულ, დასახინრებულ ადამიანებს... საზარელი სანახობაა!
 – რატომ? ავადმყოფები ადგენენ ამ გადაცემების ხასიათს თუ...
 – მე მგონი, ამას სპეციალურად აკეთებენ, საგანგებო დავალება აქვთ, რომ დაზაფრონ მოსახლეობა. რატომ? იმიტომ, რომ, აი, შენ გშია, გწყურია, სამსახური არ გაქვს, ხმას ამოიღებ, მიტინგს მოაწყობ და მოვისევენ კუნთმაგარ გორილებს, ზოგს – ფორმიანს, ზოგს – უფორმოს... უამრავ ადამიანს დაუღეწეს ცხვირ-პირი, სასიკვდილოდაც კი გაიმეტეს, სამაგიეროდ, გიხაროდეს – შენ ცოცხალი ხარ! ეგ არაფერი, რომ წინ არაფერი და არავითარი სასიკეთო არ გიჭყავის, დაეტიე შენს კანში და კმაყოფილი იყავი იმითაც, რაც ხარ და რაც გაქვს! მარტივი ფილოსოფიაა, თუ ამას ფილოსოფია შეიძლება, ეწოდოს.
 – ნამეტან მუქ ფერებში ხედავთ ყველაფერს...

– არა მგონია... მე და ჩემნაირებს კიდევ რა გვიჭირს, ჩვენი კალო გავლევით, ავად თუ კარგად ჩვენი სავალი გზა გავლიეთ... უფრო შესაცოდი ახალგაზრდებია და განსაკუთრებით კი – მოწიფული ასაკის ხალხი, ყველაზე მეტად რომ უნდა იყოს დაყრდნობილი ქვეყნის ძალა – მეცნიერული, შემოქმედებითი, სწავლა-განათლების, მატერიალური დოვლათის შექმნის თუ ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში...

– ბატონო ჩემო, ლექციასავით რაღაც ხომ არ გამოვივიდათ?

– მაპატიეთ, რა თქმა უნდა, პენსიონერის ბუზღუნნი არ არის მთლად სასიამოვნო მოსასმენი...

– რას ბრძანებთ... ამ სახელში უმრავლესობა პენსიონერები ცხოვრობენ?

– აბა, რა იქნება: სკოლას ვინც დაამთავრებს და უმაღლესში ვერ მოხვდება, რადგან ფული არ აქვს, რა უნდა ჰქნას? რას მოჰკიდოს ხელი? საზღვარგარეთ მიდის, იქ ეძებს ხსნას... ყველა ხომ დაცვის პოლიციაში ან პატრულში ვერ იმსახურებს, – ზოგს ჯანი არ უწყობს ხელს, ზოგს – გული არ მიუწევს, ჰოდა, სად წავიდეს? ვისაც მუშაობა სწყურია, სამსახურს ვერ პოულობს, ყველა ქუჩის გადამყიდველი ვაჭარი ხომ ვერ გახდება? ჰოდა საზღვარგარეთ გარბის, სადაც კი მოახერხებს... გოგოებიც მასობრივად არალეგალურად ტოვებენ ქვეყანას, თურქეთი გაივსო ქართველი მეძავეებით... სატვირთო მანქანების სამალაგებში მოკუნტულები, გადადიან თურქეთ-საბერძნეთის საზღვარს, რომ იქნებ რომელიმე შეძლებულ ოჯახში ბავშვების გადიად დადგენენ ან საწოლს მიჯაჭვულ მიხრწნილ ბებრებს მოუარონ.

– ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება...

– თქვენს პირს შაქარი... ამის იმედი ნაკლებად მაქვს. ამათ რომ ჰკითხო, განათლება რად გვჭირდება, ინგლისური ენის და კომპიუტერის ცოდნა სავსებით საკმარისია უცხო ტურისტების მოსამსახურებლად... პრეზიდენტის ტელეფონის ნომერი არ მაქვს და წერილი უნდა მივწერო და შევთავაზო: რა საჭიროა სკოლებში ქართული ენის სწავლება? გავაუქმეთ! ჯობს, დროის მოსაგებად და სახსრების დასაზოგად ამგვარი რადიკალური გადაწყვეტილება მივიღოთ... არც სხვა საგნები გვჭირდება, ამიტომ საერთოდ გავაუქმეთ სკოლები, დავხუროთ უმაღლესი სასწავლებლებიც – ფულის ფუჭი ფლანგვაა, სავსებით საკმარისი იქნება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების გავლა!

– მიკვირს, ასეთი განწყობა რომ გაგჩენიათ...

– მე კი, მართალი გითხრათ, თქვენი დანახვა გამიკვირდა, თქვენი ასაკის გამომძიებელი ვინმე დარჩა კიდევ სისტემაში? თუმცა, თქვენ არც ისე ხნიერი ბრძანდებით...

– რას გულისხმობთ?

– რას და, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ყველგან ცხვირმოუხოცავი ღლაპები დასვეს. ოცდახუთი წლის მინისტრი სად გაგონილა? ორი მაგის ხნის, კი, ბატონო, კიდევ უკეთესი, თუ სამოცი წლის და მეტისაც იქნება.

– თქვენ რა თანამდებობას წარუძღვებოდით? – დიმილით ეკითხება დათვიბალაძე.

– მე? მე თანამდებობის მაძიებელი არასდროს ვყოფილვარ და ახლა ხომ არ გავგიჟდები... დემერთმა დამიფაროს. მე ჩემს შესახებ არ ვლაპარაკობ. ნებისმიერ უწყებას როგორ გაუძღვება პირდაპირ სტუდენტის სკამიდან მოსული ყმაწვილი, თუნდაც გენიოსი იყოს? სპეციფიკური ცოდნა-გამოცდილება მხოლოდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოაქვს. ლევ ტოლსტოი გენიოსი იყო, მაგრამ დაწერდა ის “ომსა და მშვიდობას” ოცი ან თუნდაც ოცდახუთი წლის ასაკში?

– თქვენზე გავიგეთ, რომ ძალიან კარჩაკეტილად ცხოვრობთ...

– დრო ცოტა მაქვს, დარჩენილი გასაკეთებელი საქმე კი – ბევრი...

– ამიტომ არ ჩადიხართ ეზოში და არ უერთდებით თქვენს მეზობლებს? დომინოს, ნარდს ითამაშებდით, ახალ ინფორმაციას გაიგებდით...

– წვრილმან, ხურდა-ხურდა საქმეზე მოცდენა არ მინდა, არ ღირს. თუ დასვენებას დავაპირებ, უამრავი წიგნი დამრჩა წასაკითხი, მუსიკას მოვუსმენ, ალბომებს გადავათვალიერებ...

– ცხოვრებასთან, ცოცხალ ხალხთან ურთიერთობა არ ჯობს?

– გეთანხმებით, მაგრამ მე დიდი გზა გამოვიარე და იმდენ და იმდენაირ ხალხს შევხვედრივარ... მე პრიორიტეტს ვანიჭებ ახლა, ამ წუთას რა სჯობს: მორიგი რომანის კიდევ ერთი გვერდი დავწერო თუ სამი საათი ეზოში მეზობლებთან თამაშში გავატარო?

– და, ამის მიუხედავად, ჩვენამდე მოვიდა ცნობა, რომ თქვენს სახლთან რომ შოფერი მოკლეს და ხალხი შეიკრიბა, თქვენ კარგა ხანს დაბოდიხლდით იქ... რატომ დაუთმეთ თქვენი ძვირფასი დრო ამ ბანალურ შემთხვევას?

– სხვათა შორის, მე სულაც არ ვარ განდევნილი და, როცა საჭიროა, ათას ადგილას დავბორიანლობ თუ დავბოდიხლობ, თქვენს მხატვრულ შედარებას თუ გამოვიყენებ... არ ვიცი, გავიკვირდებათ თუ არა და, საერთოდ, მიყვარს წოწიალი! ოღონდ ცოლთან ერთად მაღაზიებში – არა, ამის მოთმინება არ მყოფნის!

– მაინცდამაინც აი, იქ, მკვლელობის ადგილას...

– იქ რა მინდოდა? მაინტერესებდა, დეტექტიური რომანი მინდა, მოგახლავოროთო! ასეთი ჯერ არ დამიწერია და უნდა გცადო ერთი, თუ შეგძლებ, რა გამომიგა... თუმცა, ჩემი ახირებულობის ამბავი რომ ვიცი, არცთუ ჩვეულებრივი დეტექტივი იქნება, უფრო ადამიანების ხასიათები დამაინტერესებს, ვიდრე ამბის დახლართულობა, საიდუმლოებები, მოულოდნელობები... ეგ სხვებისთვის გადამილცია.

ამ დროს ჭერში ბრაგვანი გაისმა და ჭადიკ კი შექანდა. ყველამ მაღლა აიხედა.

– რაღაცას ხლავორობენ, აღარ დააყენეს საშველი... – მოიბოდიშასავით გუერაძემ. – უკვე 25 წელია ამ სახლში ვცხოვრობ და ჩემს ზევით, VIII სართულის ბინაში, რამდენი პატრონი შეიცვალა, უკვე თვლა დაგეარგე. ხალხთა დიდი გადასახლება რომ იყო შუა საუკუნეებში, მსგავსი მოვლენა არის ახლა თბილისში. ჩვენს სახლში ძველი მოსახლე სულ რამდენიმე ოჯახი დავრჩით, დანარჩენებს თითო-ოროლას თუ ვცნობ. როგორც კი გაიცნობ და ესალმები შეხვედრისას, გაიხედავ – მის ბინაში სხვა შესახლდა – გაუყიდა... რა ვიცი, ჯადოსი და შელოცვების მე არ მჯერა, მაგრამ ძალაუნებურად იფიქრებ: ვინმემ ხომ არ გამოვალა? ჩემს ზევით ერთი მაინც ნორმალური როგორ არ აღმოჩნდა? ყოველი მათგანი შესაშური ერთგულებით რეგულარულად გვასახუქრებდა ზევიდან დიდი ოთახის, საპირფარეშოს და, ყველაზე ხშირად, სამზარეულოს ჭერზე წყლის გამოყოფით და ზოგჯერ – ნაკადულებითაც... ყველა ჩემი “გამბედნიერებელი” მპირდებოდა – დიდი მობოდიშებითა და თავზე ფერფლის დაყრით: უეჭველად უახლეს დროში ჩვენი ხარჯით შეგიკეთებთო... და ყველა ისე ჩუმად გაიპარა, – ღამით! – ერთი კვირის შემდეგ შევიტყობდი ხოლმე ამ ამბავს, როცა იმ ბინის მორიგი მფლობელი მოაყენებდა ჩვენს საღარეუბაზოს ავეჯით დატვირთულ მანქანას და ყველა იგებდა, რომ ახალი მეზობელი შევიძინეთ... ყოველი ახალი შემოსახლებული ძველის კვალს მიჰყვებოდა: მაშინვე იწყებდა გაუთავებელ რემონტს და წლების მანძილზე გვესმოდა სანგრევი ჩაქუჩის მეღვარი დგანდგარი, ჩვეულებრივი ჩაქუჩის ომახინი კაკუნი, უროს მგვრგვინავი ბათქები, ხერხის ნაზი წუილ-წუილი... რამდენიმე თვის წინათ ისევ ახალი მოსახლე მოგვევლინა, რომელმაც წინამორბედთა ტრადიცია დიდი წარმატებით გააგრძელა! ხანდახან მგონია, ბინაში ხე-ტყის დასამუშავებელი საამქრო ხომ არ გამართა-მეთქი. მიკვირს, ხომ იცი, ნეტავ რაღა დარჩა კიდევ დასანგრევი იმ ბინაში? ამდენ ხანში ნიუ იორკის ნებისმიერ ცათამბჯენს დაანგრევდა კაცი ძირფესვენიანად... ამას წინათ, ხათუნა ცხოვრობს ჩემს ქვევით მეზობელი, ამომივარდა და ლანძღვა დამიწყო: “რას მიშვრები, გინდა, გამაგიჟო? რა არის, მთელი დღე გათავებულად რას ანგრევ ასე გამწარებული, მე რაღას გამამწარავო”... თითო ზევით ავიშვირე: “ჩემო ხათუნა, ჩემი რა ბრალია, მე შენზე უარეს დღეში რომ ვარ-მეთქი, ვერ ხვდები?”. ბოდიშები დაახვავა და მაშინვე ცხელ გულზე ზევით მოუსვა – იქ ალბათ დაცოფა მისი და ჩემი შემაწუხებლები. იმ დღეს კი დავისვენე და მერე კი ისევ ისე გააგრძელეს ძვლებურად...

– ჰო, გვესმის, ახლაც ვერ ისვენებს...

– უფრო გასაკვირი სხვა რამ არის: ჩემს ბინას პირველყოფილი სახე აქვს შენარჩუნებული! თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ძველი, წვიმა-ქარის ვერშემკავებელი ფანჯრები არც ისე დიდი ხნის წინათ შეეცვალეთ თანამედროვე მეტალოპლასტმასის ფანჯრებით... შეხედეთ, შპალიერიც კი არ გამიკრავს ახალი. ასე რომ, ჩემს ბინაში შემოსულებს დიდი სიამოვნებით შეუძლიათ, დატკბნენ დაბზარული და “მხატვრულად” დალაქავებული ჭერით, ფერშეცვლილი, ზოგან – საკმაოდ შელანძღული და სამზარეულოში კი – ჩამოხეული შპალიერი, ჭრიჭინა, გამუქებული პარკეტი... შინაურთათვის ნათქვამი მაქვს: “ასეც ჩინებულად ვგრძნობ თავს და სანამ ცოცხალი ვარ, ბინის შეკეთება არ გამავონოთ-მეთქი!”. ალბათ ბევრი ამგვარ ქცევას უცნაურ ახირებად მიიჩნევს, არადა, ჭეშმარიტად, გალაკტიონის ნათქვამისა არ იყოს: “მიყვარს ყველაფერი სადა, მიყვარს ყველაფერი ძველი!” ა, ბატონო, თვითონ შეხედეთ თქვენი ბედნიერი თვალებით... მე რომ რემონტებს გადავყოლოდი, წიგნებს ვეღარ დაწვრიდი.

– მხოლოდ ძველითაც არ უნდა შემოიფარგლო, ეს სიკვდილის ტოლფასია. ახალი...

– რა არის ახალი? ეს ფილოსოფიური კატეგორიაა. ძველი ჯობს თუ ახალი? მე, მაგალითად, ძველი მირჩევნია...

– კაცია და გუნება, – დაეთანხმა დათვიბალაძე.

– კი, ბატონო, ახალი თვალს ახარებს, მაგრამ, რომ გავიფიქრებ, მუშაობაში როგორ შემეშლება ხელი... საერთოდ ვეღარ ვიმუშავებ! და ცოლ-შვილს კატეგორიულად ვუთხარი: ბინის შეკეთება თუ უნდათ, მხოლოდ ჩემი გასვენების შემდეგ წამოიწყონ!

– კაცია და გუნება, – გაიმეორა დათვიბალაძე.

– ამ კაცს, ჩემს ბოლო ახალ მეზობელს, ბინაში რომ შევიდა, თავის გემოზე მოუნდა ყველაფრის მოწყობა. მართალი მოგახსენოთ, ეს ხმაური აღარც კი მიშლის, შეგვიჩვიე. კაცს სხვა გასართობი რომ არ აქვს, ასეთი, – ჩემი შეხედულებით, რასაკვირველია, – ფუჭი საქმით დაკავება სჯობს, ვიდრე მთელი დღე უაზროდ დომინოს ქვების ჭახაჭუხით ერთობოდეს ეზოში. სხვათა შორის, ახლა, ამ წუთს, თქვენთან საუბრისას, მოულოდნელად ახალი რომანის იდეა წამოტივტივდა – სადღაც

იღუმალი სიდრმეებიდან... ფანტაზიური რომანის! სიზიფეს ხომ ლოდს აგორებინებდნენ ზევით, მთის წვერზე, – მაგანს, და იქნებ ყოველ ჩვენთაგანსაც, ნგრევა, მარადი ფუჭი ძაღისხმევა დაებედა... მეჩუ სადამდე მივა, იმ მაგანის მოღვაწეობის შედეგი რას გამოიღებს, ამაზე თავისუფალ დროს განვაგრძობ ფიქრს. რა ვიცი, იქნებ... დიახ, იქნებ ყოველი ჩვენთაგანი სიზიფეა, თავს იტყუებს, რომ ვითომ რაღაცას აკეთებს, ჰგონია, მისი ნაჩირთიფირთალი ფასეულია, ადრე თუ გვიან აღიარებენ, დარჩება...

– არ გეთანხმებით, რატომ ვართ ყველანი სიზიფეები? ასეთი სულისკვეთებით ცხოვრებას ფასი ეკარგება.

– სწორია, თქვენც მართალს ბრძანებთ: ყველაფერი ამოებააო – ამ სულისკვეთებას არ უნდა დამორჩილო, პირიქით! არ უნდა იფიქრო იმაზე, შენი შრომის შედეგი ფასეულია თუ არა, დააფასებენ თუ დაივიწყებენ, უნდა შენი გულის ჭია გაახარო – მორჩა და გათავდა! ზედმეტი ტვინის ჭყლეტა და ფილოსოფოსობა არაა საჭირო, მაგრამ არც უაზრობა უნდა გაიხადო კერპად. ახლა ზოგჯერ გააკვირვება გიპყრობს: ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეიძლება? ზნეობა თურმე არაა საჭირო, ტრადიციები – დრომოჭმული კატეგორიაა, ბუნებრიობას, სილამაზეს ყავლი გაუვიდა; სამაგიეროდ, მიუშვი სადავეები, დაე, ზეიმობდეს სიმახინჯის აპოლოგია, ადვირახსნილობა, სრული “თავისუფლება”...

– ახლა სხვა დროა, ბევრი რამ შეიცვალა, შეფასებებიც...

– დრო ყველაფერს ცვლის, მაგრამ რაც კარგია, მარადიული ფასეულობაა, იმას რატომ აგდებ სანაგვეზე და, სამაგიეროდ, ნაგავი აგყავს პიედესტალზე? ძალიან მწყინს, რომ ეს ოცი წელია, პარპაშობენ უკვე ქართული სულიერების, კულტურის, ხელოვნების დამანგრეველები, ცდილობენ მის ჩანაცვლებას ანტიკულტურით, ჩვენთვის უცხო, ცრუ ფასეულობებით, რა უმსგავსობაა! განსაკუთრებით ტელეარხები “მღვრიე რუ” და “განგაში” სცოლავენ ამ მხრივ. ზოგჯერ ისეთ სისულელეს გაიგონებ, მეჩუ ფიქრობ: ვინ მიიღო სამსახურში ეს მატრაკეცა კორესპონდენტი გოგოები, არც დიქცია უგარგათ და არც აზროვნებენ ალბათ... ამ ერთი კვირის წინათ ერთ-ერთის საინფორმაციო გამომშვებაში აღნიშნეს ბავშვთა ანსამბლ “მაისის” იუბილე. კორესპონდენტი სხაპასხუპით ლაპარაკობდა და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ თურმე “მაისმა” გადაარჩინა ქართული სიმღერა! ბავშვებმა? სისულელეა, სისულელე! მსგავსი სიბრიყვე ყოველდღე მესმის, რას ბუტბუტობენ, თუ იციან, ვაი მაგათ პატრონს!

– ხალხური სიმღერები არ გიყვართ?

– როგორ არ მიყვარს! ამ “მაისსაც” კი არაფერს ვერჩი, პირიქით, დიდი სიამოვნებით ვუსმენ; მის მალიზიანებს, რომ სისულელეებს ლაპარაკობენ! ბავშვების ანსამბლმა გადაარჩინა ქართული სიმღერა?... ეს გაუნათლებელი ტელეკორესპონდენტები რომ კეკლუცად იღერებენ ყელს, თვალებს ნაბავენ და დაუფიქრებლად რაღაცას როშავენ, ჯობს, ცოტა მეტი წიგნი წაიკითხონ! თუმცა, ამ შემთხვევაში უფიცობა არაფერ შუაშია, შტერი თუ ხარ და არ აზროვნებ, ათასი წიგნის წაკითხვაც ვერაფერს გიშველის!

– ძალიან ადრენილი ხართ, ახალგაზრდა გოგონაა, გაიწვრთნება...

– ჩემზე კარგად მოგეხსენებათ: სისულელემ ახალგაზრდა და ძველგაზრდა არ იცის, ჩემო კარგო! თუ ბუნებამ ჭკუა-გონება დაგაკლო, ტელეკორესპონდენტად რა გინდა? მშვენიერი ქორფა გოგო ხარ, გათხროვი და ერთი ოთხი-ხუთი შვილი გააჩინე, ზრდილი და ნასწავლი გაზარდე, ტელევიზიის ეკრანიდან ჭიკჭიკი არ არის საშენო საქმე...

– ვერ დაგეთანხმებით: შვილების გაზრდას მეტი ნიჭი და გონება სჭირდება, ვიდრე ეკრანიდან ტექსტის წაკითხვას...

– მართალი ბრძანდებით! შტერი ვერც შვილებს გაზრდის ნორმალურად. ვერ ხედავთ? ტელევიზია დახმარების ნაცვლად, ყოველმხრივ ხელს უშლის ნორმალური, ზნეკეთილი და განათლებული ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას.

– ახალგაზრდობისთვის უამრავ საგანგებო გადაცემა მზადდება...

– კი, ბატონო, მაგრამ როგორი? რა ხარისხის? ეს სიმღერის სატელევიზიო კონკურსები საშინელეა: პატარა გოგოები რომ ინგლისურად ჭყავიან და წკნავიან, ქართულად მაინც იტყავლე, ქართული უფრო მესიამოვნება, იმას მაინც გავიგებ, რას მღერი. მეჩუ შიური ამბობს: “აჰ, იმან რა იწილა?”, წივილი სიმღერა ჰგონიათ. ვისაც ხმა აქვს და ნიჭი მოსდევს, სიმღერა შეუძლია, იმასაც აფუჭებენ. ინგლისურად რატომ ამღერებ? ინგლისური მაინც იცოდნენ წესიერად... ზოგი დახტის, ზოგი ფრინავს, მაგრამ სხვისი ფრთებით, სხვისი ხმით მღერის – მკრთალი ანარეკლია... ეს კი არ არის ხელოვნება, რომ სხვისი ნამღერი თუნდაც ნიჭიერად გაიმეორო, ხელოვნებაა, რომ გაგაჩერებს, გასიამოვნებს, მოგხიბლავს! შეიძლება, ბევრჯერ გაქვს ნანახი მსგავსი რამ, მაგრამ თუ მასში შენი სული, შენი ნაღდი გრძნობაა ჩაქსოვილი და არა იმიტაცია, მაშინ არის შენი – განუმეორებელი და ღირებული. შენი რომ ნახო ნაღდი, ღირებული, ეს შენში უნდა იყოს, იმას ხელოვნურად ვერ მიადწევ. ცხადია, სხვისგან მოტანილი კარგიც ბევრია, მაგრამ აუცილებლად ყველაფერი შენს გონება-

გრძნობაში უნდა გაცხრილო და ეს შერჩევა თავისთავად მოდის – ოქროს მარცვლები რაც დარჩება, ის შენშია, ის შენ გიყვარს... რაც გიყვარს, ის მოდის, რჩება და რაც არ გიყვარს, იმას უარყოფ – სხვისი მოტანილი რად გინდა? აი, ეს გარჩევა უნდა ასწავლო ახალგაზრდას, გემოვნება აღუზარდო და არა – თუთიყუშად აქციო. შენი ხმით მღერა არის თვითმყოფობა, ამას კი ახალგაზრდებს ნაკლებ ასწავლიან.

– არაფერი მოგწონთ...

– რა არის მოსაწონი? თავი წაგეჭამეს ტრაბახით, დენი გაქეთო, ამდენი ასფალტი დავაგეთო, ამდენი ახალი ავტობუსი ჩამოვიყვანეთო... არ ვიცი, რას ამოიჩემეს ეს, ბოდიში და, ტრაწისფერი ავტობუსები? ზევიდან ქუჩაში რომ ვიყურები, მგონია, რომ თუ ამგვარ ავტობუსში ჩავჯექი, საგვიშში გამაქანებენ!

– ჰო, სხვა ფერის ავტობუსში ვერ ჩაჯდები, საერთოდ არ არსებობს, – დაეთანხმა დათვობალება.

– ან ის არის მოსაწონი, რომ ტელევიზორში ვერ ნახავ მეცნიერს, მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს... მაინცდამაინც პოლიტიკოსებს და სპორტსმენებს უნდა ვუყურო ყოველდღე? მხოლოდ მათგან რას ისწავლიან ახალგაზრდები? კი, ბატონო, ინგლისური იციან, კომპიუტერიც ათვისებული აქვთ, მაგრამ თვითონ ხომ გაუნათლებლები არიან, ორი წიგნი არ აქვთ წაკითხული და ილია ჭავჭავაძე ფეხბურთელი პგონიათ... მთლად მათი ბრალიც არ არის: გაიარეთ რუსთაველზე ან პლენს-ნოვზე – ერთი წიგნის მაღაზია არ დატოვეს წამლად! ეკრანიდან იჭყანებიან ერთი და იგივე ვიღაც ტიპები: დიზაინერი, მოდელი, ვიზაჟისტი, სტილისტი, ისევ მოდელი... ლიტერატურულ სტილისტს კი არ ვგულისხმობ, ახლა სტილისტად მონათლეს თმის დამგარცხნელები. ვერ ნახავ გადაცემას საჭირობოტოტო საკითხზე, არადა, ქვეყანა და ხალხი უთვალავ პრობლემას აწყდება... ისინი ვითომ არ არსებობს!

– ტელევიზორს გასართობი ფუნქციაც აკისრია, ესეც ხომ საჭიროა.

– დასვენება-გართობაც ჭკუით უნდა. რა სისულელეებს აჩვენებენ ტელევიზორში! დაშტამპული, უაზრო და გამომთავყვანებელი, პირდაპირ ვიტყვი – გულისამრევი შინაური თუ უცხოური ტელესერიალებით არ იფარგლებიან, თან ერთ-ორს კი არა, რვასა და ათს უჩვენებენ მთელი დღე და ყველა არხი ერთმანეთს ეჯიბრება ერთმანეთზე უარესი უნიჭო რაღაც შოუების ჩვენებაში... გამოაჭენებენ და ალაპარაკებენ ორ-სამჯერ ნაქმარებ ქალებს, ხუთჯერ დაქორწინებულ ვიღაც გამოთავყვანებულ კაცებს... 17 მარტს, “მღვრიე რუს” სადამოს გადაცემაში “ანფასი”, წამყვანმა მოიწვია 50 წლის ქალბატონი – სტრიპტიზ-კლუბის მფლობელი! წარადგინა როგორც წარმატებული ბიზნესმენი, ორი საათი ალაპარაკა!

– არ მოგწონთ და ნუ უყურებთ, თქვენი ნება არ არის?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მე სხვანაირ გასართობს ყოველთვის მოვძებნი, – არც წიგნები მაკლია და არც მუსიკალური ჩანაწერები, მაგრამ მაინტერესებს, რით უმასპინძლებიან მოსახლეობას – მე თუ მწერალი ვარ, ამათ ჭყანვასაც უნდა ვუყურო, სიამოვნების მისაღებად კი არა, – როგორც ექიმი სინჯავს პაციენტს... მასწავლებელი, ექიმი და ტელედიქტორი აუცილებლად ლამაზი უნდა იყოს! სად იშოვებს ნეტა ამდენი შეუხედავი დიქტორი? ერთადერთი გოგუცაცა დარეჯანიშვილია, მართლა შევლივით გოგოა; ეგ პოლიუფლში უნდა მუშაობდეს, აქ კი არ უნდა ცდებოდეს...

ამ დროს ტელევიზორში ვიღაც ხელმძღვანელი ამხანაგი, ნასუქი ტიპი, ლაქლაქებს; პეპინო გუერაძე ისევ ვერ ითმენს, რომ კომენტარი არ დაურთოს:

– დროსტარების სამინისტროს გემრიელი ჭამა-სმის დეპარტამენტის უფროსი აქ რა ტყუილად ცდება! გაგაზავნოთ მიუნხენში, ლუდის სმაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად – ნამდვილად გვასახელებს, მსოფლიოს რეკორდსაც დაამყარებს!.. ბოდიში, ჩემი ქალბატონი არ გახლავთ შინ... თუ გნებავთ, კარგ ყავას მოგართმევთ – სულ ათი წუთი მინდა!

– თქვენი მეუღლე სად არის?

– საწანწალოდ წავიდა. ყოველდღე რომ არ გავიდეს სახლიდან, არ შეუძლია. ერთი პური რომ ჰქონდეს საყიდელი, დილას გავა სახლიდან და შუადღის შემდეგ დაბრუნდება, ასე რომ, ზოგჯერ სადილს მე ვახვედრებ ხოლმე...

– კარგია, რომ ეხმარებით.

– დიახ, სამაგიეროდ, ისიც მესმარება, მასწავლის ხოლმე, როგორ უნდა ვწერო: “ნუ ჩქარობ, საკმარისად დაამუშავე” და ასე შემდეგ, თითქოს პატარა ბავშვს ასწავლის საჭმლის კარგად დაღეჭვას, არადა, ჩემი წიგნები, ერთი-ორის გარდა, წაკითხული არც აქვს...

– თქვენი ვაჟი?

– ორი ვაჟი მყავს. უფროსი დაოჯახებულია, საბურთალოზე ცხოვრობს, უმცროსი ჯერ უცოლოა. უკვე 34 წლისაა და ცოლის თხოვნაზე არ ფიქრობს. მის სამსახურში ერთი ქალი არ არის წამლად, დიდი გართობის მოყვარული და ძმაბიჭვებში გარეული ეგ არ არის, რა ეშველება, არ ვიცი...

– სად მუშაობს?

- პიდროელექტროსადგურში, მორიგე ინჟინრად.
- იმ მკვლევლობის დღეს სად იყო?
- მორიგეობდა, სადამოს 10 საათზე მოვიდა შინ. 24 საათს სამსახურში ატარებს, შემდეგ ორი დღე-ღამე შინაა. უნდა თავი დაგანებებინო, დღე და ღამე არეული აქვს, ნერვიულ სისტემაზე მოქმედებს.
- კეთილი, ჩვენ დაგემშვიდობებით, ძვირფას დროს აღარ წაგართმევთ...

* * *

- როცა ეზოში ჩავიდნენ, დათვიბალაძემ საათს დახედა:
- პირველი სრულდება, რა დრო გასულა! ხომ არ მოგშივდა?
 - ნამეტანი ბევრი ილაპარაკა, ლაქლაქით კი ვერ გაძღვები!
 - რას იზამ, საქმე რომ აღარ შეგიძლია, ლაპარაკით მაინც იფხან გულს.
 - უცნაური ადამიანია...
 - ყველა ადამიანი თავისებურად უცნაურია, ბევრჯერ გვითქვამს და აღარ უნდა გაგვიკვირდეს. ლაშა ბატონო, აგერ სახაჯაპურეში შევიდეთ, მერე სამმართველოში ვარ წასასვლელი...

კარი XXIII.

ბინა № 46. ტრისტან ნისკარტაძე – მხატვარი

“დღეს 2011 წლის 24 მარტია, ხუთშაბათი. დილის საინფორმაციო გამოშვებაში გთავაზობთ:

პარლამენტში იმართება საგანგებო დებატები: ლგოლველთა და განსახლების მინისტრს კვატა ღრუბელიანს ოპოზიციის დეპუტატებმა გაუხსენეს, როგორ ასახლებდნენ ძალით ბინებიდან ლგოლველებს, ყრიდნენ IX სართულიდან მათ ნივთებს – საგვირთო მანქანებით წაიყვანეს სამეგრელოში, სოფელში და იქ ჩაასახლეს ყოფილ საღორეში...

ორთაჭალაში სავალუტო ჯიხური გაძარცვეს: 30 000 დოლარი გაიტაცეს – სარდაფიდან იაკაკის ამონახეზით შეაღწიეს.

დღეს გუბერკულეშთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

მიწისძვრის განმეორებითი ბიძგები აღინიშნა იაპონიაში – 6,1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა; რადიაციამ გოკიოს მიაღწია.

სომალელი მეკობრეების გყვეობიდან ტანკერის დატყვევებული ეკიპაჟის განთავისუფლება მოხდა 2 მილიონი დოლარის საფასურის გადახდის შემდეგ, მათ შორის ერთი ქართველია.

სირიაში სპეცრაზმმა დემონსტრანტები დაარბია, 15 ადამიანი დაიღუპა – სნაიპერები ისროდნენ შენობათა სახურავებიდან, მოთხოვნა – პრეზიდენტის გადადგომა; პრეზიდენტი კი მათ ისრაელის აგენტებს უწოდებს.

ლიბიის დიქტატორი გაუღენას ჰკარგავს. ქვეყანაში გრძელდება შეტაკებები ყადაფის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

პუტინი ლიბიაში ჩატარებული ნატოს კოალიციის აქციის წინააღმდეგია.

სოჭში გარემოს დამცველთა დემონსტრაცია და ბლოკირება მოხდა.

“ინტერპოლი” ეძებს მათორ ევგენი ბორისოვს – საქართველოში ტერორისტული აქტების ორგანიზაციისთვის.

ისრაელმა ღაზის სექტორს დაარტყა – ისრაელში, იერუსალიმში მომხდარი აფეთქების გამო – ავტობუსის გაჩერებაზე 2 კგ ტროტილი აფეთქდა”.

აგაბო დათვიბალაძემ და ლაშა ღამურაულმა დეიდა მართას მადლობა მოახსენეს მშვენიერი ყავისთვის და დაემშვიდობნენ.

როცა შევიდნენ ტრისტან ნისკარტაძის ბინაში, – მათ კარი ქსენია ნისკარტაძემ გაუღო, ტრისტანის მეუღლემ, – შეცბნენ: დიდ ოთახში თუნუქის ღუმელი დგას, ჭერი გამჭვარტლულია...

- ხანდახან ამით ვათბობთ – თუ შეშის ფული გვაქვს, უფრო ხშირად – ქუჩაში, სკვერებში ვეძებთ ხმელ ტოტებს, ბუწკებს...

- ვინდა ათბობს ახლა ბინას შეშით, გაზი არ გყავთ გამოყვანილი? – გაკვირვებულია აგაბო დათვიბალაძე.

– მართლაც ბრძანებთ, ბატონო, მაგრამ რა ვქნათ? – თავს იმართლებს ქალბატონი ქსენია, დაბალი და სქელი, სათვალღიანი. – ჩვენი მეზობლები გაზით თბებიან, იმასაც ძალიან ეკონომიურად, მხოლოდ დილა-სადამოს ჩართავენ 2-3 საათით და თვეში იცით, რა თანხა გროვდება გადასახდელი? კედელზე ორ ათეულზე მეტ სურათს ხედავენ.

აგაბო დათვიბალაძე დაინტერესდა:

– ბინის პატრონი მხატვარია თუ კოლექციონერი?

ლაშა დამურაულმა უპასუხა:

– მხატვარი გახლავთ, ტრისტან ნისკარტაძე თუ გაგიგონიათ? გუშინწინ მისი რამდენიმე სურათი პეპინო გუერადის ბინაშიც ვნახეთ.

– ჰო, რაღაც მეცნო...

– ბრწყინვალე ფერმწერია, მაგრამ, ხომ ხედავთ, რა დღეშიც არის მისი ბინა...

გამომძიებელი მივიდა ერთ სურათთან, ერთხანს ათვალიერებს, შემდეგ – მეორესთან... სხვათა შორის, გალაკტიონის უამრავი პორტრეტი, სულ სხვადასხვანაირი.

დათვიბალაძე უკვე ხაზგასმული პატივისცემით ეკითხება მხატვრის ცოლს:

– ბატონი ტრისტანი ამჟამად სად იმყოფება?

– სახელოსნოში გახლავთ, სარდაფში.

ლიფტი გამოურთავთ, იძულებულნი გახდნენ, ფეხით დაეშვან კიბეზე და გზად ლაშა დამურაული გამოძიებელს ეკითხება:

– მოგეწონათ?

– დიახ, ნამდვილად გამორჩეული ხელწერის პატრონია, ერთი შეხედვისთანავე რომ იცნობ და სხვაში არ შეგეშლება. ეტყობა. დიდად ნაყოფიერიც არის, მაგის ნამუშევარს დიდი სიამოვნებით დაგვიდებელი შინ.

– ძალიან იაფად ჰყიდის, ნაღდი ფასის მქათვლად, მაგრამ სადებავის ფულსაც ძლივს შოულობს.

– სამწუხაროდ, ახლა ცოტა ვინმეს თუ ცხელა სურათებისთვის.

– არა, ახლაც არიან კოლექციონერები, ვისაც კარგი შემოსავალი აქვთ, მაგრამ ისინი ნისკარტაძისთანა მხატვრებს არ სწყალობენ – ორი-სამი მხატვარი ჰყავთ ამოჩემებული და მხოლოდ მათ ნამუშევრებს იძენენ, თანაც ძალიან ძვირად.

– მე რომ მკითხვოთ, ეს სწობიზმია.

– ჭეშმარიტად! იმ ცნობილი მხატვრების ნამუშევრები ნისკარტაძის სურათებთან დონით ახლოსაც ვერ მოვლენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ვისაც ფული მეტი აქვს, ვიდრე გემოვნება, წესისამებრ, მოდას არიან აყოლილნი.

– იმ ჯიბესქელებს მიაჩნიათ, ეგ თუ ხეირიანი მხატვარია, ამ გადასაკარგავში რატომ ცხოვრობსო... ნისკარტაძისგან ალბათ ახალს ვერაფერს შევიტყობთ, მაინც მოვინახულოთ, მისი სხვა სურათების ნახვაც ღირს.

გამომძიებელმა და უბნის ინსპექტორმა ტრისტან ნისკარტაძეს მიაკითხეს ამავე სახლის სარდაფში, სადაც მხატვარს სახელოსნო ჰქონდა გამართული.

მოხუცი მხატვრის დიდი, მელოტი თავი ნათურის შუქზე ბილიარდის ბურთივით ბზინავს, თოვლივით თეთრი, ხშირი წვერ-ულვაშიდან ამოზრდილი ზომიერი სიდიდის კარტოფილივით ცხვირის ფერზე ეტყობა, ღვინო-არაყთან ხშირად აქვს ახლო ურთიერთობა, თუმცა ახლა სრულიად ფხიზელია; ზორბა ტანისაა, ცოლივით მსუქანი და სათვალღიანი; ხანდაზმულობის მიუხედავად, საკმაოდ ცოცხალი, მოძრავი კაცი ჩანს.

მხატვარმა ხუთასსანთლიანი ნათურა ჩართო, გაჩახჩახდა იქაურობა. ათვალიერებენ კედელზე ჩამოკიდებულ ხუთ-ექვს სურათს, უამრავი ნამუშევარი კედლებთან არის მიწყობილი.

მხატვარი ერთდროულად ორ სურათზე მუშაობდა. ერთ-ერთი, – პორტრეტი, – უკვე თითქმის დამთავრებული იყო, მხოლოდ ფონი ჰქონდა საბოლოოდ დასამუშავებელი.

– ბატონო ტრისტან, თქვენს ბინაში გალაკტიონის პორტრეტები დავათვალიერეთ... გიყვართ პოეზია?

– მიყვარს რომელია, საკუთარი ლექსების ორი კრებული მაქვს გამოცემული!

– მართალი მოგახსენოთ, თქვენი წიგნი არსად შემხვედრია, დიდი სიამოვნებით შევიძენდი.

– ჩემი სახსრებით გამოვეცი, სიმბოლური ტირაჟით, მეგობრებს დავურიგე.

– სამწუხაროა, რომ თქვენს მეგობრებს არ ვეკუთვნი, – გაიღიმა დათვიბალაძემ. – გალაკტიონის ერთ პორტრეტს მაინც მაჩუქებდით...

– გალაკტიონის თორმეტი პორტრეტი მაქვს შესრულებული. დათქმული მაქვს: ყოველ წელს თითო სურათი მაინც უნდა მიგუძღვნა. ამ სურათებს არ ვყიდი, ვერ ველევი. ადრე ერთი პორტრეტი გაყვიდე – ძალიან მიჭირდა იმ დროს და ერთი შემიჩნდა, არ მომასვენა და ახლა ვნანობ... თითქოს შვილი დავკარგე. არც ვიცი, სად ვეძებო ის სურათი, თორემ უეჭველად დავიბრუნებდი. – მხატვარმა კედელთან მიყუდებული ერთ-ერთი ტილო შემოატრიალა: – ამ სურათს ჰქვია “მერი”...

ტილოზე ასახული იყო თავდახრილი სანდომიანი ქალი, რომელსაც დახრილ ხელებში თეთრი ზამბახების კონა ეჭირა.

– მშვენიერია, მშვენიერი... – და დათვიბალაძემ წამღერებით დაიწყო: – “შენ ჯვარს იწერდი იმ დამეს, მერი...” და ლექსის ბოლომდე გავიდა.

– ეჰ, რამდენი დიდებული პოეტი გეყავდა... – ამოიხრა მხატვარმა. – ახლა რომ ლექსებს წერენ, ვერც თავს ვუგებ და ვერც – ბოლოს, ახალგაზრდა მხატვრების რევოლუციური შემოქმედებისა არ იყოს... ახლა ერთი ძალიან პოპულარული ახალგაზრდა პოეტია, – თუმცა, რაღა ახალგაზრდაა, ოცდათხე მეტი წლისაა უკვე, – წავიკითხე მისი ბოლო კრებული: ადრე გამოსული სამი კრებულიდან შერჩეული ლექსები და ბოლო ხუთ წელიწადში დაწერილი ათამდე ლექსი. უცენზურო სიტყვები აქვს უბოდიშოდ ნახმარი, ეს არის პოეზიის ენა? პროზაშიც რომ გინებას პირდაპირ წერენ, ესეც მიუღებელია ჩემთვის. ალბათ ძალიან ჩამოვრჩი ამ ცხოვრებას...

– ბატონო ტრისტან, ძველთაგან თქმულა: ახალ დროებას ახალი სიმღერები სჭირდებაო, – ჩაერთო საუბარში ლაშა დამურაშულიც.

– რა ვიცი, ფხიზელი ხალხის ნამუშევარს არ ჰგავს...

ლაშა დამურაული უნებურად იღიმება:

– ბატონო ტრისტან, ბერდია ხამხამაძესთან რა ურთიერთობა გაქვთ?

– ბერდია ჩემი ძმა და მეგობარია! აი, კაცი! სულ რომ მღერის: “ჭიქას რომ ვხედავ სავსეს, გულს უხარია!” – ღიმილით წაიმღერა მხატვარმა და წვრილი, ცოცხალი თვალებით მიანერდა ლაშას.

ლაშამ ისევ ჰკითხა:

– ერთად ხშირად სვამთ?

– რატომ მეკითხებით?

– რომ დათვრება, ბერდიას უყვარს სროლა... თქვენ იარაღი გაქვთ?

– ხომ იცით, რომ მაქვს!

– რეგისტრირებულია?

– კი, ბატონო, რა თქმა უნდა, საბუთიც მაქვს... ეგეც ხომ ცნობილია თქვენთვის.

– მე სულ ერთი თვის დანიშნული ვარ აქ...

დათვიბალაძე დაინტერესდა:

– რად გინდათ ხელოვან კაცს იარაღი?

– ამას წინათ საბურთალოზე ახალგაზრდა კაცი, მხატვარი, რომ აწამეს სახელოვნოში და მერე იქაურობას ცეცხლი მოუკიდეს და გადაბუგეს, არ გაგიგიათ? ჩემი მეგობრის შვილი იყო, საწყალი. ჩემი მეგობარი კარგი მხატვარი იყო, ერთი წლის წინ მოკვდა, კიდევ კარგი, ვერ მოესწრო შვილის ასეთ დასასრულს. ძალიან კარგი კაცი იყო, მშვენიერი მხატვარი და მისი საუკეთესო სურათებიც სულ მოისპო... იმის შვილს სახლის სხვენში აუვარდნენ და მე აქ ვინ მომასვენებს? კი ხედავთ: ჩემი სახელოვნო სარდაფშია; მოდიან უბნის ნარკომანები, ფულს მთხოვენ... ფული არ მაქვს-მეთქი, გეუბნები, “თუ ფული არ გაქვს, შე ჩათლახო, სურათი გვაჩუქე, გაყიდითო”... მაგათთვის საჩუქარი სურათი სად მაქვს? რამდენჯერმე გამიტყუეს სახელოვნო, სულ ააქოთეს აქაურობა; იძულებული გაფხდი, რკინის კარი გამეკეთებინა.

– ერთი სურათი რა გაგინდათ, აგერ ორმოცდაათი მანც გექნებათ, თქვენი ბინის კედლებიც გავსებულია... ერთ სურათს მიაშავებდით და თავიდან მოიშორებდით.

– რას ამბობთ, ვინ დაგანებებს თავს? ერთი თუ შემოგეჩვივნენ, წასულია ხელიდან საქმე... მერე, მუქთად გაყიდვიან და მაზანდას დაბლა მიგდებენ, ისედაც იშვიათად ვასადებ და... არ ვაძლევდი, რამდენჯერმე დანით დამადგნენ და ძალით წაიღეს. რა მექნა? რკინის კარი გავაკეთებინე, რევოლვერიც შევიძინე...

– აღარ გაწუხებენ?

– ერთხელ რომ ვიფრინე აქედან, ახლოს აღარ მეკარებიან!

ნისკარტაძე მაგიდის უჯრიდან იღებს ჭუჭყიან ტილოში გახვეულ იარაღს და დათვიბალაძეს აწვდის – იმ ყალბის არ არის, როგორც იარაღიდანაც მოფერი მოკლეს...

– თქვენისთანა მხატვარი ასეთ პირობებში არ უნდა მუშაობდეს... უამრავი კერძო სამხატვრო სალონია გახსნილი, არ მიგაქვთ სურათები იქ გასაყიდად?

– შიგადაშიგ მიმაქვს, აბა, რა გქნა... გუშინ გავიარე ერთ-ერთში; ვხედავ, ჩემი სურათები სადღაც კუთხეშია მიგდებული. ყველაგან დესპინე ფუდიძის ტილოებია, – უზარმაზარი, მასტიხინით ნათითხნი... კომბოსტოს ხელა ვარდები, ვერც მიხვდები, ვარდი თუა, არ ჰგავს. გეუბნები სალონის პატრონს: “დესპინეს ათი სურათი რომ გამოგიყვინა და ზღაპრული ფასიც ადევს, მის გვერდზე ერთი ჩემი მანც არ უნდა დადო?”.

– რატომ შერება ესე?

– იმიტომ, რომ ის დესპინე ქალი კი არა ქაჯია, მე კი არ მგავს: მივა და დააფხრეწს იმ ტილოებს თავზე, უკივლებს, ერთ ამბავს დააწვეს... მეორე მხატვარი მივა, ბიჭია, შეხედავ – მოგეწონება, მაგრამ მუშტით გაუხეთქავს თავს...

– ამ ქუჩის ბიჭებს მოუარეთ და ის ტილიანი სალონის პატრონი რა გაგიხდათ?

– არც არაფერი, მაგრამ, იმ ორ კაპიკსაც დაგკარგავ, ათასში ერთხელ რომ გაიყიდება ჩემი სურათი. პირში კი მაქვს: “ტრისტან, შენისთანა მხატვარი მეორე არ გეყავს, კლიენტები გიჟდებიან შენს სურათებზე”; “თუ მასეა, – გეუბნები, – ჩემი სურათები ყველაზე იაფია და რატომ არ იყიდება? სადღაც კუთხეში უპატრონოდ მიყრილი რატომ გაქვს?”. ნაღდი ფერწერა მოკვდა, ახლა მოლაში სულ სხვა რაღაც არის, მე იმას ვერ ავყვები...

– “მშრალ ხიდზე” არ მიგაქვთ?

– ერთხელაც არ გამიტანია, მაგის დრო სად მაქვს. მე რომ მთელი დღე იქ ვიდგე, ჩემს მაგივრად ვინ იმუშავებს?

– თქვენისთანა მხატვარი თითო-ოროვლად დარჩა...

– ზოგიერთი, ჩემზე არანაკლები, ჩემზე უარეს დღეშია. ხუტა დიდღერუბელაძე გაგიგონიათ? ამ ხნის კაცი მინისტრის მოადგილესთან მუშაობს... ხომ არ გგონიათ, რაიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა უჭირავს, – ასეც რომ იყოს, რად უნდა მხატვარ კაცს კაბინეტი, საქმიან ქაღალდებში ქექვა... არა, უბრალო შოფრად მიიღეს. ისეთი გაჭირვებულაა, შოფრად კი არა, მათხოვრობასაც დაიწყო... იცით, რა ნიჭიერი იყო? ახლა რომ კომუნისტებს ვაგინებთ, იმ დროს სხვადასხვა რესპუბლიკების მხატვრებს აგზავნიდნენ ხოლმე ორი-სამი თვით სამუშაოდ შემოქმედებით სახლებში; მერე აწყოლდნენ მათ ნამუშევრთა გამოფენას, იმართებოდა ამ ნამუშევართა კონკურსი და რამდენჯერაც წავიდა ხუტა სენეჟში, იმდენჯერ იმ კონკურსებში გაიმარჯვა – იღებდა რაღაც მედლებს, ფულად პრემიებს... მის სახელში რომ მიხვიდეთ, იცით, რა ნამუშევრები აქვს? მხეცური! თანამედროვე, თან – დახვეწილი, ისეთი კი არა – აგდებულნი, ჰაიპარად ნათითხნი, ახლა რომ ეპიდემიასავით მოედო და გავრცელდა... მაგარი მხატვარია. მინისტრის მოადგილეს რომ შესთავაზეს მისი შოფრად აყვანა, ჯერ არ უნდოდა, როცა გაიგო, თითქმის სამოცდაათი წლისა ყოფილა... მერე უთხრეს, ეგ ძველი სპორტსმანია, ახლაც ყოველდღე ვარჯიშობსო; სანახავად მიიყვანეს და მოეწონა – ზრდილობიანი, კულტურული იერის, პირდაუბანეღ და თმაწვერმოშვებულ ბოჭქმურ ტიპს კი არ ჰგავდა. მერე, როცა გაიგო, ხუტა თურმე მაგარი მხატვარი ყოფილა, დაინტერესდა, ნახა მისი ნამუშევრები და ოთახიც კი გამოუყო სამუშაოდ, – საბედნიეროდ, დღევანდელ თანამდებობის პირებში, ამ თანამედროვე ჩიტირეკიებში, ფულისა და სკამის მეტი რომ არაფერი ანადგვებთ, ზოგჯერ ასეთი ადამიანიც გამოერევა.

– ახალგაზრდებში თუ გამოჩნდენ ნიჭიერი მხატვრები?

– ალბათ არიან, მე მათ არ ვიცნობ... დროდარო გავიფიქრე ხოლმე, ათასში ერთხელ, – გამოფენები ბევრი ეწყობა, – ახალს, იმედის მომცემს იშვიათად ვხედავ. მხატვრობა მურტალი რაღაცა არის: კარგა ხანს ჩაყვინთულია და უცებ ვულკანივით ამოიფრქვევა – ფიროსმანივით... სად და როდის ამოხეთქავს ნიჭი, კაცმა არ იცის. შენ, ახალგაზრდას, რომ გინდა, კარგი სურათი შექმნა, ეგ ერთია – შესაძლოა, არ გამოგივიდეს; აკოწიწებ ბევრჯერ სადღაც ნანახ-გაგონილს, ალბომებში იქექები... რა დაგიკარგავ, რას ეძებ – სხვისას თავი დაანებე! მერე შეკრებ, შენებურად გაათამაშებ, ვითომ ჰარმონიასაც მიაღწევ, კარგად ჟღერს, მაგრამ ეგ მანც არ არის ნაღდი ხელოვნება, ნასესხებია. ნიჭთან ერთად, ჭკუა-გონება და მოთმინება უნდა ყველაფერს, მოთმინება და შრომა; სამყაროში თავისთავად ხდება მერე ყველაფერი, ყველაფერი დალაგდება – არ არის საჭირო ეს უცნაურ სურვილს ხმის აყოლა – გინდა, ყველა გააკვირვო... არ ვიცოდი, გამცინებოდა თუ მეტირა, სამხატვრო აკადემიაში სადიპლომით შრომად პეფორმანსი რომ გამოიტანეს, – ტელევიზორში ვნახე, – სტუდენტები წრიულად ისხდნენ და ერთმანეთს აფურთხებდნენ... ესაა ხელოვნება?

– ფერწერა თუ მოკვდა, რა ვიცი, აუქციონებზე სურათებში მილიონებს აძლევენ.

– ძველ სურათებში. ფერწერა ყველგან მოკვდა... ადრე ყველა უფროსი ჭკუას გვარიგებდა, გვიკვირებდა, ცხოვრებისეული უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოებები... კი, ბატონო, მართალია, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებოდათ – ნებისმიერი ჟანრისა და სახეობის ხელოვნების ნაწარმოებში აუცილებლად უნდა იყოს პოეზიაც! გრძობაც!.. ახლა უარესი მდგომარეობაა: ოინბაზებმა დაიპყრეს ბაზარი, ხელში ფუნჯის წესიერად დაჭერაც რომ არ იციან. საზღვარგარეთ კიდევ არიან დამფასებლები, ტყუილია, ფულს სარფიანად აბანდებენ მოღურ მხატვართა სურათებში, მათი ფასი ყოველწლიურად იზრდება – ეგ არის სულ... ჩვენთან უარესი მდგომარეობაა; ახლა მხატვრობა, ჭირიმე, ვის რად უნდა? დავით აღმაშენებლის ქანდაკება ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გადაასახლეს, უხერხული რომ არ იყოს, სულაც მოსაპობდნენ... სამაგიეროდ, მთავარ მოედანზე მეტისმეტად პრეტენზიული, მოედნის მასშტაბებისთვის სრულიად შეუფერებელი და, რაც მთავარია, მხატვრულად მეტად საეჭვო ღირებულების ქანდაკებიანი სვეტი აღმართეს. ყველა ამბობს, რომ ეს სისულელეა, ერთი კაცი კი, ვინც ყველაფერს თვითნებურად წყვეტს, ამ ყველას აზრს სულ ცალ ფეხზე იკიდებს – მას მოსწონს

და მორჩა!.. ილაპარაკე, თუნდაც იყვირე – რამდენიც გინდა და როგორც გაგინახრდება. ახლახან გადაწყვიტეს: კოკი მახარაძის ბრწყინვალე პანო “მიწა ქართული” უნივერსიტეტში კედლიდან უნდა ჩამოხსნან – თანამედროვეობას არ უხდებაო... აბა, ნეტავ უკეთესი რა უნდა გააკეთონ იქ?

– რატომ ხსნიან? რა მიზეზით?

– არ მოსწონთ არაფერი ეროვნული... იქ ქართული სულია, ქართული სიმბოლური ხატები. ბროწეულები, ხარი – აღარ უნდათ... ჩოხაში გამოწყობილი ვაჟკაციც კი აღიზიანებთ. “არ დაგინახო აქ, ქალაქის ცენტრში, გორგასლები და აღმაშენებლები!” – დავით აღმაშენებელს “მოუარეს” – გაასახლეს ქალაქის ცენტრიდან, გადაასახლეს; ვახტანგ გორგასლის მონუმენტის სადმე გადატანაზე, შესაძლოა, არც შეიწუხონ თავი – მტკვრის პირასაა, პირდაპირ მდინარეში გადაუძახებენ... ხელოვანი, ვინც ადრე წარმატებული იყო, ყველა მტრად მიაჩნიათ, საკუთარი ახალგამორჩევი ტაშის დამკვრელები ტივტივებენ ყველგან – მომღერლები, რეჟისორები, არქიტექტორები, მოქანდაკენი; დიდი ვერაფერი ხვითოები არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, თავიანთია, მათგან დავალებულნი გახლავან და მათი დიდად მადლიერნი...

* * *

როცა აგაბო დათვიბალაძემ და ლაშა დამურაულმა სარდაფის კიბე აათავეს, უბნის ინსპექტორმა ათვალწუნებით თქვა:

– ნამეტანი ბევრი ლაპარაკი უყვარს, განსაკუთრებით – ხელოვნების შესახებ.

– ეგ არაფერი, კარგიც კია – მოაზროვნე ადამიანი ჩანს. მთავარია, რომ მხატვარია კარგი. დრო კი ბევრი დავაკარგინეთ და ჩვენც დავკარგეთ: ლაპარაკი – ბევრი, შედეგი – არაფერი თითქმის... ჩვენი საქმისთვის, რასაკვირველია. თუმცა უარყოფითი შედეგიც შედეგია, ეს უნაყოფო ველი მაინც უნდა გაგვევლო. რა უბედურებაა ეს საყოველთაო გაუცხოებულობა! თუ დაუკვირდი, თითქმის ყველა, ვისაც კი შეგხვდით, საუბარს მოწყურებულია, თუნდაც ოჯახში ბევრნი იყვნენ – მარტოობის სიცივეს ამით იქარგებს... სხვათა შორის, სურათების თვალიერებით ისე გავერთეთ, იმის კითხვა დავგავიწყვდა, ოჯახში, ცოლის გარდა, სხვა ვინ ჰყავს?

– ორი ვაჟი ჰყავს, ცოლშვილიანები, ცალ-ცალკე ცხოვრობენ; ერთი, რამდენადაც ვიცი, მხატვარია.

– ხომ არ იცით, როგორი მხატვარია?

– ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, არ ვიცი.

– მე ვიცი!

– მართლა?

– 99%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ნისკარტაძის შვილი მამის დონეს ახლოსაც ვერ გაქაჩავს – როგორც დიდი ხნის წინათ იხუმრეს, გენიოსების შვილებზე ბუნება ისვენებს... თუმცა, ზოგჯერ, პირიქით – გააღმასღება: ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის მამები კარგი მუსიკოსები იყვნენ...

კარი XXIV.

ბინა № 47. ვიოლა ეკალღიჭაძე – უმუშევარი.

ბინა № 48. ვილაც ახლები არიან...

დილას ცხრას ათი წუთი უკლდა, როცა აგაბო დათვიბალაძე და ლაშა დამურაული დეიდა მართას დაუპატიჟებლად მიადგნენ – იცოდნენ, მათ უკვე ელოდნენ. მართლაც ზარის დარეკვა არც მოუსწრიათ, რომ კარი გაიღო და დეიდა მართამ ისინი ბინაში შეიპატიჟა. ქურთუკებს საკიდზე მიუჩინეს ადგილი, ხელი გადაიბანეს და მიაშურეს უკვე გაწყობილ მაგიდას – ახლამოდულებული ყავით სავსე ფინჯნებს სასიამოვნო სურნელი ასდიოდა, დეიდა მართას მიერ ამ დილით გამომცხვარი ცხელ-ცხელი ხაჭაპური სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

ტელევიზორიც ჩართული იყო; ზუსტად ცხრა საათზე გამოჩნდა ტელედიქტორი ქალი, სატელევიზიო ახალი ამბების ანონსი სხაპასხუპით მიაყარა:

“25 მარტს, პარასკევს, უკანასკნელი ცნობების დილის გამოშვებაში თქვენ გაეცნობით: დღეს ჯანდაცვის მინისტრი კაკი მარუშაძე პარლამენტში ანგარიშით წარსდგება.

დეპუტატ ლეო კატაძის წინადადება: “ჩავაგაროთ რეალიტი-შოუ და რომელიმე მინისტრს მივცეთ თვიური პენსიის თანხა – 100 ლარი და იზოლირებულ სივრცეში ვამყოფოთ; თუ არ ეყოფა, მივცეთ ვაუჩერი – 30 ლარი და ვნახოთ, შიმშილით თუ არ გასძევდება სული...”

საქართველოს კონგრესის პალატამ სისტემური დარღვევები აღნიშნა ფინანსებისა და ქონების მართვაში.”

მერე წავიდა გაუთავებელი რეკლამა: “საქართველოს ბანკი”, ახალი დეზოდორანტი, “ფიტომალი” – “ბუნების ცოცხალი ძალა”, “ჰიუინდაი აკსენტი” – ვაჰ, რა ავტომანქანაა, ყველაზე მდიდრული ოცნების ასრულება! “ულტრაბიოტიკ” – უებარი საშუალებაა, ფაღარათი თუ გჭირთ, მიიღებთ და აღარაფერი გიჭირთ!..

დეიდა მართამ ტელევიზორი გამორთო – დაიწყო საქმიანი საუბარი.

– დეიდა მართა, დღეს ვიოლა ეკალღიჭაძესთან მივდივართ სასაუბროდ...

– ეგვც ეჭვმიტანილია? – გაიღიმა დეიდა მართამ.

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ფორმალურად მოგვეთხოვება, რათა ყველა მობინადრეს გავესაუბროთ.

– ვიოლას კარგად არ ვიცნობ... ამდენი წელია, ერთ სახლში ვცხოვრობთ, თითქმის ერთად დაგბერდით და მართლა არ ვიცნობ ხეირიანად.

– თქვენ თუ არ იცნობთ, მაშ ვინ? – გაეხუმრა ავაბო. – თქვენ რატომღაც ძალიან ხშირად ამბობთ, არ ვიცნობთ, თითქმის ყველაზე...

– რა ვიცი, ასე მგონია. ტელევიზორში ყოველდღე გვესმის: უბრალო შელაპარაკების გამო, ამან იმას დანა დაარტყა და მოკლა... მერე ალაპარაკებენ დამნაშავის ნაცნობ-მეგობრებს და ყველა ერთხმად ამტკიცებს: “ძალიან წესიერი, ზრდილობიანი ბიჭი იყო, ვერ წარმოგვედგინა, თუ ამგვარი დანაშაულის ჩადენა შეეძლო”. შე ოჯახსაშენებულო, თუ ნორმალური იყო, მის ჯიბეში დანას რა უნდოდა?

– სწორი ბრძანდებით, დანაშაულს ხშირად სჩადიან სწორედ ასეთი, ერთი შეხედვით, უწყინარი პიროვნებები, ყველა რომ დადებითად ახასიათებს. უთვალავჯერ თქმულა და დაწერილა: სხვის სულში ჩახედვა – უმადური საქმეა.

– ვიოლა ეკალღიჭაძე არავის ეკარება, – განაგრძო მართა დეიდამ, – ჯერ მასთან მეზობელი არავინ შესულა; არც ნათესავი ან მეგობარი უნახავთ მისული, თუ ასეთი ჰყავს.

– ასეთებს ჩემს სოფელში, გურიასში, ფულუს უწოდებენ, – თქვა დათვიბადაძემ.

– მე მგონი, არც თქვენ შეგიშვებთ ბინაში, კარს არავის უღებს. ამას წინათ ერთი კვირა არავის დაუნახავს, უბრაზუნეს, კარი კინაღამ ჩამოიღეს – ეგონათ, ხომ არ გარდაიცვალა... მერე პატრული გამოვიძახეთ, ბინის კარის შენგრეგას აპირებდნენ და ამ დროს ვიოლამ თვითონ გააღო კარი – ეტყობა, ფორმიანი ხალხი დაინახა კარის საჭერეტიწებელში, აღარ შეშინებია. მართლა ავად იყო, მაგრამ მეზობლებს არავის შეხმინებია, არც – ნათესავებს, თუმცა ტელეფონი აქვს.

– რატომ არის ასეთი უკარება?

– საშინელი ეჭვიანია, სულ ეჩვენება, რომ მეზობლები მტრობენ, როცა ის შინ არ არის, ჩუმად შედიან და სძარცვავენ... რა აქვს გასაძარცვავეი მაგ საცოდავს, რაც თავი მახსოვს, სულ ერთი და იგივე კაბა აცვია.

– შიზოფრენით ხომ არ არის შეპყრობილი?

– რა ვიცი, სხვა მხრივ თითქოს ნორმალურია. თუმცა... ტრისტან ნისკარტაძეს რომ დააბრალებ, ჩუმჩუმად შემოდიხარ ჩემს ბინაში და რაღაცეებს მპარავო, სრულ ჭკუაზე ხარ?

– გაუთხოვარია?

– აბა, რა იქნება! სულ იძახდა: “რატომ უნდა გავთხოვდე? სხვის აქოთებულ წინდებს ნამდვილად ვერ გავრცხავ”.

– სად მუშაობს?

– არსად. სადღაც წვრილ-წვრილად ვაჭრობსო, არ ვიცი. წინათ ბანკში დიდხანს უმუშავია, კარგი მუშაკი ყოფილა, კარგი ხელფასიც ჰქონია. მერე რაღაცაზე გამოუგდიათ, მის ადგილზე ახალგაზრდა მიუყვანიათ... საწყალი ვიოლა სულ იძახის: “ფულს შევაგროვებ და კაცს დავიქირავებ, რომ შური ვიძიო ჩემს სამსახურიდან გამომგდებზეო”...

– რა იცი, შერეკილს რა მოეჩვენება... იქნებ მაგ ვიოლასაც რაღაც მოეჩვენა და მერვე სართულიდან ისროლა, – თქვა ლაშამ.

– ამქვეყნად რა არ ხდება და ჩვენი ვალია, ყველაზე ფანტაზიური ვერსიებიც შევამოწმოთ. ქალბატონო მართა... ბოდიში, დეიდა მართა, თუ ვიოლა ეკალღიჭაძე არსად მუშაობს, თავს რით ირჩენს?

– ხომ გითხარით, ახლა ნელ-ნელა ჰყიდის, სახლში რაც კი რამ ჰქონდა ღირებული.

– და მერე ერგენება, რომ მოპარეს! – გააგრძელა ლაშამ. – სხვათა შორის, ვიოლა ეკალღი-ჭაძე მარტოხელაა, ირიცხება გაჭირვებულთა სიაში და იღებს შემწეობას, დაღის უფასო სასაღილო-შიც...

– ჰო, ყოველდღე ვხედავ, როგორ მიდის იმ სასაღილოში, იქიდან ბლომად პური მოაქვს ხოლმე, ნახევარლიტრიანი შუშის ქილებით – რაღაც საჭმელები... – ამატებს მართა დეიდა. – უტვინო რომა-ა, სიარულში ეტყობა. მე უცნობსაც სიარულში ვცნობ, რა კაცი მოდის: ბოღმა ტიპი, ხელგაშლილი, ბრექია თუ მშიშარა... ვიოლა ცეცია. ფანჯრიდან ვუყურებ და ვხედავ: გამოვა სადარბაზოდან და გა-ჩერდება, აქეთ-იქით იყურება, ვერ გადაუწყვეტია, საით წავიდეს, მერე მიდის, რამდენიმე ნაბიჯს გა-დადგამს და გაჩერდება, თითქოს რაღაც დაავიწყდაო, მერე სხვა მხარეს გაუხვევს... ცოტა ხანში ისევ რაღაც გაახსენდება, შეტრიალდება, უკან წამოვა... რას მოსთხოვ ამნაირს? შტერია, თვითონ არ იცის, რა უნდა, ვერ აზროვნებს ნორმალურად და რა უნდა იღონო... მის გვერდით მშვენიერი ოჯახი ცხოვრობდა: მშვიდი, წესიერი. ვიოლამ იმდენჯერ უჩივლა, რომ, ბოლოს და ბოლოს, იძულე-ბულნი გახდნენ, ბინა გაეყიდათ და სხვაგან გადასულიყვნენ...

– როდის მოხდა ეგ ამბავი?

– ერთი წელი ჯერ არ იქნება. ის ოროთახიანი ბინა ვიღაც კახელმა იყიდა.

– ვინ არის?

– ერთი ჩაბურვაკებული კაცია, არ ვიცი, რას საქმიანობს, სულ ორ-სამჯერ მყავს ნანახი. ამბო-ბენ, რუსთავში დაღის, მანქანებს ყიდულობს და ყიდისო, ავტოპროფილაქტორიუმშიც ჰქონია – სადღ-აც ორთაჭალაში.

– სად ცხოვრობს?

– საგარეჯოს რაიონში ცხოვრობს, თბილისში სოფლიდან დაღის, ბინაში ჯერ არ შესულა. კარ-გა ხანს გამოკეტილი იყო, ახლა არემონტებს.

– იმ ბინის ახალი მფლობელი გახლავთ ფირუზ გოჭიჭელაძე, – საქადალდე გაშალა და შიგ ჩა-იხედა ღამურაულმა, – დაბადებულია 1961 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგეთში, ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი; ქალიშვილი გათხოვილია...

– მაგის ვაჟი თუ დაგინახავთ?

– არა, მაგის ოჯახის წევრები არ გამოჩენილან, მხოლოდ ფირუზასთვის მაქვს თვალი მოკრული რამდენჯერმე – სულ სირბილშია, წუთით გამოჩნდება და გაქრება.

– გოჭიჭელაძემ ის თუ იცის, როგორი კარის მეზობელი შეხვდა?

– არ ვიცი... ვიოლა საცოდავია, საწყალი, ცუდი არაგისთვის გაუკეთებია, ერთი ეგაა, რომ აკვი-ტებული ფიქრები აწუხებს.

– დეიდა მართამ ჩვეული ხასიათი გამოამუღავნა, – გაიღიმა დათვიბალაძემ, – სხვაზე ძვირს არ იტყვის! მეტი რაღა უნდა უქნა, ბინის დატოვებას რომ აიძულებ. დიდი მადლობა, დეიდა მართა, ჩვენ ახლა წავალთ, ჩვენს საქმეს მივხედავთ. ვიოლა ეკალღიჭაძე უწყინარი ქალი ჩანს, მაგრამ ჩვენ მა-ინც მოვინახულებთ, გავესაუბრებით... თუ, რა თქმა უნდა, შინ დაგვხვდა და ჩვენთან შეხვედრაზე უარი არ თქვა.

– ახლა შინ იქნება, სასაღილოში შუადღისთვის მიდის ხოლმე, – თქვა დეიდა მართამ.

* * *

თხუთმეტი წუთის შემდეგ აგაბო დათვიბალაძე და ლაშა ღამურაული მერვე სართულზე ლიფტი-დან გამოვიდნენ.

№ 48 ოროთახიანი ბინის კარი ღიაა, იქიდან ბული გამოდის, ისმის დგანდგარი...

ელაპარაკებიან მუშებს.

მკვლელობის ამბავის შესახებ არაფერი იციან და არც არაფერი გაუგონიათ – პირველად ამათ-გან გაიგეს მომხდარის შესახებ.

– ვინ არიან ბინის მფლობელები? – კითხულობს გამომძიებელი.

ლაშა მხრებს იჩეჩავს:

– ვინმე ფირუზ გოჭიჭელაძეზე ირიცხება სამოქალაქო რეესტრში. ხომ მოგახსენეთ, მეუღლე და ქალ-ვაჟი ჰყოლია, გოგო გათხოვილია; მათ შესახებ სხვა არაფერიათ მონაცემი არ გამაჩნია. ერთ წელზე მეტია, ეს ბინა იყიდეს, მაგრამ დღემდე აქ არ უცხოვრიათ.

– ჰო, ქალბატონმა მართამ ამ გოჭიჭელაძეზე შენზე ბევრად მეტი იცის.

შემდეგ ერთოთახიანი № 47 ბინის ხის კართან მივიდნენ. კარი იმდენად ძველი იყო, ალბათ სახ-ლის ხნისა, რომ მისი თავდაპირველი ფერის დადგენა ჭირდა. მასზე მობინადრის ვინაობა არ იყო აღნიშნული, მხოლოდ მსხვილი ფანქრით გაკრული ხელით წარწერილი იყო ციფრი – 47, არც ზარი ჩანდა საღმე, მხოლოდ მრგვალი საჭვრეტი იყო დატანებული.

– მართლაც საცოდავი ჩანს, – აგაბომ კარზე ფრთხილად დააკაკუნა. – რომელ ქურდს მიიზიდავს ასეთი კარი, ერთი წიხლი ეყოფა ნაფორტებად გადასაქცევად.

მოსულთა გასაკვირვებლად, კაკუნის განმეორება აღარ გახდა საჭირო: ეტყობა, ბინის პატრონმა საუბრის ხმა რომ გაიგონა, კართან მივიდა; საჭვრეტიდან პოლიციის ფორმაში ჩაცმული ლაშა დაინახა და მოსულები საშიშ პიროვნებებად არ მიიჩნია, თანაც მოპირდაპირე მხარეს კარი ღია იყო და იქ ბინაში მუშები საქმიანობდნენ... ასე რომ, სასწაული მოხდა – კარი გაიღო.

ვიოლა ეკალღიჭაძე – ძალიან გამხდარი, ხნიერი ქალი; სულ მთლად გათეთრებული თმები იისფრად აქვს შეღებილი, ალბათ მეღნით. მუქი თვალები მოსულებს არც მაინცდამაინც ეჭვით ან მტრულად უყურებენ, უფრო – რაღაცის მოლოდინით...

– გამარჯობა! – აგაბო ზრდილობიანად უკრავს თავს. – შეიძლება?

ქალი ფართოდ აღებს კარს:

– მობრძანდით.

ოთახში შესულებს ვიოლა ეწუწუნება:

– რა გააწყალეს გული დღე და ღამე ამ ხრიგინით – კოლექტორია თუ რაღაც ჯანდაბა სხვაგან ვერ გაიყვანეს? მოუარეთ, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ! აქეთ მხარეს კიდევ ვიღაც სულელი რემონტს აკეთებს და გრიალით ლამის გამაგიჟოს! ორი წელია აკეთებს და აღარ დააყენა საშველი, ახლა გაცოფდა მაინცდამაინც... ვინ გაიგონა შუა ზამთარში რემონტი?! გაუხმა ის გასარემონტებელი თავი!

– ქალბატონო ვიოლა, ალბათ ეჩქარება ბინაში გადმოსვლა... – აგაბოს პასუხის ნიღბით თანაგრძნობა იგრძნობოდა.

– მერე, ერთი წელია, რაღაცას ამტვრევენ და რით ვეღარ დაანგრის... გადარეულები!

აგაბო დათვობადაძე აივანზე გამავალ კართან მივიდა:

– თქვენთან ცივა, მეტალოპლასტმასის ორმაგი კარები რომ დაგეყენებინათ... აქედან აივანზე გასვლა შეიძლება?

– არა, ჩაჭედილია. აივანს ვერ ვიყენებ, კარი აჭედებული მაქვს...

– რატომ?

– მეშინია, ქურდი არ გადმოძვრეს.

– მერვე სართულზე?

– სახურავიდან ჩამოდიან. ან გვერდიდან – მეზობლები გადმოვლენ...

– სამზარეულოდან ვერ გადმოვლენ?

– იქაც აჭედებულია.

– შეიძლება, ვნახოთ?

მოცუცქნულ სამზარეულოში სამი ადამიანი ძლივს დაეტია. ერთი ბეწო მაგიდაზე რამდენიმე ცარიელი ნახევარლიტრიანი ქილა იდო.

– ქილების ჩაბარებას აპირებთ?

– არა, სასადილოში დაგვიფარ და ერთით ჩაი, კისელი, ან ყავა მომაქვს, მეორით – ბორში ან სუფი, რაც იქნება, პურიც მომაქვს.

– თქვენ მარტოხელა პენსიონერი ბრძანდებით?

– დიახ, სოცურზრუნველყოფაში განცხადება მივიტანე და 22 ლარს მაძლევენ დახმარებას. იმ მაძაღლმა, ინსპექტორია თუ ვიღაცა, კომისიამ 59 ათასი ქულა დამიწერა, 57 რომ მქონოდა, 30 ლარს დამინიშნავენ... წუწურაქები! ვეჩხუბე, სად არის ამ ბინაში სიმდიდრე, რა მოელანდათ?.. ეს ათი წლის ტელევიზორია სიმდიდრე? ვის უდგას ამ ხნის ტელევიზორი? წინათ საახალწლოდ გვაძლევდნენ თითო კილო ბრინჯს, შაქარს, მაკარონს, ზეთს, სააღდგომოდ კვერცხსა და პასკას, ახლა ყველაფერი შეკვეცეს... მაგათ შეეკვეცოთ ის ღიპები და ღაბაბები! ქურდი მაძაღლები! ბორში იყო გუშინ, ქილით წამოვიღე, ფაფა იქ შევჭამე, ყველაფერი – წყალწყალა, წყალწყალა, უგემური... წინათ სოსისიც იყო, ქათმის ბარკალი, ახლა აღარაფერია... ვითომ სულ გმარხულობ. ამას წინათ კი იყო რაღაც გუფთა, მაიონეზი დაგამატე, მაინც ისეთი უგემური იყო, ძლივს გავთავე ნახევარი...

კარი XXV.

ყველაფერს ფარდა აეხადა

დღეს 2011 წლის 22 სექტემბერია, ხუთშაბათი და ჩემთვის, მთხრობელისთვის, ნელ-ნელა ბოლომდე ჩამოიმარცვლება ჩვენი ამბის კრიალოსანი – ალბათ სულ ათიოდე გვერდის დაწერა და მარჩა...

ხოლო ჩემს მიერ მონათხრობი ამბისთვისაც ხუთშაბათია, ოღონდ 2011 წლის 31 მარტი დადგა; გამოძიებული აგაბო დათვიბალაძე და უბნის ინსპექტორი ლაშა დამურაული ისევ ესტუმრნენ მართა დეიდას, ამჯერად, სრულიად მოულოდნელად – გვიან საღამოს...

– ალბათ გაგიკვირდებათ ჩვენი ესოდენ გვიანი სტუმრობა, – მიმართა აგაბო დათვიბალაძემ ქალბატონ მართას, რომელიც თათარიახნად აწყობდა სუფრას. – ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით, თუ მაინცდამაინც, ყავის მაგივრად თითო ფინჯან ცხელ ჩაის სიამოვნებით გეახლებით და შემდეგ დაგემშვიდობებით...

უკვე ტრადიციად ქცეულ სვლას მივმართავ და მკითხველს ვაუწყებ, რა გადმოსცეს ამ საღამოს ერთ-ერთი ტელეარხით საღამოს საინფორმაციო გამოშვების ანონსში. მორიგეობით მოსაუბრე ორივე ტელედიქტორი, ქალი და კაცი, ჩვეულებისამებრ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ რაც შეიძლება აგრესიული სტილი ჰქონდეთ წაყვანისა, თითქოს მაყურებელს კი არ ესაუბრებიან, არამედ მოსისხლე მტერს ეპაექრებიან და საკადრის პასუხს სცემენ...

“დღეს, 31 მარტია, ხუთშაბათი; 9 საათის დილის საინფორმაციო გამოშვებაში თქვენ ნახავთ:

სირიაში, ქალაქ ლატაკიაში, საპროტესტო აქცია დაარბიეს, დაიღუპა ერთი ადამიანი.

არეულობა გრძელდება იემენში.

ბრძოლები მიმდინარეობს კოგ დ'ივუარში.

ლიბიდან საგარეო საქმეთა მინისტრი გაიქცა.

გორბაჩოვმა დაბადების მეოთხმოცე წლისთავი ლონდონში, ალბერტ პოლში გადაიხადა; სასტუმრო ბილეთი 120-135 გირვანქა სტერლინგი ღირდა.

ცნობილი კინომსახიობი და მომღერალი ლიუდმილა გურჩენკო 75 წლისა გარდაიცვალა მოსკოვში.

მაჰარაჯის საფეხბურთი კლუბი “ანჟის” სურს “მილანისა” და იტალიის ნაკრების წევრის ჯენარო გატუზოს შეტენა.

ქუთაისში, მერიიაში, გეროროსტული აქტის მცდელობისას ორი მუგდილედი დააკავეს”.

შესაძლოა, გამოჩნდება ისეთი მკითხველი, რომელიც შემიძახებს: “რა აიჩემე ეს საინფორმაციო გამოშვებები, ხომ იცი, რა საშინელებების ჩვენებაც უყვარათ; ან თვითონ შენ რაღა დაგემართა – არ გეყო ამდენი ცუდ გუნებაზე დამყენებელი, დამთრგუნავი ამბის აღწერა, რით ხარ ზოგერთი ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურზე უკეთესი? ეს № 150 სახელიც, თითქოს სახლი კი არა, უბედურებაში ჩავარდნილი გემია: ალბათ დიდი დროშა უნდა ფრიალებდეს მის სახურავზე, წარწერით: **SOS!** ამ დროების სუსხიანმა ქარიშხალმა ცხოვრების მღელვარე ტალღებში ლამის დანთქას”... დიახ, ამ ჩემს ნახლავორთებ რომანს იქნებ სხვა სახელიც შეეფერება: “ნახევრად ჩაძირული ხომალდი”! თითქმის ორმოცდაათი ოჯახიდან, აბა, ერთ ბედნიერს კი არა, ასე თუ ისე ნორმალურ ყოფაში მყოფს თუ ნახავ! ერთს ნარკომანი შვილი ჰყავს, გაუბედურებულია ოჯახი, მეორე სოფელში გაიქცა, ამდენი წელია, სამუშაოს ამოდ ეძებს და იქნებ იქ ჩემმა მოყვანილმა სიმინდმა და ლობიომ მაინც გადამირჩინოს შიმშილით სიკვდილს ოჯახი... მესამე ოჯახის მამა და მისი ვაჟიშვილიც ციხეში სხედან – რაღაც ყალბ ზედნადებებს ამზადებდნენ და მეწარმეებზე ჰყიდდნენ... მეოთხე, მესუთე, მეექვსე – საზღვარგარეთ არიან გადახვეწილნი, იქ ყოველგვარი შავი და დამამცირებელი სამუშაოს შესრულებაზეც მზად არიან, ოღონაც კი დასაქმდნენ და ორიოდ გროში იშოვონ – თავიც გადაირჩინონ და, თუ ამის საშუალება აქვთ, სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებსაც გამოუგზავნონ ცოტაოდენი ფული... აქ აღწერილი რომ სინამდვილეა, ჩვენც კარგად ვხედავთ, იქნებ შენზე უკეთესადაც, შენ ის გვითხარი, სად არის გამოსავალი?

ამგვარ, სამართლიან თუ უსაფუძვლო საყვედურს, ვპასუხობ: რა უნდა ჰქნას კაცმა, მეც არ ვიცი... მე არც პოლიტიკოსი ვარ და არც – მკითხავი, ჩემი ამოცანა ერთადერთია – ეს რომანი-სარკე, შეძლებისდაგვარად, მრუდე არ უნდა გამომივიდეს, ხოლო ცხოვრებისეული დასკვნები და საკუთარი

მოქმედების გეგმა და მისი ასრულებაც ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა გაიაზროს და გადაწყვიტოს...

ბოდიშს გუხდი მკითხველს, რომ ამ ამბისთვის სრულიად ზედმეტი ნაწილის წაკითხვა მოუხდა, თავს კი კიდევ ერთხელ იმით ვიმართლებ, რომ არ ეგების აგაბო დათვიბალაძისა და ლაშა ღამურაშვილის მართა დედასთან გამომშვიდობების შესახებ არ მეთქვა. რა თქმა უნდა, უბნის ინსპექტორი ლაშა ღამურაშვილი კვლავ ესტუმრება ხოლმე ქალბატონ მართას, რაც შეეხება გამომძიებელ აგაბო დათვიბალაძეს, იგი ყოველთვის სიამოვნებით გაიხსენებს კეთილ მოხუცთან სტუმრობას და საუბრებს ფინჯან ყავასთან...

ახლა კი, როგორც ჩანს, დროა, ჩემს მიერ ავად თუ კარგად მოთხრობილი ამბის კვანძის გახსნისთვის მოვემზადო.

* * *

აღწერილი მოვლენებიდან ნახევარი წელიწადი გავიდა.

2011 წლის 18 სექტემბერს, კვირას, გამომძიებელი აგაბო დათვიბალაძე საგანგებოდ წავიდა ერთ ახალ საგამოფენო გალერეაში მხატვარ ტრისტან ნისკარტაძის პერსონალური გამოფენის სანახავად – ტელევიზორით შეიტყო, როდის და სად უნდა გახსნილიყო.

და ღარბაზში შესვლისთანავე დაინახა პეპინო გუერაძე!

საუბრობენ მხატვარზე, მის შემოქმედებაზე...

– ბატონ ტრისტანს ვერ ვხედავ, გამოფენაზე არ იმყოფება?

– ტრისტან ნისკარტაძე ამ სამი თვის წინათ გარდაიცვალა... გულმა უმტყუნა.

– რას ბრძანებთ! რა მოხდა?

– ერთი წლის წინათ გადაიტანა პირველი ინფარქტი, ახლა გაუმეორა.

– სამწუხაროა ასეთი მოულოდნელი სიკვდილი... თუმცა, ყოველგვარი სიკვდილი საშინელებაა, ძნელად ეგუები, როცა ადამიანი უცებ გაქრება.

– როგორ მიდის იმ შოფრის, ალმასხან ჯამიაშვილის, მკვლელობის საქმის გამოძიება?

– მისი გვარიც გახსოვთ? – გაუკვირდა დათვიბალაძეს. – ჯერჯერობით დასაკვებნი არაფერი გვაქვს, ეჭვიმტანილიც კი არაფერია გვყავს. ჯამიაშვილის მკვლელობის საქმე, რაიმე ხელმოსაჭიდი ფაქტების არარსებობის გამო, ახალი გარემოებების გამოჩენამდე, დროებით წარმოებით შეჩერებულია.

– რატომ? ცდა არ დაგიკლიათ და...

– რა თქმა უნდა... მაგრამ ამგვარი საქმეების რაღაც ნაწილი ყოველთვის რჩება გაუხსნელი, წარმატების 100%-იანი მაჩვენებელი მსოფლიოში არსად გვხვდება.

– ეს პრაქტიკულად ალბათ შეუძლებელიც არის.

– დიახ, დიახ... ვინაიდან ვერ მოხერხდა დანაშაულისთვის პასუხისმგებელი პირის დადგენა, პირველადი გამოძიება შეწყდა მისი ვადის გასვლის გამო. ალმასხან ჯამიაშვილის მკვლელობა პროკურატურისთვის ერთი ჩვეულებრივი საქმეა, ალბათ ჩემს გარდა რომ არც არავის ადევნებს და არც ანადგვებს – მოგეხსენებათ, მსგავსი შემთხვევა ქალაქში არცთუ იშვიათია.

– სამწუხაროდ, ძალზე ხშირიც კია.

– საზოგადოდ, მკვლელობა მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება.

– ძნელია, ძნელი, როცა ხელმოსაჭიდი მცირე რამ მაინც არ არსებობს.

– თქვენ, მგონი, დეტექტიური რომანის დაწერას აპირებდით... როგორ მიდის საქმე, დაამთავრეთ?

– ო, მახსოვრობა თქვენც ჩინებული გქონიათ... დიახ, ვწერ, საფუძვლად სწორედ ალმასხან ჯამიაშვილის მკვლელობის საქმე ავიღე, ლაშა ღამურაშვილი ძალიან დამეხმარა. რომანში გამოყვანილი პერსონაჟები, რასაკვირველია, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ არსებითად მკვლელობის გარემოებები, მისი მოტივი სინამდვილიდან ვისესხე, ოღონდ ბოლო ჩემბუური მივუსადაგე, ჩემი გაგებით, დეტექტიური რომანისთვის ასე თუ ისე შესაფერისი.

– მაღე დაამთავრებთ?

– შავად – კი, ერთი თვეა, დავამთავრე და ახლა ტექსტს სტილისტურად ვხევეწ, ნება-ნება ვაშალაშინებ, შინაარსობრივად რაღაც-რაღაცას ვცვლი. თითქმის ბოლოში ვარ გასული; მინდა, ოქტომბერში საბოლოო ვარიანტი გადავბეჭდო და მისგან გავნთავისუფლდე... ისე კი ფიქრს ვაგრძელებ, იქნებ უკეთესი ბოლოც მოვიფიქრო.

– რატომ ჩქარობთ რომანის დამთავრებას?

– უკვე 75 წლის შევსრულდი, მინდა, დროზე მოვასწრო – იქნებ ეს ჩემი ბოლო წიგნია... თან ახალი რომანი-ექსტრაგანცაც დაწყებული მაქვს – “მატარებელი”. ვერ ვისვენებ... მოგეხსენებათ, კაცის გული, გაუმაძღარია.

– დეტექტიურ რომანს რა დაარქვით?

- “გადათვლილი ბუჩქები, გადამტვრეული ხე”. ერთ ეგზემპლარს უეჭველად თქვენ მოგართმევთ, თუკი, რასაკვირველია, თქვენ მისი გაცნობის სურვილი გაქვთ.
- დიდი მადლობა, აუცილებლად წავიკითხავ... ძალიან გრძელი სათაური ხომ არ აქვს?
- შესაძლოა...
- მოუთმენლობა მაპატიეთ, ძალიან დამაინტერესა და სქემატურად მაინც ხომ ვერ მიაბობთ, როგორი ბოლო მოუქებნეთ თქვენს რომანში ამ მკვლევლობის საქმეს? ვინ გამოიყვანეთ დამნაშავედ? იქნებ მეც დამეხმაროს რაიმეთი... – ირონიულად იღიმება აგაბო დათვიბლაძემ.
- მე კი გეტყვით, არ მეზარება, მაგრამ ამით თქვენ წიგნის წაკითხვის ხალისი ხომ არ დაგეკარგებათ? არა? მაშ, კეთილი, მოგახსენებთ... თუმცა, არა, ჯობს, ერთი თვე ან ცოტა მეტი მოითმინოთ და წიგნში გაეცნოთ, ისე გემო დაეკარგება წაკითხვას. იმიტომაც შევიკავებ თავს ამჟამად, რომ...
- არა უშავს, თუ კარგი წიგნი გამოვიდა, მეორედაც სიამოვნებით წავიკითხავ.
- ახლა ერთგვარად მეუხერხულება ამის თქვენთვის მოყოლა... იცით, რატომ? როცა წაკითხავთ, მიხვდებით, თუმცა, კაცმა რომ სთქვას, იქ საჩოთირო არაფერია ნათქვამი... იმედია, ჩემზე ნაწყენი არ დარჩებით, როცა რომანის ბოლო თავებს გაეცნობით – მოგეხსენებათ, რომანი წარმოსახვის შედეგია და არა რეალურად არსებული ფაქტების გადატანა წიგნის სხეულში; იქ გამოყვანილი გამომძიებელიც თქვენი ზუსტი ასლი არ განსვამს... რომანს ამ საქმის განხილვით ვამთავრებ.
- საინტერესოა ფრიად, გისმენთ...
- რაკი ამის დიდი სურვილი გაქვთ, სქემატურად მოგიყვებით, რომანის ბოლოში რაც ხდება. უნდა მოგახსენოთ, რომ ძირითადად ფანტაზიას კი ვეფრდნობოდი, მაგრამ რომანში ბევრი ჩემი კარგად თუ ნაკლებად ნაცნობი პიროვნებაც გამოვაჭყენე... ცხადია, პროტოტიპების სახელები რომანში შეცვლილია, მოქმედებაც სხვა ადგილასაა გადატანილი – სულ სხვა დასახლებაში, განსხვავებულია დეტალებიც, თუმცა, საქმის არსი კი არსებითად იგივე დარჩა, რაც სინამდვილეში მოხდა... რომანს კი ასე ვამთავრებ: სცადეს ცნობილი მხატვრის სახელოსნოს გაძარცვა – სურათების გატაცება უნდოდან, ან იქნებ უფრო სხვა რამ აინტერესებდათ – ფული ან იარაღი... ასეა თუ ისე, რკინის კარის გაღება გაუჭირდათ, – გასაღები კოლით იყო დაკეტილი. ბევრი იჩაღიჩეს, კარი მაინც გააღეს, მაგრამ ათ წუთში მათ მოულოდნელად თავზე დაადგნენ დაცვის სააგენტოს თანამშრომლები – გაქურდვის საწინააღმდეგო სიგნალიზაცია ყოფილა დამონტაჟებული – და ქურდები ადგილზევე გასკვანჩეს... ისინი აღმოჩნდნენ მხატვრის მეზობლები – გივი მეჭეჭაშვილი და ტატაშ ტაშფანდურაშვილის 17 წლის ვაჟი მურთაზი... ჩხრეკისას გივი მეჭეჭაშვილის ბინიდან გადამალული რევოლვერი ამოიღეს, რომლის შესახებაც მამამისმა, რაჟდენმა, არაფერი იცოდა... ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სწორედ ამ იარაღიდან იყო გასროლილი ტყვია, რომელიც იპოვეს დანაშაულის ადგილზე...

* * *

სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომანის დაბეჭდვა გაჭიანურდა და აგაბო დათვიბლაძემ მხოლოდ 2012 წლის თებერვალის ბოლოს შემდეგ მისი წაკითხვა – წიგნი ლაშა დამურაშულის ხელით გამოუგზავნა ავტორმა, მასზე შესაბამისი წარწერის გაკეთებაც არ დავიწყებია.

* * *

რომანის გამოსვლიდან რამდენიმე თვეში კი შოფრის იღუმალებით მოცული მკვლევლობის საქმე ისევ მოხდა ტელევიზორთა ეკრანებზე; საზეიმოდ გამოაცხადეს: “ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების მაღალი პროფესიული ოსტატობისა და მუხლჩაუხრელი რუდუნების შედეგად აღმასხან ჯამიაშვილის მკვლევლობის საქმე წარმატებით გაიხსნა!”.

მოხდა კი შემდეგი რამ...

2012 წლის მაისში გივი მეჭეჭაშვილი ახალ შარში გაეხვია – ერთ-ერთ დამის ბარში ჩხუბის მონაწილეები დააკავეს და მათ შორის გივიც აღმოჩნდა. როგორც შემდეგ გაირკვა, გივის გაწვევა-გამოწვევაში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული, თუმცა ადგილზე ჩხრეკისას მას “მაკაროვის” სისტემის პისტოლეტი უპოვეს და, თუ სხვები მაშინვე გაასამართლეს და საპროცესო გარიგებით ფულის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, გივიკო წინასწარი დაკავების საკანში დატოვეს...

რაჟდენ მეჭეჭაშვილის ნაცნობობამ, დარეკებებმა, შედეგი არ გამოიღო – საპროცესო შეთანხმების მოთხოვნა უარჰყვეს...

პირდაპირი სამხილი არ არსებობდა, – ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, აღმასხან ჯამიაშვილისთვის ამ პისტოლეტიდან არ უსროლიათ, – მაგრამ ისარგებლეს ამ გარემოებით, იარაღის პოვნით, და მოისურვეს, გივი მეჭეჭაშვილს, ჟარგონი რომ ვიხმაროთ, “აჰკიდონ” თუ “შეტენონ” აღ-

მასხან ჯამიაშიველის მკვლელობის საქმე: იგი კარგა ხანს ნარკოტიკებს ეთამაშებოდა, პოლიციის განყოფილებაშიც ხშირად ხვდებოდა და ორჯერ ნასამართლევიც იყო: პირველად ერთი წელი მიუსაჯეს, თუმცა მხოლოდ ექვსი თვე იჯდა საპატიმროში – ამნისტიამ მოუსწრო, მეორედ – პირობითი სასჯელი შეუფარდეს ორი წლითა და ექვსი თვით...

გივი მეჭეჭაშვილს წინასწარი დაკავების სამთვიანი ვადა შეუფარდეს და მისგან მოითხოვენ აღიარებითი ჩვენების მიცემას და მხოლოდ ამ პირობის დაკმაყოფილების შემდეგ თუ დათანხმდებიან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

ტელევიზიით ტენდენციურად აშუქებენ ინციდენტს და სულსწრაფი რეპორტაჟები საქმეს წინასწარ თითქმის გახსნილადაც კი აცხადებენ. გულდაგულ მოიძიეს გივი მეჭეჭაშვილის მაკომპრემეტორებელი მასალები: ნარკოტიკებს ეთამაშებოდა... მთვრალმა რესტორანში ვიღაც დანით დაჭრა... მრავალჯერ მოახდინა ავტოავარია... ქუჩაში პატრულს მანქანა არ გაუჩერა, მერე გზა გადაუღობეს და გივიმ პისტოლეტიდან მღვერებს სროლა აუტეხა...

რაჟდენმა ახლა რაღა ქნას? ამ ბინის გაყიდვის შესახებ განცხადებას გამოკვრაც მოუწევს – ფიქრობს, საპროცესო გარიგებით შეიღოს რაც შეიძლება ნაკლები სასჯელი დაუწესონ. მაგრამ უშველის კი ამ ნაბიჯის გადადგმა? ადვოკატს უნდა მოეთათბიროს... ოჯახი დროებით ალბათ ნათესავებთან შეაფარებს თავს.

ამ დროს – ახალი გასაჭირი: ერთი შეხედვით რკინის ქალი, გივის დედა, უუჟუნა ფცქიალაშიველი, საავადმყოფოში გააქანეს – მიოკარდიუმის ინფარქტი... კიდევ ერთი გულისხეთქვა, ცოლის მკურნალობის ხარჯებიც მიიმედ დააწვება ოჯახს...

* * *

ამბის მოულოდნელი დასასრული: მარტოხელა მოხუცმა, უშანგ აქშიგოქშაძემ, გივი მეჭეჭაშვილის მეზობელმა, მიიტანა განცხადება სამგორი-ისნის პოლიციის განყოფილებაში: მაგ ბიჭს გაანებეთ თავი, უდანაშაულოა, ის შოფერი მე მოგვკალიო...

უშანგ აქშიგოქშაძე დააკავეს, სასწრაფოდ ჩატარდა დაკითხვა.

ექვმიტანილის პიროვნების შესახებ აუცილებელი მონაცემების აღნუსხვის შემდეგ, გამომძიებლის პირველი კითხვა ასეთი იყო:

– როგორ და რა დროს ჩაიღინეთ თქვენს მიერ აღიარებული დანაშაული?

– რა დროსაც მოხდა, კარგად მოგეხსენებათ... როგორ? ჩვეულებრივად... – უპასუხა ექვმიტანილმა.

– ჩვეულებრივად? რატომ, რა დაგიშავათ?

– იმ უბედურმა მე პირადად – არაფერი... არც კი ვიცნობდი, არც არასდროს შეგხვედრივართ ერთმანეთს.

– უცნაური განცხადებაა... მოტივაციის გარეშე მიიმე დანაშაულის შეგნებულად ჩადენა, გაუგებარია... თქვენი ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა იქნება საჭირო.

– მე სრულიად ჯანმრთელი ვარ, ამ მხრივ მაინც... ფსიქიკურად...

– აბა, ნორმალური ადამიანი სრულიად უმიზეზოდ უცნობ ადამიანს არ ესროდა. თქვენზე ეჭვი არავის აუღია, და უცებ აცხადებთ, მე ვარ მკვლეელიო... თქვენ ალბათ აკვიატებული ბრალეულობის გრძნობა გაწუხებთ და ამიტომ აღიარებთ თქვენს მიერ ვითომ ჩადენილ დანაშაულს. უცნაურია, ხომ შეთანხმებით.

– ყველაფერი ბევრად მარტივად აიხსნება... მე მიზეზი მქონდა. სხვებისთვის რამდენად საფუძვლიანი იყო ეს მიზეზი, ეს უკვე სხვა საკითხია.

– თქვენი მტკიცებით, გარდაცვლილს არ იცნობდით, არც სახელი იცოდით მისი, არც – გვარი და ამის მიუხედავად მაინც გაიმეტეთ სასიკვდილოდ?

– ღირსი იყო!

– გაუგებარია...

– მე თქვენ გეუბნებით, ნაბიჭვარი იყო, ეგეთი ადამიანები არ არიან სიცოცხლის ღირსი! თუმცა, მე მისი მოკვლა არ მინდოდა, მხოლოდ ფეხში დაჭრა – ჭკუის სასწავლებლად.

– რა დააშავა ისეთი? და თუ დააშავა, ხომ შეგეძლოთ, გეჩივლათ, საქმე მართლმსაჯულებისთვის მიგენდოთ და ჯამიაშიველს პირადად არ გასწორებოდიო?

– ამას წვრილმანად ჩათვლიდნენ, სასაცილოდაც არ ეყოფოდათ, ესე არ არის? რაც ეს საპროცესო გარიგება შემოიღეს, ფულიანმა ხალხმა გაიხარა – გადაიხდი და გამოძვრები, იფ, რა კარგია! მკვლელებსაც კი ათავისუფლებენ...

– ასეთი მაგალითი მე არ გამიგონია.

– ყოველ შემთხვევაში, სასაცილოდ მცირე სასჯელს რომ აკმარებენ, ეს ხომ ბევრჯერ გინახავთ?

- ვეჭვობ, რომ აღმასხან ჯამიაშილის ოჯახს საპროცესო შეთანხმებისთვის საჭირო თანხის შეგროვება შეძლებოდა, თუნდაც სახლ-კარიც გაეყიდათ. კარგით, სხვებს შევეშვათ, თქვენ პირადად რა უფლება გქონდათ, რომ გაასამართლეთ, განაჩინიც გამოუტანეთ და აღასრულეთ კიდევ?
- დიახ, აღელვებული ვიყავი და ვერ მოვზომე, მაგრამ არაფერს ვნანობ! სიცოცხლეში ერთხელ მაინც მივენდე გულისნადებს და უკან არ დავიხიე...
- და უმამოდ დატოვეთ ორი მცირეწლოვანი შვილი...
- იქნებ ეს შემთხვევა გახშიანდეს და სხვებისთვის ჭკუის სასწავლი გახდეს.
- თუ სისასტიკის მაგალითად გამოდგეს? როგორც ჩანს, გამოძიებასთან თანამშრომლობას თანხმდებით...
- დიახ...
- დაწვრილებით მოგვახსენეთ, რა გახდა თქვენის მხრივ დანაშაულის ჩადენის მიზეზი?
- ყველაფერს ახსნი. ეს მოხდა 21 თებერვალს, დღე ზუსტად მახსოვს. შუადღე იქნებოდა, როცა ჩემი ბინის აივანზე ვიყავი და დავინახე, რომ თვითმცლელი დიდი მანქანა შევიდა ჩემს მიერ გაშენებულ ნარგავებში...
- სად მდებარეობს ეგ ნარგავები?
- ახლოსაა, ქუჩის გადაღმა, ჩემი აივანიდან კარგად ჩანს. ვხედავ, დადის ეს მანქანა წინ და უკან, გადათელა ყველაფერი... გავბრაზდი, ისე გავბრაზდი, მეტი არ შეიძლება და მაშინვე ჩავვარდი ქვევით – მაინტერესებდა, ვინ იყო ის თავხელი. მივედი და ვხედავ, მძლოლი გადმოსულა კაბინიდან, იქიდან საზურგეც გადმოუტანია, იმაზე წამოწოლილა და ბუტერბროდს მიირთმევს...
- ეგ მძლოლი აღმასხან ჯამიაშილი იყო?
- დიახ, როგორც მერე შევიტყვე მისი ვინაობა. ძალიან გაცეცხლებული კი ვარ, მაგრამ მაინც თავი შევიკავე, ვამუნათებ: “შე კაი კაცო, გასაჩერებელი ადგილი სხვა ვერ ნახე, მაინცდამაინც ხეები და ბუჩქები უნდა გადათელო-მეთქი?”. ერთი ნეკერჩხლის ხე ძირში გადაემტვრია, ბორბლით პირდაპირ ზედ გადაველო... ეს ხე ლოლიაგით გავახარე, შვილივით ვუვლიდი, ზაფხულში ყოველდღე წყალს ვუსხამდი... გაიცინა, აგდებით მეუბნება, მოცლილი ყოფილხარ ვიღაცაო. თავი ველარ შევიკავე და ვუყვირე: “ახლავე აეთრიე და მანქანა გაიყვანე აქედან, თორემ უფროსებთან გირივლებ ან პატრულს გამოვიძახებ-მეთქი”. უცებ წამომიხტა და ხელი მკრა, თან შემაგინა, შენი ასე და ისე, საცა გინდა, მიჩივლე, ფეხებსაც ვერ მომჭამო... მე კიდევ ჩემი ვუთხარი და ისევე მკრა ხელი, ამჯერად ისეთი გამეტებით, რომ წავიქეცი და მარცხენა ბეჭი დავარტყი მიწას...
- საჩივრელად არავის მიმართეთ?
- არა, წამოვედი შინ, დაუევილ ადგილას კომპრესი დავიდე და დავწექი.
- ეს მოხდა 21 თებერვალს...
- დიახ, შუადღე გადასული იქნებოდა. მეორე დღეს ჩემი აივანიდან დავინახე, რომ იგივე მანქანა ისევ შევიდა ნარგავებში...
- ანუ 22 თებერვალს.
- დიახ, 22 თებერვალი იყო, იმ დღეს გაიხსნა პარლამენტის საგაზაფხულო სესია...
- დაახლოებით რომელი საათი იყო?
- შუადღეზე, იქნებოდა ესე დაახლოებით პირველი საათი – ორის ნახევარი..
- შემდგომ რა მოხდა?
- ავიღე იარაღი...
- სად გქონდათ შენახული?
- იქვე, აივანზე, რკინის კარადაში მქონდა დამალული.
- და გაისროლეთ?
- არა, შორს იყო, თან მანქანაც ევარებოდა. მე დავუდარაჯდი, ბინოკლი თან მქონდა. დაახლოებით ერთი საათი ვუცდიდი ხელსაყრელ მომენტს...
- უშანგ აქშიგოქშადის თქმით, მას არ ჰქონდა განზრახული აღმასხან ჯამიაშილის მოკვლა, მას მხოლოდ სურდა, მისთვის დაზიანება მიეყენებინა და ამიტომ დაუმიზნა ფეხების არეში, მაგრამ სწორად ვერ გათვალა VIII სართულის სიმაღლიდან გასროლისას ტყვიის ტრაექტორია, მაღლა მოუვიდა ნასროლი, რამაც გამოიწვია კიდევ საბედისწერო შედეგი.
- უშანგ აქშიგოქშადემ ჩააბარა მკვლელობის იარაღიც და ისიც აღიარა, რომ იგი მან 950 ლარად შეიძინა კარგა ხნის წინათ – “ტაქსაობის” დროს – მისთვის უცნობი პირისგან შუამავლის დახმარებით...

ბროწეული

მოთხრობები

ბროწეული

ბევრი მცენარის შესახებ მაქვს დაწერილი ჩანახატი, მიკვირს, ერთ-ერთ ყველაზე საყვარელზე კი მხოლოდ ახლა გაგიფიქრე – ბროწეული როგორ გამოიჩინა?

მდეღვარებით შეგუდექი წერას...

ჯერ როგორი ნატიფი ფორმის ყვავილი აქვს, მერე – ფერი? ნაყოფი?

რამდენჯერ გეოლოგებს, შემოდგომით ველზე გასულებს, გარე კახეთის სამხრეთში – ელდარში, პანტიშარაში, ჩათმაში თუ სხვაგან – ხევებში ზურგჩანთები გაგვივსია ბროწეულის ნაყოფებით...

ქართველ მხატვრებს განსაკუთრებით უყვართ ბროწეულის ბრდღვიალა ყვავილის თუ პირდაფჩენილი, ლაღის მარცვლებით გაძეპილი თბილი ფერის მრგვალი ნაყოფის გამოსახვა თავიანთ სურათებში, აძლევენ მას სიმბოლურ დატვირთვას – ქართული მიწის ბარაქიანობისა, ნაყოფიერებისა, ოჯახის სიმრავლისა, სიღამაზისა...

ბროწეულის სისხლისფერ ყვავილებს დიდი ხნის წინათ მცირე ლექსიც ვუძღვენი:

ორღობის სასწაული

ღობესთან წინ წაწეული,
ვხარობ ტოტით მოწეულით:
ყვავილების ძოწეულით
ნაკვერჩხლებს ჰყრის ბროწეული!

2011 წლის 5 იანვარი.

კინოგადაღება

კინოსცენარის ესკიზი

მხატვრობაში უამრავი ნაწარმოებია შესრულებული პრინციპით “სურათი – სურათში”; სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიც არის შექმნილი რომანები, რომლებშიც სხვა რომანის ამბავიცაა მოთხრობილი; მრავლად არის ფილმებიც, რომლებშიც მოქმედება კინოგადასაღებ მოედანზეც ხდება (ქართველებსაც აქვთ ასეთი ფილმი გადაღებული – ლია ელიაფას “სინემა”).

კიდევ ერთი იდეა სცენარისა “კინო – კინოში”, ოდნავ “დახუჭუჭებული” სიუჟეტით:

კინოკომპანია “იქსში” მსჯელობენ მომავალი ფილმის სცენარზე, რეჟისორზე, ოპერატორზე, კომპოზიტორზე, დაფინანსების წყაროებზე, მსახიობებზე და ასე შემდეგ – ფილმის გადაღება ხომ ურთულესი შემოქმედებითი, ფინანსური და საწარმოო პროცესია. მეორე, კონკურენტ კინოკომპანიას, “იგრეკს”, რომელსაც ფინანსური კრიზისი ემუქრება, სურს, როგორმე გამოძვრეს მძიმე მდგომარეობიდან და გადაწვეტს, “იქსს” მოპაროს სცენარი, სასწრაფოდ გადაიღოს მის მიხედვით ფილმი და თან ფინანსური კრახიც განაცდევინოს კონკურენტ “იქსს”.

“იქსი” შეიტყობს “იგრეის” ზრახვათა შესახებ და შეაჩქებენ ყალბ სცენარს... “იგრეი” არ ენდობა ამ მოპოვებულ მასალას და “იქსის” ერთ-ერთი გადმობირებული თანამშრომლის მეშვეობით იგებს, რაც სინამდვილეში “იქსის” გადასადებ მოედანზე ხდება – ხელთ იგდებს გადაღებულ შავ მასალასაც კი... მაშინვე სასწრაფოდ იღებს საკუთარ ვარიანტს – არ სჭირდება დამუშავება მიზანსცენების, გარემოს მხატვრული გადაწყვეტისა და სხვათა, ამიტომ ბევრად იაფი გამოსდის კონკურენტის მსგავსი “პროდუქციის” წარმოება; ასევე, ცდილობს, მაქსიმალურად სწრაფად წარმართოს ფილმის დამამთავრებელი, სამონტაჟო პერიოდი, რათა პირველმა გამოუშვან ეკრანზე “საკუთარი” ვერსია ფილმისა...

მაგრამ “იგრეის” მესვეურებს განზრახვა ჩაუფლავდებათ: თურმე, რასაც “იქსი” იღებდა, მხოლოდ ჩანართი იყო მეორე, ნამდვილი ფილმისთვის, რომელიც კინოგადაღებას და მასთან დაკავშირებულ დრამატულ პერიპეტიებს ასახავდა...

2010 წლის 23 ივლისი.

რომ ჩაგხედე მორევს – ფსკერზე კენჭები ჩანს...

ჩემი მეგობარი, ხანშიშესული მხატვარი მიყვება:

რაჭაში, გურამიკა რომ მყავდა ბიძაშვილი, ვერ იყო კარგად, გარდაიცვალა, საწყალი.

დავასაფლავეთ...

მოკლე ხანში ორმოცი ჰქონდათ და სექტემბერში კვლავ მომიწია სოფელში ჩასვლა. ციციწო იყო კაი გოგო და: “ბიჭო, გოგინიკაო, გახსოვართ?”. შევხედე და: “როგორ არ მახსოვხარ, მთელი სოფლის ბიჭები შენზე გიჟდებოდნენ-მეთქი!”. “უი, უი, როგორი ლაპარაკი იცი!” – დაიმორცხვა, თავი დახარა, თან – ესიამოვნა, დამტკნარი სახე ღიმილმა კიდევ უფრო დაუნაოჭა...

სუფრაზე დავლიე, ძალიანაც არ დავმთვრალვარ.

გვერდზე ჩემი ბავშვობის მეგობრები სხედან, სამოცი-სამოცდახუთი წლის მაინც არიან... დალევის თავი აღარც იმათ აქვთ.

– ბიჭებო, – მე ვუთხარი, – ჭერულაზე რომ ვბანაობდით პატარა ბოვშები, იქ უნდა წავიდე და უნდა ვიცურავო!

– რას ამბობ, ბოშო, – მეუბნებიან, – იქ რა წავიყვანს, მხოლოდ ურმით გაივლი!

– შენ თუ ურმით გაიარე, მე ჩემი მანქანითაც გავალ-მეთქი!

ჰოდა, ჩავისვი სამი კაცი კიდევ და მივაწეით... გზა აღრეც არ ვარგოდა და ახლა სულ მთლად გაუბედურებულია.

მაინც მივალწიეთ მდინარის მაღალ ნაპირს.

სადამოვლება, ირგვლივ ყველაფერი გარინდებულა, ნიავიც კი არ იძვრის; მხოლოდ მოუღლევი პატარა მდინარის სიმღერა ისმის...

აგვისტოს იმ დღეს კი, როცა გურამიკას ვასაფლავებდით, მთელი დღე ცა ფეხად ჩამოდიოდა.

მზის სხივები მხოლოდ ხეობის სულ ზედა ნაწილს სწვდება, ქვევით, ფერდობების ტყის მწვანე – ჩამუქდა.

მთები, ტყე, მდინარე, ის დიდი ქვა – ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ჩემს ბავშვობაში, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ.

ჩანჩქერიც ისევ ისე გადმოსჩქეფს და მის ძირში ზუსტად ისევე დაუგუბებიათ ბავშვებს წყალი. ხომ იცი, დათვი რომ ერთ ადგილზე მოდის ორმოცი წელი, მერე მისი შთამომავლები დადიან იმავე გაკვალული ბილიკით...

რომ ჩაგხედე მორევს – ფსკერზე კენჭები ჩანს...

როგორც ნახევარი საუკუნის წინათ!

წამოვიძახე:

– ახლა აქ რომ არ ვიბანაო...

გავიძვრე საჩქაროდ ტანზე და ესევე თავით გადავეშვი!

ოჰ, რაც მე იქ ვისიამოვნე!..

ჩემი ძმაკაცებიც რომ ჩამომყვნენ?!

წყალი საკმაოდ ცივია, ორ მათგანს ინფარქტი აქვს გადატანილი...

ახლა ესენი ვეღარ ამოვიყვანე – ბავშვებივით ცელქობენ და ხარობენ!

– ბოშო, დღეს რა დაგემართათ, – მე ვუთხარი, – სულ აქ არა ხართ?

სოფელში გველიან, დავაგვიანეთ; რომ დაგვინახეს, შეგებით ამოისუნთქეს, ჩემზე თქვეს:
– რაგარი სუნელიც (სულელი) იყო ე ბოვში ბოვშობაში, ისთევე სუნელად დარჩა!

2010 წლის 1 ოქტომბერი.

ორმო

ხანშიშესული მხატვარი, კარგა ხანია, ნაძალადეგში არ ყოფილა; ახლა, კვირადღეს, დასაფლავებაზე მოუწია იქ მისვლა და უკან ბრუნდებოდა.

გაგიდა ქუჩაზე, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ ცხოვრობდა, ბავშვობა ამ უბანში გაატარა.

შეჩერდა, კარგა ხანს იდგა და ნაცნობ ქუჩას გაჰყურებდა. დიდად არაფერი შეცვლილა, მხოლოდ მაღაზიები მომრავლებულა და ფირნიშებია ახლებური, ინგლისური წარწერებით; ახალი ასფალტიც დაუგიათ.

შევიდა მშობლიურ ეზოში...

ყველაფერი ისევ ისეა... თითქმის, თითქმის...

რომ დაუკვირდა: სადღაც რაღაც მიუშენებიათ, დაუშენებიათ... ერთგან – ხასხასა მწვანედ შეუღებიათ აივანი, მეორეგან – მჭახე წითლად, ეზოს ჩვეული საერთო რუხ-მონაცრისფრო კოლორიტი აუჭრელელებიათ...

ერთი ციციქნა ეზოში კაციშვილი არ ჩანს, გადაშენდნენ?.. სამი უცხოური მანქანა ძლივს დატეულა: “მერსედესი” და ორი “ფოლკსვაგენი”, მათგან ერთი – სულ ახალი “პასატი”.

მხატვარს შეეხარბა: თვითონ 12 წლის “ფოლკსვაგენ-გოლფით” დადის, შესაკეთებლად მიიყვანა ხელოსანთან და ამიტომ დღეს ფეხით მოუწია საკმაოდ შორს პანაშვილზე წამოსვლა.

კედელზე ბინისა, სადაც დაიბადა, მარმარილოს დაფა გაუკრავთ...

“ვაჰ, წინდაწინ ვინ გააკრა, ჯერ ხომ ცოცხალი ვარ...” – ირონიულად გაიღიმა.

სათვალე გაიკეთა, ახლოს მივიდა; დაფაზე წერია: “საბავშვო ბაღი”.

კარი ღიაა, ოთახში შევიდა.

ამ ოთახში დაიბადა, უფრო სწორედ – სამშობიაროდან აქ მოიყვანეს... და მერე კიდევ ოც წელიწადზე მეტხანს ცხოვრობდა ამ კედლებს შორის.

ყველაფერი შეცვლილია და მისთვის უცხო...

თუმცა, არა: ერთ კედელს დააკვირდა – მისი ძველი ნახატი შემორჩენილია... საოცრებაა!

დიდხანს უყურებს...

მოეწონა!

ძალიან უშუალოა და საინტერესოა ფერით. გასაკვირველია: მომწვანო-ვერცხლისფერი, რომელიც ჭარბობს ამ სურათში, ახლაც მისი საყვარელი ფერია, მრავალი მისი სურათი ახლაც ამ გამაში არის გადაწყვეტილი...

გამოვიდა ეზოში – რამდენიმე შუახნის ქალი გამოჩნდა, მათ შორის ნაცნობი არაგინაა.

“როგორ ვიცნობ, როცა მე აქედან გადავედი საცხოვრებლად, ესენი დაბადებულებიც კი არ იყვნენ...”.

– ვის ეძებთ?

– მე აქ ვცხოვრობდი...

– მხატვარი ბრძანდებით?

– დიახ, მე ვარ...

– ვიცით, ვიცით! – არ დაამთავრებინეს. – აქ თქვენი მუზეუმი უნდა იყოს!

მხატვარი გაკვირვებული და გახარებულია ყურადღებით, თან – ეჭვიანად ეღიმიება: “ნიკო ფიროსმანაშვილს არ აღირსეს მუზეუმის აშენება, მე ვინ ვარ...”.

ამაღლებული განწყობით დაბრუნდა შინ.

მეორე დღეს დაიწყო დიდი ტილო: “ძველი ეზო”. ზეპირად ხატავდა, გასახსენებლად ძველ ეზოში მისვლა არ დასჭირვებია – ყველაფერი ზედმიწევნით კარგად ახსოვდა: თბილისური, ოთხი მხრივ ორსართულიანი, აივნებიანი სახლებით შეკრული მცირე ეზო, რიყის ქვებით მოკირწყლული ეზოს შუაში მდგარი ბუბერი აკაციის ხეც არ დავიწყებია, მის ძირში – ონკანი; მთელი ეზოს მაცხოვრებლები იქ იღებდნენ წყალს, პირს იბანდნენ, რეცხავდნენ...

რამდენიმე თვის შემდეგ მანქანით საგანგებოდ მივიდა: პერსონალურ გამოფენას აწყობდა და უნდოდა, მისი ძველი ეზოს მცხოვრებნი, მისი ხელოვნების დამფასებლები, მიეწვია – ახლაც ახსოვდა მათი სიტბო, მოფერება... როგორ შეაფასებენ მის ერთ-ერთ ახალ ნამუშევარს?

თან წამოიყვანა ოცი წლის შვილიშვილი, მისი სენია, მომავალი მხატვარი – ძველი ეზოს სა-ნახავად: იქნებ მანაც მოისურვოს ძველი ეზოს დახატვა, ალბათ თავისებურად გააკეთებს, პაპას არ მიბაძავს.

მანქანიდან გადმოვიდა და გაშტერდა: სადღაა მისი ასი წლის ორსართულიანი სახლი! ადარც – ეზო...

ფიცრული ღობის იქით თუხთუხი ისმის.

მხატვარმა ღობეს შემოუარა...

ექსკავატორი გრძელი და ღრმა ორმოს ამოთხრას ამთავრებს.

ეტყობა, ჩქარობენ – ორმოს ცალ მხარეს უკვე საძირკველისთვის ბეტონს ასხამენ...

2010 წლის 2 ოქტომბერი.

განხეთქილების საზამთრო

1.

საქართველოში გასამხედროებული რაზმის ”მხედრონის” პარპაშის დროებაა – 1992 წელი, ზაფხული.

ერთმა მარნეულელმა აზერბაიჯანელმა თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე, გასაყიდად ჩამოიტანა ადრეული საზამთრო.

უცებ, თითქმის ერთდროულად, გამოჩნდა ნიღბიან ”მხედრონელთა” ორი ჯგუფი და თავს დაესხნენ საზამთროს პატრონს საქონლის წასართმევად, ყვავებივით დააფრინდნენ.

მომხდურებმა ნადავლი ვერ გაიყვეს, ერთმანეთში იჩხუბეს და ამ მპარცველთა ორ ჯგუფს შორის ატყდა სროლა...

იყვნენ დაჭრილები და ორი მოკლეს კიდევ: ერთი – ყაჩაღთა ერთი ჯგუფიდან, მეორე – მეორედან...

2.

თითქმის 60 წლის მხატვარმა ტრისტან ტრიტონაშვილმა ხუთიოდე წლის წინათ თბილისიდან ოციოდე კილომეტრით დაშორებულ სოფელ შეეღეთში, ქალაქს საბოლოოდ გადასული ერთი კაციხვან, შედარებით იაფად, სააგარაკოდ იყიდა პატარა სახლი თავის მცირე ეზოთი. პირველსავე ზაფხულს მისმა ცოლმა და გასათხოვარმა ქალიშვილებმა ეზოში მცურავი დაინახეს და კივილით აიკლეს იქაურობა. ხმაურზე მოვარდნილმა მეზობლებმა სცადეს დაეწყნარებინათ ისინი, უხნიდნენ, რომ ეს გველი სრულიად უვნებელია, უშხამოა – მხოლოდ ბაყაყებს, ხვლიკებს და მწერებს ემტერებაო, მაგრამ ამაოდ... იმავე დღეს მხატვრის ცოლ-შვილი სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და მას შემდეგ ამ აგარაკს მათ ვერც უხსენებდი, არამცთუ აქ კიდევ ფეხი დაედგათ.

ამ ზაფხულსაც მხატვარი მარტო იყო ჩამოსული აგარაკზე, ხელს არაფერი უშლიდა და, ფრიად ნაყოფიერად, გატაცებით მუშაობდა პეიზაჟების ციკლზე.

ერთ მშვენიერ დილას ტრისტან ტრიტონაშვილი აგარაკის ეზოში, მწვანე მოღზე გაშლილ მოლბერტთან სკამზე იჯდა და ის-ის იყო ტილოზე მორიგი, ნახშირით მოხაზული, ჩაფიქრებული პეიზაჟის ზეთის საღებავებით დამუშავება დაიწყო, რომ ჭიშკრის მხრიდან მოესმა:

– გამარჯობა, გამარჯობა!

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! – უხალისოდ უპასუხა ტრისტანმა.

სიკო სიქიაშვილი იყო, ადგილობრივი ელექტროქსელის ინკასატორი.

“ნეტა რამ მოიყვანა? – გაიფიქრა მხატვარმა. – ერთი კვირის წინ ხომ იყო... თუ გამიბა ახლა აქ ლაილაი...”.

ეს ინკასატორი, შუახნის, ჯანიანი კაცი, საკმაოდ უხეში და ჯიჯღინა, თვეში ერთხელ გამოივლიდა ხოლმე – ელექტრომრიცხველზე ანათვალის ასადებად და ქვითრის გამოსაწერად.

სანამ ტრისტანი სკამიდან წამოდგებოდა, სიკო უკვე შუა ეზოში იყო შემოსული:

– ბოდიში, რომ გაწუხებ... – მისთვის უჩვეულო მორიდებით მიმართა მხატვარს. – პატივცემულო, შენთან ერთი თხოვნა მაქვს...

- ბრძანეთ, ბრძანეთ... – ტრისტანის პასუხს არცთუ სტუმრთმოყვრული იერი ჰქონდა – მოულოდნელი სტუმრობით ხელის შეშლა აღიზიანებდა.
- აი... – ფოტოსურათი გაუწოდა სიკომ, – ეს ჩემი ვაჟია.
- ავტომატმომარჯვებული შავუღვაშიანი, გაღიმებული ახალგაზრდა, ეტყობა, გადაღებისას პირდაპირ ობიექტივში იმზირებოდა.
- ლამაზი ბიჭია.
- აღარ არის... – სიკომ ამოიხვნეშა. – კვირას დავასაფლავებ. ამ დღეს უნდა დანიშნულიყო და... თბილისში, სროლაში დაიღუპა...
- ვიზიარებ თქვენს მწუხარებას... – და ტრისტანმა საკმაოდ ცივად განაგრძო: – რით შემიძლია, დაგეხმაროთ?
- მხატვარი კაცი ხარ, პატივი დამდე, ჩემი ბიჭის სურათი დამიხატე!.. – და მხატვარს რომ ყოყმანი შეატყო, დაამატა: – ფულს... უკან არ დავიხვე!
- ტრისტანს სურდა, თავიდან მოცილებინა მუშაობის მოულოდნელი შემფერხებელი:
- დიდი ხანია, პორტრეტზე არ მიმუშავია, შესაძლოა, ალღოც ვერ ავუღო, არ გამომივიდეს... თუ გნებავთ, მიგასწავლით კარგ მხატვარს, სწორედ ფოტოებიდან სურათის შექმნაზე არის დაოსტატებული, როგორც ცოცხალს, ისე დაგიხატავთ.
- მაგრამ სიკომ იმდენს ელიჭინა, რომ მხატვარს უარი არ გაუვიდა – იქვე ამოარჩევინა შესაბამისი სიდიდის სუფთა ტილო და ერთი კვირის შემდეგ შეკვეთილი პორტრეტის ჩაბარებას დაჰპირდა.

3.

- იმავე დღეს, საღამოს, ტრისტანს მეორე სოფლელი ეწვია – მეზობლად, ორი ეზოს იქით მოსახლე ნინია მამუჩიძე. ეს ნინია შუახნის ახოვანი კაცი იყო; ადრე შოფრად მუშაობდა კოლმეურნეობაში, ახლა – საკუთარი მანქანით “ტაქსაობდა”. მანაც უბიდან ამოიღო ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდის სურათი და მხატვარს თხოვა, შვილის პორტრეტი გაეკეთებინა.
- შემდგომ საუბრიდან გამოირკვა, რომ ახალგაზრდა თბილისში ტყვიის წერა გამხდარა...
- ჩემთან სიკომ იყო, იმანაც მთხოვა მისი ბიჭის სურათის გაკეთება.
- ჩემი ნასყიდა და მისი კოტე დეიდაშვილები იყვნენ...

4.

განხეთქილების საზამთრო მის პატრონს დარჩა. საზამთრო მეორე დღესვე საჩქაროდ ბითუმად გაყიდა და სოფელში დაბრუნდა; ალაჰს მადლობას სწირავდა ცოცხლად გადარჩენისთვის და დაიფიცა, რომ ქალაქისკენ აღარასოდეს გაიხედავდა.

2010 წლის 22 დეკემბერი.

ომარა

- ომარ თომარაშვილს იცნობდი?
- როგორ არა, ომარა ძალიან ნიჭიერი მხატვარი იყო, ხასიათითაც ძალიან თავისებური... პირდაპირ იცოდა ყველაფრის თქმა. ჩემი ძმაცაი იყო, სამხატვრო აკადემიაში ერთად ვსწავლობდით და სტუდენტობის საერთო საცხოვრებელშიც ერთ ოთახში ვცხოვრობდით ხუთი წელი. ერთხელ ანგამ, ჩვენმა ჯგუფელმა, ჩამოიტანა პურ-მარილი, ის ნაჭირაგებ ბინაში ცხოვრობდა.
- ანგია რა გვარი იყო?
- ტყეკაფიშვილი.
- ასეთი მხატვრის შესახებ არაფერი მსმენია.
- ანგია იყო ტექნიკური მხატვარი; ისე სულ ხუთებზე დაამთავრა სამხატვრო აკადემია და მერე მუშაობდა სარეკლამო ბიუროებში... არავინ იცნობს, არ იყო შემოქმედი, გამოფენებში ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა. ჩვენ დაგვცინოდა: ”ამისთვის ხარჯავთ დროსო?” – ფულს აკეთებდა. ნიჭიერი იყო, ხატვა ემარჯვებოდა, განსაკუთრებით გრაფიკაში იყო მაგარი, მთელ ჯგუფში მხოლოდ მაგან და ომარამ მიიღეს “ხუთი” გრაფიკაში, დანარჩენებმა – “ოთხი”. ერთხელ, სტუდენტები ვართ და ანგიასთან შევეგროვდით ოპერის უკან, სადაც ცხოვრობდა ნაჭირაგებ ბინაში, მე, ოთარა, ვაჟა თავგიკუაძე, მეორე ვაჟა – ხისფეხაშვილი... მგონი, ვაჟა ხისფეხაშვილმა ჩამოიტანა ღორი სოფლიდან, ღვინო ვიყიდეთ, ხახვი... როცა სუფრიდან ავიშალეთ, გარეთ გამოვედით, კაი ოთხის ნახევარია

დამის; რომ მიუყვება ძნელადის ქუჩა ქვევით, იქ დავეშვიტ, ოპერის უკანა მხარეს. მოვედივართ, ჰოდა, ომარა გვეუბნებოდა, თქვენ მხატვრები კი არა, ტილოს მთხუანავები ხართო. ბიჭები გაბრაზდნენ: “შენო რა უვარგისი, ჩათლახი, მაიმუნი ყოფილხარო...”; “მე რომ ჩათლახი ვიყო, თქვენს თვალწინ თავს არ მოვიკლავდი ახლათ”, “როგორ?”, “მე თუ ჩათლახი ვარ, თქვენს თვალწინ თავს მოვიკლავო”; “როგორ მოიკლავო, როდის იყო, ჩათლახი თავს მოიკლავდაო”. ასე კინკლაობენ და გადავიდა ომარა ტროტუარზე, მეორე მხარეს, ამოიჩნია ერთი რკინის ჭიშკარი და რომ გამოქანდა და რომ ხია თავი ამ ჭიშკარს – გადაუსკდა თავი და გადმოეფლაშა კანი... სანამ ვინმე მივარებოდა, კიდევ შევლიპა თავი და დაარტყა, ჩამოთქრიალდა სისხლი, დედა უტირა საკუთარ თავს... ჰოდა, არ გავეუშვიტ, თორემ მართლა იკლავდა თავს იმ წუთში. გულით არ იყო ალბათ მთლად ჩათლახი...

– თავი დამცირებულად იგრძნო.

– რაღაცა იგრძნო და მერე გავაჩერეთ... დამე იყო, მანქანები არ მოძრაობდნენ. იქ ვიღაც მორიგე იყო, გამოვაძახებინეთ ტელეფონით სასწრაფო დახმარება; გავეყვით საავადმყოფოში, იქ თავზე ჭრილობა გაუკერეს... “რა მოხდა?” – იქ იკითხეს. “დათვრა, თავს ურტყმდა კედელს ეგ შობელძალეო!”, “ეგ ნერვიულია, ეტყობა”, – ექიმმა. ძლივს გადარჩა. მაშინ არ ჰყავდა ცოლ-შვილი, სტუდენტები ვიყავით: ზოგი – მოწყობილი, ზოგი – მოსამზადებელ კურსებზე, აკიდებულნი ერთიმეორეზე; არეულად ვიყავით. მაშინ ცოლ-შვილიანი რომ ყოფილიყო, ხომ აღარ გააკეთებდა ამას, ველარ არჩენდა, ხომ?

– ცოლი ჰყავდა?

– როგორ არა, კაი გოგო, მანანა გობიანიძე. იცი, როგორ შეხვდა? სამხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტები ვიყავით ფერწერის პრაქტიკაზე, ნიკორწმინდაში, რაჭაში. გამოიარა მეორე კლასის გოგომ და “მოდი, გოგო, დაგხატო, კაი გოგო ხარ!” – მოეწონა ომარას; დახატა, მერე მის მშობლებთან მივიდა, ეს გოგო უნდა ვითხოვო ცოლად, დაგხატავთ ყველას, ვინმეს სხვას რომ გაატანოთო. ბიჭებს უთხრა: “ახლა მეო, თქვენ შეიძლება, დამცინოთო, მაგრამ ეს გოგო უნდა მოვიყვანო ცოლადო”. “რა სისულელეს ლაპარაკობ, ბავშვია, როგორ უნდა ითხოვო ცოლად?” – მასხრად აიგდეს. “ამასთან მე მექნება მიწერ-მოწერა, გაიგე?”. მართლაც, მიწერ-მოწერა ჰქონდა, ყველაფერი და ხშირად ჩადიოდა ხოლმე სოფელში, აქეთ-იქეთ და... მანამდე სულ აჩაჩულ-დაჩაჩული დადიოდა, იქ რომ წავიდიოდა, გაიკეთებდა ჰალსტუხს, სუფთად გაიპარსავდა პირს, გამოიპრანჭებოდა უფლისწულივით, ვითომ პრინცია... ასე გავიდა ათი წელი და ჩამოიყვანა ის გოგო თბილისში...

– ითხოვა?

– ითხოვა, ჰო, კაცო, ომარას ცოლი გახდა.

– რამდენი წლით იყო უფროსი?

– ომარა ათი წლით უფროსი იყო. მე ვმეგობრობდი ომარასთან, ორი ქალიშვილი ჰყავდა – ინგა და ნუცა; გურიიდან დედამისი ჩამოიყვანა, ეხმარებოდა ბავშვების მოვლაში. სახლშიც მოდიოდა ჩემთან. უბედური მწარე ენა ჰქონდა: “ბათუ, ნახატი მაჩუქე! დედაჩემიც ხატავს და არც შენ იცი ხატვა!”. “მაშინ ჩემი სურათი რად გინდა?” – ვეუბნებოდი; “ლამაზია და ჩამოგვიდებ, დედაჩემიც ლამაზად ხატავს!”.

– გაშაყირებდა?

– არ გაშაყირებო, ყველას კი არ ვეუბნებო; დედაჩემის ნახატის გვერდზე იშვიათად ვკიდებ ნახატებსო; ლამაზიაო, მაგრამ მეტი უნდა ისწავლო ხატვაო. თვითონ ძალიან მაგრა ხატავდა. ეგ რომ დაჯდებოდა, უბრალოდ ყოფნა არ შეეძლო: ლაპარაკში დაგხატავდა, ერთი თხუთმეტ-ოც ნახატს გააკეთებდა შენგან, არ განერდებოდა. თუ შინ იყო მარტო, მიაჩერდებოდა სარკეში საკუთარ თავს – ფეხები რომ აქვს მიშვერილი სარკისკენ და სხვადასხვა რაკურსში ხატავდა და ხატავდა... მაგის დიდიხორი ჰქონდა. ფანტაზიით, წარმოსახვით შექმნის უნარი არ ჰქონდა, ნატურის მონა იყო. ღმერთი ისეთი ჩათლახია, მაპატოს, ძუნწია, ყველაფრის ნიჭს არ აძლევს კაცს. მაგას რომ შემოქმედებითი ნიჭი ჰქონოდა, – ასეთი ძალიან ცოტაა, – გენოსი იქნებოდა, მხატვრებს დედას უტირებდა, ვერცერთი მასე ვერ დახატავდა. ყველაფერში ხედავდა სისწორეს, ხაზს და საიდან რაა. მერე კოლაჟების კეთება დაწყო. დაბამულ ქურთუკს ამოატრიალებდა – “სპილო” იყო, გადაატრიალებდა – “ვირი”...

სასაცილო ამბების მოყოლა უყვარდა. ერთხელ დაუქირავებია სატვირთო მანქანა, ჰქონდა დიდი კოლაჟი მისატანი გალერეაში გამოფენაზე. ყველაფერი კარგად აქვს სურათს, მაგრამ ცენტრი აქვს მშრალი, შუშა აქვს ჩამტვრეული ნასროლი ტყვიისგან. ეს არის სპეციალურად გაკეთებული, იმაში აზრი დევს: ყველაზე სიწმინდე იქ რაც არის, იმას უკვე ტყვიამ დედა უტირა – ფილოსოფიური დატვირთვა ჰქონდა. წამოიღო შეფუთული ეს სურათი. მძღოლს უთხრა: “ნელა იარეო, ძმაო, აქ მილიონი რამეა გასატეხი, ამაში ფულია გადახდილი, ჩამაგდებ ზარალშიო”. რომ მივიდნენ, გახსნა და მძღოლს უთხრა: “ბიჭო ეს რა მიქნით, დამღუპეო, ამას აქ აღარ მიიღებენო, შენ კიდევ ფული უნდა მოგცეო?”. “არა, ძმაო, დამანებე თვით, შენი არც ფული მინდა, არც არაფერიო”. “ხომ გითხა-

რი, ნელა იარე, შე ჩათლახო”. “ზოგან ავუჩქარეო, აბა, რა გეგონაო”. გაუშვა, ფული არ მისცა, ეგეთი ტიპი იყო.

– რადგან შუშა ჰქონდა ჩამტვრეული?

– იცი, როგორი სურათი-კოლაჟი იყო? ეკლესია არის, ომია, აქეთ რაღაც გამურული შუშები, გზა მიდის... ყველაფერი გარუჯულია, დამწვარი თოჯინებია დაკრული, დახოცილ ბავშვების ფოტოები... “ვანდალები”, – ასე ერქვა იმ ოთხმეტრიან კოლაჟს. საგამოფენო დარბაზის ცენტრში დააკიდებინა. გაღვრის დირექტორს, გაუცინაძეს, უთხრა: “შენ ხარ მაიმუნების ერთიო, მე მოვიტან სურათსო, აბა, გოუძლოს მის გვერდზე შენმა სურათმაო”. იქ გზა უნდა მივიდეს ეკლესიასთან, სადაც ინახება ხატები; ჰოდა, ზუსტად იქ, სადაც კანკელია ჩასმული, ისაა ტყვიით გახვრეტილი. და ის დააბრალა შოფერს, შენ გამიტყეო – თვითონ ომარამ დაბზარა, გესმის?.. სპეციალურად ჩაქუჩით დაბზარა და ეს გამიტყეო, რა მიქენო, შარი მოსდო. გვაცინებდა მერე ბიჭებს, არ მივეცი ფულიო; სინმდვილეში მისცემდა ფულს, არ იყო ისეთი ტიპი, მაგრამ ის ხომ შეაშინა!..

– მახსოვს, დედამისის პორტრეტი ჰქონდა გამოფენაზე, ფოტოს ჰყავდა.

– ომარას ჰყავდა და, მასზე უფროსი, გავარდნილი ბოზი, რაღაც უბედური – დასდევდა მთელი ქუჩა. ერთხელ ვუთხარი, შენი და გავიცანი-მეთქი ნაძალადეგში, იქ ცხოვრობდა. მე კი არაფერი მიქნია, იმ ქალთან საქმე არ მქონია, მაგრამ იმის მერე შემიძულა – მიხვდა, როგორც გავიცნობდი იქა: სულ რამეს გლახას, სიმწარეს მეუბნებოდა... იმ დას შვილი ჰყავდა ვიღაც ქუთაისელის გაკეთებული ბუში, ჰოდა, ის ბიჭი საკუთარ გოგოებთან და ცოლთან ერთად ჰყავდა დახატული; ეს სურათი, – “ოჯახი”, – ჰქონდა სადიპლომოდ გამოტანილი. მისი დიპლომის ხელმძღვანელი იყო ედუარდ კოლხელი – საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი და ასე შემდეგ. ომარა მაგარი ტიპი იყო, გამოფენებზე მოვიდოდა ხოლმე გამოსწკპილი – ნატავ სად და როგორ შეიძენდა ისეთ ტანსაცმელს, უმაღლეს დონეზე რომ იცვამდა მთავრობის ხალხი კომუნისტების დროს. არადა, ცოლშვილიანი რომ იყო, აეკიდებოდა ვინმეს: ”სად წვედიეთ?”; წაიყვანდა სადმე რესტორანში, დაახარჯვინებდა ფულს... იქ ზეგრავედა, სუფრაზე ვის რა დარჩებოდა შეუჭმელი; იცნობდა ოფიციატებს, მორჩენილზე თქვენ არ მითხრათ რამეო; დიდი ჩანთა ჰქონდა, გაავსებდა იმ ჩანთას პურიო, სხვა ნასუფრალოთ – ცოლ-შვილთან მიჰქონდა... ჰოდა, მოვიდოდა გამოფენაზე გამოპრანჭული, ედუარდას აშაყირებდა. ედუარდა ეუბნებოდა: “შე მამაძაღლო, მე მოგნათლეო, მე დაგაწერინე შენს სადიპლომოდ ნამუშევარში “ფრიადიო”; კი გეკუთვნოდა, მაგრამ ახლა რას მერჩიო, ვინ ყოფილხარ შენო – კაცი რომ იტყვის: ვირო მადლიო, სწორედ შენზეა ნათქვამიო...”; “არაო, ედიკო, შენ რა მომნათლეო, შენ იყავი ჩემი დამცველი და გლახას ვერც იტყვოდიო, რა უნდა გეთქვა გლახაო”.

– ახლა რას შერება?

– სამი წლის წინათ მომეკვდარა, სახლთან ახლოს, – ქუჩაში მიმავალს, გული გასჩერებია. სამოცდაათს უკაკუნებდა, სტენოკარდია აწუხებდა. გამგლელებს ჰგონებიათ, ვიღაც ოხერი მთვრალი გდია ბოძთანო, ყურადღება არავის მიუქცევია. ვინმეს რომ ნიტროგლიცერინი მიეცა დროზე, გადარჩებოდა...

2011 წლის 10 თებერვალი.

ისევ გაზაფხულის ჩანახატი

ზუსტად ორი წლის წინათ, სწორედ 11 მარტს, დავწერე გაზაფხულის ჩანახატი და დღეს იმასვე ვაკეთებ – ახალ ჩანახატს.

შარშანდლისგან განსხვავებით, შეგეჭამა ზამთარმა, რომ აღარ გვანებებს თავს? კალენდრით, რა ხანია, გაზაფხული დადგა, მაგრამ ღამე ხომ ყინავს, სიცივეა დღეც... დილას მხოლოდ 4 გრადუსია; ამინდის ბიურო გვირდებოდა, რომ შუადღისთვის თბილისში ჰაერის ტემპერატურა 8 გრადუსს მიადწევს, ქარი გაძლიერდება და ატმოსფერულ ნალექსაც უნდა ველოდოთ.

გაფეხურებ მიდამოს X სართულის ფანჯრიდან: ცრიატი დღეა, მზემ მოგვანატრა თავი, ნუთუ დღესაც არ გაგვახარებს? რუსთავი ხომ დაბურუსებულია და არც დათოვლილი იაღლუჯა მოჩანს, თაბორის ქედი ოდნავ თუ გამოკრთება.

შარშან ამ დროს ბალახის ზურმუხტი ახარებდა თვალს, ახლა – ბოდიში! ქუჩაში გამგლელებზე ბევრად მეტი ავტომანქანა მოძრობს, ბედურებიც სადღაც გადაიკარგნენ...

ათ საათზე ცა განათდა, მზემ შემოიხედა ოთახში, – გამარჯობა! – მაგრამ მხოლოდ ათიოდ წუთით გაგვახალისა და ისევ დაგვემაღლა...

შუადღისთვის მზემ ისევ მოიცალა ჩვენთვის – ჩახჩახებს! გაზაფხული ძალას ნელ-ნელა იკრებს! მოცლილი კაცებიც გამორჩენენ ფიჭვის ქვეშ გამართულ მაგიდასთან, ნარდი გაუშლიათ, აგერ ერთი მეზობელი კი ეზოში მანქანას რეცხავს.

ქუჩაში მხედარი გამორჩნდა: თეთრ, ძალიან გამხდარ ცხენზე მიქანაობს...

რა უნდა შუა ქალაქში ცხენს?

მხედარი შუა ხნისა იქნება, გახუნებული რაღაც ძველმანები აცვია, მარჯვენა ხელში წკეპლა უჭირავს, მარცხენაში – მობილური ტელეფონი; მიუდგია ყურზე და ვიდაცასთან საუბრობს...

2011 წლის 11 მარტი.

წითელი და შავი

წინარი საღამოა. ზღვის პირას, პლაჟზე, ქალი და მხატვარი კაცი, უკვე ჩაცმულები, წასასვლელად ემზადებიან. სამოთხიდან წასვლა უძნელდებათ: ზღვის იოდიან-მარილიანი სურნელი ელამუნებათ სახეზე, ნიაგი ნაზად ქორჩავს ზღვის ზედაპირს...

მხატვარმა თვალი გაუშტერა ჰორიზონტის კიდესთან ზღვაში ჩასაყვინთად გამზადებულ ფორთოხლისფერ მზეს, მერე მზერა გვერდზე გადაიტანა – ნაპირის ქვიშას როგორ ებღვინებოდა ავად პირდაფრენილი აქორჩილი ტაღლა...

აწრიალდა, ჯიბეებში ამოდ დაიწყო ფათური – მაინცდამაინც დღეს დაავიწყდა წამოეღო სახატავი რვეული და ფანქარი... უცებ ნათლად წარმოუდგა სურათის იდეა და მოუნდა, მაშინვე ფიქსაცია გაეკეთებინა მოულოდნელად მოფრენილი ჩანაფიქრისა, ესკიზურად მაინც, რათა შემდგომ არ გაფერმკრთალებს ან სულაც დაიკარგოს; კი დაიმახსოვრებს, მშვენიერი ხედვითი მახსოვრობა აქვს, მაგრამ ახლა ხომ შინაგანი მზერით წარმოდგენილი სურათი “ცოცხალია”, ცინცხალი, თითქოს პირდაპირ მის თვალწინ დგას! და თუ პატარა ჩანახატს გააკეთებს, ბევრად უკეთ აღებუჭდება გონებაში ხილული სახეც და ემოციური ხატიც...

როგორ ჩაიხატოს, ხელთ არ აქვს ქაღალდის ნაგლეჯი მაინც... სილაზე ხომ არ მოხაზოს? უნებურად წამოიძახა:

– ფანქარი მაინც მქონდეს...

ქალმა შეამჩნია მისი წუხილი და ტუჩების პომადა გაუწოდა:

– ეს არ გამოდგება?

– არა, ძალიან ვუღვარული, მყვირალა იქნება, დამახინჯებული გამომივა.

– არც ეს? – ამჯერად ქალმა მხატვარს პატარა ხელჩანთიდან ამოდებული წამწამების ტუში შესთავაზა.

– ეს კი ბევრად უკეთესია, მაგრამ რაზე დავხატო? ერთი ფიცრის ნატეხი მაინც გდებულებო სადმე...

– აი, რომელიმე იმ ხის ტანზე? – ქალმა ხელი გაიშვირა ფიჭვების კორომისკენ, რომელიც სანაპიროს აკრავდა.

– არ ვარგა... ფიჭვს ხეში ზედაპირი აქვს, თანაც აქედან დღესვე უნდა გავემგზავროთ...

– ევრიკა! ჩემი ტანი ხომ გლუვია, ივარგებს?

– ზურგი კარგი იქნება! გერასდროს ვიფიქრებდი, რომ მეც ოდესმე მომიწევდა მხატვრობა ადამიანის სხეულზე – ბოდი არტი...

ქალი მაშინვე გაშიშვლდა.

მხატვარი მივარდა, გიჟივით სწრაფად დაიწყო ხატვა...

– გენაცვალე, ძალიან გთხოვ, გაუნძრევლად იდექი!

– კარგი, იქნებ ჯობს, ხეს მივეხუტო?

– ვაჰ, უშენოდ რა მეშველებოდა!

ფიჭვნარში შესულებს შეხვდათ მზეზე გამლგვალი ფისის გამბრუებული სურნელი. ქალი ხესთან მივიდა, მის ტანს მიეკრა, მაგრამ მაშინვე შეჰკივლა და განშორდა:

– ჭიანჭველები დაცოცავენ!.. თან ფისიანია, ამას რა მოაშორებს...

– აბა, რა ვქნათ?

– ბალახზე რომ დაეწვე?

– გენიოსი ხარ!

როცა მხატვარმა ტუშით მუშაობა დაამთავრა, უყურებს, უყურებს... მერე ქალს მიმართა:

– მომეცი შენი პომადა!

და შავი ნახატი ალაგ-ალაგ შეავსო წითლით.

თვითონვე მოეწონა:

– შედეგია! ასეთი ჯერ არაფერი შემიქმნია!
 – მე რომ ვერაფერს ვხედავ? ამიწერე რა!
 – ძალიან უბრალო მოტივია, სულ რამდენიმე ხაზია, მაგრამ ისე უცებ ამოტივტივდა ჩემს გონებაში, აი, ამ პეიზაჟის ხილვით, რომ შემეშინდა, შემდეგ ველარ გავიმეორებდი ასე სისხლსავსედ... ხომ იცი, ჩემი ნამუშევრით კმაყოფილი იშვიათად ვარ. რა ხანია, ვეძებდი, რაიმე საინტერესო მოტივს, ვწვალობდი და ბოლოს, რა უბრალოდ და შთამბეჭდავად გამომივიდა! ეს არის ვეფხვის ბრძოლა მზესთან! ვეფხვი მხოლოდ დენადი, მღერადი კონტურული ხაზია; მზეც თავდაპირველად შავი კონტურით გაგაკეთე, შემდეგ წაგშალე სველი ცხვირსახოცით და პომადით გაგაკეთე წითელი დისკო...

– იქნებ ჯობს, იმ დისკოს გარშემო შავი კონტური ჰქონდეს?

– იცი, რა ვქნათ? შინ რომ მივალთ, შენი ტანიდან ზუსტ ასლს გაგაკეთებ, მერე იმ ასლიდან დავიწვევ “თამაშს” – სამ-ოთხ სურათს გაგაკეთებ: ზოგს – პასტელით, ზოგს – ზეთის საღებავებით, იქნებ გრაფიკულადაც ვცადო რამდენიმენაირად...

შინ მისულმა მხატვარმა ქალის ტანიდან ნახატი გადაიტანა სქელ სახატავ ქაღალდზე, შემდგომ სხვადასხვაგვარად სცადა ფერწერული ტილოს შექმნა.

კომპოზიცია ყველას მოსწონდა, ქალიც – აღტაცებული იყო, მაგრამ თვითონ მხატვარი აშკარად ხედავდა, რომ ეს ასლი იყო... ქალს უთხრა:

– ძვირფასო, ორიგინალი – შენს ნაზად ტონირებულ კანზე, ბევრად უკეთესი იყო!

– მართლა? ნეტა ფოტო გადამეღო! იცი რა? არ დაიჯერებ და ის სურათი ჩემს ტანზე ახლაც ცოცხალია!

– ნუთუ მას შემდეგ ტანი არ დაგიბანია? ორი კვირა მაინც გავიდა!

– არა, ტანი კი დავიბანე და რამდენჯერმე მაინც, მაგრამ... შეხედე!

ქალმა კაბა გადაიძრო და, შიშველი, მხატვრისკენ ზურგით მიტრიალდა.

მხატვრის სურათი ამოსვირინებულ იყო!

მართალია, მხატვრის თავდაპირველი ნამუშევარი გადასხვაფერებული იყო – სხვა ტექნიკით იყო შესრულებული-გადაყვანილი, – მაგრამ თავისებური დეკორაციულობა შერჩენილი ჰქონდა და იქნებ შემდგომ ამ მოტივზე შექმნილ სურათებს ყველას სჯობდა!

2011 წლის 6 ივნისი.

მე შენ ადრეც გნახე!

ახალგაზრდა მხატვარი აკაკი კიკინაძე ავტობუსით შინ ბრუნდებოდა. გვიანი იყო, ავტობუსში სულ ხუთიოდე მგზავრი თუ იქნებოდა. შემდეგ გაჩერებაზე მათ წინა კარიდან ამოსული მეექვსე დამატათ – მაღალი, შავთმიანი ქალიშვილი. ნარნარად გადმოღვა რამდენიმე ნაბიჯი და მხატვრის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა.

აკაკიმ შეხედა თუ არა, გული აუფართხალდა – უცნაურმა შინაგანმა ხმამ უკარნახა: “ის არის!”.

აკაკისკენ ერთხელაც არ გაუხედავს, მხატვარი კი მიშტერებოდა და გული ეთანდრებოდა – სახატავი რვეული ყოველთვის თან დააქვს და რაღა დღეს დაავიწყდა წამოღება? ასეთი ჩვევა აქვს: შინ არის თუ გარეთ, როდესაც კი ამის საშუალება ეძლევა, განუწყვეტლივ აკეთებს ჩანახატებს, უმეტესად – შავი პასტიანი კალმისტრით ან ჩვეულებრივი რბილი ფანქრით. ჯიბეები მოიქექა, იქნებ ქაღალდის ნაგლეჯი მაინც მოვიძიო; მხოლოდ თითქმის დაღეული ფანქარი აღმოაჩინა ხალათის გულისჯიბეში, თანაც – ქიმიური... საიდან და როდის მოხვდა იქ?

მარცხენა ხელისგულზე ქიმიური ფანქრით ჩუმად დახატა ქალიშვილის გრაფიკული პორტრეტი...

ავტობუსიდან ჩასულ ქალიშვილს უკან ჩრდილივით აედევნა, ნახა, სადაც ცხოვრობდა.

შინ მისულმა ქალიშვილის მოზრდილი პორტრეტი შეასრულა, რომელიც არც ისე მოეწონა – ხელისგულზე ნაჩქარევად გაკეთებული ჩანახატი უკეთესი იყო.

ამიტომ ამ ხელს არ იბანს, ნახატს ინახავს...

ქალიშვილის ხატება ყველგან თან სდევს, ბოლოს, მოახერხა მისი გაცნობა და მაშინვე სიყვარულში გამოუტყდა. გოგომ არ დაუჯერა:

– როგორ შეიძლება, ადამიანი ერთი ნახვით შეიყვარო?

- რატომ ერთი ნახვით? მე შენ აღრეც გნახე! კარგა ხნის წინათ...
 - არ მჯერა!
 - აი, თუ არ გჯერა! - აჩვენა ხელზე დახატული მისი გრაფიკული პორტრეტი...
- საოცარია, ერთი შეხედვით ძალიან უბრალო ნახატია, ძუნწი - სულ რამდენიმე კონტურის ხაზია გაგლებული, მაგრამ მოდელის არსი მშვენივრად არის გადმოცემული - სინაზე, სინატიფე და სრულყოფილება, უფრო კი ჩანს ბიჭის აღფრთოვანება ქალიშვილის განუმეორებელი ხიბლით... ამ გატაცებამ მიანიჭა პორტრეტს ესოდენი შთამბეჭდაობა!
- შინ მაქვს ამის მიხედვით შესრულებული უფრო დიდი ზომის რამდენიმე გრაფიკული პორტრეტი და უნდა გულწრფელად გითხრა, ბევრი ვიწვალე, მაგრამ ჩემთვის მოსაწონ შედეგს ვერაფრით მივაღწიე. აი, ეს, ხელზე ნაჩქარევად გაკეთებული ჩანახატი მიუღწეველი დარჩა და ამიტომაც დღემდე არ წამიშლია.
 - მერე, რამდენ ხანს უნდა იარო ასე?
 - მთელი სიცოცხლე, თუ ბედმა არ ინება ჩემი მარცხენა ხელის დაკარგვა...
 - ჰა-ჰა-ჰა! მაგ ხელს აღარასდროს დაიბან?
 - სამუდამო აღბეჭდვა მინდოდა და სხვა ვერაფერი მოვიფიქრე... ფოტოს გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ ნახატი გაფუჭდებოდა - ეს დენადი ხაზები უხეში გამოვა. სხვა გამოსავალი არსებობს და გთხოვ, დამეხმარო.
 - რით?
 - წამომყევი და ნატურიდან ფერწერულ პორტრეტს შევასრულებ...
- რამდენიმე სეანსში პორტრეტი დაასრულა. გოგონას მოეწონა, მაგრამ მხატვარი უკმაყოფილო იყო - უნდოდა, განეგრძო პორტრეტზე მუშაობა, მაგრამ ქალიშვილი შეეხვეწა:
- ნუღარ გადააკეთებ და, თუ გინდა, ახალი პორტრეტი დაიწყო, მე მზად ვარ!

* * *

ორმოცდაათი წლის შემდეგ, მათ ოქროს ქორწილში მხატვარმა მოწვეულ სტუმრებს კედელზე გვერდიგვერდ დაკიდებულ ორ ფერწერულ პორტრეტზე მიუთითა:

- ხომ კარგებია? ორ კვირაშია ორივე შექმნილი.
- ცოლმა დაამატა:
- რაც შევუღლდით, მას შემდეგ ორმოცდაათი წელიწადი გავიდა და ჩემი ერთი პორტრეტიც კი აღარ გაუკეთებია. - მერე ღიმილით, თან დანანებითაც, ქმარს მიმართა: - შეცვდი, როცა შენს ცოლობას სწრაფად დაგთანხმდი - კიდევ რამდენიმე ჩემი პორტრეტი იქნებოდა ამათ გვერდით...

2000 წლის 18 თებერვალი.
2011 წლის 17 მარტი.

სინკა

უკვე ხნიერმა მეცნიერმა, პროფესორმა კაცმა, ერთ-ერთი კერძო სასწავლო ინსტიტუტის რექტორმა, რომელიც, მის მსგავს სწავლულთა უმრავლესობისგან განსხვავებით, მშვენივრად მოერგო ახალ დროებს და ფულის სიმწირესაც არ უჩივის, ახლა თავისი არმაზული აგარაკისთვის კაპიტალური, ბეტონისა და რკინის მესრის შემორტყმა გადაწყვიტა - ძველად არსებული რკინის ბადის ნაცვლად. ამისთვის მოიწვია ძველი ხელოსანი - სამოცდაათს მიტანებული ბიძინა.

მე და ბიძინა, - ასევე, ბუნების კეთების ოსტატი, შეიძლება ითქვას, ხელოვანიც, - თითქმის სამოცდაათი წლის, მრავლის მნახველი, ერთიანად თმწვერვათეთრებული, მაგრამ ჯერ კიდევ ძალღონით სავსე კაცი, არმაზში, მტკვრისპირა მაღალი ფლატის კიდეზე ვდგავართ და უკვე კარგა ხანია, ვსაუბრობთ სულ სხვადასხვა საკითხებზე...

გავყურებ გაღმა ულამაზეს სარკინეთის მთას, ქვევით - მღვრიე, ტალახისფერ-მომწვანო მტკვარს:

- ერთ ადგილას როგორ ბუღრაობს წყალი ნაპირთან, როგორ ლოკავს! ბიძინა მპასუხობს:
- აი, შეხედე იქა, წითლად და ლურჯად რომ ჩანს, ცელოფანების ნაგლეჯები რომ არის, იქამდის ადის წყალი წყალდიდობისას. წყლის დონიდან იქამდე არის ერთი 4-5 მეტრი.

- საწყენია, არ უფრთხილდებიან... ნაგავს რატომ ყრი მდინარეში? ეს არის მემილიონედი, დანარჩენი წყალმა წაიღო. რატომ ათახსირებ?
- ეს კიდევ დიდია წყალი და იტანს, მიაქვს და რაღაცა. ეხლა რომ დაიკლებს და ნაპირებზე რომ არის გაფენილი ცელოფანები...
- პლასტმასის ბოთლები და უბედურება...
- ეს ხომ დიდი უბედურებაა და უნდა ამოიღო ხმარებიდან.
- ქალაქის პარკები უნდა იყოს, როგორც ადრე - ის გაიხრწნება და ამას კი არაფერი შეეღლის, - მეთანხმება ბიძინა. - წყალი რომ დავარდება, ნაპირები სულ საგსეა, მოფენილია ნაგვით. საშინელებაა: ამ ულამაზეს ადგილში - ნაგავი.
- თევზსაც წამლავს პლასტმასა. მტკვრის წყალს სასმელად ხმარობდნენ წინათ. თბილისში თუ ლუხნები ჩადიოდნენ წყლის პირას, აავსებდნენ ტიკებს, კასრებს, აჰქონდათ ქალაქში და ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ, ჰყიდდნენ, წყალსადენი სანამ არ იყო. ძალიან გემრიელი წყალი ჰქონია მტკვარსა.
- აი, ხევის წყალი... მეზობელი მყავს ერთი, თქვენი ტოლი არის, ცოტა უფროსი. იმან მითხრა, რომ ხევის წყალი, იმას რომ გემო აქვს... სხვათა შორის, დამილევია, მომწონებია მეც, არ დაგვირგვებია - ის უფრო გემრიელია, თუ ეს უფრო გემრიელია. გამახსენდა იმისი გემო: ხევიდან რომ მოდის, ჯერ ისევ მღვრია, არის გემრიელი ძალიან. დიდ მდინარეში მაინც უამრავი სიბინძურე იღვრება. გორში შპალსაუღენტ ქარხანაში ჩემს ბავშვობაში გაექცათ შპალის საუღენტო სითხე, - გახეთქა საცავი - და ჩაიღვარა მტკვარში; სულ თეთრად იყო მტკვრის ნაპირები - ამსიდიდე თევზები ეყარა, მაშ! მეორედ მოხდა კიდევ და მტკვრის ნაპირები სულ გაშავებული იყო. აბინძურებენ, თვითონ სპობენ თავიანთ ბუნებასა და თავიანთ ქვეყანას...
- თითქოს მტრის ქვეყანა იყოს... არ ვიცი.
- დღეს ყველასთვის ეს ქვეყანა არის გამოყენების.
- გლეჯენ, წეწავენ და ბრდღენიან... რას არ უშვებია.
- იმის ფიქრი არ აქვთ, რომ, რატომ ჰქონდათ გლეხებს მოწიწება ბუნების მიმართ? მამაჩემი დიდად განათლებული არ იყო - ყველაფერს უფრთხილდებოდა. პაპაჩემის ტოლები, - მამაჩემს თავი დავანებოთ, კიდევ გამოსული კაცი იყო, - გლეხები ბაღახზე არ გაივლიდნენ, გაიქვლებო, ჯეჯილში არ გადაივლიდნენ, ბავშვებმაც იცოდნენ, ფრთხილობდნენ, რომ გაფრთხლება უნდოდა.
- ბავშვობაშივე სწავლობდნენ...
- ჰო, ჰო, იქიდანვე უნდა ჩადო ბავშვში ესა, თუ არ ჩადე, ადამიანი არ არის; სახე კი აქვს ადამიანის, მაგრამ... ბუნებით უნდა იყვეს ადამიანი, მთავარი ევ არი. ჯერ ჩაცმა ავიღოთ. მე, ახლა, უკვე დავბერდი, მაგრამ ის მახსოვს და იმითი გავიზარდე - იმ სილამაზით. შეიძლება, ვიღაცამ დამცინოს, ის რა სილამაზეაო, გლეხიკაცი როგორ იცმევდა.
- ესეც ხომ ლამაზია - აი, ყვავილზე რომ დაკიდებულია - ბზიკია თუ რაღაცა, უზარმაზარი, ჭრელი, შაფყითელხოლებიანი... ბოლიში, შეგაწყვეტინეთ.
- მოხუცები რომ დადიოდნენ... - აგრძელებს ბიძინა. - მე პაპაჩემი არ მახსოვს არცერთი - არც დედის, არც მამის მხრიდან, ადრე დაიხოცნენ. დედაჩემის მამა ყოფილა ვაჟკაცი კაცი, ძეხვის საამქრო ჰქონდა ვარანცოვზე; მაგარი კაცი, გალიბანდი ეხურა, ჩოხა-ახალუხს ატარებდა.
- რა ჰქვოდა?
- სიკო. ჰოდა, ერთხელ მოდის რიყეზე, - ის ძველი ქალაქის უბანი ხომ გახსოვთ თქვენა, - მოდის რიყეზე - მაღალი, ხმელი კაცი ყოფილა პაპაჩემი, გალიბანდი ახურავს, ჩოხა-ახალუხი აცვია. და ორი მილიციონერი აუხირდა: "შენ ვინ ხარო, თავადი ხარო?", "არაო, გლეხი ვარო". "აბა, რას იბღინებები, რას დადიხარო". უყურა ამან: "მე ჩემს გზაზე მივდივარ, თქვე შობელძაღვლებო, შეგავინეთ რამე თუ ხმა გაგვცითო", - აიღო, ერთსაც შემოსცხო, მეორესაც. მაშინ ის სანაპიროს ჯებირი არა ყოფილა, ჩაყარა ფერდობზე მტკვარში. ჰოდა, წამოვიდა შინა. ის ვეღარ მოტვინა, რომ ნამდვილად იპოვნიდნენ. და როგორ ახლა: მოდიან თურმე, ეძებენ, და რომ ამოვიდნენ ვარანცოვზე, გამოვიდნენ იქით და: "აი, ასეთი და ასეთი კაცი სადა ცხოვრობსო". "სიკო?... ა, სინკა? ესეთი კაცი სინკაა, გორკის ქუჩის 18 ნომერში ცხოვრობსო". წარმოსადეგი კაცი ყოფილა, თან უბანში ყველა იცნობდა. ჰოდა, მოვიდნენ. მოვიდნენ და გამოუხედნია პაპაჩემს სიღრმიდან, ერთი ოთახი ჰქონდათ მაშინ; ვერ მოუსწვრია, რომ დაეგროვებინა ცხოვრება - ოთხი შვილი ჰყავდა და სულ ახალგაზრდა მოკვდა რა, გადაჰყვა იმას... მოვიდნენ ესენი, აბა, - ბებიაჩემს ბაბუცა ერქვა, ლამაზი ქალი იყო და პაპაჩემი ეჭვიანი კაცი ყოფილა, მაგრამ რომ გაუჭირდა ახლა - "ბაბუცი, გადი, გადიო, მიხედე შენაო! გიორგას დაუძახეო, გაბოს დაუძახეო, კოლას დაუძახეო... - ეს კოლა ქვისლი იყო, - სუფრა გაუშაღეო, რამეო, თორემ დამიჭერენო". ჰოდა, "მობრძანდით, მობრძანდით! - იპატიუებს ბაბუცა, თან იძახის: - გიორგა, გამოდი აქა, კოლა, გამოდი აქა!", - ჰოდა, მოვიდნენ ყველანი. ახლა, ისინიც უცბად მიხედნენ, რაშია საქმე: "მობრძანდით, მობრძანდით!". გაშალეს ცინცხლად პატარა მაგიდა, მოიტანეს იმან - ცოცხალი, იმან - ღვინო, იმან - მწვანელი და კიდევ რაღაცა... "მობრძანდით, რა გნებავთო". "კაცო, ერთი კაციო, აქეთ მოგვასწავლესო". "ვინო?", "აი, ასეთი კაცია, ასეთიო". "ვერა

გხედებითო, დაბრძანდით, აბა, ერთი ჭიქა დაგვიღიეთო”. ჰოდა, რომ დააღვივინეს ორი ჭიქა, სამი ჭიქა, მერე: “ჰო, ეს ხომ ჩვენი სინკააო! სინკა, გამოდიო, შენთან არიანო, შენი ძმაკაცები არიანო!”. ჰოდა, გამოვიდა სინკა; ესენი წამოხტნენ, ხელი იტაცეს თურმე იარაღზე. ეხლა, გიორგა, კახელი კაცი იყო, მე კარგად მოვესწარი, მეზობელი იყო, ეს კოლა იყო, ქვისლი – პაპაჩემის და ჰყავდა ცოლად, გაბო იყო ერთი, ოსი კაცი, სომეხი ადასიკა – დმერთმა აცხონოს, ისეთი კარგი კაცი იყო... ისე კარგად ცხოვრობდნენ, აი, ყველა ეროვნების ხალხი... ჰოდა, “ეს კაციო სინკაო”... ესა, ისა, დააშოშმინეს. “ჩვენა ვტყუებულვართ, ეს კაცი ესე დაგვიხატესო”... აქეიფეს ესენი და გამოუშვეს. მერე, არ დაიშალა პაპაჩემმა, ის ძეხვის საამქრო რომ წაართვეს, ეს ყველაფერი ჩამოართვეს კომუნისტებმა, ბიჯო, არ დაიშალა და წავიდა, – ისევე კახეთში, – ორი ვაგონი დაიჭირავა, ჩამოიყვანა ღორები. ნავთლულის სადგურში ეს ორი ვაგონი დაუღუქეს, ეს სინკა გამოაგდეს და კინაღამ დაიჭირეს; ეგ ხომ არ აკმარეს, მივიდნენ მერე, სახლში რაც ჰქონდა, სულ გამოუცალეს და ერთი სკამი დაუდგეს შუა ოთახში – ერთადერთი სკამი, რომ მორიგეობით დამსხდარიყვნენ, დანარჩენი იქ აღარაფერი იყო. გახდა ეს კაცი ავად, ინერვიულა, წნევამ დაარტყა... დედაჩემმა თქვა, მე ვიყავიო მაშინ რვა წლისა, დაგდედიო ექიმთან პოლიკლინიკაში, მე ჩაყვებოდი ხოლმეო და იქ გასინჯავდნენ, რამეო, მერე უკან მოდიოდით – ნელ-ნელა უკან მოდიოდა. არანეულებრივი კაცი... ერთხელაცო, ფანჯრის რაფაზე იდო ეს ქული, გალიბანდი, ყარაკულის ქული, ყველა ყარახოხელს ეგეთი ესურა, – “შვილო, ქული მომაწოდეთ”, ფანჯარაზე ავიტოტეთ, ავიდე და მივაწოდეთ. “ის სარკე მომეციო”, სარკის ნატეხი ჰქონია – სხვა აღარაფერი ჰქონდათ, სუყველაფერი წაღებულა... “მივაწოდეთ, დაიხურა ეს ქულიო, ჩაიხედა სარკეში და დაიწყო ტირილიო”. ესე იგი, დედაჩემს დღესაც ახსოვს, – დედაჩემი არის ოთხმოცდაათ წლამდე, ცოცხალია, – ეს ჩარჩა გონებაში, ძალიან მძაფრად, რაც იყო. პაპას დედაჩემი ჰყვარებია ძალიან, უფროსი შვილი იყო და ტირილი დაიწყო: “ეს ქული გაუცვეთავი მრჩებაო”, – მოიხადაო, მომაწოდეთ და იატაკზე დაწვაო – საწოლი აღარაფერი ჰქონდათ... რამდენიმე დღეში აღესრულა... აი, ესეთი უბედურობები გამოიარა. რა იყო, იცი, რაზე იბრძოდა? შრომობდა, ყველაფერი ეს შექმნა, გააკეთა და ჯერ არაფერი ჰქონდა, სახლიც არა ჰქონდა, იმ კოლა ძიას სახლში ცხოვრობდა. რაც რამე ფული ჰქონდა გაკეთებული, რაც კომუნისტები შემოვიდნენ, დაეხარჯა, მერე – ავადმყოფობაში და დარჩა ესე... მოკვდა პაპაჩემი. ჯერ აქ ამოუყვანიათ, ძეგვში, და მერე, ცუდად რომ გამხდარა, უფროს ძმას, კოლა ერქვა, დაუწვევია ურემზე და ურმით ჩაუყვანიათ ქალაქში, რამდენიმე დღეში მოკვდა. ბიძაჩემი, დედაჩემის ძმა, ამ კომუნისტებს ძალიან მისტიროდა. “შე კაი კაციო, – მე ვეუბნებოდი, – შენ რომ დღეს გიჭირს, შენ რომ დღეს ესე ხარ, მომავალი ფაქტიურად არ არი, რას მისტირი?”. “მეო პენსია მქონდაო კარგიო, ამათ დამიკარგესო, ესო, ისო”, “მამაშენს რომ იმოდენა ქონება ჰქონდა, წაართვეს და სიცოცხლეც წაართვეს-მეთქი? ის არაფერი იყო, იმაზე რატო არ ფიქრობ?”.

– ეჰ, რას იზამ, ჩემო ბიძინა... დრონი ვითომ იცვლებიან და ერთი, თითქმის ასწლიანი ჭირი კი ვერაფრით მოვიცილეთ: ვინც ბუნებით ახლის შემქმნელია, საქმის გამკეთებელი, ენერგიული, დღესაც გასაქანს არ აძლევენ, უკეთეს შემთხვევაში – “წილში უჯდებიან”, უფრო ხშირად კი – ყოველი ხერხით ახრჩობენ: უზომო გადასახადებით, ქონების ყაჩაღური წართმევით და, არცთუ იშვიათად, ციხეში ჩასმასაც არ ერიდებიან შეთითხნილი ბრალდებით...

– სოსო ბატონო, დრო ყოველგვარ ნაგავსა და ჭუჭყს წაიღებს, როგორც ამ მტკვარს მიაქვს...

2011 წლის 5 ივნისი.

მწვანე მოლზე – თხილის ჩრდილში

მცირე, დაბალჭერიან მაღაზიაში რაღა არ იყიდება – კომპაქტდისკებიდან და სათვალთვალ კამერებიდან დაწყებული და სათამაშო ავტომობილებითა და ჯინსის შარავლებით დამთავრებული.

შუა ივნისის შუადღეა, ცხელა.

ერთ კუთხეში მობილური ტელეფონების, ბატარეებისა და მისთანანის გამყიდველი, ორმოცი წლის ბუღალსავით კაცი, უკვე საკმაოდ გამელოტებული და ტანდაბობილი, დახლიდან აწევს გუშინდელ ნაბახუსევ თავს და გამყიდველ ქალს ეუბნება:

– არა, დიდი მადლობა, ყავა არ მიშველის... ახლა ერთი სოფელში, ჩემს ეზოში წამომავრა მწვანე მოღზე – თხილის ჩრდილში!.. რა გაცინებთ, იცით, რამსიმსხოა? აი!.. – ორივე ხელის ცერებისა და საჩვენებლების მორკალული თითების წვერებს ერთმანეთს მიადებს კი არა, ერთმანეთისგან საკმაოდ შორსაც დაიჭერს...

ნეტარებით გაღიმებულ სახეზე თვალებს მიღუღავს, ამოიხრავს და თავს ისევ დახლზე დადებულ მკლავებში ჩარგავს...

2011 წლის 22 ივნისი.

თბილისი

სამი წლისა და სამი თვის ჩემმა ცელქმა შვილიშვილმა, როგორც იქნა, დაიძინა და ახლა მე, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას ძეგლის პირდაპირ ახალგაბილი სახლის მეთექვსმეტე, ბოლო სართულის აივანზე გამოსული, აღმოსავლეთით სახურავების ზღვას გავცქერი...

გაწოლილა თბილის-ქალაქი დედა-მდინარის, მტკვრის ხეობაში – დგანდგარებს, ფუთფუთებს, სუნთქავს, ფუსფუსებს, ძინავს, ყვირის, ჩურჩულებს, განაბულია – დადარაჯებული მაძებარივით, თამაშობს – უზრუნველი ბავშვივით,, მიდი-მოდის – ჭრელაჭრულა, ფართხუნა კაბაში გამოწყობილი ბოშა ქალივით და მხიარულად პირდაკრეჭილ მზეში აბრჭყვიალებს ხურდა ფულის მძივებსა და საყურეებს... ბუქნავს – ტანწერწეტა ტელეანბა შეხტება მალლა ტაშისცემით გახურებულ “ხანჯლურის” მოცეკვავესავით, “ჰე!” – ომახიანად შესძახებს და თვალებიდან და ხანჯლის წვერიდან ნაპერწკლებს ჰყრის...

აქედან უხილავი მტკვარი გააბამს ძველებურ ბაიათს...

მერე უცებ – მკვეთრი ნახტომი უფრო ახლოს, დროშიც და სივრცეშიც: ვაჟა-ფშაველას გამზირი, აქეთ-იქით მორიალე ავტომობილებით გაძეპილი, ჯახის რიტმს აყოლილი, გადავარდება თავდავიწყების მორევში...

შორს – მახათას მთა, უფრო დასავლეთით – საგურამოს ცისფერი მთავრეხილი...

მათ შორის მოქცეულია თბილი ფერების ზღვა – თბილისი...

ნეტავ რა სჯობს ამას – დადექ და უყურე!

2011 წლის 23 ივნისი.

ზაფხული

ზაფხული... რა სჯობს ზაფხულს!

დილის 11 საათია, მზიანი ამინდია, საკმაოდ ძლიერი ქარია.

მივდივარ მეტროს სადგურ “ვარკეთილისკენ – იქ ერთ მაღაზიაში უნდა ჩავაწერინო ფათს ვოლერის, ჯანგო რეინჰარტის, სონი როლინზის მონოგრაფიული ჩანაწერები კომპაქტ-დისკებზე.

გავიარე დიდ კორპუსებს შორის და გავედი მზით გაბრწყინებულ პატარა მინდორზე, სკოლის წინ.

რა კარგია სიმწვანე! დღეს 1 ივლისია და ბალახი ჯერ ხასხასაა; აქ სიწყნარისა და სიმშვიდის მცირე ოაზისია – მანქანების ღრიალი ვერ აღწევს, ისმის მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი და გვერდით, სპორტულ მოედანზე ბურთს გამოდევნებული ბიჭების ჟივილ-ხივილი...

მივუყვები ბილიკს მაღალ ბალახებს შორის... აუჰ, რამდენი ვარდკაჭაჭაა, დაუჭყეტიათ ლურჯი თვალები – დღეს წვიმას ნუ ელეთო! ღრუბლის ნასახი არაა – მართალს გვეუბნებიან ლურჯ ცას მიჩერებული ლურჯი ყვავილები ვარდკაჭაჭასი!

ნაირფერი ყვავილები ჭიატობს ბალახების მწვანე ხავერდის ფონზე: ყვითელი – ბოლოკურასი, თეთრი – მიწაზე გაწოლილი ხვრთქლასი; იასამინისფერი, ძალიან წვრილი და ხშირი – სამყურასი

მსგავსი ბალახიასა, ყვითელი – მაღალი, ასევე, სამყურას მსგავსი ბალახის, რომლის ლაღად წამოზრდილ “ტოტებზე” ბელურები შემომსხდარან და ქანაობენ ქარში, კენკავენ მის თესლს, ბოლოში კი ჯერ კიდევ ყვითელი ყვავილებია... შერიუკას აშვერილი დეროებიდან უკვე ჩამოცვნილა დამწიფებული თესლი, – დვარძლასა და ჭანგასი, – ჯერ კიდევ მწვანეა...

ახლა რამდენი თეთრი პეპელა დაფარფატებს, რამდენი უხილაგი ხოჭო თუ ჭიანჭველა დაძრომი-აღობს-საქმიანობს

ბუნების შვილებს – ხე-ბუჩქ-ბალახს, მწერსა თუ ფრინველს – უხარია და მეც მიხარია!

მზე რომ დასცქერის მზრუნველად ყოველ სულიერსა და თვით უსულოსაც და თბილი ხელებით-სხივებით ეალერსება – მასაც უხარია!

მიყვარს ზაფხული!..

2011 წლის 1 ივლისი.

მწვანე კონცხი

დღეს 2011 წლის 8 სექტემბერია და ორ კვირაში 75 წლისა ვხდები – ხანდაზმულობიდან ოფიციალურად გადაინაცვლებ მოხუცთა კატეგორიაში! და ვრწმუნდები: არ ტყუიან, ვინც ეს ზღვარი დაადგინა – სწორედ ახლა ვიგრძენი, რა არის, როცა გაშლს გემრიელად კი არ ჩაკბენ, არამედ – დანით მიითლი... ქუჩაში მარტო გასვლისა გერიდება, რამე არ მომივიდესო... მოძრაობისას ყოველ ძვალ-სახსარში რაღაც ჭრაჭუნობს... ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა!

ხერხემლის ტკივილმა რომ შემაწუხა, არა და არ გამიარა, ვისარგებლე დღევანდელი მზიანი დღით, ლოჯიაში ფანჯარა გამოვადე და მზის გულზე ზურგშექცევით დაფჯექი – წელამდე გაშიშვლებული, ჯერ კიდევ მცხუნვარე სხივების ნიაღვარს ნეტარებით მივეფიცხე.

გვრძნობ, მზით გახურებულ კანს როგორ აგრილებს გაღებულ ფანჯრიდან სუსტი ნიაგის წამოქროლება, როგორც...

და მაშინვე მწვანე კონცხი გამახსენდა! მისი პლაჟი!

გეოლოგიურ ექსპედიციებში მუშაობისას სად არ მიხეტილია, რა არ მინახავს და ყველაზე ლამაზი და საყვარელი ადგილი მთელს დედამიწის ზურგზე ჩემთვის მწვანე კონცხია!

მე აღარც მეზობლის მეტისმეტად ხმამაღლა ჩართული ტელევიზორის ხმა მესმის, არც ქუჩაში მიმქროლავი ავტომანქანების გაუთავებელი ბლუილი...

ახლა – მწვანე კონცხზე ვარ!

რამდენჯერ ვყოფილვარ იქ ჩასული, რამდენჯერ მიკოტრიალია მის პლაჟზე, შევსულვარ ზღვაში და დაღლამდე მიცურია, მიყვინთავს...

დიდი, დიდი ხნის წინათ დაეწერე ლირიკული ჩანახატი “მწვანე კონცხი” – პირველი ნაწილი ტრიპტიქისა “სევდა მსრბოლი დროისა”. ახლა ისევ ამ თემას ვუბრუნდები...

ახლა რომ მწვანე კონცხის ხატება ამოტივტივდება ჩემს წარმოსახვაში, რა თქმა უნდა, უპირველესად ზღვა მახსენდება – დიდი-დიდი, მარად მოუსვენარი და ცვალებადი, მრავალსახა და გამოუცნობი!

გრძნეული ძალით იზიდავს შენს მზერასა და გრძნობას!

პლაჟი...

დილით: გრილი ქვიშა-სილა, ფეხისგულებზე რომ შემცივნულივით შეგაჟრჟოლებს, წყალი კი – სასიამოვნოდ თბილია, ალერსიანი...

შუადღეზე: მზის თვალი ათასგვარად ირეკლება, ინთება და ქრება მოლივლივე ზედაპირიდან, პლაჟის გახურებულ ქვიშაზე ფეხშიშველი ვერ გაივლი – დაგწვავს! ხელმარჯვნივ – ალივლივებულ პაერში ზღაპრულ მოლანდებასავით ცახცახებს ლურჯ ზღვაში შეჭრილი კლდოვანი კონცხის უხარმაზარი შავი სოლი და მის თავზე გვირგვინად დადგმული ტანმაღალი ხეების ერთიანი მწვანე ზღვა... ხელმარცხნივ – ყურეს იქით დაბურუსებულა შორეული ბათუმის ხედი ზღვის კიდებზე ამართული თეთრი შუქურათი...

საღამოს: თბილი, მომთენთავი, – დაღლილ ვნებასავით, – ზღვის დაღლილი ტალღები რომ პლაჟის კიდეს მიელამუნებიან, ზანტად ტყლაშუნობენ, მერე უკან უკუიქცევიან-დასრიალდებიან სისინშიშინით, რათა რამდენიმე წამში ისევ მოიქცნენ და კვლავ მიეალერსონ პლაჟს...

მართლა მწვანე კონცხი უნდა ერქვას: ყველგან სიმწვანის ზღვა – პალმები, ყვავილები, ბზა, ფერდობებზე შეფენილი მანდარინის პლანტაციები... მწვანე ზღვაში ამოხიდიული თეთრი სანატორიუმები-ხომალდები...

მხოლოდ ხავერდით რბილი და შავი ღამის დადგომისას ქრება სიმწვანე და ფანტასტიკურად დიდი და ბრიალა ვარსკვლავები თვალს უპაჭუნებენ შორს გაწოლილ მწრივს ბათუმის სინათლეებისა, მუქ ყურეში რომ ირეკლება და თამაშობს...

როცა წელს ავტობიოგრაფიულ რომანს “ვირუკაზე უკუღმა შავჯექი” ვწერდი, უამრავი ძველი ფოტოსურათი გადავათვალიერე... ზოგი – ნახევარი საუკუნის წინანდელი, ზოგიც – თითქმის 75 წლის წინანდელიც.

მწვანე კონცხზე ხშირი სტუმრობისას ჩემი მასპინძლები, – რა თბილი და ტკბილი ხალხი, უმამობას რომ არ მაგრძნობინებდნენ: ანიკო დეიდა, ვენე ბიძია, მათი ერთადერთი ვაჟი იური...

მე და რებეკა ბებია... ჩემი პირველი სურათი ნახევარი წლისას თუ ოდნავ მეტი ხნისას სწორედ აქ, უფრო ზუსტად – ბოტანიკურ ბაღში, – მაშინ ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობდა, – ბებიას კალთაში მჯდომს გადამიღეს... რომ ვუყურებ ამ სურათს, უცნაური გრძობა მიპყრობს – ნუთუ ეს მე ვარ? თავზე ჭრელი, მოქსოვილი ქუდი მახურავს, ტუჩები საყვარლად გამიბუსხავს, შიშველი ფეხების თითები გამიფარჩხავს... რა კარგად ვგრძნობ თავს ბებიის თბილ კალთაში!

უამრავი, უამრავი სურათი მაქვს გადაღებული მწვანე კონცხზე – სკოლაში სწავლისას და სტუდენტობისას ზაფხულობით და ზოგჯერ ზამთრის არდადეგებზეც ხომ აქ ვიყავი, ამ სამოთხეში... დმერთო, ერთხელ მაინც თუ მომიწევს კიდევ მწვანე კონცხის მონახულება?

2011 წლის 8 სექტემბერი.

რაც იყო, გახსოვს ყველაფერი ლანდივით...

მურტალია, ეს დრო როგორ გარბის და რაც იყო და გადაგიტანია, გახსოვს ყველაფერი ლანდივით...

იცო, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კარგი რა მახსენდება?..

ბავშვობისას ტყეში სიარული!..

რომ შეხვალ ტყეში – სოკოზე მიდიხარ... იქ წითელი ნიყვია, თეთრი არყა, ტრედო, მიქლიო, ცხვარიო... მჭადიო... ხევით სულ გადაბურულია – წაბლისა და წიფლის რტოებით, მიდიხარ გრილად ჩეროში... და ჩამოცვენილ ფოთლებში რომ ეძებ – ყველგან კი არ არის, ასეთი ადგილები ცოტაა. რომ მიაგნებ ადგილს და აგიფართხალდება სიხარულით გული... დიდი კალათი გაქვს, ზოგი გოდრითაცაა წამოსული...

შემშილობისას – დიდი ომის დროს – ტყემ გადაგვარჩინა.

მერე, სოკოს რომ გაასუფთავებ და კეცზე დაყრი, დააღაგებ ზედა და გაახურებ – შეწვავ ამათ უხეთოდ, ვგრევე, ბუნებრივად, ზევიდანაც ცხელ კეცს დაადებ... მაღვევ გადმოიღებ, ცოტა მარილს მოაყრი და სურნელი აქვს რაღაც საოცარი... რომ ჭამ, გეგონება, სხეულში ერთიანად სხვა რაღაც... აი, თითქოს ტყის მთელი სურნელი წამალივით შედის ორგანიზმში...

კარგ ხასიათზე დაგაყენებს, როგორც ის ტყეში ხეტიალი.

მერე კიდევ: გოდრებით რომ მიდიხარ წაბლის მოსაგროვებლად... არ ვაცლით თავისით ჩამოცვენას, იმიტომ, რომ მთელი სოფელი გასულია და უნდა მოასწრო; ჩამოყარო, ბუძებები გააცალე, ჩაყარო გოდორში და შინ წაიღო. რასაკვირველია, ესეც კარგია, მაგრამ უკეთესია, რომ დამწიფდება და ბუნებრივად ჩამოიყრება: მდიდარ ოჯახში ობოლი რომ გაიზრდება, ისე – ტყეში რომ დადის ფეხშიშველი, წვიმაში ფეხშიშველი, თოვლში ფეხშიშველი... ურტყამენ, ლახავენ, ტირის და მერე იმისთვის გლახა აღარაფერია – გამოწრობილია და თუ გინდა, სულ აგორავე. მიაყლდე წიხლები, გადააგორე – კერკეტი კაკალივით არის!

მდინარეზე ხომ – ნუ იტყვი! საბანაოდ და სათევზაოდ რომ დავდიოდით – ის კიდევ სხვა ამბავია...

2011 წლის 29 ოქტომბერი.

ადამიანი, რომელიც ყველაფერს ხედავს, ყველაფერს გრძნობს, ყველაფერი იცის...

ამ ბოლო დროს გაზეთებში დიდი სენსაცია გამოიწვია ზოგიერთი პიროვნების უცნაურმა უნარ-მა – თვალვინაობაზე, მხოლოდ ხელის თითების ბოლოებით, წაიკითხოს გაზეთის ტექსტი, გაარჩიოს ფერები და ასე შემდეგ.

მე მიზნად დავისახე, აღმოჩენინა და აღმოვაჩინე კიდევ მსგავსი თვისებების მქონე ადამიანი. იგი ახალგაზრდა ვაჟია, საშუალო ტანის, ერთობ ჩვეულებრივი გარეგნობისა და, მაგალითად, ქუჩაში არაფრით მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. მაგრამ მისი საოცარი უნარი მართლაც და განსაცვიფრებელია. აქამდე ცნობილი ყველა ამგვარი პიროვნების შესაძლებლობები ნამდვილად ბავშვურ გართობად მოგეჩვენებათ ახალ ფენომენთან შედარებით.

თქვენ თვითონ განსაჯეთ.

ჩვენი დროის საკვირველება, ჩემს მიერ აღმოჩენილი ჯადოქარი, არა მარტო იგებს ხელის თითებით წიგნების ტექსტს, სურათების შინაარსს და სხვა, არამედ შეუძლია, განსაზღვროს ქუჩაში გავლევებს ვის რა თანხა უდევს ჯიბეში თუ საფულეში ან დაკეტილ სეიფში ფულის რაოდენობა ერთი სენტის სიზუსტით, წაიკითხოს მთელი წიგნი მის გადაუშლელად – დახურულ წიგნზე ზევიდან ადებს ხელს... მეტიც: მუზეუმში შეუსვლელად დაათვალიეროს ყველა სურათი, ქუჩაში მდგომმა უყუროს კინოფილმს, საესტრადო წარმოდგენას, სპექტაკლს... მას შინ არ გააჩნია ტელევიზორი მისი სრული ზედმეტობის გამო; ფეხბურთის მაჩების რეპორტაჟებს იგი უყურებს მეზობლის ტელევიზორში... ბოდიში, შემეშალა: მეზობლის ტელევიზორი რაღად სჭირდება, თვითონ სტადიონს ხედავს თვალნათლივ!

თქვენ წარმოგიდგენიათ, ასეთი ადამიანი როგორ ინტერესს გამოიწვევს მთელ მსოფლიოში და ბედს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ იგი ჩვენს ქალაქში იქნა აღმოჩენილი! რა პერსპექტივები იშლება კაცობრიობის წინაშე! ჩვენთან, დარწმუნებით შემიძლია, განგაცხადო, აბსოლუტურად აღიკვეთება ყოველგვარი სახის ძარცვა-ყაჩაღობა, რადგან მისი უნარი შეიძლება, გამოყენებულ იქნეს პოლიციის ცენტრალურ სამორიგეოში, არაფერი გამოეპარება! და განა მხოლოდ ეს? ჭეშმარიტად განუსაზღვრელია ჩვენი კორიფეს მოდგაწეობის დიაპაზონი და შესაძლებლობანი! ჩვენ შეგვეძლება, გავიგოთ დედამიწის სიღრმის აგებულება, რაზედაც ამდენ ხანს ბჭობენ დ ვერ შეთანხმებულან მეცნიერები, აღმოვაჩინოთ ნავთობის, ქვანახშირისა და სხვათა და სხვათა უღვევი მარაგი მიწის წიაღში... ყველაფრის ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანს.

მისი თაფლისფერი თვალების გამომეტყველება არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ მათ პატრონს უნარი შესწევს, გაიგოს, რა აზრები ტრიალებს ამა თუ იმ მოქალაქის თავში. აი, მოგვეცემა ღმერთმა! ამ “რენტგენის აპარატის” წყალობით ადვილად გამოვაჩვენებთ იმ ადამიანებს, რომლებიც არ შეესაბამებიან მათ მიერ დაკავებულ პოსტებს. მაგალითად, მყისვე აღმოაჩენს უმეცარს, უსინდისოს, ინტრიგანს, თაღლითს, მექრთამეს და ასეთ ხორცმეტებს მოვაშორებთ ხელმძღვანელ თანამდებობებს. პირიქით, დაწინურდებიან უნარიანი, მცოდნე, კეთილსინდისიერი, სპეტაკი მუშაკები...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იგი ჩვენი ერის უდიდესი სიმდიდრეა და რაოდენი სიკეთის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის! უნდა გავუფრთხილდეთ უსინდისოთა ხრიკებს – ყოველ ღონეს იხმარენ მის მოსატაცებლად ან გასაქრობად! მათთვის მეტად საშიშია – კეთილი და მოუსყიდველია და, რაც მთავარია, ბევრი იცის!

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენი საუკუნის ამ სასწაულის სახელი და გვარი ჯერ დაუდგენელია, რადგან ყრუ-მუნჯია და წერა-კითხვის უცოდინარი, ამასთანავე – პასპორტიც კი თან არ აქვს, თუ საერთოდ გააჩნია და უცნობია, რა ენაზე უნდა ვესაუბროთ...

აბა, როგორ დადგინდა მისი უნარი?

ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა!

ბებო

საავადმყოფო.

ორადგილიან პალატაში ორი ქალი წევს, ორივე – ნაოპერაციები; ერთი შუახნისაა, მეორე – 86 წლის მოხუცი ქალბატონი, ლუბა – ქარელის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდან ჩამოიყვანეს; აქამდე არასდროს ყოფილა ავად, ახლაც ყოჩაღადაა. ეს ლუბა ჰყვება:

– შემოვარდა სახლში ჩემი მეზობელი კაცი, – სარდიონი, შორეული ნათესავი, – მიყვირის: “ლუბა, ახლავე გაგარდი გარეთ!”. გამოვიქეცი, სინქარეში ფლოსტებიც კი წამძვრა და მოვარდნილმა წყალმა ეს ჩემი სახლი წაიღო, ძლივს გამოვასწარი... კიდევ კარგი, შინ მარტო ვიყავი. დაგრჩი კაბის ამარა, ფეხშიშველი, რა უნდა ვქნა? მივედი მეზობელ ქალთან, ვეხვეწები: “ჩემო კატო, ფლოსტები მაინც მათხოვე, ესე ფეხშიშველი ხომ ვერ ვივლი!”. ააშენოს ღმერთმა, მომცა რაღაც ფლოსტები, წაყვავი ფეხი და მეორესთან გადავედი: “დაილოცოს შენი ოჯახი, რამე ძველ ფეხსაცმელს ხომ ვერ მომცემ? ესე, ფოსტლებით, ძალუაჩემთან ვერ მივადწევ, თითივით გატლექილი დაგრჩი!”. ჩავიცვი ეს ნაჩუქარი ფეხსაცმელი და წავედი ძალუაჩემთან... იმ დალოცვილმა დაიარა მეზობლები, ნათესავები და იმდენი რამ მომიქუნა, აღარ ვიცოდი, როგორ წამეღო – სკამები, ჭურჭელი, ჩასაცმელი, ქვეშაბები, საჭმელი... იმ ჩემს მეზობელთან, სარდიონთან, ვიყავი დროებით, სახლიდან რომ გამომიყვანა. რომ მივედი, მითხრა: “შენ რა გიჭირს, ყველაფერი გაქვს, შენ კი არა, მე ვარ საცოდავი!”. ახლა ქალიშვილთან ვცხოვრობ, მეზობელ სოფელშია გათხოვილი. სამი შვილი მყავდა, – ორი ბიჭი და გოგო. ბიჭები არ შემრჩა, ჩემს ქალიშვილთან წავედი, ახლა მასთან ვცხოვრობ მეზობელ სოფელში. ვეხმარები: სახლს და ეზოს ვხვეტავ, ძროხას ვწველი... ერთი შვილიშვილი აქ ცხოვრობს, თბილისში, იმან წამომიყვანა, როცა ავად გახდი, გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავს – ჩემი შვილიშვილის შვილი, იმან მომიტანა ეს ვაშლები და ბანანი, მიირთვი გენაცვა...

2011 წლის 2 ნოემბერი.

ნოემბერი

გვიანი შემოდგომის ცრიატი დღე გათენდა – ქარიანი, მცირეყინვიანი.

ვდგავარ X სართულის ლოჯიაში და გავცქერი მიდამოს. შორს მხოლოდ იაღლუჯის ლურჯი ქედის კონტური იხაზება, მტრედისფერ ცასთან შეწყვილებული. რუსთავი მინიშნებითაც კი არ ჩანს; ჰორიზონტთან ცა მოყვითალო-ვარდისფრად ღუღღუღებს მწიფე ატამივით; უფრო ზევით – ნაცრისფერ, გრძლად გაწოლილ ღრუბლებს შორის – ვიწრო, ნათელი ზოლი კაშკაშებს; იქიდან მარაოსავით გაშლილა გაყუჩებული მიწისკენ უხილავი მზის აბრეშუმის სხივები...

ქუჩას აესებს მიმქროლავი ავტომანქანების ყრუ გუგუნის; სადღაც ძაღლი უხალისოდ, თითქოს ვალის მოსახდელად ყეფს; ეულმა ყორანმა თუ ყვავმა შავ მფეთქავ არსებად ზანტად გადაიფრინა მრავალსართულიანი, უსახური სახლების ფონზე...

უკვე არც შემოდგომაა, არც – ზამთარი, არც ღვინოა, არც – წყალი...

2011 წლის 10 ნოემბერი.

გუჯა

ხნიერი ქალბატონი ჰყვება:

– კინოგადაღებაზე ვართ ზღვაზე, გამოცხადდა დიდი შესვენება და ყველანი შეუდგნენ ჭამას – ვისაც რა ჰქონდა.

ვხედავ: მხოლოდ გუჯა ბურდილაძე არ შეუერთდა მათ: დგას დამყაყებელი წყლით სავსე კასრთან – დაინახა იქ კოლო ფართხალებს, ამოსვლას ლამობს. ჩაყო თითი, ამოუდო ქვევიდან და ამოიყვანა; მერე აქვს გაშეფერილი ასე თითი, უყურებს, როგორ ისწორებს ფრთებს...

და ასე იდგა დიდხანს, სანამ კოლოს გაუშრა ფრთები და გაფრინდა...

ამასობაში შესვენება დამთავრდა კიდევც.

გუჯას შეხედავ – გარეგნულად ძალიან უხეშნაკეთებიანი კაცია, სულ უარყოფით ტიპაჟს ანსახიერებს ხოლმე – ამ ფილმშიც – და რა სათუთი გული ჰქონია!..

2011 წლის 22 ნოემბერი.

ციყვუნია

მეხუთე დღეა, ვწევარ ქირურგის ინსტიტუტის შენობაში მესამე სართულზე განლაგებულ კლინიკაში “ღია გული”; ჩამიტარეს ეგრეთწოდებული კორონარული არტერიების შუნტირება მომუშავე გულზე.

გულის ტკივილი იმდენად არ მაწუხებს ხოლმე, რამდენადაც ყოველი ოდნავ შეტოკებისას მარცხენა ბეჭქვეშ თითქოს ხანჯლის წვერი მატაკესო... ადრე სხვა კლინიკაში ვიწეკი, სადაც კორონოგრაფია ჩამიტარეს და იქ ერთ ავადმყოფს თურმე ღამე ჰაერის უკმარისობა აწუხებდა და მის ცოლს ფანჯარა გაუღია – გავცივდი, რადიკულიტი, ნევრალგია თუ რაღაც მსგავსი საშინელება დამმართეს.

დილაუთენია გამეღვიძა, გარეთ ჯერ კიდევ ბნელა; ცოტა ხანში – ოდნავ მოყვითალო-მღვრიედ ინათა.

ფანჯრის ღიობში მოჩანს: ცის ბაც ყვითელ ფონზე ქვევითა ნაწილში კვიპაროზების მუქი სანთლები ჩარიგებულა, შენობასთან ახლოს კი კაკლის ხე დგას და ლაღად გაუბარჯღავს შავი, შიშველი ტოტები.

ლამაზი, გრაფიკულად მეტყველი სურათია!

უცებ ვხედავ: ერთ-ერთ ზევით აშვერილ ტოტზე რაღაც ისარივით ავარდა მაღლა, მერე მეორე ტოტზე გადახტა და თავდაღმა გაიეღვა...

ციყვი!

ტოტების წვეროკინებზე შერჩენილ კაკლებს თუ მოიხილაგს!

შენი გამორჩენით როგორ გამახარე, ციყვუნია!

რა ლამაზად მოძრაობ, რა ფუმფულა კუდი გამშვენებს, როგორ კოხტად დაგიცქვევია ყურები!

სიცოცხლითა ხარ სავსე!

მაღლობა!

2011 წლის 9 დეკემბერი.